ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№3 (57) მარტი, 2018 წელი ფასი 2 ლარი

ნომრის ავტორები

ნინი ელიავშვილი

& ჰელმუტ ა. ნიდერლოე

პოეზია
დავით ჩიხლაძე
გოჩა სხილაძე
თათია მთვარელიძე

კრიტიკა
ლელა კოდალაშვილი – სასკოლო სახელმძღვანელოებზე
მაკო ჯანჯიბუხაშვილი – ლაშა გულაძის „პატარა ქვეყანაზე"
თეკლე ქველაძე – რეზო გეთიაშვილზე და გაგა ნახუცრიშვილზე

პროზა
გელა ახალაია
ნატალია ზარნაძე

ახალი თარგმანები
ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო
პიერ მენიე

№3 (57) მარტი, 2018 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ელისო მეტრეველი, ნინი ელიაშვილი, ზვიად რატიანი, ცირა ბარბაქაძე, დათო ბარბაქაძე, თამარ კოტრიკაძე, დავით ჩიხლაძე, გოჩა სხილაძე, თათია მთვარელიძე, ბექა ახალაია, ნატალია ზარნაძე, ლელა კოდალაშვილი, მაკო ჯანჯიბუხაშვილი, თეკლე ქველაძე, დალი იაშვილი, გიორგი ეკიზაშვილი

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ნინი ელიაშვილი

ელისო მეტრეველი – ნინი ელიაშვილის დიდი ამოსუნთქვა

„კაპპას“ ზურგჩანთა, ყურსასმენი და გადახოტრილი თავი. ნეტა რას უსმენს, ან რა აწყვია ამ გოგოს ზურგჩანთაში... აი, ისეთი გოგოა, „ნეტფლიქსის“, „ეიჩბიოუს“ ან „ემტივის“ ახალგაზრდული შოუების პერსონაჟები რომ არიან – ზოგჯერ მეამბოხეები თუ საშიშები, ზოგჯერ მარტოსულები ან შეგუებულები და ზოგჯერ „ძაან კაი“ ტიპები, უფრო „კაი ტიპები“ და მებრძოლები. დღეს ყურსასმენში როკი ისმის, სხვა დროსაც; „კაპპას“ ზურგჩანთაში კი ამჯერად გივი გეგეჭკორის და ნიკო სამადაშვილის ლექსების წიგნებია. „ეს გივი გეგეჭკორის ერთ-ერთი საუკეთესო კრებულია, ერთ ლარად ვიყიდე თავისუფლებაზე“, – მეუბნება პოეტი ნინი ელიაშვილი. – „ჩანთაში სულ მიდევს რაღაც წიგნი, რომელსაც ვკითხულობ, გზაში ან სადმე, სახლშიც“.

ნინი ელიაშვილმა ახლახან დაამთავრა ილიას უნივერსიტეტი ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალობით. რამდენიმე კვირაა, რაც მუშაობს ერთ-ერთი კომპანიის მერჩენდაიზერად. დილით დგება, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ქალაქის სხვადასხვა უბანში მიდის და ამოწმებს ამ კომპანიის პროდუქცია როგორ ალაგია მაღაზიების დახლებზე – ასწორებს, ცვლის, ამატებს. ამ გრძელ გზებზე უსმენს მუსიკას, კითხულობს ლექსებს და ხანდახან წერს. არა,

უფრო სწორად, ადრე წერდა და კითხულობდა, ახლა მხოლოდ იღლება. თუმცა იცის, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდება, რაღაც შეიცვლება, რადგან „არ მგონია, რომ ოდესმე თავი დავანებო ლექსის წერას. ყველაფერი შემიძლია ვაქციო ლექსის მასალად, ყველაფერი! მგონია, რომ გამიმართლებს ცხოვრებაში და როგორც მე მინდა, ყველაფერი ისე იქნება!“

ორნაირი ლაპარაკი გამოგვივიდა – პირისპირ და მესენჯერით. ნინის ფეისბუკქრონიკაზე ბევრი ლექსია, მისი და სხვებისაც, უფრო სხვების. Nini Eliashvili (ხოტორთუხუცესი) – ასეთია ფეისბუკში და პირველად „ხოტორთუხუცესობაზე“ ვკითხე.

მესენჯერიდან: “სამი წელია, ასე ვატარებ თმას, მანამდე, უბრალოდ მოკლედ შევიჭერი. მერე ზღვაზე ვიყავი და რატომღაც გადავწყვიტე გადახოტვრა. მგონი, “ვენდეტა” მქონდა ახალი ნანახი და ძალიან მომწონდა პორტმანი :))) იმის მერე აღარ ვიზრდი. თან ახლა უკვე ჩვეულებრივი ამბავია. კარგა ხანი ისე იყო ხოლმე, ვიხოტრავდი და უკეთ ვხდებოდი. ეს ამბავი თვეში ერთხელაა და უკვე აღარაფერია. ვერც ვხვდები, სხვანაირად როგორ უნდა ვიყო, დიდად არ ვაქცევ ყურადღებას ამ გარეგნულ მხარეებს, მაგრამ ჩემი სიხოტორავე მგონია, ძალიან მნიშვნელოვნად გამომხატავს:)))”.

ნაწყვეტი ნინის ლექსიდან: *„ვერც ვარსკვლავები ამოკრიფეს შენი ლოცვიდან.*
კიდეც გიკბინა შემპარავად მან, ვინც გკოცნიდა.
კვდები. არ ნანობ და უფრო დიდ სიკვდილს დაეძებ.
წერ, როგორც წერილს, საკუთარ თავს, სხვისი სახელით.
წერ, როგორც წყალზე, როგორც ცეცხლზე, როგორც ჰაერზე.
წერ მშვიდად, რადგან ვერასოდეს ვერ გაგამხელენ“.

„დაბერებული ლექსები ღმერთებზე და სიყვარულებზე“

15 წლის იყო, წერა რომ დაიწყო. ქართულის მასწავლებელმა მთელ კლასს დაავალა ლექსის დაწერა. ეს რამდენჯერმე განმეორდა. მოეწონა. დაიწყო და სულ წერს. განსაკუთრებული უნარები არ მქონია, აი, რომ ამბობენ, ხუთი წლიდან ვწერდი და ორი წლისა უკვე ვრითმავდი, ასეთი არაფერი ყოფილაო, ამბობს. პირველი წიგნიც აქვს, ოღონდ საგულდაგულოდ მალავს. სკოლაში სწავლობდა, ისევ დავალება ჰქონდათ, ბიზნესიდეები უნდა მოეფიქრებინათ და კლასელებმა მისი წიგნის გამოცემა მოიფიქრეს. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა კი იყიდეს, მაგრამ დიდი ბიზნესი მაინც არ გამოვიდა, წიგნების ნაწილი მას დარჩა.

„ძველი ლექსები საერთოდ გადავყარე, უხერხულობა მაქვს ხოლმე ჩემს ნაწერებთან, შეიძლება ჩემს თავსაც ვერ ვუყურო ზოგჯერ. გულუბრყვილო რაღაცები იყო. არის მომენტი, როცა ზუსტად ვხვდები, სად ვიჭედები, მაგრამ ვერაფერს ვშველი, ვერ ვუკეთებ ვერაფერს. ბევრი ლექსი მაქვს დაწერილი, მაგრამ რაც ვარგა, ბევრი არ გამოვა. ყოფილა ლექსები, რომლებსაც უშველია, შეიძლება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე მომენტში დამიწერია და უშველია. ეს ძვირფასია ჩემთვის, ასევე ძვირფასია ჩემთვის მნიშვნელოვან ადამიანზე დაწერილი ლექსები, შეიძლება, თვითონ ლექსი ლექსად არაფერი იყოს, მაგრამ მაინც მიყვარდეს. შეიძლება ითქვას, რომ მკაცრად ვაფასებ ჩემს თავს. ყოველ შემთხვევაში, ბევრს ვუკირკიტებ ამ ლექსებს, ანუ მთლიანად აქ ვარ, პოეზიაში. სხვა რაღაცები უბრალო მოვალეობები მგონია. შემიძლია, ბევრი ვუარო გარშემო ამ ლექსებს, ხანდახან ზედმეტადაც და ვფიქრობ, უნდა ვისუნთქო... ვისუნთქო ჩვეულებრივად“.

ერთ დღეს შაკო ბაკურაძემ შოთა იათაშვილს გააცნო, უთხრა, მოგეწონება ნინის ლექსებიო. გაუგზავნა ლექსები და შოთამ დაბეჭდა. რაღაც შეასწორა კიდეც, ოღონდ ისეთი არაფერი. პირველივე გაგზავნაზე დაუბეჭდა ათამდე ლექსი, 2016 წელს. მერე „არილშიც“ დაიბეჭდა და „ლიტერატურულ გაზეთშიც“. უფრო „ახალ საუნჯეში“ იბეჭდება ხოლმე. პოეზიის საღამოც ჰქონდა. ძირითადად ჩემი მეგობრები იყვნენ და მაგრად გაუმართლათ, 20 ლექსი რომ შევარჩიე წასაკითხად და მეტი არა, სულმოუთქმელად და თავაუწევლად ვკითხულობდი 35 წუთიო. წერს ყველგან – ქუჩაში, ტრანსპორტში, ლექციაზე, უფრო სახლში. წერს ბლოკნოტში, ტელეფონში, უფრო ლეპტოპში. კითხულობს მისთვის საინტერესო ავტორებს, უფრო პოეზიას. ჩანთაში სულ აქვს წიგნები, ახლა – გივი გეგეჭკორი და ნიკო სამადაშვილი.

„როცა ჩემი ლექსები გამოვიტანე, კომპლექსი არ მქონია, არც პოეტებთან ურთიერთობას მოვრიდებივარ. ვინც ჩემთვის მნიშვნელოვანი ავტორია, თითქმის ყველასთან მაქვს ურთიერთობა. ჩემზე უფროს პოეტებთან ვმეგობრობ. ეს ძალიან მეხმარება. არის რამდენიმე ადამიანი, ვისი აზრიც ჩემთვის მნიშვნელოვანია, გაუსწორებიათ კიდეც რაღაცები, ერთად გვიმუშავია ლექსზე, რომელიც ძვირფასი იყო და მაინტერესებდა. არ მიფიქრია იმაზე, თუ რომელი თაობის ადამიანი ვარ. ერთნაირად შეიძლება

მომწონდეს ჩემი თაობის პოეტების ლექსებიც, ძველიც და კიდევ უფრო ძველიც. ადვილად ვიმახსოვრებ ლექსს, რაღაც განწყობაზე რომ ვარ, სულ ვიღაცის ფრაზები მახსენდება ხოლმე. არასოდეს არავისგან არაფერი არ გადმომიწერია, მაგრამ ზოგჯერ ვექცეოდი გავლენის ქვეშ. წავიკითხავდი ლექსს და თუ მომეწონებოდა, მერე რაღაც მომყვებოდა მისი – ან მუსიკა, ან ხმა, სტილი. გამოვედი ამ გავლენებისგან".

მისი აზრით, მკითხველი ყოველთვის ხვდება, რა არის ნამდვილი და გულიდან წამოსული. სწორედ ასეთ ლექსებს მოჰყოლია დიდი გამოხმაურება. ძირითადად ფეისბუკზე აქვეყნებს ხოლმე. ამბობს, რომ არ კითხულობენ სხვაგან, ლიტერატურულ ჟურნალებსაც არ კითხულობს ბევრი და საერთოდაც, აქ უმეტესობა ისევ ტელევიზორს უყურებს. შარშანაც უნდოდა წიგნის გამოცემა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, არ უნდა, ისეთი გამოვიდეს, რომ მერე აღარ მოეწონოს. თუ იარსებებს, კარგი უნდა იყოს. ასე ამბობს, „იარსებებს". მისთვის ყველაზე სრულყოფილი კონვენციური ლექსია. ფიქრობს, რომ მისი სტილი მოძველებულია, რადგან წერს „დაბერებულ ლექსებს ღმერთებზე და სიყვარულებზე". თუ კარგად არ მოუსმენ, შეიძლება, გამოგეპაროს, სად ხუმრობს, სად არის ძალიან გულწრფელი ან, სულაც, მკაცრად თვითირონიული.

„ჩემთვის რთული დასაწერია ვერლიბრი. კონვენციურში თავისით მოდის რიტმი, რითმა, მუსიკა, თავისთავად მოჰყვება ხოლმე ხელს, ვერლიბრი რთულია. თითქმის აღარ წერენ კონვენციურ ლექსებს, მით უმეტეს, სიყვარულებზე და ღმერთებზე, შიგნით ამბებზე – ადამიანურ, შიგნით ამბებზე. არ ვიცი, რომელი სჯობს ან რომელი უნდა იყოს. ორივე იყოს, რა პრობლემაა. მე არავისთან არ მაქვს პრეტენზია, „ყველა იყოს თავისთვის",

„სახლში რაც უნდა, ის წერონ, კაცო“. ჩემი თაობის ავტორებთან უფრო არ მაქვს ურთიერთობა. არ მომწონს ხოლმე ეს ეპატაჟური რაღაცები, ჩემში არ არის ასეთი რამ, ამით ვერ წავაკითხებ ხალხს თავს. ბევრს ის უფრო მოსწონს და არა ჩემი დაბერებული ლექსები. ის ცუდი კი არ არის, არა. როცა ლექსს წერს, უკვე კარგია, ჰო? დიდი სინაზეა ჩემთვის, ადამიანი რომ თავის გრძნობებზე წერს, მიდის მაგიდასთან, ჯდება და წერს. წიგნის გამოცემა კი გადავიფიქრე, მაგრამ შეიძლება, ისევ მოვიფიქრო და წლის ბოლოსკენ გავაკეთო. ისე, საჭიროა საერთოდ? რა საჭიროა, მით უმეტეს, როცა ორჭოფობ და არ იცი, ღირს თუ არა. ჯერ ვფიქრობ“.

მესენჯერიდან: ‘‘ბევრს ვფიქრობ, კი. თითქმის სულ და ხან მგონია, უფრო მეტს ფიქრით ვცხოვრობ. სადაც არ უნდა ვიყო, იქიდან წამოსვლაზე ვფიქრობ ხოლმე და სულ იმას ვფიქრობ, რა გზით წავალ :). ისე გამოდის, რასაც ვაკეთებ, მერე იმაზე ვფიქრობ, როგორ შეიძლებოდა გამეკეთებინა. ფეხით სიარული მიყვარს და ყველაზე კარგად მაშინ გამომდის, ყველაზე სასიამოვნო მაშინაა, კადრებიც რომ იცვლება და უფრო მსუბუქდება ყველაფერი’’.

ნაწყვეტი ნინის ლექსიდან: *„ ჩემ გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემზე იცი.*
არც მიფიქრია, ამის მეტი რამე გცოდნოდა.
მე გავიქეცი სახლიდან და სამეგობროდან.
პირნათლად ვიხდი ამ გაქცევის ტკივილს და სირცხვილს.
ჩემ გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემზე იცი‘‘.

„სტიმულატორ და ყოველდღიურ“ ადამიანებზე

მეხუთე წელია, თბილისში ცხოვრობს. ილიაუნის შემდეგ მუშაობის დაწყება უნდოდა. ბევრ გასაუბრებაზე იყო, ყველგან გამოცდილება იყო საჭირო. ბოლოს მეგობარმა

უთხრა, რომ მასთან მერჩენდაიზერის ადგილი იყო. მივიდა, აიყვანეს. კიდევ გერმანულს სწავლობს. უნდა, რამდენიმე ხნით გერმანიაში წავიდეს. გული კი ეთანაღრება, მაგრამ იცის, რომ ბოლომდე უნდა მიიყვანოს განათლების საქმე. გადაბმულად არასოდეს უმუშავია, სტუდენტობის დროს ზოგჯერ სარეკლამო კომპანიებში საქმდებოდა – ნივთებს ამზადებდა და აქციებში მონაწილეობდა. ახლა მუშაობს, მთელ ქალაქში დადის და იღლება. და კიდევ, ისევ გადაეყარა იმ ხალხს, ვისაც ლექსი საერთოდ არ აინტერესებს.

„რაც ვმუშაობ, ლექსისთვის არ შემიხედავს, ვიღლები. დიდი ხანი არ არის, რაც დავიწყე და ჯერ ვწუწუნებ. უნდა შევეგუო, იქნება კარგი რაღაც გამოვიდეს. იქ არიან ადამიანები, ვისთვისაც საერთოდ არაფერია პოეზია. აღარ მყავდა ასეთი გარშემო. მქონდა ჩემი პატარა სივრცე, რომელიც იყო საინტერესო და ვცოცხლდებოდი. საერთოდ კაცთმოყვარე ადამიანი ვარ, მაგრამ ახლა სადაც ვარ, იქ პოეტური არაფერია, ძალიან პროზაულად მიდის ცხოვრება. ცოტა ხანში, ალბათ, აზრზე მოვალ, რაღაც შეიცვლება, დავისვენებ. აქამდე მეგონა, რომ უძილობა მჭირდა, სულ ტრაგედიებში ვიყავი, შეიძლება რაღაც უფსკრულთან მივსულიყავი. ღამით თუ გაგეღვიძება, კარგზე არაფერზე გეფიქრება, ღამით ხომ ყველაფერი გამოუვალი ჩანს. ახლა ოდნავ რომ შებინდდება, უკვე მეძინება. დავდივარ სამსახურში და მძინავს. განვიკურნე“.

ადრე უნდოდა, რომ უნივერსიტეტში ლიტერატურის განხრით ემუშავა. ახლა არც კი ვიცი, რას ვიზამ, მარტივად ვიფანტებიო. ყველაზე მეტად მაინც უნდა, რომ ლექსებს წერდეს, სულ წერდეს ლექსებს! ჰო, კიდევ უნდა, თავისი პატარა რესტორანი ჰქონდეს და შეფ-მზარეული იყოს. თვითონ იგონებდეს რეცეპტებს, ამზადებდეს და მერე

ყიდდეს. „ეს რომ შევძლო, მეტს არც დავაძალებდი ჩემს თავს. შეფ-მზარეული ვიქნებოდი და პოეტებს მოვუძახებდი ხოლმე ჩემს რესტორანში“. კარგადაა, როცა არავინ არაფერს ეკითხება, არ უთითებენ, არც რამეში ჩართვა მოსწონს და არც აქტიურობა.

„თავიდან კარგი სტუდენტი არ ვიყავი. სკოლის მერე უცებ თავისუფალი გავხდი, როცა მინდოდა, მივიდოდი, როცა მინდოდა, წამოვიდოდი. დავიწყე ლექციების გაცდენა. მერე მივხვდი, რომ უნდა დამემთავრებინა უნივერსიტეტი. რახან დავიწყე, უნდა დამემთავრებინა. დავიწყე მართლა სწავლა და შემიყვარდა... ანტიკური ლიტერატურა. ძალიან კარგი ლექტორები მყავდა – ლევან გიგინეიშვილი, გიორგი მაისურაძე, ლევან ბერძენიშვილი ლაშა ბუღაძე. ჩემთვის ყველაზე საყვარელი ლიტერატურა არის ანტიკური ლიტერატურა. ძალიან საინტერესო იყო ეს ლექციები. სიამოვნებით ვესწრებოდი ხოლმე, ვალდებულებაც კი არ იყო. საერთოდ, ჩავაბარე იმაზე, რაც მიყვარდა – ლიტერატურა. მაძლევდნენ წიგნებს წასაკითხად და ვკითხულობდი“.

ფიქრობს, რომ 90-იანელები ბევრად კარგები არიან, ვიდრე წინა თაობა, 2000-იანელები კიდევ უკეთესი. არ მოსწონს სხვის ცხოვრებაზე კონცეტრირებული და გაავებული ხალხი. მისი აზრით, უფრო და უფრო ლაღი თაობა მოდის. თვითონ კი არჩევანი რომ ჰქონდეს, არც სხვა ქვეყანაში დაიბადებოდა და არც სხვა დროში, მიუხედავად იმისა,რომ დიდი შესაძლებლობები ამ ქვეყანაში ჯერ არ ჩანს. თუმცა

მოსწონს ის, რაც დროს მოაქვს. მაგალითად, კომუნიკაციის ახალი საშუალებები, თუნდაც მესენჯერი და ფეისბუკი, ლექსებით ან მწვანედ ანთებული მეგობრებით. თავს არ აძალებს უსიამოვნო ხალხთან ურთიერთობას. ჰყავს თავისი „ყოველდღიური“ ადამიანები და მხოლოდ მათთან არის ბედნიერი. მის ცხოვრებაში სულ იყვნენ კონკრეტული ტიპები, ადამიანი-სტიმულატორები. სხვადასხვა ეტაპზე – სხვადასხვა, ვინც ანჯღრევდა, ვინც მიმართულებას უცვლიდა. სწორედ მათ გამო ხდებოდა უკეთესი ან უარესი.

„შეიძლება ვიღაცას ეგონოს, რომ ჩემთვის სულერთია ბევრი რამ, თითქოს ეგრე ჩანს. ასე არ არის. ჩემგან რასაც მოელიან, ზუსტად იმას ვაკეთებ: კარგს მოელიან? – კარგს; ცუდს მოელიან? – ცუდს. არავის არ ვაოცებ არასდროს. თუ მეტყვიან, ცუდი ხარო, შემიძლია, ვიყო უარესიც, ვინც ჩემით აღფრთოვანდება ხოლმე, იმას იმედს არ ვუცრუებ. შეიძლება, ეს ორივე თამაშია, არ ვიცი, კარგი თუ ცუდი, უბრალოდ, ასე ხდება ხოლმე, ამას გააზრებულად არ ვაკეთებ. ეს ადამიანები საჭირო დროს მოდიოდნენ და მერე მიდიოდნენ. ხანდახან ვფიქრობ, რომ ძალიან მიფრთხილდება ღმერთი, ზრუნავს ჩემზე, არ მიმეტებს. რაც მოხდა ჩემს ცხოვრებაში, ცუდიც და კარგიც, რაღაცისთვის მოხდა, თუნდაც იმისთვის, რომ საითკენმე წავსულიყავი, რაღაც მეკეთებინა. რაც მდომებია გულით, ყველაფერი გამომსვლია, როცა ვერაფერს ვმატებ ჩემს თავს, ეს მჭამს ხოლმე შიგნიდან. არა, მაინც პასიური ადამიანი ვარ.“

მესენჯერიდან: “მგონი ვარ რომანტიკული, კი. თუმცა არ მეტყობა, ასეთ სიფაქიზეებს ნაკლებად გამოვხატავ ხოლმე, თუ გამოვხატავ, იუმორში ვატარებ. ვფიქრობ, მეტი წილი ადამიანების როგორიცაა, ისეთი ვარ. აი, არ მგონია, რომ შიგნითა ამბები გარეგნულად აისახებოდეს. ბევრ ხალხში რომ გავრეულიყავი, ვერც გამომარჩევდნენ. სულ შეყვარებული ვარ – ხან იდეაზე, ხან ადამიანზე, ხან ადამიანში იდეაზე. ასე მგონია, ნამდვილი სიყვარული ერთხელ არის ცხოვრებაში. ყველაფერზე და ყველაზე ძვირფასი“.

ნაწყვეტი ნინის ლექსიდან: *„ და თუ არ ვცდები, არსებობს ქვეყნად ის ადგილიც, მე რომ დამიტევს. არსებობს ხელიც, სწორი გზისკენ რომ მიმანიშნებს. არსებობს ის, ვინც კარგად იცის, უნდა წავიდე. არსებობს ისიც, ვინც იცის და არსად გამიშვებს“.*

აგარის ხმები, გზები და ნანგრევები

კარგად ახსოვს პირველი მასწავლებელი, რომლის „ თავისუფლებით სავსე“ მოსწავლეები ყოველი ოთხი წლის მერე მთელი სკოლის თავსატეხად იქცეოდნენ ხოლმე. მერე იყო ქართულის მასწავლებელი, ლექსების წერას რომ ავალებდათ. თუმცა სკოლა არ ენატრება, როგორც სხვებს ზოგჯერ, რადგან იქ არასდროს არაფერი ხდებოდა „ მძაფრი“. ბავშვობიდან უყვარს შობა და აღდგომა. ახლა აღარ დადის ეკლესიაში, მაგრამ ადრე ხშირად დადიოდა დედასთან ერთად. ამბობს, რომ მისი ღმერთი კეთილია, ლმობიერი და ყველაფერი ესმის.

„შეიძლება მე ვარ ასეთი, ბევრი რამის, ვინმეს მიმართ გულგრილი. სულ მიკვირს იმ ადამიანების, სიღრმისეულად რომ აინტერესებთ რაღაცები და სიღრმისეულად უხარიათ, სიღრმისეულად არიან ჩართულები. მე კიდევ ეს არასოდეს



მქონია. ბევრი ამბობს, რომ ჯიუტი ვარ და ერთ პოზიციაზე ვდგავარ სულ. მაგრამ იცვლება ჩემი აზრები წლების განმავლობაში. ამას არ ვამბობ რაღაც ფუნდამენტურ შეხედულებაზე, სულ რომ არის ჩემში. დიდად პრინციპული ადამიანი არ ვარ, ამას არ გავაკეთებ ან რაღაც ასეთს, არასოდეს ვამბობ. საერთოდ, ყველა იდეა, იქნება ეს ფემინისტური, ძალადობის შესახებ თუ სხვა, შიგნიდან უნდა მოდიოდეს. უნდა გააპროტესტო არასწორი რამ და არ

არის აუცილებელი, ეს პირადად გეხებოდეს. იქ, სადაც მე გავიზარდე, ყველაფერი კაცია. ბავშვობაში შეიძლება ამას თვალს უხუჭავ. ჩვეულებრივი რამ გგონია, ისე, როგორც დაღამება ან გათენება, მაგრამ მერე ხვდები, რომ ეს ნორმალური არ არის. მგონია, რომ იქ დიდხანს არაფერი შეიცვლება, ჩემი ტოლებიც კი ისევ ისე ფიქრობენ. ყველა ადამიანს ოჯახური ამბები ბოლომდე გასდევს და ბოლომდე მოქმედებს მასზე. შეიძლება პროტესტის გამო სულ საწინააღმდეგო რაღაცები აკეთო ან მათნაირი დარჩე და სულ დაბოღმილად იცხოვრო, კეთილად თუ ბოროტად".

ბავშვობიდან ახსოვს ორი ხმა – მატარებლის და ქარხნის საყვირების. კიდევ გზები, მაშინ ძალიან შორი რომ ეჩვენებოდა, "ახლა ვხვდები, როგორი პატარაა იქაურობა. ტკბილი სუნი მახსოვს, დამწვარი შაქრის. ძალიან შემაწუხებელი იყო ხოლმე. ახლა აღარაფერია. ქარხანაც აღარ მუშაობს". ეს აგარაა, დღეს ნაქალაქარს რომ ჰგავს. იქ დაიბადა და გაიზარდა, სკოლაც იქ დაამთავრა. ბებია მათემატიკის მასწავლებელია, დედა – რუსულის. მამას და ბაბუას სოფელში მეურნეობა აქვთ. ჰყავს პატარა ძმა და ორი და, კიდევ ,, მზე თოვლში" – დისშვილი ლილე. ბავშვობაში ყველაზე მეტად უყვარდა პარასკევი, სკოლის მერე მოხეში მიდიოდნენ, სოფელში ბებოსთან და პაპასთან. შუქი ჩაქრებოდა და იწყებოდა მხიარულება – ლაპარაკობდნენ დაუსრულებლად, დახტოდნენ, ხატავდნენ და მთელი ოჯახი იყო ერთად. პაპას მიჰყვებოდა ვაშლის ბაღებში სამუშაოდ. ცხენშებმული საზიდრით მიდიოდნენ და მთელი გზა უსმენდა ამბებს, რომლებსაც პაპა უყვებოდა. მერე მდინარეზე ჩადიოდნენ. საჭმელიც მიჰქონდათ, რადგან დიდხანს უხდებოდათ იქ ყოფნა. კიდევ იყო წყარო და ხის ძელსკამები.

„ბავშვები ვისხედით ხოლმე წყაროსთან, დიდ ქვაზე. ერთი მოხუცი კაცი ამოივლიდა ცხენით, წყალს ავუვსებდით და მერე სახლამდე მივყვებოდით. მეორე მოხუცი მახსოვს კიდევ, ცისფერი წინსაფარი ეკეთა სულ, მაღალი კაცი იყო, ამოივლიდა დაღლილი და ჩამოჯდებოდა. გასაშლელ ჭიქას ამოიღებდა ჯიბიდან, მომაწვდიდა და მეც წყლით ვუვსებდი... იმ დროს აგარაში ყველაფერი უფრო დიდი და სერიოზული მეჩვენებოდა, რაღაცნაირად გაუკაცრიელდა იქაურობა. გაჭირვებაა. აგარა არც სოფელია, არც ქალაქი, არც მეურნეობა აქვთ, არაფერი. შაქრის ქარხანა იყო და ახლა ისიც გაჩერებულია, ამ საწარმოზე იყვნენ დამოკიდებული. მარტო მაღაზიები მუშაობს. ჩემს ბავშვობაში რაც განახლდა, ყველაფერი ისევ გადახუნდა. აღარც იმდენი ხალხია ჩვენს ეზოში. აღარც ის ადამიანები, ვინც მახსოვდა... ყველაფერი დაინგრა და ყველანი ამ ნანგრევებში მოვყევით. ახლა ალბათ ამაზე არ ვილაპარაკებ".

მესენჯერიდან: "ჩემს სახლამდე პარკია ბევრი ნაძვით. გირჩების მოსაგროვებლად მივდიოდით ხოლმე. ყველა ასე აკეთებდა. ღუმელს გირჩებით ანთებდნენ. ყველას ჰქონდა სახლის უკან ბაღი და "სარაია". ჩვენი ძველი იყო ძალიან, მიყვარდა მასში რაღაცების ძებნა, მარტო რომ ვრჩებოდი, სულ იქ ვიყავი. საერთოდ, სულ მარტო დავდიოდი. ახლაც ვხედავ, კუბოკრული პიჯაკი მაცვია და კეპი მახურავს, ხელით ვეხები ჯიბეში ჩაყრილ ჭადრის ბურთულებს. ზოგჯერ მეორე წელსაც კი მინახავს ქურთუკის ჯიბეში ჩარჩენილი ეს ბურთულები".

ნაწყვეტი ნინის ლექსიდან: *„ დამნაშავე თითქმის არა ხარ.*
და უფლება გაქვს სიხარულით გული გეწვოდეს.
და უფლება გაქვს სიხარულზე იყო თანახმა".

ნინი ელიაშვილი 23 წლის არის, მაგრამ ეს ინფორმაცია სრულიად არაფერს გეტყვით, თუ მის ლექსებს არ წაიკითხავთ, არც ეს ტექსტი შეგიქმნით მის შესაძლებლობებზე ზუსტ წარმოდგენას. მისი ბრძოლაც და შიშიც, სიხარულიც და უიღბლობაც, ამოსუნთქვაც და ფიქრიც, უფსკრულიც და სიყვარულიც, ნიჭიც და ხელისცეცებაც ჯერ მხოლოდ მის ნაწერშია. ნამდვილი და პოეტი ნინი ელიაშვილი ჯერ მხოლოდ და მხოლოდ თავის ლექსებშია.

„რაც წლები გადის, უფრო დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები ლექსის წერას და უფრო ბევრს ვმუშაობ. იმაზე არ ვამბობ, ემოციით მოხეთქილ ლექსებზე, წყალივით რომ მოდის – ასეთს ვეღარ ვასწორებ მერე, ვეღარაფერს ვცვლი. ყველა ლექსი სხვადასხვანაირად მოდის, მაგრამ არის ასეთიც, „მოხეთქილი“. თავიდან ასე არ იყო, პირდაპირ ვწერდი, მერე და მერე ვისწავლე მუშაობა. ვწერ, ბევრს ვწერ. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ლექსი უნდა მოდიოდეს დადებითი ემოციით, სიყვარულით, სიკეთით. ბოლოს დავამუღამე და უარყოფითი ემოციითაც დამიწერია. ყველაფერი გამომიტანია გარეთ და მეც გამოვსულვარ. ლექსის წერა ყველა შემთხვევაში დიდ სიხარულს მანიჭებს. ეს არის დიდი ამოსუნთქვა და სიხარული!“

* * * (ყველას უყვარდა ჩემი თავი...)

ყველას უყვარდა ჩემი თავი. ყველა მისვამდა
თავზე ხელს. ნაზ ხელს. მოუხეშოს. ცივს და სიცხიანს.
ყველა ზრუნავდა ჩემზე კართან თუ შუქნიშანთან.
ავადმყოფს მათი ცხელი მზერით გამიღვიძია.

ყველას უყვარდა ჩემი თავი. მისი სიმრგვალე
ყველაში რაღაც ამოუხსნელ სითბოს იწვევდა.
მე, რა თქმა უნდა, არ მიკითხავს, რად შემიყვარეს
ან ყველა ჩემკენ ამ ბრმა ჟინით რატომ იწევდა.

ყველას უყვარდა ჩემი თავი. და მეც დღითიდღე
უფრო და უფრო ვიმოკლებდი თმას. ვიშიშვლებდი
ოცნებებს, ფიქრებს, იმ იმედით, რომ მიმითითებს
ვინმე, თუ როგორ ვიოცნებო, ვინმე, ვინც ჩემთვის

მსხვერპლს გაიღებდა. ჩემთვის – არა, ჩემი თავისთვის.
ჩემი მრგვალი და მბზინავი და კეთილშობილი
თავისთვის. აგერ, წლებია, რომ მე თმას არ ვიზრდი.
იმედით, ვინმე – მეგობარი, და ან მშობელი

ჩემი თავისთვის მსხვერპლს გაიღებს და მიკარნახებს,
თუ როგორ უნდა ვიოცნებო. მათ არ უნდებათ
ან არ იციან. საოცნებოდ ბევრი გზა ვნახე,
თუმცა სუყველა მათგანი კვლავ ჩემში ბრუნდება.

* * * (რაღას იზამდა, რომ არა ეს ჭრელი ნივთები...)

რაღას იზამდა, რომ არა ეს ჭრელი ნივთები,
რომ არა გზები, მეგობრები, მტრები რომ არა,
თანდაყოლილ დარდს ვინც ჩასცქერის გამადიდებლით
და ვერაფერთან აკავშირებს თავის მომავალს.

რაღას იზამდა, სხვა დარდიც რომ არ გაეჩინა,
სხვა მდგმურებიც რომ არ შეეშვა გულში, ყოფითი
პრობლემები რომ არ ექსოვა, არ დაეცინა
მონოტონური არსებობისთვის.

რაღას იზამდა, რაც გააჩნდა, რომ არ ჰყოფნოდა,
თუ სიხარულსაც, ტკივილსაც არ გააზვიადებ,
ან რა აზრი აქვს, დაწყებული საავადმყოფოდან,
სასაფლაომდე, ტაძრამდე ან მაღაზიამდე,

ყველა ადგილი როცა მხოლოდ სავარჯიშოა
ემოციების, შეგრძნებების. ზოგჯერ გინდება
სხვისი ცხოვრება შეითვისო. ზოგჯერ სიშორე
გჭირდება თავთან, სანამ რაღაც არ აინთება

შენში, რაც მისკენ მიგაბრუნებს. უნდა უშველო
ზოგჯერ გაქცევით საკუთარ თავს, მერე ახალი
ზღაპარია. კი გაგყავს ასე წლები უშენოდ,
მაგრამ რა იცი, ერთ დილასაც რა გაგახარებს...

* * * (ის შორი იყო...)

ის შორი იყო. არადა ჩვენ ვგრძნობდით ორივე,
ერთი სეზონი ვიყავით. ჩვენ – ორი ზამთარი.
მე მისი ღელვა შემიყვარდა. ხან მინდორივით
რომ დაიწყებდა ლივლივს მისი მშვიდი მუსიკა.
ერთი ამინდი ვიყავით. ჩვენ – ორი ავდარი.
ის შორი არის, მაგრამ თითქოს ერთი პულსი გვაქვს.

რომ გავამხილო, ვერაფერი მე ვერ შევძელი.
როგორც უნდოდა, რაც უნდოდა, სულ ის ვიყავი.
ყველა ახალი მოგონილი სახის შეძენით
უფრო და უფრო რთულდებოდა ჩვენი სიშორე.
მე მისი ღელვა შემიყვარდა. და შევიყვარე
ყველა ზღვა. ყველა მინდორი და გავხდი მშიშარა.

მე მეშინოდა სუყველაფრის, რასაც მისი ხმა
ჰქონდა და რაშიც ვერ მოვძებნე, ის არ მინდოდა.
ხან ქარში ვდგები, ხან მშვიდ წყალში კენჭებს ვისვრი, ხან
მივდივარ, როცა არსად არის, როცა არც კი წვიმს,
კი არ მივდივარ, წარმოვიდგენ, დიდ ლურჯ მინდორთან.
და ასე ლამის საათობით ვდგავარ სარკის წინ.

* * * (სად გინახავს, რომ თავს იცავდეს თავგამოდებით...)

სად გინახავს, რომ თავს იცავდეს თავგამოდებით
ის, ვისაც თავი დაუკარგავს. ვინც სულ შიშშია.
ამ ცხოვრებისთვის ვინც უბრალოდ არ გამოვდგებით,
მოცდენის შიშით გული ვერც კი გადაგვიშლია
მათთვის, ვინც ცხოვრობს, ვისი საქმეც ანგარიშია.
და წვიმასავით, ჩვენს ჩაზნექილ გულში ვგროვდებით.

* * * (შენ არ გეკუთვნის ეს სიზმრები...)

შენ არ გეკუთვნის ეს სიზმრები. ამ სიზმრებში დღეს
დაკავებული არის ყველა მზერა. სარკმელი.
როგორ ggონია, საკმარისი თუა – შეშინდე,
როდესაც ნახავ შენს სიყვარულს შენგან დაკბენილს?!

როგორღა შეძლებ უწინდელი შუქით ინათო.
უწინდებურად გიხაროდეს მზის ბრმა სხივები.
რად გინდა შენი ან რად გინდა სხვისი სიმართლე.
სუყველა ცდება სიმართლესთან დაკავშირებით.

უფრო სარწმუნო ფაქტები გაქვს, რაც შეეხება
grძნობებს: თვალები, თითები და წარმოსახვები –
რომ ის აქაა. რომ gიყურებს. რომ gეხერხება –
უყვარდე. თითქოს ცაში ხარ და ამოgძახებენ

საცაა ხმები, რომლებიც შენ აღარ განაღვლებს.
დაკავებული არის ყველა ხმა და აქცენტი.
რომ შეgძლებოდა მისი სულის სრულად დანახვა,
სირცხვილისაgან ზურgს შეაქცევდი.

* * * (შენც რა უტიფრად იყურები ჩემი სარკიდან...)

შენც რა უტიფრად იყურები ჩემი სარკიდან!
აქ ყველაფერი ჩემი არის! სულ მე მეკუთვნის
ყველა სისუსტე, ყველა ბრაზი, ყველა სიმშვიდე!
რა დაჟინებით მომაჩერდი, ჩემგან რა გინდა?!
ან გამიღიმე ან რამე თქვი ან ჩამეხუტე!
ამომათრიე ამ უძირო, ბნელი შიშიდან!

შენ კი რა გიჭირს, შენ ლანდი ხარ, თუ დაგამსხვრევენ,
ჩვეულებრივად სხვა სარკეში ან მდინარეში
აირეკლები. შენ რა გიჭირს, მხოლოდ ლანდი ხარ.
არ გიხარია, არ განიცდი, არ გრძნობ, ასევე
ვიცი, რომ უფრო კარგად იგრძნობ თავს ჩემ გარეშე.
მომგებიანი არის შენთვის ეს გადატიხვრა.

მე კი მარტო ვარ და ხანდახან ისე მჭირდები,
მრცხვენია, როგორ გაგიმხილო ტანჯვა მოვერცხლილს.
შენც კი არ გჯერა, დაგარწმუნებ, თუ გსურს, თუ გინდა,
გულს გაგიხსნი და დაინახავ, დამფრთხალ ჩიტებით
სავსე ბნელ სარდაფს. ნიშანი ან ხელი მომეცი!
ამომათრიე ამ უძირო შიშის გუბიდან!

თორემ არ ვიცი, როგორ მსურდეს, როგორ მიყვარდეს
ისე, რომ ირგვლივ არავინ არ დავაზიანო.
არა აქვს აზრი არცერთ წამსკდარ ცრემლს, არც –
სტრიქონებს.
რწმენა თუ რაღაც მაგდაგვარი გასტანს იქამდე,
სანამ დაგისვამს ვინმე წერტილს თავაზიანად.
წერტილის შემდეგ ვინ დაგიჯერებს...
წერტილის შემდეგ ვინ გაგიგონებს...

* * * (ჩემი მოღრუბლული ხელისგული...)

ჩემი მოღრუბლული ხელისგული
და ზედ გადამფრენი ჩიტები.
ახლა უჩემობას შეგისრულებ.
რა მოხდა, თუ ჯერაც მჭირდები.

* * * (ვშიშობ...)

ვშიშობ.
ეს გზაა. რომ ამ გზიდანვე
ჩემს თავს გავყვები უსიტყვო დარდად,
როცა სხვა გზაზე გადამზიდავენ,
გამახსენდება, თუ როგორ მგავდა
ვიღაცა, ახლა ცას რომ ეცლება,
დასახული აქვს ყველა მიზანი,
სხვა გაზაფხულზე, როგორც მერცხლებმა,
ერთმანეთი თუ ამოვიცანით,
ვშიშობ.
მომავლის უფროა ყველა
სიზმარი, შიში, ეჭვი, დეჟავუ.
არათუ ვშიშობ, არათუ ვღელავ,
ვცდილობ, არცერთი არ შემეშალოს.

რომ უპრინციპო მზერის ცეცებით,
რომ ეჭვით, თითქოს, სხვებიც მეძებენ,
რომ ახლანდელ როლს ცუდად ვასრულებ,
რომ არ უხდებათ ცრემლი ავსულებს,

რომ გავწითლდებით, როცა შევხვდებით,
მივხვდებით, ახლა რასაც ვერ ვხვდებით,

ვშიშობ.
ამ გზიდან მიმყვება დარდად
ჩემივე თავი, სადაც არასდროს
გამახსენდება ბოლომდე, ანდა
გამახსენდება როგორ არ მახსოვს.

* * * (უნდა მიყვარდე...)

*

უნდა მიყვარდე. როგორც კანზე სანთლის დაღვენთას,
ისე ვგრძნობ ყველა მოგონებას. ვერც ბალახებთან,
ვერც ყვავილებთან, ვერც ხეებთან ტკივილს ვერ ვამხელ.
ყველა მათგანი თითო შველას მიკარნახებდა.

*

უნდა მიყვარდე. ვერაფერი ვერ გამახარებს.
თითქოს მოხვედი. ჩვეულებრივ თავი დახარე
და დამავიწყე ყველა შიში. უნდა მიყვარდე
ყოველდღიურად სიყვარულით ახალთახალით.

*

უნდა მიყვარდე. უშენობას მშვიდად ვუმღერო.
დავრჩები უხმოდ, უსინათლოდ, უფრთოდ, უხელოდ,
მაგრამ უშენოდ ვერ დავრჩები სიზმრების რიგში.
უნდა მიყვარდე. თვალდახუჭულს. თვალგაუხელად.

*

უნდა მიყვარდე. უნდა მზრდიდე. უნდა გივლიდე.
უნდა მიყვარდეს შენი ყოფნა, დაღლა, ძილი და
უნდა მახსოვდე დაუღლელად. შენკენ ვიწევდე
ყველა დროიდან, ყველა მხრიდან და მანძილიდან.

* * * (აღარც შენი შებრალება მიშველის...)

აღარც შენი შებრალება მიშველის
აღარც რამე გამომივა შენით
ვერაფერი მშველის
დაიბზარა ღამე როგორც გიშერი
ვიწრო უხმო და გაუვალ სიზმრებად
რომ კვდები და გიმალავენ ისე ვარ
აღარც შენი შებრალება მიშველის

ზვიად რატიანი – გზაზე ერთი გოგო მიდიოდა

არ მგონია სწორი, მეტიც, ეთიკური, როცა ლექსებზე საუბრისას ზედმეტად ამახვილებენ ყურადღებას ავტორის ასაკზე, მის ახალგაზრდობაზე, მაგრამ ნინი ელიაშვილის შემთხვევაში ამას ვერ ავცდები. აქ იმდენად მისი ლექსების ტექნიკურ ხარისხსა და საშემსრულებლო უნარებს არ ვგულისხმობ (რომელიც ასე თვალშისაცემია და რომლის მიღწევასაც, ჩვეულებრივ, გაცილებით მეტი წელი ჭირდება, ვიდრე ნინის სავარაუდო სტაჟი გულისხმობს), რამდენადაც მისი ასაკისა და ჩვენი დროისათვის უჩვეულო, თავხედობამდე თამამ, სარისკო გზას, რომელიც ამ ავტორმა აირჩია. უფრო სწორად, აიხირა. არ აქვს მნიშვნელობა, ეს არჩევანი გაცნობიერებულია თუ ინტუიტური. დღეს, ოცდამეერთე საუკუნის მეორე დეკადაში, როცა თანამედროვე პოეზიის ეტიკეტი ნებისმიერ დამწყებ თუ ჩამოწერილ ავტორს სრული ფორმალური აღვირახსნილობისაკენ უბიძგებს, რადგან სწორედ ამაშია პოეზიის ხსნა თუ არა, მინიმუმ – მისი არსებობის გახანგრძლივება, ამ ახალმა ადამიანმა სრულიად საპირისპირო ამოცანა გამოუგონა საკუთარ თავს, კერძოდ – ფორმალური წესრიგი და ემოციური ქაოსი... თუმცა ასე ადვილადაც არ ითქმის, ახლიდან ვცდი. სალექსო კონსტრუქციის სიმყარე და მასში სპირალურად ჩასხმულ-ჩახვეული, კივილის ზღვრამდე მისული აღსარებები. ბარემ ემოციურ ქაოსსაც ჩავასწორებ: რეგულირებადი ემოციური ქაოსი… და მგონია, რომ სწორედ ეს ეფექტი, ეს ტემპერატურული შეუსაბამობა ფორმასა და შინაარს შორის, უმთავრესი და ყველაზე თვალშისაცემი ხიბლია მისი პოეზიის. ბოლო ხანებში ძალიან დავმეგობრდით, ცოტათი გავიცანი და ვიცი, რომ

თვითონაც ასეთი შეუსაბამოა, თუნდაც მხოლოდ (და არა მხოლოდ) ასაკთან მიმართებით: სევდისა და ხალისის იმხელა გამოცდილებაა ამ ადამიანში, თითქმის შეუძლებლად გეჩვენება, ეს ქიმია არსად წასულიყო. მე მიხარია, რომ ეს ქიმია სწორედ ლექსებში მიდის, პოეზიაში რეაქციონირებს. არადა ვაპირებდი მოკლე, მაგრამ საქმიანი წერილის დაწერას, ერთი ლექსის არჩევას, რომელზეც ვილაპარაკებდი, და გამომივიდა სადღეგრძელო. თუმცა, მეორე მხრივ, რატომაც არა? დიახაც, რომ იმედებით და საუკეთესო სურვილებითაა გაჟღენთილი ყველაფერი, რაც ქართული პოეზიის ამ ახალ ბავშვთან მაკავშირებს. აკი ყველა, ვისაც ვიცნობ და პატივს ვცემ, იგივეს ფიქრობს მასზე, ყველამ შენიშნა, რომ ეს არსაიდან აღმოცენებული ახალი ადამიანი, რაც არ უნდა მოწყალედ უყურო მის ახალბედობას და დამწყებობას, უკვე ძალიან მაგარი პოეტია, და ძალიან მძიმე სამუშაოს ისე ასრულებს, რომ ჯერ სად ვართ...

ცირა ბარბაქაძე – დამფრთხალი ჩიტებით სავსე სული

მას შეუძლია, ალაპარაკოს ყველა თავსმოხვეული სევდა და ყველა თანდაყოლილი დარდი... შეუძლია, ალაპარაკოს სისხლში შესახლებული შიში, დააკვირდეს სხვას, როგორც საკუთარ თავს და გახდეს მეორე ადამიანისათვის ზიარჭურჭელი... შეუძლია, სხვა ისე იგრძნოს, რომ დაეკარგოს საზღვარი ორ ცნობიერებას, ორ ამინდს, ორ ავდარს, ორ ზამთარს შორის... მას შეუძლია, გახსნას კარი და აღარ დაკეტოს...

პასუხი კი ნინი ელიაშვილის ამ სტრიქონებშია:

ყველა ადგილი როცა მხოლოდ სავარჯიშოა ემოციების, შეგრძნებების. ზოგჯერ გინდება სხვისი ცხოვრება შეითვისო...

ყველა ადგილი, ადამიანი, ურთიერთობა მხოლოდ „სავარჯიშოა". ამ მეტაფორის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ არაფერი სერიოზული... ავტორი მხოლოდ ვარჯიშობს, ოღონდ – სერიოზულად, რომ რაც შეიძლება მეტი ემოცია, შეგრძნება ამოხსნას, ჩაინიშნოს, გადმოტვირთოს და ჩაიტვირთოს... თუმცა ეს არც ისე მარტივი აღმოჩნდება საბოლოოდ... გულში „მდგმურების" მომრავლებით თავდაკარგული ნინი ელიაშვილის ლირიკული გმირი თავს ვეღარ იცავს, გულს ვეღარ უშლის მოანგარიშე სამყაროს და ადამიანს და იკეტება... ისევ გულში იკეტება, საიდანაც მალე განწირული ხმა მოისმის:

შენც კი არ გჯერა, დაგარწმუნებ, თუ გსურს, თუ გინდა, გულს გაგიხსნი და დაინახავ, დამფრთხალ ჩიტებით

სავსე ბნელ სარდაფს. ნიშანი ან ხელი მომეცი!
ამომათრიე ამ უძირო შიშის გუბიდან!

დამფრთხალი ჩიტებით სავსე ბნელი სარდაფი გულის მეტაფორაა... შეშინებული გულიც ხომ ფრინველივით ფრთხიალებს, მაშინაც ფრთხიალებს, როცა რაღაც უხარია, მაგრამ ამჯერად მასში შიში ჩამდგარა და უძირო გუბედ ქცეულა იგი.

სად გინახავს, რომ თავს იცავდეს თავგამოდებით
ის, ვისაც თავი დაუკარგავს. ვინც სულ შიშშია.
ამ ცხოვრებისთვის ვინც უბრალოდ არ გამოვდგებით,
მოცდენის შიშით გული ვერც კი გადაგვიშლია
მათთვის, ვინც ცხოვრობს, ვისი საქმეც ანგარიშია.
და წვიმასავით, ჩვენს ჩაზნექილ გულში ვგროვდებით.

ნინი ელიაშვილის გულწრფელი და ნამდვილი ხმა შინაგანი ადამიანის კივილია ამ პრაგმატულ სამყაროში. ეს ხმა მხოლოდ ავტორს არ ეკუთვნის, ეს ეპოქის განწირული ადამიანის ხმაა, საგნების ტყვეობაში მყოფი სულის ხმაა, რომელიც ცდილობს, იქნებ როგორმე გამოაღვიძოს და გაახსენოს ადრესატს, ვინ არის და რისთვის მოვიდა ამქვეყნად.

რაღას იზამდა, სხვა დარდიც რომ არ გაეჩინა,
სხვა მდგმურებიც რომ არ შეეშვა გულში, ყოფითი
პრობლემები რომ არ ექსოვა, არ დაეცინა
მონოტონური არსებობისთვის.

დღეს ბევრი წერს... ბევრი გამოხატავს სიტყვებით თავის სათქმელს, მაგრამ ნინი ელიაშვილის გამოხატვა განსაკუთრებულია. განსაკუთრებულია იმით, რომ მის სიტყვებს ყოველთვის სიღრმე აქვს, მისი სიტყვები შეგრძნებების რეზერვუარია, მისი სიტყვები არასდროსაა

ცირა ბარბაქაძესთან

მხოლოდ სიტყვები, ცოცხალი ემოციებია და ამიტომაც არის, რომ გულამდე აღწევს.

ჰელმუტ ა. ნიდერლე



ჰელმუტ ნიდერლე (დ. 1949) ავსტრიელი მწერალი, მთარგმნელი და გამომცემელია. მას მერე, რაც ვენის უნივერსიტეტში შეისწავლა ეთნოლოგია, ხელოვნების და სოციოლოგია, ათწლეულების განმავლობაში იყო ავსტრიის ლიტერატურული საზოგადოების მეცნიერ-თანამშრომელი, 2003 წლიდან კი – ვენის უნივერსიტეტის ეთნოლოგიის, კულტურისა და სოციალური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ლექტორი. 2011 წლიდან ავსტრიის პენ-კლუბის პრეზიდენტია. არის ავსტრიაში არაერთი წარმატებული საგამომცემლო სერიის ინიციატორი და ხელმძღვანელი, უამრავი საერთაშორისო ლიტერატურული პროექტის თანაავტორი. ნიდერლეს ლირიკული შემოქმედება იზიარებს ევროპაში პოეზიის კრიზისის ეპოქისთვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ დაღლილობას, რომელიც მისივე პოეტური მედიტაციების ერთ-ერთი მთავარი თემაა. შინაარსთა „ამოწურვით“ გამოწვეული სკეპსისი, მოდერნისტული ფორმალური ენთუზიაზმის გაქრობა და, პირველ რიგში, ორიგინალური თუ ნასესხები პოეტური ფორმების მრავალფეროვნებით გაჯერებულ ლიტერატურულ სივრცეში მოძრაობის იძულება მისი ლექსების ესთეტიკაზეც დაუფარავად ზემოქმედებს. სწორედ აქედან მოდის ავტორის მიერ მოსაწყენ ყოველდღიურობაში მაღალი თემების

ირონიული „ინტეგრირების“ და დიდაქტიკით თამაშის პრაქტიკა.

არის თბილისის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე (14-19 მაისი, 2018 წელი).

ირონია და ჰარმონია მედლის ორი მხარეა (ინტერვიუ)

ავსტრიელ მწერალს, მთარგმნელსა და გამომცემელს, ჰელმუტ ა. ნიდერლეს ესაუბრა ბექა ბარქაია.

როდის აღმოაჩინე, რომ არამხოლოდ წერა, არამედ შენს მიერ დაწერილის გამოქვეყნებაც გსურდა?

ბავშვობაში, სკოლაში შესვლამდე ბევრად ადრე, წარმოსახვითი ანბანი მოვიფიქრე, მერე კი, როცა წერაც შემეძლო და კითხვაც, ყოველთვის ვწერდი: ეს იყო ბავშვური ისტორიები და სასიმღერო ტექსტები. გამოქვეყნებაზე თავიდან სულაც არ ვფიქრობდი. გიმნაზიაში ჩემი სწავლის მიწურულს ერთი საოცარი გერმანისტი და მაღალი კლასების პროფესორი – ჰერმან მაიერი – გავიცანი. ის ლეგენდად ქცეული ჟურნალის, "ახალი გზების" თანამშრომელი იყო და ჩემი ტექსტები გამოაქვეყნა. ზოგი მათგანი, როგორც უმწიფარი, უკან დამიბრუნა. ასე აღმოვჩნდი მოულოდნელად იმ ავტორთა შორის, რომელთაც უკვე ვიცნობდი და ვაფასებდი. ესენი იყვნენ, მაგალითად, ანდრეას ოკოპენკო და ერნსტ იანდლი. მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისისთვის რაინჰარდ ფედერმანმა გამოაცხადა, რომ ის ახალ ლიტერატურულ ჟურნალს გეგმავდა, სახელად Die Pestsäule ("შავი ჭირის კოლონა"). ზოგიერთი ჩემი ნამუშევარი გავუგზავნე და მათ შორის რამდენიმე გამოქვეყნდა. მერე კონტაქტი გაღრმავდა. ფედერმანმა, ავსტრიის პენ-ის გენერალურმა მდივანმა, კლუბში ჩემი ტექსტების წასაკითხად მიმიწვია. იმ ავტორთა წინაშე მომიწია კითხვა, რომლებიც ლიტერატურის მეტრებად მიმაჩნდა: მილო დორი, ერნსტ შიონვიზე. ვიდრე გონს მოვიდოდი,

დაიბეჭდა კიდეც ეს ტექსტები. მაშინ იყო, შიონვიზემ მისთვის ჩვეული, განმაიარაღებელი მეგობრულობით რადიოში რომ მიმიწვია და რადიოსთვის წერა დავიწყე.

მას მერე ორმოცი წელი გავიდა. ალბათ, ხშირად გიფიქრია, თუ რა განასხვავებს ერთმანეთისგან წერისკენ სწრაფვას და მოკალმის სწრაფვას – თავისი ადგილი მოიპოვოს ამა თუ იმ ლიტერატურულ კონტექსტში.

როცა ბავშვობაში წერით და ხატვით ჩემი თავის გამოხატვა დავიწყე, სწორედ ის განვიცადე, რაც, ჩემი აზრით, ყველა ადამიანისთვის მშობლიურია: საკუთარი აზრების გადმოცემის უნარი, რაც სულში მიმდინარე მოვლენებს ირეკლავს. როცა ბავშვებს ვაკვირდებით, ვხედავთ, რომ ისინი, როგორც წესი, სიტყვებით თამაშობენ, მუსიკის მოსმენისას ცეკვავენ, ხატავენ. ისინი ქაღალდს ისე იყენებენ, როგორც ზღვის სანაპიროს ქვიშიან სიბრტყეს. ჩემშიც ეს ლაღი შემოქმედებითობა (ნუ შეგვეშინდება ასეთი გამოთქმის) ბუდობდა. სწავლის წლებმა ამ ყველაფერს ფორმა უცვალა, მაგრამ ჩემში თამაშის მსურველი ბავშვი გადარჩა. ლიტერატურასთან (და არა მარტო ლიტერატურასთან) კონფრონტაციამ შემაცნობინა, რომ, მართალია, წერა პიროვნების შინაგან ქურაში მიმდინარეობს, მაგრამ ის, რაც ქურაში უნდა გამოიწრთოს, გარედან მიღებული შთაბეჭდილებებია. რასაც ადამიანი ხედავს, ყველაფერი ხომ არ იყრის ხოლმე თავს ამ ქურაში. მაგრამ რაც იქ აღმოჩნდება, გადამუშავებასაც განიცდის. გადამუშავების პროცესი კი თვითნებურად კი არა, გარკვეული ესთეტიკური კონცეპციის შესატყვისად ხდება, რომელიც ეგოს ტვირთის წიდას იშორებს. დაბოლოს: არსებობს განსხვავება პირადულ ჩანაწერებსა (რათა რაღაც არ დაიკარგოს) და იმას შორის, რაც წიგნის ყდაში უნდა მოექცეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაზა,

როცა ტექსტი უნდა დადგეს და დაღვინდეს. მხოლოდ მას მერე, როცა ეს ფაზა განვლილია, ნაწერი გადახედვას ექვემდებარება და თუ შედეგი ხელახალ გამოცდას უძლებს, ტექსტი გამოსაქვეყნებლად მზად არის. ნამდვილად სანდო მეგობრებიც მნიშვნელოვანია, რომლებთან ერთადაც შესაძლებელია ტექსტებზე მსჯელობა და რომლებიც "შეცდომებზე" და "ნაკლოვანებებზე" მიგითითებენ.

შენი ლიტერატურული ჩამოყალიბება ავსტრიულ ლიტერატურაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებს დაემთხვა. ავსტრიული ავანგარდის "მამებს" უკვე მთელ ევროპაში ჰქონდათ სახელი განთქმული. ერნსტ იანდლი და ანდრეას ოკოპენკო ახსენე, როგორც შენგან დაფასებული ავტორები. ავანგარდი ხომ საშენ მასალად სწორედ იმ "შეცდომებს" და "ნაკლოვანებებს" იყენებს, რომლებსაც შენი პოეტიკა გვერდს უვლის. ცხოვრების დისჰარმონიაზეც არც თუ იშვიათად წერ მწარე ირონიით, მაგრამ მაინც – ჰარმონიულად (განსაკუთრებით პროზაში). ჩანს, შენი ენისთვის ესთეტიკა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – ანტიესთეტიკა.

მართალია, აღმაფრთოვანებდა ის, თუ როგორ წერდნენ ერნსტ იანდლი და ანდრეას ოკოპენკო, მაგრამ ძალიან ადრე ავირჩიე სხვა გზა. მე მათზე მეტად აღმაფრთოვანებდა ჰერმან იანდლი, რომელსაც მახვილი ენით და ენობრივი თამაშებით საზოგადოებრივი ურთიერთობების მკაფიოდ აღწერა შეეძლო. ლიტერატურაში ექსპერიმენტებს ხშირად აღვიქვამდი ერთი და იგივე ნიმუშის გამეორებად და ამიტომ მოსაწყენად მიმაჩნდა. ჩემი მისაბაძი მაგალითები, პირველ რიგში პროზაში, ისეთი ავტორები იყვნენ, როგორებიც ნიკოს კაზანძაკისი და იანიშირო ტანიძაკი

არიან, თუმცა ასევე – ალბერტო მონტეროსო, სომერსეტ მოემი და ჯეიმს თიორბერი. მათ პროზაში განსაკუთრებული ძალმოსილებით და დახვეწილი სიმძაფრით იყო ასახული სამყარო, პერსონაჟებს შორის ურთიერთობები – დეტალურად დამუშავებული და მკაფიოდ ფორმულირებული. ძალიან ადრე დავინტერესდი პოსტკოლონიური ლიტერატურით და მივაგენი განწყობილებებს და ხატებს, რომლებმაც მრავალფეროვნებაში გამარკვია. აღმოვაჩინე, რომ სამყარო უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე – ერთი-ორი დანაწევრებულ-დახლეჩილი სიტყვა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ექსპერიმენტულ ლიტერატურას არ ვკითხულობ. როგორც ჩანს, ჩემს ტექსტებში ეს გამოცდილება კოდირებული სახით უფრო ილექება. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო და ასეთადვე რჩება შემდეგი: ნებისმიერი თემა შესატყვის ლიტერატურულ ფორმას მოითხოვს. ირონია და ჰარმონია ერთი მედლის ორი მხარეა.

შენ პროფესიონალი ეთნოლოგი ხარ და აფრიკულ და აზიურ კულტურებს იკვლევ. იმ უდიდესმა გამოცდილებამ, რომელიც სხვადასხვა კულტურასთან მრავალწლიან დიალოგში შეიძინე, შენი ლიტერატურული ჰორიზონტი ერთი მხრივ გაამდიდრა, მაგრამ მეორე მხრივ ამან შენგან ზღვა დრო და ენერგია მოითხოვა.

იმ კულტურებთან ურთიერთობას, რომლებსაც, როგორც წესი, უცხო კულტურებს უწოდებენ, უდავოდ ჩემს ბავშვობაში აქვს ფესვები გადგმული. ავსტრიაში 1955 წლამდე სხვადასხვა ქვეყნის ჯარისკაცები იყვნენ განთავსებული. ისინი არა მხოლოდ უცხო ენებზე მეტყველებდნენ, არამედ კანის ფერიც უცხო ჰქონდათ. ჩემს ბაღის მეგობრებში სამი გოგონა ერია, რომელთა

მამებიც აფროამერიკელები იყვნენ. ჩემს ოჯახურ წრეშიც იყვნენ ნათესავები, რომლებიც სხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ, მათ შორის – ტრანსატლანტიკურ ქვეყნებში. ამიტომაც არ ქცეულა ჩემთვის დიდი ფიქრის საგნად, კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის შესწავლას რომ შევდგომოდი. სტუდენტობის წლებშივე ვკითხულობდი არაევროპელ მწერლებს. ლათინურამერიკული ლიტერატურით მოდური გატაცების პირველი ტალღის პარალელურად აფრიკულ და აზიურ ლიტერატურასაც ვკითხულობდი. არა მარტო ეგრეთ წოდებულ "კლასიკურ" ტექსტებს, არამედ – თანადროულ ავტორებსაც. ამ ლიტერატურებში მივაგენი ყოვლისმომცველობას, რომელიც ისეთ დეტალებში მახედებდა, ვერცერთ მედიაში (რადიოში, ტელევიზიაში, გაზეთებში) რომ ვერ მივაგნებდი. მრავალწლიანი კითხვის და თარგმნის მერე არა მარტო სარკეს ვხედავ (უცხო ხომ საკუთარსაც ხილვადს ხდის), არამედ – მსოფლიოს მასშტაბით მრავალფეროვანი დიალოგის მოთხოვნილებას, რაც, სულ მცირე, იმას იწვევს, რომ ურთიერთგაგება ჩნდება. ამის გარდა, ლიტერატურაში ის ასიმეტრია აისახება, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა და რომელსაც ლტოლვილობის პრობლემაც განეკუთვნება.

არა მგონია, აზიურ კულტურებთან შენი ურთიერთობა, რომელიც დღემდე გრძელდება, დასავლეთის მწერლებისთვის ტიპობრივ გამოცდილებათა რიგიდან იყოს. ეს ქვეყნები შენთვის არ წარმოადგენენ მსოფლიოს ეგზოტიკურ ადგილებს, რომლებიც, როგორც მწერალს, პირდაპირ თუ ირიბად, ლიტერატურული საქმისთვის გამოგადგებოდა.

აზიურ კულტურებთან შეხვედრამ მაჩვენა, რომ შესაძლებელია ადამიანის, რელიგიის, სულიერების სრულიად სხვა კონცეპციები. ევროპაში ყველაზე ხშირად იმ ვარაუდიდან ამოდიან, რომ ადამიანი სუფთა დაფაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ განვითარების პროცესი სრულიად თავისუფალია და ყველაფერი, რაც ადამიანს მერე და მერე ხელეწიფება, შესწავლას უნდა დაექვემდებაროს. ინდოეთში კი ძირითადად ინკარნაციიდან ამოდიან. ეს ნიშნავს, რომ მშობლებმა, ძირითადად დედებმა, უნდა გამოიძიონ, თუ ვინ დაუბრუნდა ამ სამყაროს. განურჩევლად იმისა, სჯერათ თუ არა ხელახლა დაბადების, ბავშვის განვითარებისთვის გადამწყვეტია, რომ უფროსი ადამიანი მას ამას განუმარტავდეს. ამიტომ, ასეთი მუშაობა ბავშვის სოციალიზაციის პროცესის ძვირფასი ნაწილია. ვინც იმ წინაპირობიდან ამოდის, რომ მილიონობით ღმერთი არსებობს, რომელთაგან უმცირესი თუ ინტერესდება ადამიანებით, მას თვალწინ სულ სხვა სულიერი სივრცეები გადაეშლება. ადამიანს შეუძლია, ნებისმიერ ღმერთს მიმართოს. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ სივრცეებში ადამიანებს მაშინაც შეუძლიათ სრულყოფილებას მიაღწიონ, როცა იმ წინაპირობიდან ამოდიან, რომ ღმერთი არ არსებობს. ეს მრავალფეროვნება არა მხოლოდ ქრისტიანობისთვის, არამედ თითქმის ყველა მონოთეისტური რელიგიისთვის უცხოა. წინასწარმეტყველი, რომელიც ამტკიცებს, რომ ის გზა ჭეშმარიტება და სიცოცხლეა, სრულ ტოტალობაზე აცხადებს პრეტენზიას. ინდოეთში კულტურებისთვის ასეთი აზრები სრულიად უცხოა. იქ ეს სულიერი ჰორიზონტი შემეცნების საკუთარი გზის ძიების გამოწვევად გაიგება. იქ არ არსებობს დოგმა, რომლითაც მავანს პატრიარქი ან პაპი დაამძიმებდა. ვიცი, რომ იაპონიაზე ან ჩინეთზე, ასევე სხვა კულტურებზე, შეიძლება ითქვას, რომ საქმე ეხება ცოდნას,

რომელსაც, ინდოეთის მსგავსად, ფესვები ისტორიაში ღრმად აქვს გადგმული და კანონის ძალას ფლობს.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ მყარი სტრუქტურები, რომლებიც ადამიანს, სულ მცირე, აღზრდის და ენობრივი გარემოს გავლენით უყალიბდება, მას მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე უცხო სამყაროებთან კონფრონტაციაშიც ამყოფებენ და მის მიერ ამ უცხო სამყაროებთან კავშირების ძიებასაც უზრუნველყოფენ, რათა ადამიანმა საკუთარი კულტურული კუნძული დაიცვას. შენ თუ გაქვს ასეთი კუნძული?

ერთი მხრივ, ყველა ადამიანმა ისე უნდა გაიდგას საკუთარ საზოგადოებაში ფესვები, რომ ის ამ საზოგადოებას შეუთავსდეს და მასში ცხოვრება შეძლოს. მეორე მხრივ კი ამავე საზოგადოებაში ისე უნდა იყოს ფესვგადგმული, რომ ყოველთვის რჩებოდეს სივრცე დისტანციისთვის. ეს დისტანცია იმ საჭირო მანძილის შესაძლებლობას უზრუნველყოფს, რომელიც ურთიერთობების კრიტიკულად დანახვისთვისაა საჭირო. ვისაც კრიტიკული ხედვა არა აქვს, იმას ადევნებულ-აკიდებულად გადაქცევის საშიშროება ემუქრება, ძალაუფლების და ძალაუფლების აღმასრულებელთა ხელში ბრმა იარაღად გადაქცევის საშიშროება. არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება, ჩემს კულტურულ კუნძულს საკუთარი ვუწოდო, მაგრამ ვიმედოვნებ, ისეთი ნატიფად აწყობილი ინსტრუმენტების ნაკრები კი მოვიპოვე, ქმედება და უკუქმედება რომ შეუძლია, სათუთ რხევებს რომ აღიქვამს და ძლიერი რხევები რომ ვერ მოშლის. ინსტრუმენტების ეს ნაკრები თავს არ მალავს არც ყოველდღიურ ცხოვრებაში და არც ლიტერატურაში. ლიტერატურა წიგნის გვერდებიდან ისე ამოიზრდება, რომ ავტობიოგრაფიად არ გადაიქცეს. შესაძლოა, ეს ლივლივი თუ ქანქარი ჩემი კულტურული

კუნძულია. მოკლედ: მე მას აღვიქვამ არა როგორც კუნძულს, არამედ – როგორც ფრენას, რომელიც კვლავ და კვლავ სძლევს დედამიწის სიმძიმეს და მოულოდნელი სილამაზის გაელვებებით გამოწვეულ სიხარულს მანიჭებს.

ვითარება აღმოსავლეთში, რომელსაც მთელი მშვიდობიანი და გონიერი მსოფლიო განგაშით და ძრწოლით ადევნებს თვალს, რაღაც სრულიად ახლის მატარებელია თავის თავში, რაღაც ტოტალურად სისტემურის, ტოტალურად არაადამიანურის. მაინტერესებს ამ პროცესთან დაკავშირებით შენი, ანუ იმ ადამიანის აზრი, რომლისთვისაც უმაღლესი ევროპული ღირებულებები ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე – ნებისმიერი ძალაუფლების პოლიტიკური თამაშები.

არა მარტო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებაა საგანგაშო! უამრავი ისეთი პოლიტიკოსია, ძალაუფლების ჟინს და ფანტაზიებს რომ არის აყოლილი. რა თქმა უნდა, განგაშის მიზეზს იძლევა კრემლში მჯდომი ავტოკრატი. ზიზღისმომგვრელია, თუ როგორ ითელება ადამიანთა უფლებები მისივე ქვეყანაში და როგორ თანაუდგას ის სირიაში სისხლიან მბრძანებელს. მაგრამ ვინმეს თუ სჯერა, რომ მეამბოხეები სირიაში ჰუმანურობის წარმომადგენლები არიან? ქცევის ის ფორმები, რომლებსაც კრემლის ბატონი უკრაინაში იყენებს, ომის მძიმე საშიშროებას გამოკვეთს. მაგრამ ეგრეთ წოდებულმა დასავლეთმა თუ იღონა რამე კრემლით გამოწვეული ძრწოლის შესამცირებლად? განა ნატომ არ გაშალა აღმოსავლეთში ფრთები იმგვარად, რომ რუსეთში ნებისმიერი სამხედროსთვის ძილი დაეფრთხო? როგორც მწერალს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება იმ სამყაროში გაატარა, რომელმაც უფლება მოითხოვა, სხვებისთვის მორალი ეკარნახა, იმის მეტი არაფერი

შემიძლია, რომ ჩემი უკმაყოფილება გამოვთქვა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომელსაც შეუძლია დაუფიქრებლად წამოიძახოს “Grab her by the Pysssy” და ატომური იარაღის პირველგამოყენებასაც არ გამორიცხავს, ისევე მაშფოთებს, როგორც ბევრი ის ევროპელი პოლიტიკოსი, რომელიც შორს არის იმისგან, რასაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ თავდაჭერილობას და ღირსებას უწოდებდნენ. და ასეთ საშიშ ვითარებაში ხელოვნების და, შესაბამისად, ლიტერატურის ამოცანაა, ოცნება არ დააძინოს. ვგულისხმობ ოცნებას სხვა მსოფლიოზე, რომელიც შეიძლება არსებულიდან განვითარდეს. ეს რთულია, მაგრამ როცა ოცნებას თმობენ, უსახურები იმარჯვებენ.

როცა შენს საგამომცემლო საქმიანობას და საზოგადოებრივ აქტივობას ვაკვირდები, მიკვირს, დროს როგორ პოულობ შენივე ლიტერატურული პროექტებისთვის. ახლა რაზე მუშაობ?

იმ ბედნიერთა მსგავსად, ღრმად კონცენტრირებაც რომ შეუძლიათ და – დროის განაწილებაც, ვახერხებ ყოველდღე წერას. სწორედ ახლახან დავასრულე ლექსების წიგნზე მუშაობა, რომელსაც “ამაოების სამშენებლო მოედანი” ჰქვია. მასში იმ შეხედულებას ვავითარებ, რომ რაღაც ბოლოვადის გააზრება და აღმართვა ერთობ მაცდუნებელია. არადა, წარმავალში, რომელიც რაღაც სხვა ისეთის საფუძველი ხდება, თავის მხრივ წარმავლის საფუძვლად რომ იქცევა, არის რაღაც ადამიანური. ეს ახალი წიგნი წარმავალს იცავს, რადგან მასში მალულად წარუვალია დავანებული.

ლექსები

გერმანულიდან თარგმნა დათო ბარბაქაძემ

ვითარებანი

თუ სწრაფად სვლა გსურს
მარტო წადი

თუ მართლაც მისვლა გსურს
მარტო ნუ წახვალ

შეგრძნებათა ხურდა

არაერთი ჩემი
შეგრძნება მსხვილი ფულის თანაფარდი რომ ყოფილიყო
მათით ბევრ ვალს გავისტუმრებდი
მაგრამ ჯამში
ეს ხომ მხოლოდ წვრილი ფულია
იმდენად წვრილი
რომ დასახურდავებელი არაფერია

სააქაოში

ცის ერთი ნახევარი
დედაკაცებია

მეორე ნახევარი კი –
მამაკაცები?

ვინ იფარავს ბავშვებს
როცა ისინი ტირიან?

თამაშის მცირედი თავისუფლება

ხედავდე ზებრას
ზებრა რომ არ არის
ხედავდე ჟირაფს
რომელიც ჟირაფი არ არის
და ლომსაც ხედავდე
თვითონ რომ არ არის
როგორც თავად ისინი
ვინც თვითონ არ არიან

თავის თავს არასდროს არავინ ჰგავს
როგორც ზებრა არ ჰგავს თავის თავს
და არც ჟირაფი ჰგავს
და არ ლომი ჰგავს

უმალ ზებრაა
ლომი
რაც დაუშვებელია

შიდაპირი
გარეთ როდია მიქცეული
და არც გარეპირია
ამ ყველაფრით შეურყვნელი

ეს თამაშის მცირედი თავისუფლებაა
ეს თამაში არავის აწუხებს
შეგიძლია თითები
კლავიატურაზე ასრიალო
ხოლო ამ დროს ფარულად იფიქრო
რომ მასში – არა ღიად გამოთქმულში –
ეჭვს დაქვემდებარებულში
რაღაც ისეთი იმალება

რაც – ერთობ ფრთხილად –
შეიძლება განიმარტოს
როგორც იმედის ნიშანი

მსოფლიოს ხსნის გეგმა

ვისაც მსოფლიოს ხსნა მონდომებია
არადა ვის არ სურს ეს ახალგაზრდობაში
თითების სავარჯიშოთი დაწყება მართებს

ან
მოყვასს დილით
მეგობრულად მიესალმოს

ან

წვიმის მატლი
შეცდომით ასფალტზე რომ გამოხოხებულა
გადასარჩენად
მინდორს დაუბრუნოს

ვნება და სიმშვიდე

მონასტერში მცხოვრები ბერის
ვნებას
უმაღლეს ექსტაზში მყოფი შეყვარებულის
სიმშვიდე
უნდა
დაუპირისპირდეს

ამ დაპირისპირებულობათა
გაწონასწორება
(შესაძლოა)
დასაწყისი
ყოფილიყო

მაგრამ ასევე შესაძლოა
სხვა არაფერი ყოფილიყო
თუ არა დაცემა
იგივე ცხენიდან
თუმცა ყოველთვის
მეორე მხარეს

მოცეკვავე

ბზრიალი და მერე აუჩქარებელი ლივლივით
ქროლვა და მყისვე შედგომა
ხელებით საგნების მოსინჯვა
ღილების შეხსნა
სარკმლების დახურვა
ტალღების აღწერა
არაფერი რჩება
ჰაერში დაწერილი ხაზებიდან

მოცეკვავე პოეტია
საწერი აღჭურვილობის გარეშე
წერს ის სიტყვებს
ჰაერში

წმინდა მდინარე

ერთი მასში ფეხებს იბანს
მეორე მოდის
ყლუპ-ყლუპად რომ
დალიოს წყალი

და ორივე სტუმარი
ხედავს
პეპელას
წამით ფრთაგახლართულს
ყმაწვილქალს
დროში დაბრკოლებულს
ზოგთა კვნესას
გახანგრძლივებულს

სიჩუმის სანახი

სიჩუმის სანახში
სადაც ხმაური ჯერ არ არის აღმოჩენილი
მარილიან წყალში
თევზია
წელიწადში მისხალით ზრდადი

მავანი თუ გაბედავს და
ამ თევზს შეჭამს
იგივეა რომ შეჭამოს ათასწლეული

სიჩუმის სანახში
მატარებლის თვლების გრიგინი
მანქანის საბურავთა შხუილი
დიზელის ძრავის ბღავილი
და ხმამაღალი ლაპარაკიც კი
მკრეხელობად აღიქმება

სიჩუმის სანახში
თოვლის ლეოპარდი დააბიჯებს კიდით კიდემდე
როგორც სასიკვდილო თავდასხმა
დასასრულის მაუწყებელი

სიჩუმის სანახში
მშვიდობიანად მობალახე
აზავერთა ჯოგში
მარტორქა გარეულა ადრეკილი რქით

სიჩუმის სანახში
ცა და მიწა ჯერაც ისე ეხება ერთმანეთს
როგორც ღვთაებრივი წყვილი
ძალიან ნაზად

არც ცაა დამპყრობელი
და არც მიწაა დაპყრობილი

სიჩუმის სანახში
კაცის სუნთქვა
უსიტყვო ლოცვაა

ფრინველები

არსებობენ ფრინველები
რომლებსაც ფრენის დროს სძინავთ
მათ არ აქვთ ფეხები
არასდროს სხდებიან

არსებობენ ფრინველები
რომლებიც ქარში შობენ
ისინი ერთმანეთს არ ეხებიან
სამაგიეროდ ალერსს ნატრობენ

არსებობენ ფრინველები
რომლებსაც მხოლოდ ერთი ფრთა აქვთ
მათთვის ცნობილია ფრენის ხელოვნება

ადამიანურად დანახული სიკვდილი

სიკვდილი იტაცებს ადამიანს
და თავისთან ერთად მიჰყავს სხვა სამყაროში

სუდარა არ საჭიროებს ჯიბეებს
რადგან იქ
სადაც მგზავრობა დასრულდება
ყველაფერი ხარახურად გადაქცეულა
და იმდენადვე ცოტას ნიშნავს
რამდენსაც რომელიმე რელიგიის აღმსარებლობა

რატომ არ მიაქვს სიკვდილს ის ქონებაც
რომელსაც ცოცხალმა
ანთებული მზერა შეატოვა?

რათა ცოცხლად დარჩენილებს ქიშპობა შეეძლოთ

მონატრება

ზოგიერთ ენაში
„მონატრება“
დედისკენ უკუქცევას
ჰქვია

საშოს გარდა
ყველაფერი საშიში და უცხოა

რა ხდებოდა მაშინ
როცა საშო ჯერაც არ არსებობდა
მაგრამ რაღაც დაბადებას ამზადებდა
და უკვე ნაწილობრივ ცოცხლობდნენ?

ხომ არ იყო ეს უცხოსთან დამშვიდობება
მონატრებისგან სულ მცირე ხნით თავდასახსნელად?

ხომ არ ჰგავს
წარსულში ჩაძირვა
მერმისისკენ გაბედულად გადადგმულ ნაბიჯს?
მონატრების დავიწყებას ხომ არ ნიშნავს
მოგონების გაფერმკრთალება?

უკუშეუქცევლად

ადამიანი
უფრთო ფრინველი
დედის საშოში

დაბადებიდან
მშრალზე დაგდებული
უფარფლებო თევზი

სიკვდილის მერე
შურისძიებისგან თავისუფალი
ჩრდილიც კი არა
ძილში რომ ეძებს ჭეშმარიტებას
და გაღვიძებული
შეძლებდა უკუქცევას თავისი თავისკენ

დღის სიმოკლის გამო

დღის ბოლოს ყველა ფიქრს დიდი სიამოვნებით სურს
ფრინველად ქცევა
მოკლე იყო დღის განმავლობაში
განვლილი მანძილი
ოცნებაშიც კი უარიყო
მიზნის მიღწევა

ჭიქაში
ცრემლები გროვდებიან
სასოწარკვეთილნი ნიადაგში
ვიდრე ჩაჟონავენ

საგანგებო ანგელოზი

უმეტესად არ იციან იმის სახელი
ვინც წარუმატებლიდან რაღაც მშვენიერს ქმნის
გაშვებული შესაძლებლობიდან კუთვნილს მოიხვეჭს
ცივი სივრცის მხურვალე გამოცდილებაში იძირება
მხიარულ აღტაცებაზე ზრუნავს
ყველა გასაჭირს თავისი ღიმილით განაჯადოვებს
და იმ გაზაფხულის მომყვანია
რომელშიც ბედნიერების ტოტები დაზიდულან

ღრმად იძირებიან ისინი სიცოცხლის მდინარეში

ასეთები ვართ ადამიანები
ვიღაც საიდანღაც შემოეხეტება
და გონებას გვართმევს
აჯობებდა ყარყატთა მსგავსად
პირველივე საკვამურზე
ჩვენი ბუდე
აგვეშენებინა

მოგვიანებით ეს უცხო თავის სახელს ძვირად დააფასებს
ისე რომ ხეირიანადაც კი არ დაასახელებს:
ის ამბობს
“მე იმედგაცრუების ანგელოზი ვარ”
მაგრამ იქვე როდი დასძენს
“ჩემი ამოცანა და დანიშნულება იყო
ამაო სურვილთა მაგ შენი აღლუმის
სულ ცოტა ხნით გახანგრძლივება”

თოვლის ფიფქებთან ერთად...

თოვლის ფიფქებთან ერთად ცვივიან
შენი დაუსრულებელი წინადადებები
ჯერაც გაუყინავ მდინარეში
სათქმელი აღარაფერია

სიამოვნებით
ვთხოვდი ჩემს გულს სიტყვის თქმას
მას ეს აეკრძალა

მოგვიანებით
– შენი სიტყვებით აღარდევნილი –
ავტობუსში
ეს-ესაა გათავისუფლებული
სკამის
უსიამოვნო სითბოს ვგრძნობ

ჩემი საყვარელი კაფის უფროს ოფიციანტს
თავს არ ვაბეზრებ
არ ვეუბნები
რომ დღის სინათლე არაფერი ღირს
და შენობაში ნათურები იაფია

ღრუბელი თუ ქვა

იმის არცოდნა
ჩვენ ორიდან
ჩრდილი ვინ არის
რომელსაც ჩვენ ღრუბელივით
მოვფენთ ხოლმე ერთურთის გულში

უდიდესი სიამოვნებით
იქნებოდი
ჩრდილი
რომელსაც როგორც ღრუბელს
მოჰფენ
შენი შეყვარებულის
გულში

სავარაუდოდ
ქვა უფრო ხარ
რომელიც წყალში ვარდება და
შემოწერილ ტალღებსაც
კი
აღარ ახსოვთ
ცოტა ხნის მერე

ქრისტიან ტაისლი – სუნთქავენ თუ არა ქვები?

მარგინალიები ჰელმუტ ა. ნიდერლეს შემოქმედებისათვის

გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

1

თუკი გვსურს, ამა თუ იმ მწერალს თავზარი დავცეთ, ამ მიზნისთვის საუკეთესოდ გამოგვადგება თითქოსდა უწყინარი, თითქოსდა თავითავად ცხადი და მარტივი შეკითხვა: „რატომ წერთ?“

თუკი მწერალი საკმარისად საზრიანია, ის ამ შეკითხვას კვიმატი ირონიით ან სარკაზმით უპასუხებს, ნაკლებად საზრიანს ის მაინც შეუძლია, მკვახედ მოგვიგოს, არ ვიციო და ამით დისკუსიას ბოლო მოუღოს. ხოლო თუ ბედი გაგვიღიმებს – თუმცა ეს ძალზე იშვიათ შემთხვევაში ხდება – შეიძლება ამ აზრსმოკლებული და მცდარად დასმული კითხვის სანაცვლოდ ნამდვილი პასუხი მივიღოთ, რომელიც, გარდუვალი შემოკლების მიუხედავად, მაინც მუდამ მრავლისმთქმელია.

ისეთი ავტორის შემთხვევაში, როგორიც ჰელმუტ ა. ნიდერლეა, პასუხი შეიძლება ამგვარი იყოს: „ვწერ, რათა სხვადასხვა სახის გამოცდილება შევიძინო“, ანდა: „ვწერ, რათა გაოცება განვიცადო“, რადგან, ჩემი აზრით, მისი წიგნების უმრავლესობა თავის დაბადებას სწორედ ამგვარ განწყობას უნდა უმადლოდეს: ისინი იმ არქიტექტორის მიერ შექმნილ ნახაზებს როდი ჰგავს, მშვიდი, თვითკმაყოფილი, ყოველივეს მომცველი მზერით რომ ახდენს ყველაფრის წინდაწინ გათვლას, ეს უფრო საცდელ ბურღვას მოგვაგონებს იმ ნიადაგში, რომელიც, იქაც კი – ან სწორედ იქ! – სადაც ის ავტორის ყოველდღიურ ყოფასა და

ბიოგრაფიას ესაზღვრება და, აქედან გამომდინარე, მისთვის ნაცნობი უნდა იყოს, მაინც მუდამ რაღაც შეუცნობელსა და გასაოცარს იტევს.

მისი რეპორტაჟებიდან და კაპრიჩოებიდან, მსუბუქი სატირიდან თუ შავბნელი სიურეალისტური ნოქტიურნიდან, მსახიობის ბიოგრაფიიდან თუ კულტურის თეორიის დარგში ჩატარებული კვლევიდან – ყველა მისი ნამუშევრიდან მისი დიდი ცნობისმოყვარეობა და ყოველივეს მიმართ თანაგანცდა გვესაუბრება, მისი სიყვარული უცხოსადმი (რაც „ეგზოტიკას“ სრულიად გამორიცხავს!), მის მიერ სხვათა ცხოვრებისა და აზროვნების გზების გაზიარება და, აგრეთვე, მისი მეცნიერული და, ამასთან, თამაშ-თამაშა ტემპერამენტი. ყოველი ახალი წიგნი მას ახალ ცოდნას თუ არა, უდვოდ რაღაც ახალ მიგნებებს ანიჭებს, რაც მანამდე არ ჰქონია, და სამყაროც უწინდელზე ოდნავ უფრო ფართოვდება და ახალ-ახალ წახნაგებს იძენს მისთვის.

როდესაც თავისი (სამწუხაროდ, უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული) წიგნის „ტყუილეგენდები და პასტიშები შეცნობილი ქვეყნიდან“ („Lügenden und Pastitschi aus dem bewussten Land“) დასაწერად ემზადებოდა, მას ურჩხულთმცოდნეობაში ჯერ კიდევ შეგირდად თუ ჩათვლიდით; ხოლო წიგნის დასრულებისა და გამოცემის შემდეგ უკვე ზედმიწევნით იცნობდა ურჩხულის ფენომენს, ხოლო „შეცნობილი ქვეყანა“, რომელსაც ყველანი ვესწრაფვით, ისევე ახლობელი გამხდარიყო მისთის, როგორც ვერინგის წრიული ქუჩა ვენაში, სადაც ბავშვობა აქვს გატარებული. თუ კიდევ ერთი მაგალითი გსურთ, ცალრქიან ცხენებსაც წლების მანძილზე მხოლოდ ყურმოკვრით იცნობდა, ხოლო მას მერე, რაც ისინი, მათი წარმოშობა და ცხოვრების სტილი საკუთარ წიგნში

გულდაგულ და საქმიანად განიხილა, მწერალმა მათ სიძლიერესა და სისუსტეზე, მათ ყველგან მსუფევ არსსა და მრავალგზის მცდარად გაგებულ არყოფნაზე ამომწურავი ცოდნა შეიძინა და არც ის გაუჭირდება, მათ შესახებ მრჩევლის საქმიანად საღი კილოთი იმსჯელოს და ძირითადი და მრავლისაღმთქმელი ცნობები მოგვაწოდოს.

ძირითადი ესაა: „ცალრქიანი ცხენის პირისპირ დგომა და მისთვის თვალის გასწორება თავისთავად უკვე სულისშემძვრელი სასწაული გახლავთ. ამის აუცილებელი წინაპირობების ხუთ პუნქტს ჩამოგითვლით: მოთმინება, მოთმინება, მოთმინება, მოთმინება, მოთმინება. გარდა ამისა, კიდევ ათი მითითებაა გასათვალისწინებელი; სიმარტივისა და სიმოკლისათვის მხოლოდ ერთხელ ვიტყვით: არაფერი გადაანგრიოთ! ცალრქიან ცხენებთან შეხვედრით გამოწვეული უცნაური წრიალი, ძალზე ხშირად ალიაქოთში რომ გადადის, აქ ყოვლად მიუღებელია!“

ესეც – მრავლისაღმთქმელი: „საკუთარი გენეალოგიური ხის შესწავლით, საკუთარი უშინაგანესი „მე“-ს მიყურადებით შეიძლება დავადგინოთ, გვყავს თუ არა წინაპართა შორის ცალრქიანი ცხენი. იმ შემთხვევაში, თუკი ეს უძვირფასესი წვლილი შთამომავლობაში არ ჩაკარგულა, მაშინ ნებისმიერ არსებას შეუძლია, საკუთარი სულის წიაღში მთვლემარე ცალრქიანი ცხენი გამოაღვიძოს. დიახ, ეს ადამიანისთვისაცაა შესაძლებელი! თუმცა, ეს თავდაუზოგავ მედიტაციასა და უდიდეს მოთმინებას მოითხოვს, არც ათლეტური ვარჯიში გაწყენთ, მათ შორის, დაოთხილი სიარულიც; მთავარია, სამსახურში კოლეგების მხრიდან დაცინვამ ამ ვარჯიშებზე ხელი არ აგაღებინოთ, თორემ სავსებით შესაძლებელია, თქვენში არსებული მონაცემები არ განვითარდეს და ვერც

გამოვლენა მოახერხოს. ცალრქიანი ცხენის დღის სინათლეზე გამოყვანას, შეიძლება, წლები დასჭირდეს!“

2

წერის საქმიანობაც ერთგვარად შეიძლება ცალრქიანი ცხენის გამოღვიძებასა და დღის სინათლეზე გამოყვანას შევადაროთ; ნიდერლესთვის, რომელიც პროფესიით ეთნოლოგი გახლავთ, წერა, პირველყოვლისა, აღწერას, ასახვას, დაფიქსირებას ნიშნავს, ამასთან, როგორც ერთ-ერთ ლექსში ამბობს, მისი მიზანია, „ყოველივე კვლავაც და კვლავაც ისე დავინახოთ, როგორც პირველად“; გაექცეს მარად განმეორებად პროექციებს, დაზეპირებულ შეზღუდვებს; სხვაში, უცხოში შეძლებისდაგვარად შეურყვნელი მზერით ახლო და ნაცნობი დაინახოს, ხოლო ყოველივე ახლოსა და თავისთავად ცხადთან მხსნელი დისტანცია დაამყაროს. ლექსში ის კითხვას სვამს: „განა არ არის დროდადრო/ უცხო/ უფრო იოლი ასატანი,/ ვიდრე ნაცნობი,/ რომელშიც შიში დავალებულა,/ რათა შეგვბოჭოს?“

მთლიანობაში მისი პროზა, რომელიც იმთავითვე სწორედ ნაცნობში დავანებული შიშის განდევნას ეძღვნება, ქანქარასავით ირწევა ლეგენდასა და კვლევით ნაშრომს შორის და ორივეს სერიოზულად აღქმასა და ირონიზებას ერთი ამოსუნთქვით ახერხებს. ასევე დიდი სიამოვნებით მიმართავს ზღაპრისა და იგავ-არაკის სახეთა არსენალსა და მოტივთა ნუსხას, ელემენტარულ პოეტურ ფორმებსაც, რომლებიც საშუალებას აძლევენ, ნაძალადევი ორიგინალურობის ნაცვლად, არსებულს, ვითომდა ნაცნობს, სადად და უბრალოდ მიუდგეს, ტრადიციის მიერ მიწვდილ „აგურებს“ სიმყარე შეუმოწმოს და მათგან სრულიად ახალი ნაგებობები ააშენოს.

ზღაპრის ფრიად შეზღუდულ სფეროშიც კი, სადაც წინსვლა გამორიცხულია და მხოლოდ უსასრულო ვარიაციებით გამეორებაა შესაძლებელი, ნიდერლე პარადოქსულად ახერხებს, ისე თავისუფლად იმოძრაოს, როგორც არსად. აქ მის წარმოსახვას გასაქანი ეძლევა, ის მოკლე ხნით გაურბის თვალუწვდენ სინამდვილეს და ხელმოსაჭიდ ირეალურში გადასახლდება. შემთხვევით როდი იწყება მისი არაერთი ზღაპარი ირეალური გრამატიკული ფორმებითა და მსგავსი წინაადებებით: „დიდი ხნის წინათ ზღაპრულ ქვეყანაში შეიძლებოდა ერთი სამეფო ყოფილიყო...“, ანდა: „ერთ სამეფოში შეიძლებოდა ერთ მდიდარ ხელმწიფეს ეცხოვრა...“ ვისაც არ სურს, ფაქტების ნაკადმა წალეკოს და უძირო მორევში ჩანთქას, მას სხვა გამოსავალი არ რჩება, გარდა იმისა, რომ ამ მორევიდან საკუთარი თავი თვითონვე ნაწნავით ამოათრიოს და უჭველის მოჭარბებას არარეალურის, სპეკულაციურის საიმედო ფარი შეაგებოს.

ჩემი ღრმა რწმენით, მწერლის ოსტატობა ბევრად მეტად მცირე ფორმებში იჩენს თავს, რომელთა უმრავლესობა წიგნის ერთ გვერდსაც კი არ აღწევს, ვიდრე ვრცელი და განსჯითი თხრობა მისი ორი, დიდწილად ბიოგრაფიული წიგნისა – „ითაკასკენ არა“ და „მესამე ტაიმი“. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნიდერლემ მწერლური

საქმიანობა სწორედ მინიატურებით დაიწყო. რაინჰარდ ფედერმანმა 1973 წელს თავისი ჟურნალის, „პესტზოილეს“ იანვრის ნომერში გამოაქვეყნა იმხანად 23 წლის მედიცინის სტუდენტის, ჰელმუტ ნიდერლეს პროზა სახელწოდებით „გლოვის მზე“ – ტექსტები, რომლებიც მოკლე მოთხრობასა და პროზაულ ლექსს შორის შუალედურ ფორმას წარმოადგენდნენ. მომდევნო წელს კი ვენის გამომცემლობა „ბერგლანდმა“ ამ პროზაული ნიმუშების კრებული წიგნადაც გამოსცა, რომლის სათაურიც საუკეთესო მიგნებად მიმაჩნია, რადგან „გარდასახვები“ დღემდე ნიდერლეს შემოქმედების უმთავრეს თემად თუ მოტივად რჩება.

კიდევ ერთი მოტივი – უეცარი ქრობა და გაუჩინარება, რასაც თან ახლავს სამყაროსა და „მე“-ს დაკარგვის რადიკალური ფანტაზიები, რომელიც ხშირად გვხვდება ავტორის ლირიკაში, აგრეთვე მის დებიუტშივეა მოცემული, თუმცა იქ ის ჯერაც სრულიად ლაკონიურადაა წარმოდგენილი: „ის ხდომილებიდან ამოვარდა და დამლაგებელმა ქალმა ის დაუდევრად გადაბერტყა“ – ვკითხულობთ ერთ-ერთ ფრაგმენტში, რომელსაც შეიძლება მორზეს ანბანის რომელიმე იდუმალი ნიშნის პროზაული ვარიანტი ვუწოდოთ. სხვა, ოდნავ უფრო ვრცელი ფრაგმენტიც, რომელიც სამი მოკლე წინადადებისაგან შედგება, პერსონაჟის მსგავს მდგომარეობას აგვიწერს: „სიმშვიდემ გაათბო. ის დადნა და აორთქლდა. მასზე მხოლოდ მოლურჯო ლაქაღა მიგვანიშნებს“.

3

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიდერლე მკვეთრად გამოხატული ვარაუდის გრძნობით

დაჯილდოებული რეალისტია (რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ მან თავის არაერთ სიუჟეტს რამდენიმე ალტერნატიული დასასრული მოუგონა). ადამიანის მისეული ხატი, ჩემი აზრით, მოღუშულ დღეებში სკეპტიკური მელანქოლიკია, მზიან დღეებში კი – მელანქოლიური სკეპტიკოსი. საკუთარი თავისა და თითოეული ჩვენგანის შესაქმის გვირგვინად ჩათვლის უფლებას მწერალს შესაქმის წინაშე უდიდესი მოწიწება არ აძლევს. ამას „შეცნობილი ქვეყნის“ შემდეგი „ტყუილეგენდა“ გვაფიქრებნებს:

„იმხანად, როცა ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო ადამიანებით დასახლებული, გველეშაპები შესაქმის გვირგვინად იწოდებოდნენ. ისინი განვითარების რთული და ხანგრძლივი პროცესის შემდგომ იჩეკებოდნენ კვერცხებიდან. ასევე გაჩნდა ის ურჩხული, რომლის ამბავსაც მოგითხრობთ. მაგრამ მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი ურჩხულები თავიანთ ნაშიერებს მზრუნველად თავს ევლებოდნენ, ამ ურჩხულის მამა თავის მეუღლეს განურისხდა და ღალატი დასწამა, რადგან ბავშვს, მართალია, კუდი, ბრჭყალებიანი უკანა თათები, ფრთები და ყურები ურჩხულისა ჰქონდა, ზედატანითა და თავით მთლად ადამიანს ჰგავდა.

ბებერი ურჩხული ცოლს გაუთავებლად სძრახავდა შვილის უკანონო წარმომავლობის გამო, თუმცა წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმაზე, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ბავშვის მამა. მეუღლე გვერდიდან არასოდეს მოშორებია და, ამასთან, არასოდეს უნახავს და არც ოდესმე შეუსანსლავს ისეთი არსება, რომელსაც შეიძლებოდა ამგვარი ნაბიჭვრის მამობა დაბრალებოდა. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ მის შვილს წილად ხვდა, ახალი მოდგმის მამამთავარი გამხდარიყო, რომელიც საბოლოოდ ყველა

ურჩხულის მტრად – ადამიანად განვითარდებოდა“.

„სუნთქავენ თუ არა ქვები?/ დიახ! უეჭველად!“ – ასე იწყება ჰელმუტ ნიდერლეს ერთ-ერთი ლექსი, სადაც ჟღერადობით ცოტათი ერნსტ შიონვიზეს გვიანდელ ლირიკას გვაგონებს, რადგან მასავით უკან მოიტოვა ყოველივე ხელოვნური, სიმღერისეული და ხატოვანი და მთლიანად პრაქტიკად და შეგონებად ქცეულა. ეს ლექსი ყოველგვარ ეგოცენტრულობას უარყოფს და გვევედრება, ოდნავ უფრო მოკრძალებულნი ვიყოთ, საკუთარი მნიშვნელობა გადამეტებულად არ წარმოვაჩინოთ და, თუნდაც ამით ქვების მეხსიერებაში ვერავითარი კვალი ვერ დავტოვოთ, ამქვეყნად ჩვენი საკეთებელი მაინც თვინიერად და მშვიდად ვაკეთოთ.

(იბეჭდება შემოკლებით)

ხოტბა არასრულყოფილისა

გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ადამიანი მოგზაურია დროში, სადაც მისი გზა დაბადებიდან სიკვდილამდეა გაჭიმული. როგორც ცნობილია, ამ ცხოვრებისეული გზის გამოვლა ყველას უწერია. ამ თვალსაზრისით, გადაჭარბებად ვერ ჩაითვლება იმის თქმა, რომ საბოლოო მიზანს თითოეული ჩვენგანი აღწევს. ხოლო მიზნის მიღწევა, რომელიც სიკვდილის მომენტში იწყება, სრულყოფის განსაკუთრებულ ფორმად გვევლინება. თუმცა ეს იმგვარი საბოლოო სრულყოფაა, არავითარი ცვლილებისა თუ განვითარების საშუალებას რომ აღარ იძლევა. დაბადებიდან გარდაცვალებამდე მიმავალ გზაზე უამრავი მიზანი არსებობს – მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო, სასიამოვნო თუ საძულველი. გეოგრაფიული მიზნებიც არსებობს, ზოგი დროებითი შეყოვნებისთვის, ზოგიც, შეძლებისდაგვარად, დიდი ხნით დასარჩენად.

ძნელი არ არის, ზემოთქმულიდან დავასკვნათ, რომ ყოველივე დაუსრულებელს, არასრულყოფილს განგრძობითობის ხიბლი ახლავს თან. ცხადია, ამით ხელოვნების შედევრით მოგვრილ სიხარულს როდი უარვყოფ. სრულებითაც არა, პირიქით. სრულყოფილების ეს კონკრეტული ფორმა წარმოადგენს მსოფლიოს ჰუმანიზაციისკენ მსვლელობისას არსებულ წამაქეზებელ საგზაო ნიშანს. ესაა წინაგანცდა იმისა, რასაც საკუთარი ცხოვრების სასურველ მდგომარეობად მივიჩნევთ, და იმისაც, რასაც სამყაროსაგან მოველით. თუმცა, ამ სრულყოფის როგორც იდივიდუალურ სივრცეში, ისე გლობალურ კონტექსტში მიღწევა – რაც, ნუ

დაგვავიწყდება, რომ სრულიად შეუძლებელი რამაა – აუცილებლად მოითხოვს ჯერაც დაუსრულებლის, ბოლომდე მისაყვანის არსებობას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაუსრულებელი საკუთარ თავში იტევს გამოწვევას, რომ ყოველმა ცალკეულმა პიროვნებამ, ის, რაც ჯერაც დაუსრულებელია, იმგვარად სრულყოს, როგორც ეს მისთვის მისაღები და მნიშვნელოვანია. ამაში ისიც იგულისხმება, რომ ადამიანს გამუდმებით უწევს ისეთ სამყაროში არსებობა, რომელიც ბოლომდე ჯერაც არ არის მოაზრებული და საბოლოო სრულყოფისათვის თითოეული ჩვენგანის წვლილს მოითხოვს. ეს მრავალხმოვანი სამყაროა, ურიცხვი ალტერნატივით, განხვავებულ იდეებს რომ ითვალისწინებს, რათა სამყაროს წიაღში დავანებულმა მშვენიერებამ საბოლოოდ იჩინოს თავი, ეს კი ადამიანის შემოქმედებითი უნარის გარეშე ვერ მოხდება. თუკი არქეოლოგია უდიდესი სიფრთხილით, ფენა-ფენად ათავისუფლებს იმას, რაც საუკუნეებმა ჩაფარცხა, მაშინ არასრულყოფილისადმი მოწიწება ისეთ არქეოლოგიად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც აწმყოში მომავლის შესაძლებლობებს წარმოაჩენს და ფაქიზი ხელით დღის სინათლეზე გამოიტანს.

ეს თვალსაზრისი სრულიად დემოკრატული გახლავთ და კამათის საშუალებას იძლევა. ის ითხოვს კიდეც, ივედრება, რომ შეეკამათონ, რათა ადამიანმა ამგვარად, აზრთა მრავალფეროვნების მეშვეობით, უდიდესი შესაძლო თავისუფლება მოიპოვოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ნაკლულის აღიარება განსხვავებულ კულტურებს, რელიგიებს, სახელმწიფო წყობასა თუ თაობას მიკუთვნებულ ადამიანებს საშუალებას აძლევს, ერთმანეთი გაიცნონ, რათა ამის შედეგად რაღაც სრულიად ახალი წარმოიქმნას. ეს დისკურსის სამყაროა, სადაც

ადამიანის სინდისზე ზეწოლა უსაძაგლეს ცოდვად ითვლება, შეუწყნარებლობა კი – არაადამიანობის უკიდურეს გამოვლენად, რადგან ჭეშმარიტად ადამიანური, ისევე, როგორც ღვთიური (ანუ ზღვარს გადასული) შეუძლებელი გამხდარა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სამყაროში, სადაც არაადამიანურობა დაშვებულია, როგორც სააზროვნო შესაძლებლობა, ადამიანის, ხელოვნებისა და ბუნების არსებობა გარდუვალად საფრთხის ქვეშ ექცევა. ასეთ შემთხვევაში ასპარეზზე გამოდის უმეცრება და სიბეცე.

დისკურსის სამყაროში პოლიტიკოსთა მიერ გავლებული, დაკანონებული და ძალით განმტკიცებული საზღვრები აღარ მოქმედებს, რადგან პოლიტიკური საზღვრები ძალაუფლების წარმონაქმნია, ამა თუ იმ რელიგიის, იდეოლოგიის, ტრადიციის თუ რომელიმე თვითკმაყოფილი ხელისუფლის ინტერესებს რომ ემსახურება. ამასთან, არც ამ წარმონაქმნების დამცველებს და არც მათ მომხმარებელთ აზრად არ მოსდით საზღვრის ერთი თვისება, რომელიც მას ფაიფურის ჭურჭელთან აერთიანებს: ესაა მსხვრევადობა. თითქოსდა მყარი ზღუდის დასანგრევად ხშირად სულ მცირედიც კი კმარა და შედეგად ის ისტორიის ნაგავსაყრელზე აღმოჩნდება ხოლმე.

სულ სხვაგვარადაა ხელოვნებაში: მყარად აგებულის კითხვის ქვეშ დაყენება ხელს უწყობს ახალ მიგნებებს, ახალ ლიტერატურულ, მუსიკალურ თუ გამომსახველობით მიღწევებს, რაც, თავის მხრივ, ხელოვნების სამომავლო განვითარების შესაძლო საწინდარს წარმოადგენს.

დაბოლოს, ერთი მცირე შენიშვნა: პოლიტიკური გაუგებრობები არაერთხელ გამხდარა სისხლიანი

დაპირისპირების მიზეზი. ხელოვნებაში კი გაუგებრობა შეიძლება უაღრესად ნაყოფიერი გამოდგეს. როდესაც ევროპელები პირველად გაეცნენ აფრიკულ ხელოვნებას, მათ თავდაპირველად ვერ გაიგეს, ესა თუ ის ნიმუში რას გამოხატავდა. მაგრამ ამ „უცხო“ ხელოვნებამ პაბლო პიკასოთი დაწყებული და გუსტავ კლიმტით დამთავრებული, – თუკი ორ მაქსიმალურად განსხვავებულ მაგალითს დავასახელებთ, – უამრავი ხელოვანი შთააგონა ისეთი ნამუშევრების საქმნელად, ამის გარეშე წარმოუდგენელი რომ იქნებოდა. ამ თვალაზრისით, წერისას აუცილებელია, ყველა საზღვარი გადავლახოთ: სიფრთხილე კი გვმართებს, მაგრამ გაუგებრობის შიში არ უნდა გვქონდეს. უნდა ვიყოთ გახსნილი ყოველივე ახლის მისაღებად, თუნდაც ის არასრულყოფილი იყოს. არასრულყოფილება ღირსებაა.

2. პოეზია

დავით ჩიხლაძე

ლიმონათის თაიგული - ლაღიძის წყლების

ძველი პრეისკურანტი მიტროფანე ლაღიძის და “საქმინხილწყლის”

ლიმონათებს
თუ გასინჯავთ, არ ინანებთ,
გზას ხალისი გაგინათებთ.

“ტარხუნის” და “კოწახურის”
შუშხუნა წყლებს როცა დალევთ,
ამ ცხოვრებას ერთი-ორად
სულ თამაშში, ლხინში გალევთ.

ეს “კრემ-სოდა”, ესეც “სიტრო”,
“საფერავი”, “შამპანური”,
“ნაღები” და “შოკოლადი” –
რაა უფრო საამური?!

წყურვილს გვიკლავს, არ გვიშორებს
“თბილისი” და “ქუთაისი”,

ნეტავ, წყალი უკვდავების
ჩამოსხმული არის ვისი?

ლიმონათებს და სიროფებს
კვლავ ხარისხი ემატებათ,
ყველა აქეთ მოიჩქარის,
მოუთმენლად რიგში დგება.

ხავერდოვან წყალში მოსჩანს
მხიარული სხივი ცისკრის –
თუმცა, ჩვენ ეს აღტაცება,
რახანია, აღარ გვიკვირს!

გვიყვარს წყარო ნატახტარის,
წყალი ბულაჩაურისა,
ძვირფას სიროფს ურევენ და
ფასს ადებენ შაურისას.

დალევს კაცი და სიცოცხლის
ნდომა აქვს და ნეტარება,
ამიტომაც დიდ-პატარა,
ყველა აქეთ ეტანება.

...გასულ ზაფხულს იმას სწუხდნენ,
რომ ნიავიც ცხელი ჰქროდა,
მაგრამ წყურვილს ვერ შველოდა
ფანტაა თუ ტკბილი სოდა:

– წყალი მაინც ჩამომისხით,
გავისველო იქნებ პირი...
უსიროფოდ და უგაზოდ
რატომ არის ასე ძვირი?!

ჩვენს ვაჭრობის მესვეურებს
შევკითხვოდი, მსურდა, ცოტა,

– რად არა გვაქვს ლიმონათი,
და რატომ გვაქვს მხოლოდ სოდა?!

...ლაღიძის წყლებს კვლავ ვესტუმრეთ,
კვლავ სიროფის ყიდვა გვსურდა –
ამბროსიის საფასურად
გამოგვართვეს ცოტა ხურდა:

– აირჩიეთ, რომელიც გსურთ,
სასმელები "მსხლის" და "ვაშლის",
საოცნებო თაიგული
სურნელებას მყისვე გაშლის!

"ბროწეული", "კომში", "ჟოლო",
"საამო" და "ალუბალი",
"მანდარინიც" თავს იწონებს,
როგორც სოფლის დედოფალი.

შემაგრებულ სიროფებსაც
დაუდიათ იქვე ბინა,
"კრუშონი" და "შავი ყავა" –
შვენის ბოთლთა მწვანე მინას.

მიტროფანე და მიხეილ
ლაღიძის წყლის ლიმონათებს
თუ გასინჯავთ, უკუნშიც კი
დაინახავთ ათინათებს.

მოდი, პირი გაისველე
"საფერავით" ჩემო ნინა,
წყალი მოდის, ცით კი არა, –
ლიმონათის მოდის წვიმა!

დღეს თბილისის წყლების სახლში
ზეიმია, ჩემო მარო –

“თბილრეკლამაც” გზას გვინათებს,
სურს, რომ ჩქარა გაგვახაროს!

25 თებერვალი, 2018 წ.

გოჩა სხილაძე

დუმილის ჩრდილი

ეს ხეები, ეს ყვავილები, ეს ვარსკვლავები,
ეს ადამიანები, ეს ცა, ეს ღრუბლები არიან
და თითქოს არსად წასვლას არ აპირებენ…
მხოლოდ მე მივედინები მდინარესავით,
ხან სწრაფად, ხან შეყოვნებით.
მივდივარ და მომყვებიან მათი სახეები,
მათი ანაბეჭდებით გავსებულა ჩემი სულის ცარიელი ფურცლები.
იქ, მარტოობაში, გააგრძელებენ ჩემში ციმციმს ვარსკვლავები,
გააგრძელებენ შრიალს ტანმაღალი ალვის ოქროსფერი ფოთლები,
ისევ გაიშლებიან მსხვილი ცვრებით დაფარული ვარდები,
ღრუბლები ისევ გაცურდებიან ჩემი სულის ცაზე,
ისევ მომაწყდებიან ბავშვების სიცილის ექოები,
ისევ გაიელვებს დედის ჩამქრალი ღიმილი,
თუ ვინმე მყვარებია, მისი სახეც აალდება ხანდახან.
ეკალ-ბარდივით წინ გადამეღობება მათხოვრის გაშვერილი ხელები…
მივედინები, როგორც სამყაროს ასლი, დედნის,
ორიგინალის ანაბეჭდებით გატიალებული, იავარქმნილი.
მე ვარ მისი სევდიანი, დაბურული სარკე,
რომელსაც ვერაფერი გაწმენდს.
მივედინები წვიმების შემდეგ ამღვრეული მდინარესავით
და ვერაფერს ვამბობ, არაფერი არ მაქვს სათქმელი..
როცა ადამიანი რამეს ხვდება, გრძნობს, რომ მუნჯია,
ვერასოდეს ამოთქვამს, რაც გაუგონია,
რისთვისაც შეუხედავს, რისთვისაც გვერდი აუვლია.

ის უძირო, თავდახურულ ჭას ემსგავსება,
რომელიც თავის თავში მთელ სამყაროს ინახავს.

მოუსვენრობა

დაივიწყე საგნები, დაივიწყე მოვლენები,
დაივიწყე სახეები, დაივიწყე ხმები.
ეს არის ყველაფერი ის,
რისგანაც შენი წუხილი და სიხარული შედგება...
დაემსგავსე ჩვილს, დაიბრუნე მისი გაურკვეველი მზერა
და არავისკენ მიმართული ღიმილი,
არავისკენ მიმართული ტირილი,
გახდი ცარიელი, ქათქათა ფურცელი,
თითქოს ქაღალდის ფაბრიკაში მოხვდი მაკულატურასავით
და ისევ მკვდრეთით აღსდექი.
მოიშორე ყველა სიტყვა, რომლითაც დაჩხაპნილია შენი
სული.
სიტყვები საგნების აბსტრაქტული ჩრდილებია,
ხმები გრძნობების საყვირებიდან გამონათებული სულია,
როგორც ციცინათელას სინათლე,
როგორც ღამურის გულის გამაწვრილებელი წრიპინი,
მათ ღამეს რომ ფანტავს და რაღაც სივრცეს აჩენს
სამოძრაოდ.
არცერთი ნაბიჯი არც მარცხნივ, არც მარჯვნივ,
არც წინ, არც უკან…
შეიყვარე უმოძრაო წერტილი,
საიდანაც ყველაფერი იწყება,
სადაც ყველაფერი მთავრდება.

ამბორი სიბნელეში

გეძებდი ყველგან, მტრედის ფრთებში, გაშლილ ვარდებში,
ვათვალიერე ვარსკვლავები, ვშალე ქაღალდი.
თვალი მოგკარი სხვის თვალებში, ძველ ბარათებში,
ვერ მოგიხელთე და მტრედივით ცაში ამაღლდი.

აღარ სრულდება შენი ბნელში დამალობანა
და მაღლა ცაში ვარსკვლავებად იქცნენ მდევრები,
მე უკვე დედამ სისხლიანი სახე მომბანა,
მამამ აავსო შემოდგომით დიდი ქვევრები.

ბნელის კიდეზე კიაფობენ ციცინათლები,
დღეების კიდეს აწყდებიან ჭრელი პეპლები,
იბერებიან კვირტები და ყვავილს მატლები
ელოდებიან, ვით დედოფალს მისი მხლებლები.

უცნაურია, ვიცი, აქ ხარ, მე ვაკაკუნებ,
ყოველ კარს იქით შენ დგახარ და ქარში ყანა ხარ,
ხელმოცარულთა მეფის გვირგვინს რისთვის მარგუნებ,
შენმა თვალებმა ცის სინათლე რად დამანახა?

იქნებ შენს სახელს ამოთქვამენ მომაკვდავები?
შენი ელჩები – ეს ჩვილები ამბობენ: „აღუს“...
მე სურვილების უამრავი ჯაჭვით დავები
და დაბნეული, ლამპარჩამქრალს ვემსგავსე მსახურს.

ისევ მომელის ჩემი მთები, ჩემი თაბორი,
მინდა მწვერვალზე ამიყვანონ სუსტმა ფეხებმა.
მოულოდნელი სიბნელეში ბავშვის ამბორი –
ასეთი არის უცნაური შენი შეხება.

მარტოობა

აღარ ჩანს არვინ, ვისაც ვუთხარ სიტყვა მშვიდობით.
სისინებს ქარი, სიცოცხლეა ბრმა, უყვავილო,
უკუნი ღამე შავი ღრუბლით და ქარდიდობით
შემოდის ჩემში ვით ბავშვის ხმა, მისი ალილო.

ვიღაც ხომ მოდის, აი, მწერი, ჩემსავით თიხის,
უკუნი ღამის გრილ ჩარჩოში თრთის გაბლეხილი,
ღამეში ვუსმენ წვიმის წვეთებს, ქარების ღიღინს,
როცა ბაღებში ადრეული ჭკნება ხეხილი.

ვივიწყებ სახეს, დიდ გველივით წინ მოსრიალეს,
თვით სიცოცხლესაც, რომ გადამცდა ერთხელ სასულეს,
მაღალი ალვა ამ ღამეში ისე შრიალებს,
ალბათ ხისმჭრელი მის სინათლეს ხვალ დაასრულებს.

ხმა

შენ ხარ ლოტოსი, ქარიშხალი ღრუბლის ფთილების,
დიდი ფიფქი ხარ და ვარდივით ვერსად გეცლები,
დილის ცრემლი ხარ, ახლა ვიცი დანამდვილებით
რომ შენს კედელზე ღამესავით ავიქერცლები.
შენს სამოსს უცებ მივამსგავსებ ნეკერჩხლის წითელს,
დაგხატავ სისხლით, მოვალ ახლოს შენი ლანდივით,
ვხედავ შენს სახეს მზის მაგივრად, გრძელ და თლილ თითებს
და ასე ვიგრძნობ, რომ გული მაქვს ამოვარდნილი.
შენს დანახვაზე ვარდებივით ვიწყებდი ხასხასს
და მერე შენი ბაგეების წითელს ვიტყობდი.
ჩემი ხმა შენკენ გადაფარავს ხმას მრავალ ათასს –
სამყაროსხელა აღტაცებით და უსიტყვობით.

უძილობა

შოთა იათაშვილს

ყვავებს მიჰქონდათ სიყრმის სოფელი,
ჰყვაოდა ვარდი დიდ ხის ნაპობთან,
როგორც სიმღერა შეუწყობელი
დედა სიზმრებში ლაპარაკობდა.
ვიწექი ასე ღამით თვალღია,
მესმოდა ლესვა დანის პირების,
მამა მეძახდა ამ დროს მაღლიდან,
იმედი ჰქონდა გადაბირების.

მზე ზამთარში

მოწყენილია რაფაზე ბალბა,
უნდა ზამთარში თბილი მზე ჩანდეს,
მე ახლობლებში ვიღიმი ყალბად,
ყალბ ფაიფურით ვსვამ რიო გრანდეს.

მკლავს თავდახრილი ვარდების დამბლა,
რაც ვარსკვლავების განგებას მანდეს,
სინათლის სხივი მოწვეთავს დაბლა,
ეცემა გულზე შერისხულ დანტეს.

მე შენს ხმას ბოლოს შევისმენ ალბათ,
მინდა, გულს სისხლის ცრემლები მბანდეს,
ეს გული სისხლის ცრემლებით დალბა,
დაეცა შუქი უღრანს და ღრანტეს.

ჩანს ახლოს სანთელჩადგმული ტაბლა,
ქარი მხარს გაკრავს ანთებულ სანთელს,
მე ახლობლებში ვიღიმი ყალბად,
ყალბ ფაიფურით ვსვამ რიო გრანდეს.

ბნელი კედლები

შენი ხელები ეძებენ სახეს
და ეხებიან კედლებს ცარიელს,
კედლებზე ხედავ სიბნელის ნახევს –
შენი სიზმრების ცის დასალიერს.
კართან ბავშვების ხმები შეგათრობს,
შენ ჯავრობ, კარი რომ არ იღება.
დიდ გულში მათი სინათლე გათბობს,
გინდა შეხედო მათ გაღიმებას.
როგორ სრულდება შენთვის ეს ღამე,
ეს მოდივილი და მიდივილი,
გინდა, ჭიქაში ღვინოს გისხამდნენ,
ისევ მოგესმას მამლის ყივილი.
უცებ მეზობლებს ამოაქვთ კუბო
და შენი კარი უხმოდ იღება,
თითქოს სხვის, უცხო სახლში შედიხარ.
გიკვირს უშენოდ კედლებს ღებავენ,
უყურებ შვილებს, ვერავინ გხედავს
და გიკვირს, არვინ არ შემოგხარის,
თან ეჭვის თვალით გახედავ დედას,
აი, მისკენაც გადაიხარე.
მისი თავსაფრის ფერს შეერიე,
ისევ მიდიხარ ხელში შვეულით.
მაღაზიებში უქმად დადიხარ
და ნათელ ფერებს ვეღარ შოულობ.
ებოდიშები სახლის პატრონებს,
დღესაც ფერები რომ ვერ იშოვე…
გაწუხებს მათი ბნელი კედლები,
გინდა დაფარო მათი სიშავე.

დამშვიდობება

ვემშვიდობები თოვლის ფანტელებს,
ბაბუაწვერას, ბავშვობის ლანდებს,
ბნელში დაკარგულ ციცინათელებს,
შენს სინათლეში გადაშლილ ვარდებს,
მთვარეს, რომელიც არ ჩანდა ბოლოს,
მზეს, სხივი აქაც რომ მომაწვდინა,
ბავშვის თითებში შემომდნარ ლოლოს,
ჩიტებს და ხეებს, დღეებს მაცდინარს,
დიდ კანდელებზე ანთებულ ლოცვებს,
გულში დარჩენილ ხეს უკენწეროს,
ხანძრებს, რომელთაც ტყეები მოწვეს,
უკუნს, ზამთრის წინ გაფრენილ წეროს,
ვემშვიდობები ცას, მარად ახალს,
ვარსკვლავებს, ხილულთ და უხილავებს,
ქაღალდის ნავებს, ზღვის მაღალ ტალღას,
ჩემს მოყვარულებს და ჩემს მკილავებს,
შეყვარებულთა მზერას და კოცნებს,
მკვდართან ვარდებით სავსე კალათებს,
ხელებს, რომელთაც კალათი მოწნეს,
მაღალ მთებს, სოფლებს, დაბებს, ქალაქებს,
ვემშვიდობები გუგულის ღარღილს,
ბავშვებს, დარჩენილთ უბედისმწერლოდ
და მათ, რომელთა ჩამოთვლაც არ ღირს,
ვინც ჩუმად უნდა გამოიცელოს.

შუაგულში ყოფნა

ვარ ვარსკვლავიდან გადმონავარდნი
გამდნარი თოვლი, გაშლილი ვარდი,
ვარ მწუხარება, მთვარის ნაბარდნი
და გარდაცვლილთა უცვლელი დარდი.
ვარ ბავშვის მზერა, მზე ცხრათვალება
დაუცხრომელი, რომელ არს მნათი,
ბრმა მეზობელი შავი სათვალით
და ის უისრო მამის საათი.
მისი თითების უცხო სითეთრე,
გაშლილი თმების შრიალა ლელი,
მამლის ყივილით შეშლილი პეტრე,
მტრების მტკაველა მახვილით მთლელი.
ვარ სიმჩავარდნილ ხვალის სიმღერა,
სინაის მთვარის ვარ ვერცხლის სინი,
ვარ უსინათლო ლომების ბღვერა,
რომელსაც ჩემში გრძნობენ ისინი!

* * * (სანამ ეს გული სანთლად ანათებს...)

სანამ ეს გული სანთლად ანათებს,
სანამ ფანჯრიდან ჩანს ბეგონია,
მამისგან იღებს ბავშვი ბარათებს,
სიცოცხლე მისი ექო ჰგონია.
გახედავს ბაღებს, სიზმარამხდარი,
უცნაურია ვარდის სინედლე,
ღრუბლიანი ცის შუბლი ჩამტყდარა,
ვარსკვლავებიდან მოჩანს სინათლე.

* * * (ასისინდები ლეთით, უნასით...)

ასისინდები ლეთით, უნასით,
კრთება ნაფლეთი ბინდის, წრუწუნა.
აქ ვარსკვლავებით ასიათასით,
ბავშვმა სიზმარში დაიწუწუნა.
ქარში ანათებს სიზმრების მარში:
მთვარის არშია და ქრიზანთემა,
ქარი ჩაწყნარდა, ბოლოს სიზმარში,
მზესუმზირების ჩაქრა ნათება.

ბურუსი

ძმას

გაზაფხულია, ყველა ფუსფუსებს,
ყველამ გაიგო სიცოცხლის ფასი.
ცვივა ყვავილის თეთრი ბურუსი,
ყურში ჩამესმის ჩიტების ბასი.
ნიავი არხევს ატმების ბისონს,
ქუჩისკენ აფრა გაშლილა მსხალის,
ღობის ღრიჭოდან მომზირალ ფისოს
არა აქვს შიში უცნობი ხვალის.
მზით, გვირილებით ავსებულ ტვაფეს
ვხედავ და ვუსმენ ვირების ფრუტუნს,
ქორი მაღლიდან წიწილებს დაფრენს,
მამა დაღლილი აბოლებს თუთუნს.
ვარდის ეკალით გამჭრია თითი,
მომდის სისხლი და ჩვენს ღელეს ლალავს,
ღელეზე მორის ჩამტყდარა ხიდი,
რომლის ნაპირიც ბავშვობას მალავს.

თათია მთვარელიძე

მიტოვებულთა ნუგეში – [მას, ვინც საკუთარ თავს იპოვის]

პროლოგი

როცა ღმერთი ხარ,
ვის სახელზე უნდა ილოცო?
როცა ღმერთი ხარ –
უსახელო,
უმისამართო,
რომელიც შენმა ღმერთმა ანუ თავმა დაგტოვა,
როცა ღმერთი ხარ,
ვის სახელზე უნდა ილოცო?
როცა არ გახსოვს, ვინ დაგტოვა
ან სად დაგტოვა.
როცა ღმერთი ხარ,
თუ ღმერთი ხარ,
(იქნებ ღმერთი ხარ?)
თავს ინუგეშებ, ამბობ:
„ყველა ღმერთი მარტოა!“:

[დილის ლოცვა]

წმინდაო დღეო,
ამ ერთხელ მაინც დამინდე და
საგულდაგულოდ ჩამოშვებულ ქუთუთოებს
მოარიდე შენი უკმეხი დაძალება,
შენს ცარიელ აურზაურში რომ ექაჩება
ჩემს მორჩილ მზერას.
მაგ შენს უმაღლეს მეუფებას
რას დააკლებს, აბა, ერთი გამონაკლისი?
დაღლილი არის ჩემი მზერა,
შენმა ბნელმა ცხადმა დაღალა,

რადგან ყოველთვის,
როცა სიზმარში – დავიწყების მდინარეში ჩადგება და
სადაცაა უნდა ჩაყვინთოს,
განიწმინდოს,
გარდაისახოს,
მაშინვე რაღაც მანქანებით,
თავს ყეყეჩურად ესხმის ხოლმე
შენი ყაჩაღი ხელქვეითი – გამოღვიძება
და აბრუნებს. სად აბრუნებს – თავად არ იცის.
ხოდა, იქნებ ამ ერთხელ მაინც დამაცადო –
მუხლამდე ვდგავარ სიზმარში და
დავიწყების მეჩეჩებს ვითვლი:
ეს მეჩეჩი დაბადებაა,
ეს – ტკივილი,
ეს – სიყვარული,
ეს – დანაკარგთა ერთგულება,
ის კი – ვერასდროს გამხელილი ოცნების რიფი.
ცოტაც და, მზერის ბუდეებსაც მისწვდება წყალი.
და ვლოცულობ:
წმინდაო დღეო,
დაანებე ჩემი მზერა დავიწყების კრიალა ნაკადს,
ჩამოშვებულ ქუთუთოებს ერთხელ მაინც ნუ გადამიხსნი,
რადგან ისე არაფერი აწყალებს მზერას,
როგორც სიზმრიდან სხვა სიზმარში გამოღვიძება.

[Manifestum Exodi]

ვინც არ უნდა იყო მანდ,
არ გამოხვიდე!
ან გამოდი და შენც იხილე:
მიწა – ცივზე ცივი წიაღი,
მუდამ ღია და ხელგაშლილი საიმისოდ, რომ
შეგიბრუნოს.

ვინც არ უნდა იყო მანდ,
არ გამოხვიდე!
ან გამოდი და შენც იხილე:
ცა თუ ზეცა – ვერასდროს შენი,
მუდამ ღია და ხელგაშლილი საიმისოდ, რომ
დაგანარცხოს.
ვინც არ უნდა იყო მანდ,
არ გამოხვიდე!
ან გამოდი და შენც იხილე:
დრო – ტრიუკი,
მუდამ ღია და ხელგაშლილი საიმისოდ, რომ
მოგატყუოს.
ვინც არ უნდა იყო მანდ,
არ გამოხვიდე!
ან გამოდი და შენც იხილე
სილამაზე – სხეულის მტვერი,
მუდამ ღია და ხელგაშლილი საიმისოდ, რომ
ჩამოგებერტყოს.
ვინც არ უნდა იყო მანდ,
არ გამოხვიდე!
ან გამოდი და შენც იხილე:
სიყვარული – სულის მდელო,
მუდამ ღია და ხელგაშლილი საიმისოდ, რომ
ტალახად გექცეს.
ვინც არ უნდა იყო მანდ,
არ გამოხვიდე,
ანდა გამოდი,
გამოდი,
მოდი,
შენც გამოდი
და მიხილე
მე – არაფერი,

მუდამ ღია და ხელგაშლილი,
საიმისოდ, რომ რამედ ვიქცე.
ვინც არ უნდა იყო მანდ,
არ გამოხვიდე!

რადგან ყოველთვის ხსნას არ ნიშნავს
სიტყვა „გამოსვლა“.

[ლოცვა გამგზავრებულთათვის]

როცა პირველი მიდიოდა ვთქვი:
აქ დავმთავრდი.
ვთქვი:
მეორე არასოდეს აღარ იქნება.
მეორე როცა მიდიოდა,
ვთქვი: დიდი ვარ.
ვთქვი: ჩემო თავო,
პირობას ვდებ,
რომ მომდევნო მისნაირი
აღარ იქნება.
როცა მომდევნოც მიდიოდა,
ვთქვი: ძლიერი ვარ,
ძლიერი ვარ
და ვინც მე მინდა, ის იქნება.
მერე მისგან რომ მოვდიოდი,
ვთქვი: დავბრძენდი და
ვინც მიმიღებს, იგი იქნება.
და ვინც მიმიღო,
ვთქვი: მომბეზრდა,
არაფერიც აღარ იქნება.
და წამოვედი
და წავიდნენ...
და ახლა ვდგავარ

ერთხელ უკვე დამთავრებული,
ერთხელ დიდი,
ერთხელ ძლიერი,
ერთხელ ბრძენი და
არაერთხელ მობეზრებული
და გეუბნები:
შენ შეგიძლია!
შეგიძლია
მხოლოდ ერთხელ შემომხედო და
ვთქვა:
რაც იყო სულერთია,
შენ თუ იქნები!

[ლოცვა შესვენებულ სიყვარულთათვის]

შენ, ჩემო ძველო სიყვარულო,
როგორ გაზრდილხარ:
შენი თვალები – მოელვარე ვარსკვლავები
როგორ ჩამქრალან,
შენ, ჩემო ძველო სიყვარულო,
როგორ გაზრდილხარ,
შენ, ჩემო ძველო სიყვარულო,
შემომხედე:
დიახ, მე ვარ,
დიახ, აქა ვარ.
შენ, ჩემო ძველო სიყვარულო,
როგორ შეცვლილხარ:
შენი ხმა – ჭექა და ქუხილი
როგორ გამქრალა,
შენ, ჩემო ძველო სიყვარულო,
როგორ შეცვლილხარ,
შენ, ჩემო ძველო სიყვარულო,
შემომხედე:

დიახ, მე ვარ,
დიახ, აქა ვარ.
შენ, ჩემო ძველო სიყვარულო,
როგორ დაღლილხარ,
შენი სხეული – ქვა და რკინა
რაღამ დაქანცა?
შენ, ჩემო ძველო სიყვარულო,
როგორ დაღლილხარ,
შენ, ჩემო ძველო სიყვარულო,
შემომხედე:
დიახ, მე ვარ
დიახ, აქა ვარ.
შენ, ჩემო ბოლო სიყვარულო,
როგორ წაშლილხარ,
შენი ღიმილი – ცის სარტყელი
როგორ გაქვავდა?
შენ, ჩემო ბოლო სიყვარულო,
როგორ დაშლილხარ,
შენ, ჩემო ბოლო სიყვარულო,
შემომხედე,
დიახ, მე ვარ,
დიახ, აქა ვარ.
შენ, ჩემო ყველა სიყვარულო,
ვდგავარ შენ წინ და
ნუ მეკითხები
შენი ხსოვნის ეტლი სად მიმყავს.
შენ, ჩემო ყველა სიყვარულო,
აწ და მარადის,
აწ და მარადის განისვენე,
ახლა სხვა მიყვარს!

[მიმტოვებელთა ლოცვა მიტოვებულთათვის,

როცა სხვა სათქმელი აღარაფერი აქვთ
და ხელებს ჩვეულებისამებრ აღაპყრობენ ცისკენ,
რათა ღმერთმა ამ ხელის გულებიდან მაინც წაიკითხოს,
რისი თქმაც უნდათ ხოლმე მისთვის, როცა ღამდება]
შენ თუ იგი ხარ, ვინც შორეულ თვალებს მარიდებს,
თუ ეს სიმძიმეც ოდენ სულის არის ზმანება,
შენ თუ ისა ხარ, ვინც ყოველთვის მიხმობს გარედან,
როცა სიზმრებზე ფეხაკრეფით დავიარები.
შენ თუ იგი ხარ, რაღად გინდა შიშველს მხედავდე,
როცა ყოველი სამოსელი ისეც შენია,
რაში გჭირდება, მინდოდეს და თქმას ვერ ვბედავდე
თუ როგორ მიმძიმს,
როცა ცისაკენ აფრენილი მტრედებიც კი ბუდეებში
მშვიდად შედიან.

[მიტოვებულთა ლოცვა მიმტოვებელთათვის,

როცა მოსაცდელი აღარაფერი აქვთ და
თვალებს ჩვეულებისამებრ მიაპყრობენ მიწისკენ,
რათა ამ უპეებიდან მაინც ამოიკითხოს მტვერმა,
რისი თქმაც უნდათ ხოლმე მისთვის, როცა ღამდება]
ჩვენ ასე ვცხოვრობთ,
უსახლკაროდ დავეხეტებით,
სადაც კი ფიქრი შემოგვისწრებს, იქა ვცემთ კარავს.
კარვის ბზარები – სევდამდინარ ნახატებად დაჩნეული
სოფლის ხედები,
ჩვენი თვალები – ღამისაკენ გაჭრილი კარი.
ჩვენ ასე ვცხოვრობთ,
ძილ-ღვიძილში დავიარებით,
სადაც კი დარდი შემოგვისწრებს, იქა ვშლით ლოგინს,
გვაქვს ქვეშაგებად ხსოვნაჩამქრალ დღეთა წამები,
დაქანცულ სხეულს დავიწყების ენით რომ ლოკავს.
შენ თუ იგი ხარ, ვინც ოდესღაც დამაპურა და

ნათელი მზერით მიმანიშნა უპურო ხორცზე,
შენ თუ ისა ხარ, ყოველ ჯერზე რომ მაყენებს და
ფეხზე წამომდგარს მხოლოდ ერთი სიტყვით რომ
მომცელს,
შენ თუ ისა ხარ, ვინც ჩემს კარავს ბევრჯერ მოადგა,
ვინაც ჩახია მისი კალთა და ვერ კი მპოვა,
შენ თუ იგი ხარ, ვისი ნებაც ჩემს ხორცს მოარგეს,
ვისი სურვილიც ჩამიშენეს თვალებში ხსოვნად,
სამგზის:
ასე ვცხოვრობდი,
ასე ვცხოვრობ, მას შემდეგ რაც ზურგი მაქციე,
ასე ვიცხოვრებ ათას წელს და ასიათას წელს,
რადგან არ ვიცი, გებრალები, გშურს თუ დამცინი
ყოველთვის, როცა გზადაბნეულ ლოცვებადა გწერ,
რომ
მაშინ, როცა სადარდელი არაფერი მაქვს,
სულმოუთქმელად ვიმეორებ გულში შენს სახელს,
რათა ასე მაინც გაიგო,
რომ ყველა სიტყვა, რაც კი შენთვის დამიძებნია,
რომ ყველა ცრემლი, რაც კი მისთვის დამიფერთხია,
სხვა არაფერია, თუ არა
იმ დროის გაწელვა,
რომელმაც შენ აქამომდე გინახა,
ღმერთო!

[ლოცვა განსაცდელში მყოფთათვის]

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენი ეს სიყვარული.
ჰე, ღმერთო ერთო, შენ ჩათესე მასში ეკალი.
ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეგეძლო გადაგერჩინე.
ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეგეძლო, რომ მოგეკალი,
მაგრამ ისეთი მკრეხელი ჰქმენ ეს სიყვარული,
რომ მასთან ყველა შეხებისას

შენ გიმეორებ.
ნუ მომიტევებ მხოლოდ ერთხელ, ნუ მომიტევებ,
ღმერთო, თუ გინდა, მომიტევე, ოღონდ მეორედ
და მესამედაც მომიტევე, რადგან არავინ
გადარჩენილა მკრეხელთაგან ერთი შეხებით,
ღმერთო – ვამბობ და შენს სახელში ვისაც ვგულისხმობ,
შენს ვრცელ სახელში ვისაც ვუხმობ, ალბათ შენც ხვდები.
ჰე, ღმერთო ერთო, რაკი შეჰქმენ ეს სიყვარული,
რაკი შენს წმინდა სახელებში თავად ვერ ძლებდი,
ნუ მომიტევებ მე – ვინც სწორად აღმოგაჩინე,
მას მიუტევე, სიწმინდეში ვინაც გეძებდა,
რადგან ჰე, ღმერთო, შენ შექმენი ეს სიყვარული,
რომელიც ყველა დაცხრომისას შენს სახელს ყვირის
და გაღიარებს ყველა ჯერზე, როცა იზრდება,
როცა იფრქვევა, როცა ცხრება და როცა ტირის.
ჰე, ღმერთო ერთო შენ შეჰქმენი ეს სიყვარული –
მართლმკრეხელი და მართლმარქვია – შენ გააჩინე,
და თუკი მართლა ღმერთი გქვია, ნუ მიუტევებ,
ნუ მიუტევებ და ნუ განწმენდ!
გადაარჩინე!

[ევქარისტია]

მადლობას გიხდი, სილამაზევ,
მადლობას გიხდი,
შენ ერთმა მაინც რომ დაინდე ჩემი სხეული,
მისი კედლები შესალესად ტკივილს დაუთმე.
არადა, იქნებ მეც კი მსურდა ჩემს ზედაპირებს
შენი თვალთმაქცი ყვავილები გამოესხათ და
თავმომწონე სიყვარულივით,
მათზეც ეთქვათ – ლამაზიაო.
იქნებ ოდესღაც მეც მინდოდა,
ჩემს სუნთქვასაც მოჰყოლოდა

ეგ ხელოვნური სურნელება,
იქნებ მართლა მსურდა, რა ვიცი.
მაგრამ ახლა მადლობას გიხდი,
რომ დამინდე, რომ დაინდე ჩემი სხეული.
რადგან არაფერს ანადგურებს წარმავლობა
ისე უშნოდ,
ისე მახინჯად,
ვით სილამაზეს.

[ლოცვა ძილად მისვლის წინ]

ჩემო სიყვარულო,
რომელი ხარ ხან ცათა შინა,
ხან ზღვათა შინა,
იშვიათად – ცეცხლთა შინა და მიწათა შინა,
მაგრამ უფრო – წიაღთა შინა,
უწმინდურ არს სახელი შენი!
ვერ მოვედინ სუფევა შენი,
ვერასდროს იყავნ ნება შენი
ამ ქუეყანასა ზედა ისე,
ვით ცათა შინა!
ჩემო სიყვარულო,
რომელი ხარ წიაღთა შინა,
ტკბობა ჩვენი არსობისა
მომეც ჩვენ დღეს და
ხვალაც მომეც
და თუ გინდა,
არ გამახსენო თანანაყოფნი ჩვენნი,
რათა მეც დავინდო და
თანამყოფთა მათ ჩვენთა აღარ გავახსენო შენი სახელი.
ჩემო სიყვარულო,
რომელი ხარ წიაღთა შინა,
შემიყვანე ჩვენ განსაცდელსა

და ნუ მიხსნი ბოროტისაგან
და იხილე, რომ მისი არის
სუფევაც, ძალიც და დიდებაც უკუნეთამდე.
ჩემო სიყვარულო,
რომელი ხარ არც ცათა შინა,
არც ზღვათა შინა,
არც ცეცხლთა და მიწათა შინა,
და უკვე აღარც წიაღთა შინა,
რამ შეგაშინა?!

ეპილოგი:

როცა ღმერთი ხარ,
ვის სახელზე უნდა ილოცო?!
როცა ღმერთი ხარ –
უსახელო, უმისამართო,
რომელიც შენმა ღმერთმა ანუ თავმა
დაგტოვა,
როცა ღმერთი ხარ,
ვის სახელზე უნდა ილოცო?
როცა არ იცი ვინ დაგტოვა
ან სად დაგტოვა...
როცა ღმერთი ხარ,
თუ ღმერთი ხარ,
(იქნებ ღმერთი ხარ?!),
თავს ინუგეშებ:
„ცხონდეს იგი, ვინაც მარტოა“.

3. პროზა

ბექა ახალაია

ელისი

ის საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში საქართველოში ინგლისური ენის მასწავლებლად ჩამოვიდა. შავკანიანი, ლამაზი გოგო დეტროიტიდან. რაღაცით ქვინ ლატიფას ჰგავდა, მაგრამ ეგეთი მსუქანი არ იყო, უბრალოდ ფერხორციანი იყო, ჯანიანი გოგო, როგორც იტყვიან. ცხოვრობდა ჩვენი სკოლის ინგლისურის მასწავლებლის სახლში და ყოველ დილით სკოლაში მასწავლებლის ქმარს დაჰყავდა მანქანით თავისი ცოლი და ელისი. ელისს შეყვარებულიც ჰყავდა, ტეხასელ-მექსიკელი გილერმო, რომელიც ჩვენი რაიონის სხვა სკოლაში ასწავლიდა.

რატომღაც არასდროს მიკითხავს ელისისთვის მანამდე იცნობდა გილერმოს და სპეციალურად გაანაწილეს ერთ რაიონში, თუ აქ გაიცნო. გილერმო გამხდარი იყო, ძვალი და ტყავი, ელისს ნიკაპამდე სწვდებოდა. ელისი "ჩემს უდღეურს" ეძახდა.

– ნეტა ვის ჰგავს ასეთი საწყალი, მექსიკელები ჯმუხები არიან! – იცინოდა ელისი.

გილერმო სულ სამჯერ ვნახე. რაიონის ცენტრში გამაცნო ელისმა, კაფეში დავსხედით და წყალწყალა ლუდით გავიჭყიპეთ.

– დალევა ჩვენც გვიყვარს, მაგრამ რასაც თქვენ შვრებით, ზედმეტია! საღამოს, სკოლიდან სახლში რომ მივალ ხოლმე, ოთახში ვიკეტები, რადგან სოფლელები არყით მოდიან! – დაიწუწუნა გილერმომ და გულწრფელად შემეცოდა, რადგან იმ სოფელში, სადაც ის ასწავლიდა, ხუშტურიანი ხალხი ცხოვრობს.

კაფეში გილერმო დაგვითვრა. გავედი, ნაცნობი ტაქსი მოვიყვანე და მაგიდაზე თავჩამოდებულ გილერმოს მხარში შევუდექი, მაგრამ ელისმა თვალი ჩამიკრა და გვერდზე გამწია, მე თვითონო.

– მოდი ჩემო პატარა! მოდი დედიკოსთან, ჩემო ბიჭო! – ისე აიყვანა ხელში, როგორც კაცებს აჰყავთ ხოლმე საყვარელი ქალები. მთელი კაფე ჩვენ გვიყურებდა, გილერმომ ელისის სირბილეები რომ იგრძნო, ეტყობა, ტეხასში, თავის ლოგინში ეგონა თავი და უფრო ღრმა ძილში ჩაეშვა.

მე და ელისი კაფეში არ შევბრუნებულვართ, წყალწყალა ლუდის სმა მოგვბეზრდა. ისიც ჩემსავით იყო, თუ დაიწყებდა სმას, ბოლომდე უნდა დამთვრალიყო. მაღაზიაში ლუდები, მიწის თხილი და სიგარეტი ავიღე და ჯერ ძველ ციხეზე ასვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ დაგვეზარა და ხობისწყლის პირას გავედით.

– თქვენს ღვინოზე უფრო თქვენი ლუდი მომწონს! – ერთჯერადი ჭიქა ლამის ჩაანახევრა ელისმა. გასაკვირი ამბავია, რატომ გიჟდებიან უცხოელები ჩვენს ლუდებზე.

– მეხუმრები?!

– არ ვხუმრობ. არადა თქვენს ღვინოზე იმდენი კარგი მსმენია.

– ჩვენი კუთხის ღვინო არ ვარგა. აი, კახურ ღვინოს გაგასინჯებ და მერე ვილაპარაკოთ. – ვუთხარი და მიწის თხილის ქილა ავიღე, თავსახურის ამოსაწევი რგოლი მოძვრა და საჩვენებლ თითზე წამოცმული შემრჩა.

– შეეშვი, ლუდი ხომ გვაქვს, ლუდი და სიგარეტი! – მითხრა ელისმა. – როგორც იმ ბაკენბარდებიან ჯარმუშთან.

– დათვერი ელის, იქ ყავა და სიგარეტია.

– ჯანდაბა მაგის თავს.

დიდი ძებნის შემდეგ რკინის ნატეხი ვიპოვე და ცოტაზე გახსნილი ქილა თითქმის ნახევრამდე გავხსენი.

– არასოდეს თქვა არასოდეს! – ქილა მივაწოდე ელისს, ელისმა თითები ჩაყო, ამოღებისას მიწის თხილის რამდენიმე მარცვალი გაუვარდა და ასაკრეფად დაიხარა.

– წეღან გახსნაც არ გინდოდა, ახლა კი ძირს დაყრილ მარცვლებსაც ვერ ელევი?!

ელისი გასწორდა, თვალებში ჩამხედა და მოგონილი მაღალფარდოვნებით თქვა:

– ამაზე ხომ ხალხის შრომაა დახარჯული?! – მერე ისევ დაიხარა და აკრეფას შეუდგა. მე გამეღიმა და ჯილეხით ქუთუთომოჭმული ფშაველი გენიოსის აი, ის ტაეპები გამახსენდა, სადაც დიაცის უბის სიამეებზე საუბრობს და მანამდე შემრცხვა, სანამ ელისი ჩემს მზერას დაიჭერდა. მოწყალედ გამიღიმა, იცოდა რა მძლავრ და მომნუსხველ იარაღს (უფრო სწორად, იარაღებს) ფლობდა.

– ესე იგი, ჯარმუში მოგწონს?! – მკითხა და ხელით მანიშნა, მომიკიდეო.

– კი, რაღაცები მომწონს, მაგრამ კასავეტესი და დევიდ ლინჩი მირჩევნია.

ამ უკანასკნელის ხსენებაზე ელისს სიგარეტის ბოლი გადასცდა და ლამის დაიხრჩო.

– ლინჩი ხომ ისეთ საზიზღრობებს იღებს. თანაც თავს და ბოლოს ვერ გაუგებ. აი, მე ნენსი მეიერსი მომწონს.

– კარგი რა, ელის, მე დიდი კინოზე გელაპარაკები.

– მე კინომანი არ ვარ, რაც მომწონს, იმას ვამბობ.

– ხო, ნენსიმ იცის, რა სურთ ქალებს.

– ცისფერთვალება მელი. როგორ დაბერდა, არადა, რა ბიჭი იყო. – ამოიოხრა ელისმა და ეგრისის ქედს გახედა, მთის ნაოჭებში თოვლი ჩარჩენილიყო, ბოლომდე არ იყო დამდნარი, მდინარე ჯერ კიდევ მოდიდებული და ფერშეცვლილი მოედინებოდა.

შუკიდან პატარა ბიჭებმა ჩამოუხვიეს. ცოტა ხანს გვიყურეს, ალბათ ეგონათ, რომ მეც უცხოელი ვიყავი. მერე ტანსაცმელი გაიძრეს და მდინარეში ჩახტნენ. მეორე ნაპირამდე გაცურეს და ისევ უკან დაბრუნდნენ. ჩვენ დასანახად გამოიდეს თავი, თორემ მაისის დასაწყისში ხობისწყალი ისეთი ცივია, ჩახტომა და ამოსვლა ერთია, ხანდახან „პლავკები" ბოლომდე დასველებასაც ვერ ასწრებს. მაგის მეტი რა მიკეთებია ბავშვობაში.

– წამოდი! – თქვა ელისმა და ტანსაცმლიანად ჩახტა წყალში. – შენ დედაც... რა საშინელებაა! – აკივლდა ელისი, არ მოელოდა, წყალი ასეთი ცივი თუ იქნებოდა.

მივყევი, სხვა რა გზა მქონდა. ნელ-ნელა ჩასვლა საშინელებაა, გრძნობ, როგორ მოიწევს ზევით სიცივე, ყვერებზე ცივი წყლის შეხებისას ისეთი შეგრძნება გაქვს, რომ მარწუხებს გიჭერენ, ამიტომ, გამოცდილი თუ ხარ, აუცილებლად ხელს შემოიჭერ და მხოლოდ მაშინ გაუშვებ ნელ-ნელა, როცა უკვე წელამდე წყალში ხარ. ელისთან ამას ვერ ვიზამდი, ამიტომ გავქანდი და პირდაპირ ჩავხტი. რომ ამოვედი, ელისი აკანკალებული იჯდა ქვაზე და ჰელიოსს, ჩვენს დიდ პაპას, დედის ტრაკს აგინებდა, რადგან მზის ეტლი ღრუბლებში შეეხრიგინებინა.

ხანდახან ელისი ჩემთან რჩებოდა.

ელის, ჩემო მეგობარო ელის, შენ დაიბადე დიად ქვეყანაში. ის დიადი ქვეყანა კი, რომლის ნაწილიც ჩემი პატარა ქვეყანა იყო, ჩემი დაბადებიდან ოთხ წელიწადში დაიშალა. შენ გქონდა ფერადი ბავშვობა და ყველა სათამაშო, რომელსაც მოისურვებდი. ჩემი ბავშვობა კი ბნელი იყო პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, რადგან ჩემი ბავშვობა ხელისუფლების მაძიებელთა თუ ჩემს კუთხეზე შურისმაძიებელთა ხანა იყო, თუმცა შენ მხოლოდ ოქროსმაძიებლები იცი. როცა ჩემს ფეხზე პროთეზი დაინახე, მოგიყევი, თუ როგორ აგვიფეთქდა ბავშვებს ჩაის პლანტაციაში ნაპოვნი უცნაური ასაფეთქებელი მოწყობილობა და მე ფეხი დავკარგე, ჩემმა მეგობარმა კი – ორივე თვალი. მე ფეხბურთს სამუდამოდ დავემშვიდობე, მაგრამ ეს რა სახსენებელია, როცა ჩემი მეგობარი ბნელ ბავშვობაზე უფრო ბნელ წყვდიადში სამუდამოდ ჩაიძირა.

– რა საშინელებაა! – თანაგრძნობით უთხარი შენ ჩემი ფეხის პროთეზს, მე კი შევეცადე ამეხსნა მაშინდელი გეო და შიდაპოლიტიკური მდგომარეობა.

– კი, მაგრამ, რატომ?! – ახლა უკვე მე მკითხე და მივხვდი, რომ ვერაფერიც ვერ გაიგე, შენთვის ეს ყველაფერი უცხო იყო, ამიტომ მიგიყვანე კაიფერა მსხალთან, რომლის ძირშიც კოჭქვეშ მოწყვეტილი ჩემი მარჯვენა ფეხი დამარხა მამაჩემმა. მიწას ბალახი მოვაშორე და ბიძაჩემის დაყენებული “ადესა” მოვასხი, შენ ეს მოგეწონა და იგივე გაიმეორე.

შენ, როცა რამეს დააშავებდი, დაგსვამდნენ და გიხსნიდნენ, რომ ასე არ შეიძლება, მე კი თხილის წნელით მცემდნენ და შიშველ ტანს ჭინჭრით მისუსხავდნენ.

– რა სადიზმია! – თქვი და ჩემს მშობლებს გახედე, რომლებიც გიღიმოდნენ.

– არა, დაო ელის, ეს სპარტანული აღზრდა იყო! – ვთქვი მე და მოგრძო თხილი, პოეტური სახელწოდებით “დედოფლის თითი”, კბილებში მოვიქციე.

შენ ქალიშვილობა სკოლის გამოსაშვებ საღამოზე დაკარგე, მე კი ფულს კარგა ხანს ვაგროვებდი, რომ ვაგზლის ბინძურ სასტუმროში ვაჟიშვილობა დამეკარგა, თუმცა ძალიან მთვრალი ვიყავი და არაფერი გამომივიდა.

– იმპოტენტო! – გაგეცინა შენ, მამაჩემის გამოხდილი ჭაჭა მოსვი და დაიმანჭე. გიყვებოდი, საკუთარი მარცხით თავმოყვარეობაშელახული, როგორ ვაგინებდი მეძავს, ის კი მიყვიროდა:

– მე რომ მკვდარს ვაცოცხლებდე, მამაჩემს გავაცოცხლებდი!

– ჰაჰ, მკვდარი, როგორც შენი ფეხი! – იცინოდი და ჩურჩხელას ღეჭავდი.

შენი ინდიელი წინაპარი, დედის მხრიდან, ერთ-ერთი ტომის უკანასკნელი ბელადი იყო, შენ ამით ძალიან ამაყობდი და აღშფოთებას ვერ მალავდი ინდიელთა გენოციდის გამო, ჩემი წინაპარი დადიანის კარზე ძაღლების მომვლელად მუშაობდა.

– ჩემს ძაღლს მაქსი ჰქვია. – თქვი შენ და ჩემი მეზობლის მშიერ ძუკნას მჭადის ნატეხი გადაუგდე.

ბებიაჩემს სკოლაში ალიო მაშაშვილს ასწავლიდნენ: “ხარის ბეჭზე ლექსებს ვწერდი, / მასწავლიდა მელანია.” ბებიაშენს კი, ალბათ...

– ბებიაჩემს პოეზია არ უყვარდა. – შემაწყვეტინე შენ და ტყლაპს კუთხე ჩამოახიე.

ბაბუაშენი პერლ-ჰარბორის დაბომბვისას დაიღუპა, ბაბუაჩემს მეორე მსოფლიო ომში საერთოდ არ უბრძოლია, რადგან უფროსმა ძმამ დაატოვებინა ერთი პურ-მარილის ფასად მავან ძალმოსილ ჩინოვნიკს.

– დეზერტირი?! – ჰკითხე შენ ბაბუაჩემის გადიდებულ სურათს.

სამაგიეროდ, შენგან განსხვავებით, მე გამიკეთებია შურდული სკოლის სამხედრო კაბინეტში შენი ქვეყნის ბირთვული იერიშის შიშით ცივი ომის დროს მომარაგებული აირწინაღისგან. თვალის შუშებში ნეკის სიმსხო რეზინი ჰქონდა ჩატანებული, რომელიც გასაწელად რთული იყო, ძალა უნდოდა, მაგრამ თუ გაწელავდი და, თან, საკისრის ბურთულა იდო ტყავში, მიზანს შუაზე გლეჯდა.

– და რაზე ნადირობდით?! – მკითხა ელისმა და ხურმის ჩირს თავი მოაკბიჩა.

– მერცხლებზე და ჩხიკვებზე.

– მაშ, შენ მოკალი ჯაფარა?! – გაეცინა ელისს და ღია ფანჯრიდან ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა.

– გავიგეთ, რძალი მოგიყვანია! – ეხუმრებოდნენ დილით მამაჩემს მეზობლები. ელისმა კი სკოლაში წამათრია, სამხედრო კაბინეტი მანახეო. არანაირი ნოსტალგია არ მაქვს სკოლის მიმართ. ის კი არა, როცა წარმოვიდგენ, რომ ისევ მოსწავლე ვარ, ტანში ჟრუანტელი მივლის, ამიტომ წასვლა არ მიხაროდა, მაგრამ მაინც გავყევი. სამხედრო კაბინეტი იმაზე უარეს დღეში აღმოჩნდა, ვიდრე ჩემ დროს.

მაშინ დაკეტილი მაინც იყო და ფანჯრიდან ვიპარებოდით, ახლა კი კარიც ჩამოეხსნათ. შიგნით მხოლოდ დაგლეჯილი სამხედრო რუკები და აირწინაღების ხორთუმის ჟანგიანი რკინები ეყარა.

– მაშდამე, ტერორისტი კამკამაძე დაუნდობელია! – გამახსენდა, როგორ ცდილობდა ჩვენი ცნობიერების ამაღლებას შახი მასწავლებელი და ტერორიზმთან ერთად სხვა გლობალურ საფრთხეებსაც მიმოიხილავდა, როგორც შეეძლო.

ელისს ჩვენი სპორტდარბაზიც ვანახე, ჩამოსული წყლისგან დამპალი და აყრილი ფიცრებით და ჩამსხვრეული ფანჯრებით.

– აი, თურმე რატომ მიმალავდნენ. ერთხელ დირექტორს ვუთხარი, მოსწავლეები სპორტულ დარბაზში უნდა წავიყვანო-მეთქი და მიპასუხა, არ გვაქვსო! – თქვა ელისმა და თავისი კოლეჯის დარბაზი გაახსენდა, სადაც ჩირლიდერობის დროს, კუბოკრული, მოკლე ქვედაბოლოთი და ვარდისფერი ტრუსით ცეკვავდა.

გაკვეთილების შემდეგ ელისი გზის გადაღმა, ბიბლიოთეკაში წავიყვანე, სადაც მამიდაჩემი მუშაობდა. მარცხენა მხარეს, ჭერამდე ასულ სტენდზე, ჩემი ბავშვობისდროინდელი ნაცოდვილარები ელაგა. ერთხელ იქ გაეროს ბავშვთა ფონდმა ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი მოაწყო და მე გავიმარჯვე, საჩუქრად ბადმინტონი მომცეს. მერე, რაც სახლში ნახატები და ქანდაკებები მქონდა, მამიდაჩემმა ბიბლიოთეკაში წაიღო. ელისს ყვითელი საიზოლაციო პენოპლასტისგან გამოთლილი ფიგურები მოეწონა. ბავშვობაში, პენოპლასტის ნატეხები მდინარეს ჩამოჰქონდა და სამართებლით ფიგურებს ვთლიდი.

– ნამდვილი როდენი ხარ! – მითხრა ელისმა.

– ნამეტანია. იაკობ ნიკოლაძე მაინც გეთქვა.

– იაკობ... ვინ?! – ეჭვით შემომხედა, თან არ უნდოდა რამე მწარე ეთქვა, იქნებ მსოფლიოში სახელგავარდნილი ვინმე ყოფილიყო და სირცხვილი ეჭამა.

ელისს სასაფლავის ქვებზე ფოტოების თვალიერება უყვარდა. დაღლილები რომელიმე საფლავის მესრის ცოკოლზე რომ ჩამოვსხდებოდით, ელისი სილვია პლათის ლექსს წამოიწყებდა: "– მთვარეს ღიმილი რომ შეეძლოს, შენ გემგვანება. / ერთნაირ განცდას ბადებთ ორივე – / ლამაზები ხართ, მაგრამ ირგვლივ ყველაფერს ახმობთ. / სხვისი სინათლის ქურდები ხართ შენცა და ისიც." (აუდიოინსტრუქცია: თარგმანი იკითხება ანი კოპალიანის ხმით).

"– ო, ღმერთო ჩემო, მითხარი, ვინ ვარ, / თუკი უნდა გაჰკიოდნენ ნაგვიანევი ეს პირები / ყინვის ტყეში, აისზე ლურჯი ღიღილოების." (აუდიოინსტრუქცია: თარგმანი იკითხება შოთა იათაშვილის ხმით) – ავყვებოდი ხოლმე მეც.

აღდგომა დღეს ელისი საფლავებზე ჭამა-სმამ გააკვირვა.

– ელისი საოცრებათა ქვეყანაში. – ვეხუმრებოდი და კვერცხს ვფცქვნიდი.

– ამ შემთხვევას "უცნაურობათა" უფრო შეეფერება! – თქვა ელისმა, ხელიდან გაფცქვნილი კვერცხი ამართვა და სიცილით პირში ჩაიტენა.

ელისი ფრენბურთს მაგრად თამაშობდა. მთელი სანახაობა იყო: ჰაერში ამხტარ ელისს სოფლის ბიჭბუჭობა ციდან ჩამოსული ძეღმერთივით რომ ასცქეროდა.

– Fuck!!! – ყვიროდა ელისი, როცა ბურთს გააფუჭებდა.

– Fოქი! – ყვიროდნენ ბიჭები, როცა ბურთს გააფუჭებდნენ.

– ბებია, რა სჭირს თქვენს ბადეს, მთელი დღე "თოკი, თოკის" რომ ყვირით, თუ გაწყვეტილია, ვერ გადააბამთ?! – მკითხა ერთხელ ბებიაჩემმა, რომელიც მთელი დღეები სახლის დერეფანში, დაბალ სკამზე იჯდა. ელისს ვუთარგმნე და სიცილით მოკვდა.

მე და ელისი სამგზაგასაყართან მდგარ შავ კუნელს ვჭამდით ხოლმე.

– ვისია ბიჭო ეს ნახშირივით გოგო?! – მოვიდოდა იქვე მცხოვრები მეზობელი ზაკონ ოკუჯავა.

– რა იყო, მოგეწონა?! თუ გინდა გაგირიგებ.

– სად ვიპოვო ბიჭო ეს ღამით, სიბნელეში არც გამოჩნდება. – "ასტრას" აბოლებდა ზაკონი. გაგანია სიცხეში, ელისისთვის თავის მოსაწონებლად, დუბლიონკა ეცვა, პარლამენტის ყოფილი დეპუტატის ნაქონი, რომლის მამასაც ყანა გაუთოხნა და აჩუქეს.

– მურე წიე! – საყვარლად ამბობდა ელისი, მეგრულად მხოლოდ ეს იცოდა.

– ა, უყურე შენ, მეგრულიც ცოდნია, ინგლისურის სწავლა არ მომიწევს! – უხაროდა ზაკონს, თითქოს დღე-დღეზე ცოლად უნდა მოეყვანა.

გილერმო მეორედ რომ ვნახე, ის და ელისი რაიონის ცენტრში, პარკში, ზედ ბესარიონ ქებურიას საფლავის წინ ისხდნენ და ერთმანეთს კოცნიდნენ. ხანში შესული ხალხი უკმაყოფილოდ აქნევდა თავს, ბავშვები ტელეფონით ვიდეოებს უღებდნენ, ბესარიონ ქებურიას ბიუსტი კი, კმაყოფილი, ულვაშებში იღიმებოდა, რა გააკვირვებდა,

ქვეყანა ჰქონდა კაცს ნანახი, ბოლოს და ბოლოს, ეიფელის კოშკს პირველმა შემოუფრინა.

როგორც ერთხელ ელისმა მითხრა, თურმე გილერმო ჩემზე ეჭვიანობდა. ზემოთ, ოსინდალეს წმინდა გიორგის ეკლესიასთან ვისხედით. ქვევით, ჰორიზონტამდე გაშლილ ვაკეზე გაბნეული სოფლები თხელ ბურუსში იყვნენ გახვეულნი.

– ამბობენ, რომ მზის ჩასვლისას აქედან ზღვა ჩანს. – ვუთხარი ელისს.

– დაველოდოთ მზის ჩასვლას?!

– დაველოდოთ.

ელისს ჩემს მხარზე ედო თავი, ჩუმად ვისხედით.

– ახლა გილერმო რომ გვიყურებდეს, გაგიჟდებოდა, შეიძლება მაჩეტეც დაეძრო. ან ისე გცემდა. – გაიცინა ელისმა.

– შენი აზრით მე გილერმოს თავს ვაცემინებ?! – ცოტა არ იყოს გავბრაზდი. – და სერთოდაც, იცი, ვის ჰგავს?!

– ვის?

– კლონირებისას გაფუჭებულ ეუხენიო დერბესს!

ელისს არ სწყენია, სიცილით მოკვდა. თვითონაც მომეწონა უცებ მოფიქრებული ჩემი ხუმრობა.

მზის ჩასვლამდე დავრჩით, მაგრამ არანაირი ზღვა არ გვინახავს.

მეორე დღეს ელისის დაბადების დღე იყო. მასპინძლებმა დიდი სუფრა გაუშალეს. სხვა სკოლების უცხოელი მასწავლებლები და მთელი ჩვენი სკოლა იქ იყო. ელისმა

იმდენი მაცეკვა, ცხოვრებაში რომ არ მიცეკვია. გილერმო მეხუთე ჭიქაზე დათვრა და, თამადის წინააღმდეგობის მიუხედავად, მეტი აღარ დაულევია. გვიანობამდე ვსვით.

– გილერმო ამაღამ ჩემთან დარჩება! – გადაულაპარაკა ელისმა დიასახლისს. შევატყვე, ქალს დიდად არ ესიამოვნა ეს ამბავი. კარგა ხანს იწრიალა, ბოლოს ქმართან მივიდა და რაღაც ჩასჩურჩულა.

– მე აქ ბორდელი კი არ მაქვს! – მთვრალ ქმარს პასუხი ზედმეტად ხმამაღალი გამოუვიდა, სუფრის წევრები ახარხარდნენ.

ელისი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. გილერმო და სტუმრები რომ წავიდნენ, ნელ მუსიკაზე ერთიც ვიცეკვეთ.

– თუ გინდა, ამაღამ ჩემთან წამოდი! – ვუთხარი ელისს.

– არა, აქ ვიქნები. ყველაფერი კარგადაა! – მითხრა ელისმა, ღაწვზე მაკოცა და მეორე სართულზე ავიდა დასაძინებლად. შემორჩენილ სუფრის წევრებს დავემშვიდობე და სახლში წავედი.

შუაღამისას ელისმა ბარგი ჩაალაგა, რაიონის ცენტრამდე ფეხით იარა, ტაქსი იშოვა და თბილისისკენ გაუდგა გზას. როგორც ჩანს, მძღოლს ჩაეძინა და ტაქსი სოფელ ზანაში, თერმული წყლის შადრევანთან, გზისპირა ჯებირს შეასკდა.

დილით, ელისის ოთახში ასულმა დიასახლისმა კომოდზე მოკლე წერილი იპოვა: “თქვენ გული მატკინეთ!”

“თქვენ”-ში მასპინძელი ოჯახიც, მეც, მთელი ქვეყანაც და გილერმოც იგულისხმებოდა.

მანქანიდან გადავარდნილი ელისის ცხედარი, თერმული წყლის გუბეში, ზუსტად იმ ადგილას ეგდო, სადაც

გვირილების თაიგული ჩაუვარდა, როცა რამდენიმე დღით ადრე შადრევნის სანახავად წავედით.

ნატალია ზარნაძე

ცხოველი

ერთხელ ხმა გავიგე. ყური დავუგდე და რამდენიმე წამში მთელი სცენაც დავინახე:

– დედიკო, რა კარგი იყო,იცი? ისე მაღლა ვიყავიი! ცაში! ხელი მომკიდე... ნელა ჩამომსვი... კიდევ ბეეევრჯერ მომიყვანე ამ კარუსელზე! – დაიძახა აღფრთოვანებულმა ბავშვმა და აწოწილ, წაგრძელებულთავიან არსებას ხელები გაუწოდა, – ასეთი დაბადების დღე მინდოდა ზუსტად! – დაამატა ბოლოს გახარებულმა და დედას კისერზე მკლავები შემოხვია.

წარმოიდგინე, ბავშვიც რაღაცნაირი გაწელილი და გრძელთავა იყო. ჩემი აზრით, საკმაოდ შეუხედავიც. დედა-შვილს ორივეს თეთრი ფერი გადაჰკრავდა. უფრო სწორად, თითქმის ქათქათებდნენ. მაგრამ იქვე იყო მესამეც – სავარაუდოდ მამა. ისიც მათნაირი იყო, მთლად თეთრი, გრძელი, არაპროპორციული და მოკლეფეხება, მაგრამ განიერი მხრებით. სამივეს პრიალა, უბეწვო კანი ჰქონდა და ტანსაცმელი არ ეცვათ. შორს არ ვიყავი, მაგრამ სქესისათვის დამახასიათებელი ნიშნები მათ სხეულებზე გაჭირვებით აღმოვაჩინე – თითქმის არ ემჩნეოდათ უკიდურესად პატარა ზომების გამო!

მიმოვიხედე. კარუსელების პარკში უამრავი ასეთი არსება ირეოდა. ორგანოები ქალებსაც და კაცებსაც საოცრად პაწაწინები მოუჩანდათ: ქალებს მუწუკებივით ძუძუკები ასხდათ და სარცხვინელი თითქმის უხილავი ჰქონდათ, კაცებს კი ასანთის ღერივით საცოდავი წანაზარდი გამობმოდათ. არადა ჩემზე 3-ჯერ მაღლები იყვნენ. საერთოდაც უშნოდ გამოიყურებოდნენ, სიამოვნებით ვაგრძნობინებდი სხვანაირთა მიმართ საყოველთაოდ

დამკვიდრებულ ანტიპათიას, მაგრამ მაგისი დრო არ იყო. მე, როგორც მთხრობელმა ფოკუსი ამ არსებებზე იმიტომ შევაჩერე, რომ მათი ყოფა, გარგნობა, სამყარო ჩემთვის რაღაც ახალი და ძალიან საკვირველი აღმოჩნდა. ყოველთვის ბევრს ვმოგზაურებდი, იქაც კი მოვხვედრილვარ, სადაც არასდროს არავინ ყოფილა და იმათთანაც, ვინც დავკარგე. აი, ასეთი ხალხი კი არასოდეს მინახავს.

დედამ და მამამ ბავშვი (ანუ ტანით პატარა თეთრი არსება) კარუსელიდან ჩამოსვა, მოუალერსა და შემდეგ სამივე ერთად გაუყვა გზას...

ისინი, ვისაც ადამიანები უცხოპლანეტელებს ვუწოდებთ, ჩვენს წარმოდგენაში ძალიან სტერეოტიპულები არიან ყველა იმ აღწერის, გადმოცემის, ფოტოებისა და ვიდეობის გამო, რომლებიც მათ შესახებ არსებობს. მოცემულ მომენტში ჩემი, როგორც მთხრობელის, ინტერესი ამ უცხოპლანეტელებს მიეჯაჭვა და ალბათ ამიტომ აღმოვჩნდი ამ ოჯახის სიახლოვეს. ჩემს გადაადგილებას დედამიწიდან იმ პლანეტაზე კვანტურობა ახსნიდა, მაგრამ ახლა მაგაზე საუბრის დრო არ არის, რადგან აწმყოს ის პარალელური ხაზი, რომელშიც ახლა ჩემი და შენი ცნობიერება იმყოფება, ყველა შესაძლებლობას ვერ იტევს. მოკლედ, მხოლოდ იმისი თქმა მინდა, რომ ეს უცხოპლანეტელები არ ჰგავდნენ სხვადასხვა მასალაში ჩემთვის, შენთვის და მრავალთათვის აღწერილ ჰუმანოიდებს. გაოცებული შევყურებდი მათ და ვხედავდი... ისინი იყვნენ სამნი (დედა, მამა და შვილი), მაგრამ ამავე დროს ექვსნი! შეგიძლია წარმოიდგინო? სამი, რომელიც ექვსია... თითოეულს ყველაფრით მსგავსი შავი ორეული მისდევდა უკან, რომელიც თეთრის მოძრაობებს სინქრონულად იმეორებდა!.. მაგრამ, მოიცა, არა, ერთი-

ორჯერ შავებს განსხვავებული მოძრაობაც შევამჩნიე და ძალიან დავინტერესდი, რატომ დაირღვა სარკული ასახვის ეს პრინციპი.

მოკლედ, თავიდან მეგონა, რომ იმ სამყაროს ვაკვირდებოდი, რომელიც ორნაირი, შავი და თეთრი არსებებით იყო დასახლებული, წყვილად კი იმიტომ დადიოდნენ, რომ როგორც დაპირისპირებულებს, გამაერთიანებელი ძალა აკავშირებდათ, მაგრამ მალე თითოეული წყვილის წევრებს შორის სრულყოფილმა მსგავსებამ დამაფიქრა. ახლო-ახლო მოსიარულე ყველა შავი და თეთრი არსება გარეგნულად ზუსტად ერთნაირი იყო, მხოლოდ ფერით განსხვავდებოდნენ, ძირითადად ერთმანეთის მსგავსად მოძრაობდნენ და ამიტომ ვივარაუდე, რომ... მგონი ერთი არსების ორ ნაწილს ვხედავდი.

ორმაგი არსებები მთელ პარკში ირეოდნენ, სეირნობდნენ, კარუსელებით დაქროდნენ, ფოტოებს იღებდნენ და ჰამბურგერებით იღმურძლებოდნენ. სხვათა შორის, შევამჩნიე, რომ საკვებს მხოლოდ თეთრი არსებები მიირთმევდნენ...

აი, ოჯახი პარკის გასასვლელისაკენ გაემართა. მომეჩვენა, რომ ბედნიერები იყვნენ, ხელიხელჩაკიდებულები მიდოდნენ და იცინოდნენ (შავებს ეს არ ეხებათ, ისინი უკმაყოფილო სახეებით მათ უკან მიიზლაზნებოდნენ).

ის-ის იყო, შესასვლელის მანათობელ თაღს მიუახლოვდნენ, რომ უცებ შავი ბავშვი გაჭირვეულდა და მოკლე ფეხები ააბაკუნა:

– აქ მინდა, ااااქ! სახლში არ წამოვალ! კარუსელზე მინდა! ეხლავეეე! – აყვირდა და პატარა თითი ჰაერში

მოლიცლიცე, მწვანე წყლით სავსე გამჭვირვალე აუზისაკენ გაიშვირა, რომელიც სხვა ბავშვებს პარკის თავზე დააქროლებდა. მე ჩვენებური ‘‘ამერიკული მთები‘‘ გამახსენდა მისი ტრაექტორიის დანახვაზე. ყურადღება მივაქციე: თეთრი ბავშვი ჩუმად, მწუხარე სახით, თავჩაქინდრული იდგა, შავი კი გაალმასებული გაჰყვიროდა! მაშინ ვიფიქრე, რომ შავებს და თეთრებს საერთო შეგრძნებები უნდა ჰქონოდათ, რადგან შავი კარუსელზე არ დაუსვამთ, მაგრამ რატომღაც სწორედ მას უნდოდა ასე ისტერიულად ეს სიამოვნება!

– როგორ იქცევი, შვილიკო, სახლში უნდა წავიდეთ, მალე შენი სტუმრები მოვლენ! ბა, ხომ გახსოვს, რომ მეგობრები დაგპირდნენ, შენს დაბადების დღეზე აუცილებლად მოვალთო! – დაუყვავა თეთრმა დედამ თეთრ შვილს და თვალები შიშით მიატრიალ-მოატრიალა. შავი დედა კი დოინჯშემოყრილი იდგა და ყველაფერს ირონიული სახით ადევნებდა თვალყურს.

შავი ბა (ბავშვს ერქვა ასე, მიხვდი, ხო?) ახლა დაბლა გაგორდა და ტლინკები აყარა.

– მო, უთხარი რამე, – მიმართა შეწუხებულმა თეთრმა დედამ თეთრ მამას, – ხედავ? საკუთარ თავს ვერ აკონტროლებს! არ ვიცი, ეს რა გაიზრდება! ძალიან მეფიქრება...

– მამი, ასე მხოლოდ ძალიან ცუდი ბავშვები იქცევიან!.. ისინი, ვინც საკუთარ უარყოფით თვისებებს ვერ მართავენ! იმედს ნუ გაგვიცრუებ!.. გვინდა, შენმა დაბადების დღემ კარგად ჩაიაროს! თან ხომ შეიძლება ზნეობის პოლიციის ინსპექტორმა დაგვინახოს? ყველას დაგვაპატიმრებენ! წამოდექი! ახლავე! და წავიდეთ! – თეთრმა მომ ასეთივე

ფერის შვილს (და არა დაბლა გაგორებულ შავს) მხარზე ხელი დაადო და თვალებში მკაცრად ჩახედა.

თეთრი ბავშვი აღელდა, ლამის ატირდა, საკუთარ მეორე მეს, რომელიც დაბლა გორაობდა, ჩხაოდა და ტლინკებს ყრიდა, თავზე დაადგა, დაძაბული დააშტერდა და ჰოი, საკვირველებავ... რამდენიმე წამის შემდეგ დავინახე, მისმა უზნეო ნაწილმა თანდათან როგორ შეანელა კლაკვნა და ფართხალი, გავიგე, როგორ დაუწია ხმას და შემდეგ კი სლუკუნით წამოჯდა. თეთრ დედას უნდოდა, შვილის მანკიერ მხარეს წამოდგომაში დახმარებოდა და ხელიც გაუწოდა, მაგრამ ქმარმა გააჩერა:

– დო! საყვარელო! რას აკეთებ?! ჩვენი შვილი დღეს რვაასი წლის გახდა! ის ვალდებულია, ისწავლოს თავისი საქციელის გაცნობიერება და თვითონ შეძლოს საკუთარ თავზე ზემოქმედება! წინააღმდეგ შემთხვევაში, ხომ იცი, მისი დადებითი ნაწილი ძალიან დასუსტდება და მის მართვას უარყოფითი ნაწილი დაიწყებს! ასე ბა ადამიანად ვერ იქცევა!

– მართალი ხარ... ოღონდ ნუ დამტუქსავ... უბრალოდ, გულმა აღარ გამიძლო... – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა დომ (ანუ დედამ) და მერე თეთრი ბავშვის წინ ჩაიმუხლა: – ბა, მამიკო მართალია, ისე ადამიანად ვერ ჩამოყალიბდები, თუ თვითონ არ ისწავლი, როგორ აკონტროლო შენი ნეგატიური ნახევარი. თან იცი, რა? არ მინდა, შენც ის დაგემართოს, რაც მამიკოს მეგობრის, ბიძია ძას შვილს. ზნეობის პოლიციას დაუნახავს ქუჩაში როგორ ცუდად იქცეოდა ეს ბავშვი, უწმაწურ სიტყვებს გაჰყვიროდა, სხვა ბავშვებსაც იგივეს აიძულებდა და ყველანი ერთად გამვლელებს აფურთხებდნენ! არადა, იცოდა, რომ ცუდად იქცეოდა! მაგრამ საკუთარი თავის დამორჩილება ვერ

შეძლო. წარმოგიდგენია? ამ ბიჭმა თავისი დადებითი მეც კი გალახა, როცა ის მისი უსაქციელობის გამო დაღონებული დაინახა.

– ხოდა, იცი, ახლა სადაა? – განაგრძო დადებითი ქალის სათქმელი დადებითმა კაცმა დამრიგებლურად, – განუვითარებელ პიროვნებათა გამოსასწორებელ კოლონიაში! არ მინდა, შენც იქ მოხვდე... შენ გარეშე ჩვენი ოჯახი ბედნიერი ვერ იქნება... ვერ შევძლებთ იმაზე ფიქრს, როგორ მკაცრად გექცევიან ზედამხედველები...

თეთრი ბა, ისევე, როგორც შავი, შეშფოთდა. დედ-მამას გაფართოებული თვალებით მიაჩერდა. აქ უცნაური რამ მოხდა – ორივე ბავშვი ერთად ალაპარაკდა:

– იქ თქვენ არ იქნებით? რას მიზამენ? მცემენ? სისხლი გამომივა? მერე მეტკინება? ბოროტი კაცები და ქალები მეჩხუბებიან ხოლმე? – ბავშვს (შავსაც და თეთრსაც) თანდათან გული ამოუჯდა და აღნავლდა.

– ჯერ ერთი, ის კაცები და ქალები ბოროტები სულაც არ არიან, მათ რთული და საპასუხისმგებლო მისია აქვთ, – თქვა კეთილმა მამამ დარწმუნებით, – ისინი ჩვენი მთავრობის მიერ შერჩეული საუკეთესო ზედამხედველები არიან! მათ უნდა გამოასწორონ ისეთი ადამიანები, რომლებმაც დამოუკიდებლად ვერ მიაღწიეს განვითარების იმ დონეს, როცა პიროვნების წესიერ ნაწილს უკეთურზე გაბატონება და მისი დაკნინება შეუძლია. ახლა კი მეორე: ბა, ძალიან გთხოვ, გვაჩვენე, რომ ყოჩაღი გოგო, ხარ. გვაჩვენე მე და დედას, რომ მიხვდი შენს ცუდ საქციელს და შეგიძლია შენს მანკიერებას მოერიო!

– მიდი, შვილი, მიდი... ნუ შეშინდები! საკუთარი თავიც კი არ უნდა შეიცოდო, როცა ის უკან გხევს და შენს საუკეთესო მხარეს ებრძვის... ვიცი, ეს მტკივნეული იქნება, მაგრამ... განვითარების გზა ასეთია... – კეთილ დედას თვალზე ცრემლი მოადგა.

ამ დროს მის თვალსაწიერში შავი მამა მოხვდა, რომელმაც წარბები შეკრა, შავ შვილს თანაგრძნობით შეხედა და უკმაყოფილოდ გადააწიტა საკუთარი თეთრი ორეულის მიმართულებით. როგორც ჩანს, შავს გულის სიღრმეში კარუსელებზე ტრიალის მსურველი შვილის კარგად ესმოდა... კარგმა მამამ ცუდს მრისხანედ შეხედა და კბილების ღრჭენით რაღაც ჩაულაპარაკა. მოს თავისი ნეგატიური მხარე, ეტყობა, ძალიან დათრგუნული ჰყავდა, რადგან შავ კაცს ნირი წაუხდა და თავი უხალისოდ ჩაკიდა.

– დასაჯე შენი უარყოფითი მე, შვილიკო. მან ჭკუა უნდა ისწავლოს და თანდათან უნდა დასუსტდეს. შენ ისეთივე კარგი ადამიანი უნდა გამოხვიდე, როგორებიც მე და მამიკო ვართ, უთხრა ქათქათა დომ ქათქათა შვილს, ჩაიმუხლა და პატარას, რომლის მკლავებიც ხელებით ეჭირა, თვალებში სიყვარულით ჩახედა.

– დასაჯე შენი უარყოფითი მე, – განაგრძო კეთილმა მამამ, – დასაჯე, რომ სხვა დროს ასე აღარ მოიქცეს, არ იჭირვეულოს, მშობლებს არ აწყენინოს და მუდამ ახსოვდეს, რომ მას ხასიათის ნებისმიერი გამოვლინება სასტიკად ეკრძალება! თუ გინდა, რომ შენში ადამიანობამ, წესიერებამ და სათნოებამ გაიმარჯვოს, საკუთარ თავს მკაცრად უნდა მოექცე!

თეთრი ბა სლუკუნებდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და ლოყებზე დროდადრო წყვეტილი ნაკადები ჩამოურბოდა. როგორც ჩანს, ბავშვის საუკეთესო ნაწილსაც

კი ვერ დაეჯერებინა, რომ ისეთი სატანჯველი, როგორიც იყო პარკის დატოვება და კარუსელებზე უარის თქმა, ნამდვილად კარგ საქციელს წარმოადგენდა. ამიტომ დაბნეული იდგა და ეტყობოდა, რომ წუხდა. შავი ბა კი გაბოროტებული იყურებოდა და უგემურად ღნაოდა. დროდადრო ადგილზე ხტოდა და კისერგადაგდებული ხელ-ფეხს აფართხალებდა.

მშობლების დაჟინებული შეგონების შემდეგ, კარგმა ბამ ცრემლები მაჯით მოიწმინდა, დედას და მამას უნდობლად ახედა და ცხვირის სრუტუნით თავისი უარყოფითი მეორე ნახევრის წინ დადგა. შავი ბა შეიჭმუხნა, დაფრთხა და ღნავილი ნელ-ნელა შეწყვიტა. ბამ და ბამ თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. მომეჩვენა, რომ უარყოფითს სძულდა დადებითის აღმატებულება. ორივენი კრთოდნენ და ეტირებოდათ. ბოლოს კარგი ბა გაჩუმდა და ცუდს გულუბრყვილო გაბრაზებით უთხრა:

– მე უნდა მოგერიო შენ! შენ ვერ მომერევი! დაბლა გორაობა და ყვირილი ცუდი საქციელია! კარგმა ბავშვმა კარგ დედიკოსა და კარგ მამიკოს უნდა დაუჯეროს, შენს გამო ვაწყენინე მე მათ! ხოდა მიიღე! აი! მიიღე!

თეთრმა ბამ ღრმად ამოისუნთქა და შავ ბას ლოყაში სილა გაუჭირა.

ორივენი შეკრთნენ, კარგიც და ცუდიც. ორივეს ეტკინა! ადრეც ვვარაუდობდი და ახლა დადასტურდა, რომ მათ საერთო სენსორული შეგრძნებები ჰქონდათ, მხოლოდ ადამიანის ავკარგიანობის მიმართ კონცეპტუალური დამოკიდებულებით განსხვავდებოდნენ.

– კიდევ! ეს საკმარისი არ იყო! – მოითხოვა თეთრმა მამამ შეუვალი სახით.

– იქნებ არ არის საჭირო? უკვე იგრძნო ტკივილი თავისი შეცდომის გამო – ამოთქვა თეთრმა დედამ. შავმა ქალმა კი ქმარს ბრაზით, თან მშფოთვარედ შეხედა.

– საჭიროა, ძვირფასო. მეც არ მსიამოვნებს, ჩემი შვილი თავს რომ ცუდად გრძნობს საკუთარ დაბადების დღეზე. მაგრამ ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას განვითარებაში. რა გინდა, ჩამოგვართვან და თავშესაფარში გადაიყვანონ? მიდი, მამიკო, შენ ხომ მაგარი გოგო ხარ! მიდი, მოერიე შენს ცუდ ნაწილს.

თეთრ ბას, ისევე, როგორც შავს, ლოყა ეწვოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, დედა და მამა ღირსეული საქციელისკენ მოუწოდებდნენ. ხელი თრთოლვით აღმართა, თავის შეშინებულ, მობუზულ შავ მეს თვალი ისევ თვალში გაუყარა და კიდევ ერთი ალიყური აჭამა. ორივენი შეხტნენ. ორივემ თავი კრთომით დახარა და მათი ცხელი ცრემლები ჩემთვის უცხო პლანეტის მიწაზე ერთმანეთის მიყოლებით დაცვივდა.

* * *

მაღალი, ქონგურებიანი, ვერცხლისფერი ცათამბჯენების ლაბირინთში გაწოლილ ქუჩაზე ექვსნი მიაბიჯებდნენ, ანუ შავებისა და თეთრების სამი წყვილი. თეთრები ლაპარაკობდნენ, შავებს ამრეზილი სიფათები მიეღოთ, მაგრამ ყველანი მაინც ერთად, მწყობრი, პატარ-პატარა ნაბიჯებით სახლში მიიჩქაროდნენ. მე მათ მივყვებოდი... ვაკვირდებოდი... რომელიღაც მოსახვევში სვლა შეანელეს და შენობის კედლის გასწვრივ გამწკრივდნენ. მერე ერთმანეთის მიყოლებით შელაგდნენ ცათამბჯენის კენწეროდან დაშვებული მღვრიე და მთრთოლვარე ნივთიერების ფერად ბურთში, რომელმაც ოჯახი საკუთარ გარსში მოაქცია და ზემოთ აიტაცა. ლიფტი ერთ-ერთი

სართულის წინ გაჩერდა, მერე ალივლივდა, კედელს შეეზარდა, მასში გაიარა და ოჯახი საცხოვრებელ ბინაში გადასვა.

ოთახი დიდი და ნათელი იყო, ძალიან ცოტა ავეჯი იდგა, ინტერიერში მხოლოდ თეთრი ფერი გამოეყენებინათ, განსხვავებული შეფერილობის არაფერი დამინახავს. მამა, ეტყობა, გასეირნებამ დაღალა, ის ტახტზე წამოგორდა და კედელს ანიშნა, ტელევიზორის ეკრანი გამოსახულიყო. უარყოფითი მამა ტახტის გვერდით მჟავე სახით აიტუზა, როგორც ჩანს, მისთვის ნებივრობა იკრძალებოდა. დადებითმა კაცმა არ ისურვა ახალი ამბების შორიდან ყურება. ეკრანს ისევ ხელით ანიშნა რაღაც, ისიც კედელს გამოეყო, ლივლივით მოუახლოვდა, მომრგვალდა და მამა მოვლენების ეპიცენტრში მოაქცია.

კარგი ბავშვი სათამაშოებთან წამოგორდა. ცუდი კი ფეხზე დადგა და გაფართოებული თვალებით თამაშის პროცესს დააშტერდა – მას თამაში ეკრძალებოდა. ახლოს მივცურე და მაღლიდან დავინახე: ბა შავ-თეთრი თოჯინების წყვილით თამაშობდა. შავს რამდენჯერმე რაღაც ჩაადენინა, რაზეც თეთრმა უყვირა და თმებით დაითრია. გოგონას ბოლოს ეს თოჯინებიც მობეზრდა და გვერდზე მიყარა.

უკვე სტუმრებს ელოდნენ, ბას დაბადების დღე უნდა აღენიშნათ. დედა სამზარეულოში გავიდა და კერძების გამოტანა დაიწყო. უარყოფითი დედა ისევე შრომობდა, როგორც დადებითი, ოღონდ სახეზე ვატყობდი, ხმის ამოღების უფლება რომ ჰქონოდა, აუცილებლად აჯუჯღუნდებოდა უამრავი საოჯახო საქმის გამო. ცოტა ხანში ქუჩის მხარეს მდებარე კედელზე ბას მსგავსი პატარა არსებების სახეები გამოიკვეთა, იდგნენ და ხელებს

იქნევდნენ. მათი ხმებიც ისმოდა, მოვედითო, ყვიროდნენ. ბავშვი წამოხტა და კედლისაკენ გაიქცა. მისი მეგობრები მოსულიყვნენ და კედლის მიღმა, მთრთოლვარე ნივთიერების ლიფტში იცდიდნენ, რომ შემოსვლის ნებართვა მიეღოთ. კედელი ისე იყო დაპროექტებული, რომ ლიფტის შიდა გამოსახულების ჩვენება შეეძლო. დედამ კედელს ანიშნა, ლიფტი გამოეტარებინა. ფერადოვანი გარსიდან ბავშვები გადმოლაგდნენ და ჟივილ-ხივილით პატარა თეთრ ბას მისცვივდნენ. შავი ბა და შავი ბავშვები თეთრ ორეულებს უკან ამოსდგომოდნენ და უხერხულად იღიმებოდნენ, მივხვდი, ერთი სული ჰქონდათ ერთმანეთს გადახვეოდნენ, მაგრამ, ეტყობა, კავშირი ეკრძალებოდათ.

ოთახი ბავშვებით აივსო. ჭყიოდნენ, ბღლარძუნობდნენ და ხითხითებდნენ. დიდი ყუთი მოეტანათ, დაახლოებით ჩემი სიმაღლის. ყუთი წითელი ლენტებით იყო შეკრული, ოთახის შუაგულში დაედგათ და გახსნას მოუთმენლად უცდიდნენ. თეთრი ბავშვების ჯგუფს ერთი პატარა გოგონა გამოეყო და წყლისფერში გარდამავალი ცისფერი თვალების ციმციმით იუბილარს დასწავლილი ტექსტით მიმართა:

– ჩვენო კარგო, ბა! გილოცავთ დაბადების დღეს! ძალიან გვიყვარხარ! შენ ყველაზე ქათქათა ბავშვი ხარ პლანეტაზე! შენი ცუდი ნაწილიც კი... ისაა... – გოგონას ტექსტი დაავიწყდა.

– შენი ცუდი ნაწილიც კი არაა ძალიან ცუდი, – ჩუმად უკარნახა ერთმა ცქვიტმა ბიჭმა.

– ხო, შენი შავი ნაწილიც კი არაა ძალიან ცუდი! მაგრამ ჩვენი კლასი გისურვებს მის მორევას, რათა მისაბაძ და უსუფთავეს ადამიანად ჩამოყ... ისაა... ყალიბდე, ანუ

ისეთად, როგორებიც საყვარელი დედები, მამები, მასწავლებელები და მთავრობის წვერები არიან!

– წვერები კი არა, წევრები, – წამოიძახა თეთრმა ცქვიტმა ბიჭმა, მისმა უარყოფითმა ნახევარმა კი თავშეუკავებლად, ირონიულად გადაიხარხარა და შე შტეროო, დაუძახა გოგოს. თეთრი ბიჭი მაშინვე მიხვდა, რომ ცუდად მოიქცა და გაწითლდა. სასწრაფოდ მიუბრუნდა საკუთარ თავს და დაუყოვნებლივ სილა აფეთა სახეში. როგორც ჩანს, ძალიან მოინდომა, ალბათ იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ საკუთარ მანკიერებასთან ბრძოლა შესანიშნავად გამოსდიოდა. ამის გამო შავ ცქვიტ ბიჭს ცხვირიდან რუხი თხევადი ნივთიერება (როგორც მივხვდი, სისხლი) წასკდა.

ბავშვები აჩოჩქოლდნენ, დედა და მამა საშინლად შეწუხდნენ.

– ოჰ, შვილო, შვილო... შეცდომას დაუშვებთ და მერე გამოსწორება რამხელა წვალებად გიჯდებათ... წამოდი, აქეთ წამოდი... უნდა წამოგაწვინო. ძალიან ბევრი სისხლი გდის... – უთხრა დომ ცქვიტს დანანებით და ტახტისკენ წაიყვანა, მომ კი სტუმრის მამას დაურეკა.

რამდენიმე წუთში მფრინავი ტაქსით ბიჭის მშობლები მოცვივდნენ და შვილი წაიყვანეს. საწყალ ბავშვს დაბადების დღეზე დარჩენა უნდოდა, მისმა შავმა ნაწილმა გაჯიუტებაც სცადა, თეთრმა კი ისევ დააპირა მისთვის სილის შემორტყმა, მაგრამ დედ-მამამ არ დაანება. მშობლებს შეეშინდათ, რომ ცუდი შვილი ბევრ სისხლს დაკარგავდა და ამის გამო ჯანმრთელობა ერთიანად გაუუარესდებოდა (პრინციპში, ეგ ხო დედამიწელებისთვისაც მასეა: როცა ერთი მხარე იტანჯება, მეორეც ვერ ხარობს და ვერ ირგებს ცხოვრებას).

მშობლების შფოთვამ ბიჭის თეთრი ნაწილი დააბნია. ის უხერხულობისაგან აცრემლდა.

ამ ბიჭზე ძალიან დამწყდა გული, მინდოდა ბოლომდე დარჩენილიყო მეგობრებთან ერთად, მაგრამ საკუთარმა სიმკაცრემ მოუჭრა გზა. მე რას ვიზამდი, მერე რა, რომ მთხრობელი ვარ და ეს ყველაფერი ჩემი ხედვის არეს მოიცავს. მითხარი, შენ შეგიძლია მართო ყველაფერი, რასაც ხედავ, ან გრძნობ? მაშინ შეცვალე ეს ამბავი იქ, სადაც შეცვლა ძალიან მოგინდება.

* * *

ისე, რატომ არ მეკითხები, როგორ ვიგებ ამ არსებების ლაპარაკს? ხო ზუსტად იცი, რომ მათი ენა არ ვიცი? სიმართლე გითხრა, ამ არასასიამოვნო სტვენა-ჟღრიალს ლაპარაკს ვერც დავარქმევ, მაგრამ მათთვის ეს ნამდვილად სასაუბრო ენაა. უბრალოდ მე სიტყვებისა და ფრაზების სემანტიკურ ველში ვიჭრები და ცნობიერება მათ აღნიშვნებზე ჩემში შენახული აღნიშნულების აბსტრაქტული სიმბოლოებით რეაგირებს. “წევრები“ და “წვერებიც“ ამ გზით გავიგე, ოღონდ არ ვარ დარწმუნებული, რომ მაინცდამაინც “წვერები“ თქვა დაზეპირების მოყვარულმა გოგომ. მე მხოლოდ სათქმელის დამახინჯების ფაქტი გადმოვეცი მარტივი ანალოგიის მეშვეობით.

ახლა მეკითხები, მანდ როგორ მოვხვდი. როგორ და რაც დავიბადე, აქა ვარ. ანუ ჩემს მოგზაურ გონებაში. უფრო სწორად, მოგზაური გონება ვარ და საკუთარ თავში ვზივარ. მე არავითარ შემთხვევაში არ მოვიქცევი ისე, როგორც ზოგი სხვა მთხრობელი, რომელიც ამბავს ისე ჰყვება, თითქოს მისი მონათხრობი ამბავი უბრალოდ “დევს“ დროსა და სივრცეში, ნაწარმოებს ისე იწყებს და

ამთავრებს, რომ უჩინმაჩინის როლს ინარჩუნებს და პირადად მას ვერსად გადააწყდები. ამ დროს მინდება, შევაბიჯო ნაწარმოების არეალში, დავინახო იქვე, შორეულ მარჯვენა მხარეს ლანდივით ასვეტილი ავტორი, მივეჭრა მას, რომლის ხმაც ყველა მკითხველს ჩაესმის, ხელი ცხვირთან მივუტანო და დავუყვირო: “საიდან იცი? აბა, მითხარი, საიდან იცი, რაზეც ლაპარაკობ? ვინ გითხრა ის, რასაც შენი პერსონაჟი ფიქრობს? საიდან იცი, რაც მას თავს გადახდა, თუ ყველაფრის დამკვირვებელი არ ხარ, თუ იქვე არ იმყოფები, შე უტიფარო? ოღონდ არ მითხრა, რომ შენ ყველგან ხარ და ყველაფერს მსჭვალავ! დიდი რამე! ეს არ შველის იმ სიყალბეს, რომ სათქმელს მე-3 პირში გადმოსცემ და არა პირველში! ამას იმიტომ აკეთებ, რომ ყველაფერს მიუკერძოებელი, ობიექტური, თავისთავადი იერი მისცე! მაგრამ შენი არ მჯერა! რადგან საერთოდ ხარ, მაშინ შენც, როგორც ყველა დანარჩენი, ხარ მიკერძოებული და სუბიექტური! საკუთარი თავის არსად გამოჩენით რეალობას მხოლოდ ამახინჯებ... რეალობაში ახლა მე უფრო გულწრფელობას ვგულისხმობ, ვიდრე ფაქტების ასახვის სიზუსტეს! საერთოდ, დიდი მზაკვრობაა ჩადებული იმაში, რომ გადმოსცე ამბავი და იქ შენ არ იყო, არადა შენც პერსონაჟი ხარ! თუ ამას ვერ გრძნობ, არ გენდობი“!

* * *

მოკლედ, ცქვიტი ბიჭის წაყვანის შემდეგ დედამ ტორტის შემოტანა დააპირა.

მოულოდნელად ოთახში კიდევ ერთი ქალი გაჩნდა. არ იყო და... უცებ მოვიდა!.. ერთ წამში!

– მასწავლებელო, მასწავლებელო! – აჭყიპინდნენ ბავშვები და თეთრ ქალს შემოეხვივნენ. შავი კი

მოკრძალებით კუთხეში დადგა და თავი დახარა – როგორც ჩანს, ძალიან კარგად იყო ალაგმული და თითქოს რცხვენოდა, რომ არსებობდა. თეთრი დო და მო გახარებულები მიეგებნენ:

– მოხარული ვარ, რომ მობრძანდით, ასეთი კარგი სტუმარი ყოველთვის გაგვახარებს, – გაუღიმა მამამ და მომეჩვენა, რომ მისი შავი მე ოდნავ აწითლდა.

– ქალბატონო პე! არ გელოდით! როგორ გაგვახარეთ! – ხელები გაშალა დედამ.

– მაპატიეთ, რომ ასე მოულოდნელად მოვედი, მახსოვდა სადაც ცხოვრობდით, თან ბამ ძალიან გულიანად დამპატიჟა, – გაიცინა მასწავლებელმა, – სამწუხაროდ, მალე დაგტოვებთ, პედაგოგთა კრებას უნდა დავესწრო სკოლაში. ტელეპორტირებაც ამიტომ დამჭირდა, რომ გზაში დრო არ დამეკარგა...

– დიდი მადლობა, რომ ასე შეწუხდით... თან ტელეპორტირება... რამხელა ფსიქოენერგია დაგეხარჯებოდათ... – ხელები გაოცებით გაშალა დედამ.

– აჰ, არაუშავს. ბას შევპირდი, აუცილებლად უნდა მოვსულიყავი, – თქვა ქალბატონმა პემ და თვალები სათნოდ მინაბა.

– მოდით, ტორტს შემოვიტან, მგონი დროოოაააა, – ჩაიღიმა დედამ და ოთახიდან გავიდა.

ის გოგონა, რომელმაც მისალოცი სიტყვა წარმოთქვა, ისევ ბავშვების შუაში ჩადგა, ხელები გაშალა და მეგობრებს ისევ დასწავლილი არტისტულობით მიმართა:

– ბავშვებო, ახლა კი საჩუქრის ყუთი გავხსნათ!

იუბილარი (შავიცა და თეთრიც) მოუსვენრად ცქმუტავდა, მოტანის მომენტიდან ყუთს გვერდიდან არ შორდებოდა და გარშემო უტრიალებდა.

– მოდით, მე გავხსნი, – თქვა პე მასწავლებელმა, ბას თავზე ხელი გადაუსვა და შეფუთულ საგანს მიუახლოვდა. იუბილარის ორივე სხეული განზე გადგა და თვალებიც ორივეს ცნობისმოყვარეობისგან დაეჭყიტა. ბავშვები ღელავდნენ და კისრებს იგრძელებდნენ, დედა ტორტით ხელში იდგა მზრუნველი ღიმილით გაბრწყინებული მამის გვერდით.

პემ ჩაიმუხლა, იუბილარს მოუხმო და ყუთზე შემოხვეული წითელი ლენტი გამოსწია. ბაფთა გაიხსნა. მერე ბაც დაეხმარა და შეფუთულ საგანს მბზინავი ქაღალდი ორივემ შემოაცალა. მომეჩვენა თუ მართლა ასე მოხდა, არ ვიცი, თითქოს საჩუქარი შეინძრა... ყუთს თავი ახადეს, ბამ თვალები უფრო გააფართოვა და კისერიც მეტი მოუთმენლობით წაიგრძელა. მერე პემ ყუთი ფრთხილად გადმოაბრუნა. იქიდან რაღაც გადმოვარდა.

თვალებანთებულ ბას უეცრად სახე შეეშალა, ჰაერში გიჟივით შეხტა, ვაიმეო, დაიწივლა და ხელების ქნევით ცეკვა დაიწყო:

– როგორ მინდოდა ეს ცხოველი, როგორ მინდოდა?! ვაშაა! ვაშაა! ჩემი ოცნება ასრულდა, ხალხოო! – მშობლებს ყვირილით მივარდა ბავშვი, – დედიკო და მამიკო, სიმართლე მითხარით, თქვენ უკარნახეთ ჩემს კლასელებს, რა უნდა ეყიდათ?

დედ-მამა ნაზად იღიმებოდა. თავს დამტკბარი სახით აკანტურებდნენ. შავი ბა კი თეთრთან ერთად იგრიხებოდა და ცეკვავდა.

– კი, საყვარელო, შენს დედიკოსა და მამიკოს შევუთანხმეთ მე და შენმა მეგობრებმა ყველაზე მეტად რა გაგახარებდა და აი, მოგიყვანეთ კიდეც, – უთხრა ალერსიანად პე მასწავლებელმა, – ოღონდ დედას ნუ აჯანჯღარებ, თავდაჭერილად შეხვდი სიხარულს, კარგი?

ბავშვები ჯგროდ შემოეხვივნენ ცხოველს და მათ შორის ძლივს დავინახე ნაჩუქარი არსება. ვინაიდან ბას კლასელები ჩემზე ბევრად მაღლები იყვნენ, ისევ ზევით აცურვა და იქიდან გადმოხედვა ვარჩიე. მე, როგორც ავტორს, ეს არ გამჭირვებია.

აჟივჟივებული ბავშვების წრეში ადამიანი იწვა. ჩემნაირი ადამიანი, ჩემთვის ნაცნობი სახით. გაბრუებული იყო, თვალებს ვერ ახელდა, წამოწევას ცდილობდა, მაგრამ თავის შემაგრება უჭირდა და ისევ დაბლა ეცემოდა.

– მალე გამოფხიზლდება, სულ ახალი ჩამოყვანილია თავისი პლანეტიდან. ამ ჯიშს შორეულ გალაქტიკაში იჭერენ, წამოყვანამდე წამალს უკეთებენ, აძინებენ, რომ წინააღმდეგობა არ გასწიოს და გზაში არ იფართხალოს. ცოტა ხანში წამალი გაუვლის, ფეხზეც დადგება და შენთან ერთადაც ითამაშებს! – იცინოდა პედაგოგი ქალი.

– ღმერთო ჩემო, ეს რა ახალი მოდაა, ახლა ამ ბიზნესს ააგორებენ და უამრავ ასეთ ცხოველს შემოიყვანენ... ბავშვები გადარეულები არიან! ჩემი დაქალების შვილებიდან ყველა ასეთის ყოლაზე ოცნებობს – იცინოდა დედა და ცხოველს ათვალიერებდა.

ბავშვები ამ ახალი სათამაშოს ირგვლივ ჩაცუცქულიყვნენ და ყველა სათითაოდ ცდილობდა მისთვის თავზე ხელის გადასმას. რამდენიმე იქადნებოდა, რომ მშობლები მათაც აჩუქებდენ ასეთ ცხოველს.

– პატარებო, ძალიან ნუ გადაჰყვებით თამაშს, ხვალისთვის დავალებები გაქვთ... მე კი ახლა უნდა დაგემშვიდობოოოთ, სულ 1 წუთი მაქვს, მასწავლებელთა კრება იწყება, ავატარით დასწრებაც შემიძლია, მაგრამ ახალი დირექტორი გვყავს, რომელიც რეალურ კონტაქტს ითხოვს და ამბობს, ნატურალურობა სიკეთის სათავეაო... აბა, კარგი დრო გაატარეთ! წავედი მე!.. – გამოცხადა პემ, ყველას გაუღიმა, ხელი დაუქნია, თვალები დახუჭა, საფეთქლები წრიულად მოისრისა, როგორც ჩანს, ფსიქოენერგიის გააქტიურებას ცდილობდა და მოახერხა კიდეც, რადგან რამდენიმე წამში გაქრა – ტელეპორტირების მეშვეობით პედსაბჭოზე გადაინაცვლა.

* * *

იატაკზე ადამიანი ეგდო. ანუ ადამიანი ისეთი, როგორსაც შენ იცნობ და არა ისეთი, როგორებიც უცხოპლანეტელები იყვნენ. ისინი ხომ საკუთარ თავს მიიჩნევდნენ ადამიანებად, ჩვენ კი მათთვის სხვა გალაქტიკაში მცხოვრები განუვითარებელი არსებები, ანუ ცხოველები ვიყავით. ადამიანი (ანუ ცხოველი) დროდადრო თვალებს ახელდა და იატაკიდან წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ წამოჯდომასაც ვერ ახერხებდა, მალე ისევ ეცემოდა და უნებურად ძილი ართმევდა თავს... ბა და მისი კლასელები სიყვარულით დასტრიალებდნენ გარშემო, დარბოდნენ, მაგიდიდან საჭმელს იღებდნენ და პირში ტენიდნენ. მერე ყუთის შიგნით პირსახოცი ჩაფინეს, რომ იუბილარის ახალ სათამაშოს არ შესცივნოდა, ცხოველი შიგნით შესვეს და გამოსასვლელთან თეფშით წყალიც დაუდგეს. ბოლოს იმაზე დაიწყეს მსჯელობა, რა დაერქმიათ ამ არსებისთვის და კინაღამ კამათი მოუვიდათ... დედა კისკისებდა, მამამ კი ვერ მოითმინა, მათ საუბარში ჩაერია და გამოაცხადა:

– ბავშვებო, ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საჩუქარი თქვენ ბას მოართვით, ამიტომ სახელის დარქმევაც მხოლოდ მას შეუძლია. არა, რჩევების მიცემას არავინ გიშლით, მაგრამმმ... – ბავშვები გაისუსნენ, მამამ კი ხელების შლით განაგრძო: -მაგრამ ერთ რჩევას მეც მოგცემთ, თუ გინდათ გაითვალისწინეთ, თუ გინდათ – არა! მე ყურცქვიტას დავარქმევდი, ნახეთ რამხელა ყურები აქვს, აღნაგობით თითქოს წაგვაგავს, მაგრამ ყურები დიდი აქვს.

მართლაც, ამ ცივილიზაციის წარმომადგენლებს ყურები თითქმის არ აჩნდათ, გენიტალიებისა არ იყოს. ახლა ვხვდები, მათი გენიტალიები ვნებების კონტროლის წარმატებულმა მცდელობამ დააკნინა. გავარკვიე ისიც, რომ თურმე შიშველი სიარული შეუნიღბავობის გამოვლინებას წარმოადგენდა...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შორეულ პლანეტაზე დაჭერილ არსებას, რომელსაც ცხოველად მიიჩნევდნენ, ყურცქვიტა დაარქვეს.

* * *

იუბილარის კლასელებმა ერთი-ორი საათის განმავლობაში ცელქობით გააყრუეს ბინა, მერე, ფანჯრებში რომ შებინდდა, თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ... ისე მოხდა, რომ ამ პერიოდში ცხოველს არ გაუღვიძია, იწვა ყუთში პატრონების პირსახოცზე და ფშვინავდა. ეტყობა გულში რაღაც ცუდი ჩაჰყოლოდა, ალბათ პანიკა, რომელიც დაჭერის მომენტში გაუჩნდა, რადგან დროდადრო კრთოდა, ხან დარდიანად კვნესოდა და წმუკუნებდა. შეგიძლია წარმოიდგინო, რა გადაიტანა იმ მომენტში, როცა ეს შავ-თეთრი არსებები მასზე ნადირობდნენ? ალბათ ენით გამოუთმელი უსუსურების განცდა და განადგურების შიში.

პატარა ბა ყუთის გვერდით ჩამოჯდა და ყურცქვიტას გაღვიძებას დაუდარაჯდა. მამამ ჰოლოგრამულ ჩატში მეგობრებთან საუბრის გაბმა გადაწყვიტა, მეორე ოთახში გავიდა და დაიბარა, ნამეცადინები დამხვდიო. ბამ სიტუაციური ამოცანების ამოხსნა დაიწყო, რომელიც ჰოლოგრამულ კომპიუტერში მასწავლებელმა გადმოუგზავნა. ამ პლანეტის ბავშვები სასკოლო საგნების შესწავლას ძალიან მოკლე დროს უთმობდნენ. მე რამდენიმე წუთით პეს ავედევნე და მასწავლებელთა კრებაზე შეკრებილებს მოვუსმინე. იქ გავარკვიე, რომ ცოდნის ჩაწერა ბავშვების ტვინში ტექნოგენური საშუალებებითაც შეეძლოთ, მაგრამ სააზროვნო უნარების განვითარებისთვის მეცადინეობას მაინც ავალდებულებდნენ. სააზროვნო უნარების განვითარება კი იქაურ ადამიანებს ძირითადად კარგისა და ცუდის გარჩევისთვის სჭირდებოდათ. ტვინში ჩაწერილი განათლება კი გამოიყენებოდა ტექნოლოგიების შექმნასა და განვითარებაში, მეცნიერებაში, ეკონომიკის მართვაში და ა. შ. მაგრამ კარგი და ცუდი საქციელი ადამიანებს მხოლოდ განვითარებული აზროვნებით უნდა გაერჩიათ. ამიტომ სკოლებში საგნობრივ დისციპლინებზე მეტი დრო წესიერებისა და სათნოების შესწავლას მიჰქონდა. შავი მოსწავლეები მუდამ თეთრ ნახევრებს ესხდნენ გვერდში (ერთმანეთთან დიდი მანძილით დაშორება არასოდეს შეეძლოთ, რადგან მათ შორის უხილავი მიზიდულობა არსებობდა), მაგრამ როგორც სხვაგან, არც აქ ჰქონდათ საუბრის, ან აზრის გამოთქმის უფლება. არსებობდა დისტანციური სწავლების განმახორციელებელი სკოლებიც, მაგრამ ცოცხალი ურთერთობები ამ პლანეტაზე უფრო სასურველ ტენდენციად ჩაითვალა ადამიანურობაზე აქცენტის გამო.

სანამ ბა მეცადინეობდა, ყურცქვიტას სუნთქვა თანდათან დაუწყნარდა. დედამ ბავშვს ვახშამი შესთავაზა და ის-ის იყო, ორივე რაღაც ვარდისფერი სითხის დალევას აპირებდა, რომ ცხოველი ყუთიდან გამობობღდა და ფეხზე წამოდგა. ბავშვმა ფხაკუნი გაიგო და უკან ელვისებურად მიტრიალდა.

– ჩემი ყურცქვიტა! ჩემი მეგობარი! უნდა ჩავეხუტო! – დაიყვირა პატარამ, დისკისებური მოწყობილობა (ანუ, როგორც მივხვდი კომპიუტერი), რომელზეც ვიზუალური მასალა იყო ჰოლოგრამულად გაშლილი, მიაგდო და სახლის ახალ ბინადარს მივარდა. ხელი დასტაცა და გულში ჩაიხუტა. იმ საცოდავს კი თავისზე ორჯერ მაღალი არსების დანახვაზე გული გაუსკდა და გაქცევა სცადა, მაგრამ აღტაცებული ბავშვი შესაშურად მარდი აღმოჩნდა და ცხოველი ხელებში მოიგდო. შავი ბა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ყველაფერს და ერთი სული ჰქონდა მასაც დაეჭირა ყურცქვიტა, მაგრამ რადგან გართობა ეკრძალებოდა, თავს ბევრის უფლება ვეღარ მისცა. უბრალოდ თავის თეთრ ნახევარს აჩრდილივით დაჰყვებოდა გვერდით და შავ თვალებს მოუთმენლობისაგან აბრიალებდა. ბავშვის მკლავებში მოხვედრილი ცხოველი ფართხალებდა, იკლაკნებოდა. ხელ-ფეხს თავგანწირვით იქნევდა და ღმერთო, ღმერთო მიშველეო, თავის ენაზე გაჰკიოდა. დედა ძალიან შეშფოთდა და შვილს მივარდა:

– დასვი, დასვი! ძალიან ავი ჩანს! არ დაგკბინოს! ისე ჩხავის, მგონია, იმუქრება!

ხმაურზე მამა გამოვიდა მეორე ოთახიდან და დაიძახა:

– რა ხდება?! ეს თუ ასეთი საშინელება გამოდგა, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე! მომეცი აქ! ტუალეტში დავამწყვდევ!

თფუ, საჩუქარიც ასეთი უნდა, რა!

ბა განერვიულდა და აღნავლდა. მისი შავი ნაწილი კი დაბლა გაგორდა, თავი იატაკს რამდენჯერმე დაახალა და ამოიხავლა:

– არ წამართვათ, არ წამართვაااათ! – სასოწარკვეთილი მამას ფეხებზე შემოეხვია, აქაოდა ჩემს თეთრ მეს არ მიუახლოვდე და ყურცქვიტა არ წაჰგლიჯოო.

– ოჯახში განხეთქილება გაჩნდება... ბავშვი უკვე ძალიან ცუდად იქცევა, – ყბა მოიფხანა მამამ და შვილს (თეთრსაც და შავსაც) შეშფოთებით შეხედა.

გოლიათების გარემოცვაში მოხვედრილი შეშინებული ყურცქვიტა თითქოს მიხვდა, რომ ბავშვი არაფერს ერჩოდა, მოეჩვენა, რომ პირიქით, მის დაცვასაც ცდილობდა და ყვირილი შეწყვიტა. უკვე აღარ იგრიხებოდა და თეთრმა ბამ მისი გულში ჩახუტება მოახერხა. პატარას შეეშინდა რომ საჩუქარს წაართმევდნენ, შავთან ერთად გაიქცა და თავის ოთახში შეიკეტა.

– ხედავ? მისი უარყოფითი მხარე ძლიერდება. იმდენად ეგოისტურია მისი სურვილები, რომ კარგისა და ცუდის გარჩევა აღარ შეუძლია! ან შეუძლია, მაგრამ თავს უფლებას აძლევს, მისმა ცუდმა ნაწილმა იძლავროს, – დაღონდა დედა.

– ხო, სილაც კი არ გაარტყა საკუთარ თავს! ჩემი შვილისგან ამას წარმოვიდგენდი? – ჩაილაპარაკა მამამ. მისმა ნეგატივმა კი გაიფიქრა, რა ჩერჩეტი ყოფილა ეს პე, მაგრამ დიდი მკერდი კი აქვსო. თეთრ მოს შერცხვა საკუთარი აზრების და თავის თავს (შავს) მუშტი მოუღერა. გააცნობიერა, რომ არც მასწავლებლის შეურაცხყოფა ეპატიებოდა, არც ცოლის გარდა სხვა ქალის მუშტრის

თვალით ყურება და მიხვდა, რომ აზრების დამუხრუჭება მოუწევდა. ცოლს გაუკვირდა, ნეტა რა ფიქრი მოაწვა ასეთიო, მაგრამ დუმილი არჩია. ქმრის სულში ჩაძრომა იმ პლანეტაზე უტაქტობად ითვლებოდა.

* * *

წაგრძელებული და ორტანიანი არსებების ოჯახში დედამიწელი დასახლდა. დასახლდა, რა, შინაურ ცხოველად აქციეს და რას იზამდა, მუდამ ყვირილსა და ფართხალში ხომ არ იქნებოდა. ამას გარდა დარწმუნდა, რომ ბავშვს უყვარდა და ოდნავ დამშვიდდა.

ყურცქვიტას ძალიან ენატრებოდა თავისი ოჯახი, მეგობრები და ახლობლები, რომლებიც დედამიწაზე დარჩნენ და გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, არსებობდა თუ არა რაიმე გზა, როგორმე ისევ ჩვენს პლანეტაზე დაბრუნებულიყო. ვერაფრით მიეჩვია ვერც უცხოპლანეტელების ლაპარაკს და ვერც მათ არაპროპორციულ სილუეტებს. სამაგიეროდ დროდადრო, როცა ბა მას საყელურს უკეთებდა და პარკში ასეირნებდა, ხვდებოდა სხვა დედამიწელებს, რომლებიც სხვა უცხოპლანეტელების ოჯახებმა ასევე შინაურ ცხოველებად აქციეს. ალბათ ამის გამო იყო, რომ გულის ფანცქალით ელოდა იმ დღეებს, როცა ბას დასვენება ჰქონდა და ასეირნებდა ხოლმე. ყურცქვიტა და სხვა ადამიანები ზოგჯერ პარკში ერთმანეთთან საუბარს ახერხებდნენ, ჰყვებოდნენ, ვინ რომელი ქვეყნიდან, ან ქალაქიდან იყო და ძირითადად საკუთარ გასაჭირზე ლაპარაკობდნენ, რაც მუდამ გადადიოდა გაქცევის შანსების განხილვაში. მაგრამ როცა ბა ძელსკამზე არ ჯდებოდა და პარკში გაუჩერებლად სეირნობდა, დედამიწელებს, რომლებიც პატრონებს საყელურშებმულები მიჰყვებოდნენ, ერთმანეთისთვის

გვერდის ავლისას კისრები ეგრიხებოდათ და საბრალო ვაი-ვიშით ეხმაურებოდნენ თანამოძმეს. უნდა ითქვას, რომ ამ ორკომპონენტიან უცხოპლანეტელებს შინაური ცხოველების საუბარი სულ არ მიჩნდათ საუბრად, უფრო წკმუტუნ-ღავღავად აღიქვამდნენ და ურთიერთობის მათ სურვილს, როგორც უმაღლეს სოციალურ მოთხოვნილებას, უმნიშვნელო მოვლენად თვლიდნენ.

* * *

მეც ბას ოჯახში დავსახლდი, ანუ ჩემი მოგზაური გონება დასახლდა მათთან. იმდენად განსხვავებულები იყვნენ ჩემგან და შენგან, რომ ვერ მოვისვენებდი, მათ ყოფას არ დავკვირვებოდი. მოგზაურ გონებას ერთი მახასიათებელი აქვს – მას ვერ ხედავენ. ამიტომ ფართო ასპარეზი მქონდა, მათი ვახშმის მაგიდასთანაც ხშირად ვიჯექი, ბას მეცადინეობასაც ვესწრებოდი, სკოლაშიც მივყვებოდი, დოს მაღაზიებში დავდევდი და მოს კი სამსახურში ვეტორღიალებოდი. ეს კაცი (თუ შეიძლება ასე ეწოდოს ბუნებაში არსებულ რომელიმე შავ-თეთრ სულიერს) წყლის მომპოვებელ კომპანიაში მუშაობდა. ეს პლანეტა ძალიან მშრალი ყოფილა და აქაურები დედამიწის მსგავს პლანეტებზე სისტემატურად მიდი-მოდიოდნენ, იქ ღრუბლებს იჭერდნენ, კოსმოსური ხომალდებით მოჰქონდათ და ადგილობრივ ქარხანაში წყალს ხდიდნენ. ამ პროცესსაც საკუთრი თვალით ვუყურე. საერთოდ, აქ ყოფნის პერიოდში, ადგილობრივების ცხოვრების წესთან დაკავშირებით რაღაცები გავარკვიე და შენც გეტყვი:

1. ეს არსებები მიიჩნევდნენ, რომ მათი პიროვნების ორ ფიზიკურ სხეულად გამიჯნულობა ადამიანის აუცილებელი მდგომარეობა იყო და რომ სწორედ ამის გამო იყვნენ ძალიან სათნოები, სამართლიანები და წესიერები.

თვლიდნენ, რომ რაც უფრო გამოუხატავი, ჩახშული და მუნჯი ნეგატივი ეყოლებოდათ, მით უფრო პატივსაცემი პიროვნებები ხდებოდნენ. შავი მხარის გაძლიერება ადამიანობის დაკარგვის ტოლფასი იყო. თეთრი მხარე მხოლოდ კარგად იქცეოდა, შავი – მხოლოდ ცუდად, მათ ერთმანეთის უფლებრივი საზღვრები არ ერეოდათ.

2. ადგილობრივები ძირითადად გამხდრები იყვნენ, რადგან ძღომაზე ჭამა ცუდ საქციელად ითვლებოდა. მხოლოდ ზოგიერთს თუ დაარქმევდი ფერხორციანს და ისინიც სირცხვილით იწვოდნენ, რადგან ამ საზოგადოების დაბალ კასტად მიიჩნეოდნენ უნებისყოფობის გამო. ჰო, მართლა აქ კასტებად დაყოფა მოქმედებდა, მაღალ ფენას "დიდებულები" ეწოდებოდა და მათ თითქმის სრულად ჰყავდათ დამარცხებული თავიანთი ნეგატიური ნახევარი, ყველაზე დაბალ ფენას კი საკუთარი თავის ხელში აყვანა უჭირდა, ამიტომ მათ "გაჭირვებულებს" უწოდებდნენ. გაჭირვებულები ყველაზე ხშირად ხვდებოდნენ ციხეში, სადაც მათ გამოსწორებას ცდილობდნენ. მთავრობას ჰქონდა გეგმა, რომ ერთ საუკუნეში პლანეტაზე აღარ უნდა ყოფილიყო გაჭირვება და ამისათვის ბევრსაც მუშაობდა.

3. მთელ პლანეტას ერთი მთავრობა ჰყავდა, რომელიც ვალდებული იყო, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე ეზრუნა. კეთილდღეობაში პირველ რიგში იგულისმებოდა ადამიანობის აღზრდა-წახალისება და არაადამიანობის ამოძირკვა, მეორე რიგში – ეკონომიკური პროგრესი, მესამე რიგში კი წყლის მარაგების შექმნა და მისი სამართლიანი განაწილება, რადგან როგორც გითხარი, პლანეტა ძალიან მშრალი იყო.

წელიწადში ერთხელ გლობალური დღესასწაული იმართებოდა, რომელსაც უცხოპლანეტელები

პატრიოტული გრძნობით აღნიშნავდნენ. ამ დღეს ნებისმიერი მოქალაქის შავ ნაწილს უფლება ეძლეოდა, თუ რაიმეთი უკმაყოფილო იყო, მთავრობის ნებისმიერი წევრის უარყოფითი ნაწილი ეცემა, ოღონდ ეს არგუმენტებით უნდა დაესაბუთებინა – სანამ ცემას შეუდგებოდა, მის სურვილს მსაჯულები უნდა დათანხმებოდნენ. გალახული მთავრობის წევრი აუცილებლად უნდა გადამდგარიყო. ამას გარდა, უნდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი პიროვნება, სანამ მთავრობაში მოვიდოდა, იმის მიუხედავად, აშავებდა თუ არა რამეს, გამოსასწორებელ თავშესაფარში გადაჰყავდათ და ათასი საცდურითა და მკაცრი მოპყრობით ამოწმებდნენ.

4. რა თქმა უნდა, ვაცნობიერებდი ამ საკითხის ეთიკურ ასპექტსა და ინტიმურობის დაცვის აუცილებლობას, მაგრამ ძალიან მაინტერესებდა, როგორ მრავლდებოდნენ ეს არსებები და გავარკვიე კიდეც. საშინლად მინდოდა მცოდნოდა, შავ-თეთრი ქალი და შავ-თეთრი კაცი როგორ ახერხებდნენ ერთმენეთის ალერსს. ვინაიდან უჩინარი ვიყავი, ვერ მოვითმინე და დოსა და მოს საძინებელში ჩავსაფრდი. ჰმმ, წარმოიდგინე, ჩემი იქ ცხოვრების პერიოდში მომ და დომ მხოლოდ ორჯერ გაატარეს ღამე რომანტიულად, ისიც მოს მოკრძალებული თხოვნის შემდეგ... აღმოჩნდა, რომ ინტიმური სიახლოვე, როგორც ურთიერთობის მაგიით ტკბობის საშუალება, ამ პოპულაციაში ცოლ-ქმრისთვისაც კი არ ითვლებოდა მისასალმებელ ამბად. არა, დანაშაულსაც არ წარმოადგენდა, მაგრამ თავშეკავება მაინც უფრო ფასობდა. საერთოდ, შავები მეტად მონდომებულები იყვნენ ხოლმე და დოსა და მოს შემთხვევაშიც მეტი აქტიურობით გამოირჩეოდნენ. ჩემი მათთან ცხოვრების პერიოდში არაერთხელ სცადეს ერთმანეთის ალერსი,

მაგრამ თეთრებმა შეაკავეს. საერთოდ თეთრს მხოლოდ თეთრთან კავშირის უფლება ჰქონდა, შავს კი – შავთან, მაგრამ, როგორც წესი, შავები თეთრებს უფრო ესწრაფოდნენ. მაგრამ ვინ მიაკარებდა... ქორწინების გარეშე ნებისმიერი კავშირი კი უნებისყოფობად და ქარაფშუტობად ითვლებოდა.

ჰო, და მართლა, ერთხელ ერთი ძაან სამწუხარო ფაქტი მოვისმინე ტელევიზორით. აღმოჩნდა, რომ რომელიღაც პატივსაცემი ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწე გაგიჟდა. მისი უარყოფითი მხარე დროთა განმავლობაში გაძლიერდა, რის გამოც დადებითს მისი დასჯა ხშირად უწევდა. ეს კაცი საბოლოოდ ჭკუიდან შეიშალა, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო, რომ სრულად ვერც მანკიერ ნაწილში აღძრულ სურვილებს იკმაყოფილებდა და პლუს ვერც იმას, რომ წამდაუწუმ ძლიერი ტკივილის ატანა უწევდა, რადგან თავს ძალიან ხშირად ისჯიდა. გაგიჟების შემდეგ მისი თეთრი ნაწილი უცნაურად, მანერულად იგრიხებოდა, ხოლო შავი წუთში რამდენჯერმე – ბოდიშიო, გაიძახოდა და კუთხეში იყუჟებოდა, შიშისგან კანკალს იწყებდა. ერთხელ კი საბრალოს მოეჩვენა, რომ ორივე სხეულით შავი იყო, ძალიან განიცადა და თავის მოკვლა სცადა.

მერე გავიგე, რომ ამ პლანეტაზე ყველა სხეულებრივ დაავადებასა და ტრავმას კურნავდნენ, მაგრამ ფსიქიკური აშლილობის განკურნება ბოლომდე არ შეეძლოთ... ამის გამო პლანეტაზე მრავალი საგიჟეთი არსობობდა, რომელშიც ორსხეულიანი არსებები ფსიქოტიკური მდგომარეობის გამო ხვდებოდნენ. მთავრობა ამ ფართოდ ფეხმოკიდებული პრობლემის გამო მეტისმეტად წუხდა და შინაგანი ჰარმონიის მიღწევის უფასო ტრენინგებს სისტემატურად ატარებდა მოსახლეობისათვის.

5. ამ საზოგადოების ცხოვრების წესის კიდევ ერთი მახასიათებელი იყო ისიც, რომ მთავრობის წევრები დროდადრო ქალაქებში აგზავნიდნენ მფრინავ ეთერულ კედელს, რომელზეც ჩანდა გამოსახულება და ხმასაც გამოსცემდა. კედელი ქალაქებში დალივლივებდა და ყველას გასაგონად ღაღადებდა, რამდენად ამაღლებული პიროვნებები იყვნენ მთავრობის წევრები და როგორ ჰყავდათ დათრგუნულ-დაკნინებული თავიანთი შავი სხეული, თეთრი კი – გაძლიერებულ-აღზევებული, რის გამოც ყველა ვიდეორგოლი ტრადიციული შეძახილით მთავრდებოდა: “ადამიანო! ენდე ძლიერთ ამა ქვეყნისათა, მათში ძლიერია სათნოება!“

თავიდან მეგონა, თითქოს ამით ცდილობდნენ ქვეყანა დაერწმუნებინათ, რომ ხელისუფლებაში ყოფნას იმსახურებდნენ, მაგრამ მერე გავიგე, რომ თურმე მთავრობის წევრებად სპეტაკ პიროვნებად აღიარებულ ადამიანებს ირჩევდნენ და მფრინავი კედლის ქალაქში მოგზაურობა მისაბაძი მაგალითის დემონსტრირებას ემსახურებოდა. ამის გამო იყო, რომ კედელი იმდენად ხმამაღლა გრგვინავდა და ისე ანათებდა, რომ ყველა სხვა ხმას ახშობდა და ახლომახლო მდებარე ყველა შენობის ფანჯარაში მკვეთრ ფერებად იჭრებოდა.

– მგონი, ზედმეტი მოსდით, ყველაფერს თავისი ნორმა აქვს – ჩაიჯუჯღუნა ერთხელ მამამ, – რა უფლება აქვს მოქალაქეს, მთავრობას არ ენდოს და მის დამსახურებაში ეჭვი შეიტანოს? ეს დაზომბება რა საჭიროა? ან რატომ მართმევენ ჩემს ძვირფას დროს? როცა ეგ კედელი ყაყანებს, სხვას ვერაფერს მოუსმენ! ხალხს აღიზიანებენ! მე რომ ვიყო, მხოლოდ ამის ნახევარ შემთხვევებში გავუშვებდი კედელს, ამათი საქციელი თანდათან

ამპარტავნებას ემსგავსება! შემდეგ არჩევნებში ხმას მაგათ აღარავინ მისცემს!

ცოტა ხანში გავარკვიე, რომ მოს მამა, ბატონი ოპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოსტის დასაკავებლად კენჭს იყრიდა და საჭირო ხმები ვერ მოაგროვა. როგორც ჩანს, მოს გული სწყდებოდა მომხდარის გამო და მთავრობის თვითრეკლამაც ნერვებს უშლიდა.

* * *

გავიდა რამდენიმე კვირა. ყურცქვიტას პირველმა შოკმა გადაურა, მაგრამ უცხო გარემოს მიმართ შიშსა და სიძულვილს მაინც ვერ მოერია. ის ხომ ადამიანი იყო, მას თავის პლანეტაზე მეგობრებიც ჰყავდა, ახლობლებიც, ნათესავებიც, ყველა უყვარდა და რადგან განგებამ პოზიტიური ხედვის რაკურსით დააჯილდოვა, ეჩვენებოდა, რომ სხვებსაც უყვარდათ. სამსახურშიც კარგი თანამდებობა ეკავა, საინტერესო წიგნებსაც კითხულობდა, სოცქსელითაც სარგებლობდა, თავისი ტკივილიც ბევრი ჰქონდა, სიხარულიც და საფიქრალიც. როცა გააცნობიერა, თავს რა გადახდა და რა გარემოში აღმოჩნდა, კინაღამ ჭკუიდან შეიშალა, რამდენიმე ღამე გაბმულად ტიროდა, მაგრამ ეს მის პატრონებს უმნიშვნელო არსების უსარგებლო წკმუტუნი ეგონათ და უჯავრდებოდნენ. მხოლოდ პატარა ბას შესტკიოდა მასზე გული, საწოლიდან დგებოდა, ყუთიდან გამოჰყავდა, ოთახში აქეთ-იქით დაატარებდა და ეფერებოდა.

რაღაც დრო რომ გავიდა, ყურცქვიტამ ღამღამობით ტირილი შეწყვიტა, რადგან დარდისგან აპათია დაემართა, ანუ თითქმის სულერთი გახდა მისთვის ყველაფერი! ის კი არა, ზოგჯერ სულელური ხარხარიც უვარდებოდა. ხარხარებდა, ხარხარებდა და ვერ იგებდა, რატომ იყო

ცოცხალი, ან რა ფასი ჰქონდა სიცოცხლეს, რომელშიც ადამიანად არყოფნის სევდა ყველაზე მძაფრ განცდად იქცა. ხედავდა, რომ ამ ორსხეულიანმა არსებებმა ის ცოცხალ სათამაშოდ აქციეს და იმდენად ქედმაღლები იყვნენ, რომ მასში მხოლოდ შინაური ცხოველის როლის შემსრულებლის თვისებების დანახვა შეეძლოთ. არადა ის ქალი იყო.

* * *

ყურცქვიტა მუდამ მოუთმენლად ელოდა პარკში გასეირნებას. დედამიწელებთან შეხვედრის ერთადერთი შანსი ხომ სწორედ იქ იყო. როცა ხედავდა, რომ ბა საყელურს ხელში იღებდა, თვითონ გარბოდა მისკენ და აწყლიანებული თვალებით ევედრებოდა, მალე, რა, მალეო! პატრონიც მოსიყვარულე ღიმილით უკეთებდა საბელს და სჯეროდა, რომ ეს გასეირნება კეთილი საქციელი იყო, რის გამოც თვითკმაყოფილებას განიცდიდა.

ერთხელ პარკში სეირნობისას ბას მეზობელმა ბიჭუნამ თავისი შინაური ცხოველი, დედამიწიდან ჩამოყვანილი მამალი ინდივიდი გამოატარა. ბავშვები სკამზე ჩამოსხდნენ და სხვადასხვა ამბების მოყოლას შეუდგნენ. ყურცქვიტამ და მეზობლის ცხოველმა კი ერთმანეთი გაიცნეს და მაშინვე წუწუნი დაიწყეს.

როგორც დედამიწელმა მამრმა თქვა, უკვე კარგა ხანი იყო, აქ ცხოვრობდა, ბევრ თავისიანს შეხვდა ასეთი სეირნობების განმავლობაში და ერთი შემთხვევაც კი არ გაუგია, რომ აქედან ვინმე გაქცეულიყო. ის კი არა, თურმე ზოგ ოჯახში დედამიწელებს საკვებადაც იყენებდნენ, რადგან მათი ხორცი ძალიან მოსწონდათ. კაცი ძალიან გულგატეხილი იყო. ამბობდა, რომ ხატვის, საღაბავების,

ფუნჯის, მოლბერტის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. ცხოველის როლში აღმოჩენამდე ცნობილი მხატვარი ყოფილა, აქ კი თავს მხოლოდ მოძრავ ორგანიზმად გრძნობდა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ისიც კი თქვა, ეს ბავშვი გადაგდებული ჯოხის პირით მოცუნცულებას მაიძულებს და ცუგასავით მწვრთნისო. მოკლედ, გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ უახლოეს მომავალში დედამიწაზე დაბრუნებას ვერ მოახერხებდა, მაღალსართულიანი სახლის ფანჯრიდან გადამხტარიყო და თავი მოეკლა.

– არ გააკეთო ეს! არავითარ შემთხვევაში არ გააკეთო! – უყვირა ყურცქვიტამ მხატვარს, -როცა აღარ გგონია, ზოგჯერ საშველი ზუსტად მაშინ ჩნდება! და მაგის გარდა, შეიძლება სხვებმაც მოგბაძონ, ხვდები შენ?.. ჯაჭვური რეაქცია შეიძლება დაიწყოს და დედამიწელების მასობრივი სუიციდის მიზეზი შეიძლება გახდე! გინდა ეს? გინდა?

ყურცქვიტა ძალიან აღელდა სასოწარკვეთილი, სევდიანთვალებიანი მხატვრის გამო და დარწმუნების ყველა ხერხს მიმართა, რომ მას თვითმკვლელობაზე აღარ ეფიქრა:

– მისმინე, გახსოვდეს, რომ დღეიდან შენი მეგობარი ვარ!.. თუ თავს ცუდად იგრძნობ, გამიხსენე და იცოდე, რომ ვიღაც არის, ვისაც შენი წუხილი ესმის... თუ იმ დროს ახლოს არ ვიქნები, წარმომიდგინე და მესაუბრე! იცოდე, რომ ყურადღებით გისმენ... მეგობრობა დაუსწრებლადაც შესაძლებელია! ამ პარკში ჩემი და შენი სეირნობა ალბათ ყოველთვის არ დაემთხევა, მაგრამ ამ მეგობრობის იმედი ყოველ წუთში, ყოველ წამში გქონდეს!

მხატვარს ყურცქვიტას ანთებული თვალების ყურებისა და მღელვარე სიტყვების სმენისას მზერაში რამდენიმე ელვარე ნაპერწკალი გაუკრთა. მაგრამ ორ წუთში ისევ უღიმღამო იერი გადაეკრა. კაცმა ღრმად ამოიოხრა და თქვა:

– როცა შენ შენ არ ხარ, მეგობრობაც არ შეგიძლია... როგორ ვიმეგობრო შენთან? მე ხო უკვე მოვკვდი და არ ვიცი ახლა რას წარმოვადგენ, – კაცმა იასამნისფერ ცას ახედა და მხრების აჩეჩვით გააგრძელა, – თუ დედამიწელების მასობრივი თვითმკვლელობა დაიწყება, მე ამაში თავს დამნაშავედ არ ვიგრძნობ, ყველას თავისი არჩევანი აქვს. თან იცი, კიდევ რა არის? ამ სიტუაციაში თვითმკვლელობა წამებისგან გათავისუფლების ერთადერთი გზაა. რომ შემეძლოს, ყველა ჩვენიანს მოვუწოდებდი, დაკბინონ, საკაიფოდ დაკაწრონ, დაფხაჭნონ თავიანთი ახვარი პატრონები და მერე ყველამ თავი მოიკლას! აი, რა უნდა გავაკეთოთ სინამდვილეში ყველამ! ეს ერთადერთი მოქმედებაა, რასაც აზრი აქვს!

ყურცქვიტა მიხვდა, რომ კაცს ლაპარაკით ვერ გაამხნევებდა, პატრონის ფეხებთან, მიწაზე ჩამოჯდა და თავი მუხლებში ჩარგო. ორივე ხანგრძლივად გაჩუმდა. დადარდიანდნენ... თავის მხრივ, მხატვარი მიხვდა, რომ ქალს მასზე უკეთესი წარმოდგენა ჰქონდა და იმედი გაუცრუა. ცოტა ხნის შემდეგ დუმილი დაარღვია და ჰკითხა:

– ეს ერთი კაბა გაქვს?

ყურცქვიტას გაეცინა:

– რა ტანსაცმლითაც დამიჭირეს, იმით მომიწევს ჩემი პატრონების დაკბენა და მერე თავის მოკვლა. აბა გამოსაცვლელი სად ვიშოვო? მარტო ეს ბავშვი მაბანავებს

დროდადრო და ყველაფერს მირეცხავს. სხვა არაფერი მაქვს. რატომ მეკითხები? შენ გარდერობი გამოიყოლე?

– არა, უბრალოდ ცისფერი გიხდება და მიხარია, რომ გამოსაცვლელი არა გაქვს. მართალია, დედამიწაზეც უჟმური ადამიანი ვიყავი და აქ კიდევ უარესი ვარ, მაგრამ შენ ამ კაბით ყოველთვის შორიდანვე შეგამჩნევ და შეიძლება ძაან ოდნავ გამიხარდეს.

სულელური სიცილი აუვარდათ. სანამ მორჩებოდნენ, ორივემ იგრძნო, ამ უშინაარსო ყოფაში რაიმე აზრის ძიება ნახევრად აუცილებლობა იყო, ნახევრად კი – საცოდაობა.

სანამ ერთმანეთს ამ ფიქრს გაუმხელდნენ, დედალ-მამალი ადამიანების პატრონებმა უბოროტო გართობა მონდომეს – ნაფოტებს სტაცეს ხელი და შორს მოისროლეს, ორივემ თავის ცხოველს უბრძანა, გადაგდებულის მოსატანად გაქცეულიყო. ყურცქვიტამ და მხატვარმა ერთმანეთს თვალებში შეთქმულებივით შეხედეს და ადგილიდან არ დაძრულან. ბავშვებმა ცხოველების ურჩობა ითაკილეს და ერთმანეთის ძალიან შერცხვათ. ორივე შინაური ბინადარი თმების მწარედ დაწიწკვნით დაისაჯა. არც ეს აკმარეს დედამიწელებს, თითოეული მათგანი კინწისკვრით სახლისკენ გაიმძღვარეს, თან ისე, რომ მხატვარმა და ყურცქვიტამ დამშვიდობება ვერც მოასწრეს.

ყურცქვიტა, რომელსაც ბა სახლისკენ მიათრევდა, მოულოდნელად განწირულად აყვირდა:

– ჩვენ ადამიანები ვართ! ჩვენ ადამიანები ვართ! არ გესმით? ადამიანები ვართ ჩვენ!!!

დედამიწელმა მამრმა ქალის კივილს ვეღარ გაუძლო, საბელის გაწყვეტა მოინდომა და ცოფიანივით აღრიალდა:

– ადამიანები ვართ! გაგვიშვით, მხეცებო, ცხოველებო! ნაბიჭვარო ჩათლახებო! მახინჯო სადისტებო! თქვენი დედა მ..... მე!

სახლებისაკენ მიმავალ თეთრ ბავშვებს საბელების მაგრად დაჭერა მოუწიათ. შავები კი მათ დასაშვებ მანძილზე ჩამორჩნენ: შავ მეზობელ ბიჭს საბოლოოდ მაინც უნდოდა თავისი ცხოველის უპირატესობა დაემტკიცებინა, მიტრიალდა და შავ ბას მიაძახა, შენი ყურცქვიტა დებილია და ჩემმაც მაგას მიბაძაო. ბას საშინლად ეტკინა გული და თავისი შავი ნაწილის პირით მეზობლის ცხოველს მახინჯი უწოდა.

* * *

ერთ დღეს მშიერი ყურცქვიტას პატრონებს მისთვის სპეციალური საკვების მოტანა დაეზარათ და თავიანთი საჭმლის ნაჭრები მიუყარეს, რადგან ეგონათ, რომ მისი ორგანიზმი აქაურობას უკვე კარგად შეეგუა. დედამიწელმა ეს საკვები ვერ მოინელა და მოიწამლა. ძალიან ცუდად გრძნობდა თავს, რამდენიმე დღე მისუსტებული ეგდო თავის ყუთში და პირში ძალით ჩასხმულ სითხეებს არწყევდა.

ბა ძალიან დასევდიანდა. შენ წარმოიდგინე, მისმა მოწყენილმა შავმა ნახევარმა თეთრისთვის გაკვეთილების სწავლაში ხელის შეშლაც კი სცადა, რომ მას შინაური ცხოველისათვის მეტი ყურადღება მიექცია. მაშინ დავრწმუნდი, რომ ორივე ნაწილს, დადებითსაც და უარყოფითსაც, ძლიერი სიყვარული და მზრუნველობა შეეძლო. დედამ და მამამ ვეტექიმი გამოიძახეს, მაგრამ საბრალო ცხოველს ისე ჰქონდა ცხოვრება მობეზრებული, რომ მედიკოსს ხელზე უკბინა და წამოიყვირა, შემეშვით, სიკვდილი მინდა, გველებო, წყნარად მინდა მოვკვდეო

(სიტყვა გველის ხსენებაზე, ცოტა არ იყოს, შერცხვა, რადგან უცებ იგრძნო, შეიძლება გველებსაც საკუთარი თავი ადამიანები ეგონათ, იმდენად, რამდენადაც არ შეეძლოთ იმისი დაშვება, რომ არასრულფასოვან არსებებს წარმოადგენდნენ).

– რა სჭირს? – იკითხა მომ.

– მოწამლულია, – თქვა დანანებით ვეტექიმმა, – ეტყობა საჭმელმა ავნო. რითი კვებავდით?

– თავისი საჭმელი აქვს, – უპასუხა დომ, – მაგრამ ბოლო დროს, ოღონდ მხოლოდ ერთხელ, ჩვენი ნარჩენები მივეცით. თითქოს არ მოეწონა, მაგრამ შიოდა და ცოტა შეჭამა.

– გადარჩება? ხო არ მოკვდება? – ერთად წამოიყვირეს შავმა და თეთრმა ბამ.

ვეტექიმი ჩაფიქრდა. მის შავ ნაწილს უნდოდა ტყუილი ეთქვა და ბავშვი დაემშვიდებინა. თუმცა თეთრმა ექიმმა დროულად გააცნობიერა თავისი მოვალეობა ტყუილის აკრძალვასთან დაკავშირებით და ბავშვს შეწუხებული სახით უპასუხა:

– პატარავ, ესენი ჩვენსავით ძლიერები არ არიან... მათ ისიც არ შეუძლიათ, თვითტრანსცენდენციით ორგანიზმის მდგომარეობა გაიუმჯობესონ... არ გამოვრიცხავ, რომ მოკვდეს... მაგრამ შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ... ამ ფაქტს მშვიდად უნდა შეხვდე...

შავ ბავშვს სახე გაუწითლდა და ვეტექიმს შეუბღვირა. თეთრს კი თვალებში ძრწოლა გამოესახა, ავადმყოფი ცხოველი გულში ჩაიხუტა და დაიწივლა:

– წამალი დავალევინოთ! მე როცა ავად ვხდები, დედიკო და მამიკო წამალს მასმევენ! ჩემს წამალს მივცემ, მე არ მინდა წამალი! თუ ყურცქვიტა მოკვდება, მეც მოვკვდები!

შეშფოთულმა თეთრმა მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს. ასევე მოიქცნენ შავებიც.

– რა ვქნათ? იქნებ იყოს რაიმე გამოსავალი? – ამოიკნავლა დედამ.

– მაპატიეთ, უმჯობესია, ბავშვი ოთახიდან გავიდეს... – თქვა ვეტექიმმა.

– გაიქეცი, მამა გენაცვალოს, ყურცქვიტა პარკში გაასეირნე, იქნება სუფთა ჰაერმა ცოტა მოაკეთოს... – სთხოვა მომ პატარას ალერსიანად.

ბავშვი მიხვდა, რომ რაღაც საიდუმლო საუბარი უნდა გამართულიყო და უფრო დამწუხრდა. მაგრამ იფიქრა, იქნებ პარკში ყოფნამ და თავისნაირებთან შეხვედრამ ჩემი ცხოველუკა გამოაცოცხლოსო და ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ ოთახიდან შეწუხებული სახით გაიძურწა.

როგორც კი მარტონი დარჩნენ, ვეტექიმმა მოსა და დოს ურჩია, შინაური ბინადარი დროულად წაეყვანათ სასაკლაოზე, თუ მისი საკვებად გამოყენება უნდოდათ. თუ არადა, ასე, ორ-სამ დღეში თავისით მოკვდებოდა, ლეში კი გადასაგდები გაუხდებოდათ. მშობლებს ბინაში ცხოველის ყოლა უკვე მოუხერხებლად მიაჩნდათ, არც ის მოსწონდათ, რომ მას კვება და დასუფთავება სჭირდებოდა. თან ბა ამ ახალ სათამაშოს ძალიან მიეჯაჭვა, სულ მასზე ფიქრობდა. ბოლო დროს მამა იმეორებდა, ჩემი შვილი ცხოველზე დამოკიდებული გახდაო. ამიტომ ვეტექიმის რჩევა სასიამოვნოც კი აღმოჩნდა.

* * *

სეირნობისას პატარა გოგონა სულ გულში იხუტებდა ყურცქვიტას. მისუსტებულ არსებას, რომელსაც თავი მხრებზე ჰქონდა ჩამოკიდებული, საწოვარიანი ბოთლით ძვირადღირებულ წყალს ასმევდა. მალე ბავშვი პარკში მეზობლის ბიჭს გადააწყდა, მას ყელზე ზონარგამობმული დედამიწელი მხატვარი გამოეყვანა სასეირნოდ. ხელში აყვანილმა ცხოველმა მხატვარს ხელი დაუქნია, მაგრამ ვინაიდან ფეხზე დგომის თავი არ ჰქონდა, პატრონისთვის ცქმუტვით არ მიუნიშნებია, დაბლა დამსვიო. დედამიწელმა მამრმა ძონძივით მოშვებული ყურცქვიტას დანახვაზე თვალები დაქაჩა და ქვემოდან ზევით ასძახა:

– რა მოგივიდა? ავად ხო არა ხარ?!

– ავად ვარ... ამათმა საჭმელმა მომწამლა. ძალიან ცუდად ვარ... ვკვდები... თუ იცი, სხვა ჩვენიანსაც მოსვლია ასე? – ამოიკნავლა მდედრმა.

შეფიქრიანებული მხატვარი ცოტა ხმით გაჩუმდა და მერე ასძახა:

– კი, კი... როგორ არა. ძაან ბევრი ვიცი, რო მოიწამლა... მაგრამ ყველა მალე გამოჯანმრთელდა! ნუ გეშინია, გამოკეთდები! გაივლის, რა!..

მხატვარმა იცრუა, დედამიწელების ნახევარი, რომლებიც აქაურების საკვებმა მოწამლა, გარდაიცვალა, მაგრამ ამას მეგობართან რა ათქმევინებდა?

ბა სეირნობისას კიდევ უფრო მეტმა მოუსვენრობამ შეიპყრო, აინტერესებდა, რა ამბავს დაახვედრებდნენ მშობლები. პარკში დიდხანს ვერ გაძლო, მეზობელს დაემშვიდობა და ყურცქვიტა სახლში წაიყვანა.

მხატვარმა უფრო მოიწყინა და ბავშვის ხელში ატატებულ ქალს ყვირილით დააწია, იცოდე, მალე უნდა გამოჯანმრთელდე, განა მართლა უჟმური ვარ, მეგობარი მჭირდებაო!..

მეზობლის ბიჭს, ეტყობა, არ მოეწონა თავისი შინაური ბინადრის წკავწკავი და გაუჯავრდა.

* * *

– დედიკო და მამიკო, სიმართლე მითხარით, გადარჩება თუ არა ჩემი ყურცქვიტა? – იკითხა შინ დაბრუნებულმა ბამ მღელვარედ, საყვარელი ცხოველი ყუთში მზრუნველად ჩასვა, თბილად დააფარა და მერე მისი ორივე "მე" იატაკზე დასკუპდა, მშობლებს ოთხი გაფართოებული თვალით მიაჩერდა. კარგმა მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს. მივხვდი, ტყუილს ვერ იტყოდნენ. ამ პლანეტაზე გაცნობიერებულ ტყუილს მხოლოდ აღზევებული ნეგატივი ამბობდა. დედას სახეზე მწუხარება გამოესახა, შვილს მიუახლოვდა და თავზე ხელი დაადო:

– როგორ მოგატყუებთ, შვილიკო? მაშინ ხომ ჩვენს ადამიანობას გადავუსვამთ ხაზს?..

– შვილო, შენი ცხოველი ჩვენც შეგვიყვარდა, მაგრამ... – ჩაერთო მამა გულწრფელად თანამგრძნობი სახით. თუმცა სანამ განაგრძობდა, მისმა შავმა ნაწილმა ზიზღნარევად ჩაიფრუტუნა. მომეჩვენა, რომ თეთრი მამა ამაზე შეკრთა და თითქოს შერცხვა კიდეც თავისი გაუაზრებელი სიცრუის გამო. ალბათ ეგონა, რომ ყურცქვიტა მართლა უყვარდა, რადგან როგორც გითხარი, თეთრი ნაწილისთვის გაიძვერობა დაუშვებელი იყო. მოს უარყოფითმა მხარემ კი ნამდვილი, დაუკორექტირებელი გრძნობა გამოამჟღავნა.

ეტყობა ამის გამო იყო, რომ დადებითმა მომ უარყოფითს მუშტი მოუღერა.

– მამიკოს სიხარულო, – განაგრძო ოდნავ ნირწამხდარმა კაცმა – რთულია ცხოვრება. ჩვენ მუდმივად ვხვდებით დიდ და პატარა პრობლემებს. სწორედ მათი ღირსეულად გადალახვა გვაძლევს უფლებას, თავი ადამიანებად ჩავთვალოთ. იცი, შენი ყურცქვიტა რატომ არის არაადამიანი? მისმა მოდგმამ თავიანთ პლანეტაზე რაღაც დონის ცივილიზაცია შექმნა, მაგრამ ცხოველებად დარჩნენ. ისინი პრობლემებს ან ვერ აგვარებენ, ან უღირსი გზით მიდიან! მაგრამ ჩვენ მაღალგანვითარებული ადამიანები ვართ... შენ უნდა მოახერხო და შენი საყვარელი ცხოველი ხანგრძლივ ავადმყოფობას აარიდო!

– ხო მამიკო! მეც ეგ მინდა! ნეტა გადარჩეს ჩემი პატარა ყურცქვიტა! რა გავაკეთო? იქნება პირში წამალი ჩავასხა? მაგრამ პირს არ ხსნის! ვერც ლაპარაკობს... იქნება რამე სტკივა?

– ეჰ, შვილო... ეეჰჰჰ... იცი? შენ ეს უნდა იცოდე... -ამოიოხრა მამამ, ცოტა ხნით შეყოვნდა და მერე დამაჯერებელი ტონით განაგრძო, – ბა, შესაძლოა ყურცქვიტა მოკვდეს, რადგან ძალიან ავადაა. თუ მოკვდება, ლეშად გადაიქცევა და მის გემრიელ ხორცს საკვებად ვეღარ გამოვიყენებთ. ამიტომ გაითვალისწინე, რომ თუ ორ დღეში ფეხზე არ დადგება, დაკვლა მოუწევს, ისე როგორც ეს შინაური ცხოველის წესი და რიგია.

თეთრ ბავშვს ნაცრისფერი დაედო, ზუსტად იგივე ფერი მიიღო შავმაც. დედა შეიშმუშნა და შვილის ჩახუტება სცადა, მაგრამ ორივე ბა წამოხტა და მამისაკენ გაიქცა:

– მერე მასე ხო ყელი ეტკინება? ყურცქვიტას ყელში დანას ვერავინ ვერ ჩაარჭობს! ვერც მის ხორცს შეჭამს! – დაიყვირა თეთრმა გოგონამ გამწარებით.

– ااااا!!! არასოდეს! – შესძახა ამავე დროს შავმა ბამ მრისხანედ – شششششش

– რატომ მამიკო? ხო ძალიან საყვარელია??? თან პატარაა! თუ ჩვენზე სუსტია, არ უნდა დავჩაგროთ! შენ ხო მეუბნებოდი, კარგი ადამიანი სუსტს არ ჩაგრავსო? – მოთქვამდა გულამომჯდარი ბავშვი.

– ეგ სხვა რამეა, ბა! ის უბრალოდ სუსტი კი არა, პრიმიტიული ჯიშის წარმომადგენელია! ის მარტივი არსებაა, იბადება, ჭამს, დაცანცარებს და კვდება!.. გესმის? რაღაცაში მაინც გამოვიყენოთ?!

– ჩვენც ხომ მასე ვართ, მამიკო?

– არა, შვილი, – ჩაერია დედა, – ისინი შტერები არიან, მათ პატარა ტვინს არ შეუძლია იმდენი აზრის დატევა, რამდენიც ჩვენსას, არც მისი ზუსტად დამუშავება. მათ არ შეუძლიათ ფსიქოენერგიის მართვა და ტელეკინეზის, ტელეპორტაციის შესრულება. ისინი ერთმანეთს ხოცავენ, აწვალებენ... საკვებსაც კი ართმევენ და შენ გინდა, რომ ეს არსება მუდმივად გვყავდეს? ამის გამო დაგვემუქრე? იცი, რომ ძალიან გვატკინე გული? – ქალი აცრემლდა, მაგიდას მიუჯდა და თავი მკლავებში ჩარგო.

– მე არა მჯერა! შეგეშალათ, დედიკო და მამიკო! სხვაზე ამბობთ! ყურცქვიტა კეთილია, არავის არ მოკლავს! – შავი და თეთრი ბა ერთდროულად, ერთსა და იმავეს თვალებგაფართოებულები ლაპარაკობდნენ. მათ ბავშვურ გულუბრყვილობაში თავგანწირვა დავინახე და წამიერად ვიფიქრე, რომ ის (ისინი) ნამდვილად იყო ადამიანი.

– ბა! არ მომწონს ასეთი აკვიატება! – ხმას აუწია მამამ, – არ შეიძლება ცხოველის გაკერპება! საკმარისია! იმასაც ვერ ამჩნევ, ის იმდენად უბადრუკია, რომ ერთიანია და არა დადებითად და უარყოფითად გაყოფილი! ამ ჯიშის წარმომადგენლები კარგსა და ცუდს ერთმანეთში ურევენ!

მათში ყველაფერი არეულია... ისინი ერთმანეთს ებრძვიან და არა თავიანთ შავბნელ „მე“-ს! ნუთუ შეიძლება ამისთანა არსება გეცოდებოდეს! ან გიყვარდეს?! ჩემი შვილი ასეთი სულელი ვერ იქნება! – დადებითი მო მგზნებარედ საუბრობდა, მაგრამ უარყოფითს, შვილის სისულელეზე გადარეულს, თავის შეკავება გაუჭირდა და ბრაზისგან ძაგძაგი დააწყებინა.

– არა, ჩემი ყურცქვიტა არავისი მტერი არ არის. მამი, იცი როგორ საყვარლად წკმუტუნებენ ხოლმე ეს და სხვა ცხოველები, როცა პარკში ერთმანეთს ხვდებიან? სულაც არ ჩხუბობენ! არც ერთმანეთს სცემენ! ან დავაცადოთ, იქნება გამოსწორდნენ? იქნება მე ვასწავლო, რომ ადამიანი ცუდად არ უნდა მოიქცეს? ვასწავლი და კარგი გახდება! – ჯიუტად ამტკიცებდა ბა.

– რას ისწავლის ცხოველი? რას, შვილი?.. – გაიკვირვა დედამ.

– ჩვენ ერთმანეთისთვის სულიერი ტკივილის მიყენებაც კი არ გვეკრძალება, ეს იმიტომ, რომ ჩვენში კარგი და ცუდი გამიჯნულია. ჩვენ საკუთარ თავსაც კი არ ვინდობთ, როცა ის უსაქციელობას სჩადის! ეს გვაძლიერებს, ეს! წესიერება, მშვიდობა, თანადგომა, სიწმინდე, ერთგულება, განათლება, განვითარება, წესრიგი – აი საით მივდივართ! ისინი? ისინი სად მიდიან? ამათ ხან ერთი, ხან მეორე მიზანი ამოძრავებთ, ხან ომი უნდათ, ხან მშვიდობა, ხან კარგად იქცევიან, ხან ცუდად! ხან შიათ, ხან კი ძღომა ყელში ამოსდით! ჯობია შევჭამოთ ყველა მათგანი, თან, რაც შეიძლება, მალე! – საგრძნობლად გაფიცხდა კეთილი მამა, მაგრამ ვატყობდი, საკუთარ თავს ჯერ კიდევ აკონტროლებდა.

უცებ შავი ბა გაცეცხლდა, მძულვარებით აენთო და მუშტებშეკრულმა დაიღრიალა:

– მე მიყვარს ჩემი ყურცქვიტა! მაგრამ მე ვიცი, რო კეთილი არა ვარ! ბოროტი და უვარგისი ვარ! არავის არ ვუყვარვარ! მარტო ჩემს თავს ვუყვარვარ! მე სულ ვიტანჯები! იმიტო რო დამპალი ვარ! ცემას ვიმსახურებ! მაგრამ ყურცქვიტა მაინც მიყვარს! თქვენ კი საერთოდ არ მიყვარხართ კარგო დედიკო და მამიკო! არც ცუდი დედა და მამა არ მიყვარს, იმიტო რო... იმიტო რო... საერთოდ არ მიყვარხართ! მარტო ყურცქვიტა მიყვარს და კიდე ჩემი თავი!

– ღმერთო ჩემო! – აკივლდა დედა და თავში ხელები წიშინა, – ხედავთ, რა საზიზღარი გახდა? ბა, ჩვენო კარგო შვილო, სად ხარ!!! სიკვდილი მინდა! ხალხში თავი როგორ გამოვყო?

– დო, დაწყნარდი! დაწყნარდი-მეთქი! კარგ ქალს ისტერიული ქცევა არ შეჰფერის! ასეთ ცოლს მე ვერ ავიტან! – თქვა გაბრაზებულმა თეთრმა მამამ თეთრი კბილების კრაჭუნით, -ყველაფერს მოვაგვარებ, მე გაძლევ მაგის პირობას! ეს ასე ვეღარ მოიქცევა! ჩემს ოჯახში ჰარმონია უნდა სუფევდეს!

შავი მამა შავ ბას მივარდა და პაწაწკინტელა ყური მოუგრიხა, თეთრმა ბამ ყურზე ხელი იტაცა და აკივლდა. მამა (ორივე) ოთახიდან გავარდა და კარი გაიჯახუნა (შავმა), გულნატკენი დედა კი ტახტზე დაემხო და აქვითინდა. ძალიან რცხვენოდა, რომ ქმრის თვალში გაწონასწორებული ქალის იმიჯი დაკარგა. თეთრი ბა მტირალი დედის მოფერებას შეეცადა. შავი დედაც იქვე იდგა და ხმადაბლა წყევლიდა ქმარ-შვილს. შავი ბა შავ დედას შეჰღაღადებდა, მუჯლუგუნს ურტყამდა და ბღაოდა:

– დედიიკოოო, მე არ მაქვს უფლება ჩემი ყურცქვიტა მიყვარდეს? ან ყურცქვიტას არ აქვს უფლება, არ შევჭამოთ? მერე რა, რომ სულელია და ცოტათი ბოროტი? ის ხო ასეთი დაიბადა? თავისი ბრალია?

– უფლებებზე ლაპარაკობს! გესმით? ჩვენ კარგები ვართ! კარგს კი განსხვავებული უფლებები აქვს! გასაგებია?! – თავი წამოყო ცრემლად გაღვრილმა თეთრმა დედამ. შავი კი მუცელში ენაჩავარდნილი იდგა და იმედგაცრუებული იყურებოდა.

– ესე იგი, უფლება ის არის, რაც შეგიძლია. ჩვენ შეგვიძლია, მოვერიოთ ყურცქვიტას! ხოდა ვერევით! – დაიყვირა ორივე ბამ ერთდროულად და უარესად აღნავლდა. ახლა ისინი ერთსულოვანნი იყვნენ, რადგან საქმე გულწრფელ, უანგარო სიყვარულს ეხებოდა.

ყურცქვიტა, რომელიც ამ მომენტში უკვე იატაკზე იჯდა, ფეხზე ძლივძლივობით წამოდგა, ბავშვს წაეტანა და წელზე ხელი ალერსიანად მიუსვ-მოუსვა, ის ხომ მას სწორედ აქამდე სწვდებოდა.

ჰო, მე დამავიწყდა შენთვის მეთქვა, რომ მართალია, ცხოველის წარუხოცელ ოცნებად ისევ დედამიწაზე დაბრუნება რჩებოდა, მაგრამ ადამიანთა ოჯახში ცხოვრების განმავლობაში ბა მასაც შეუყვარდა. ამიტომ მის გასახარებლად ზოგჯერ ოთახში დარბოდა, პატარა გოგონას ახტებოდა, ემალებოდა და დასაჭერად დასდევდა. ამას პატარა გოგონას ხათრით აკეთებდა, თორემ ისე არც მის სლიკინა, თეთრ კანთან შეხება მოსწონდა და ბავშვის კისკისიც ღრჭიალივით, უფრო კი ხიხინივით ჩაესმოდა. სხვათაშორის, ასეთ დროს თავს ცხოველად არ გრძნობდა, ეჩვენებოდა, რომ ამ მომენტში ორივენი ბავშვები იყვნენ და უბრალოდ თამაშობდნენ.

ერთიც: დედამიწელი მზად იყო, შავ ბასთანაც ეთამაშა, მაგრამ თეთრს ეუცხოვა ასეთი გადაწყვეტილება, დაიბნა და ატირდა. ცხოველსაც ინიციატივა აღარ გამოუჩენია, არ უნდოდა პატარა ბას სული აეწეწა და მის პრინციპებში არეულობა შეეტანა.

* * *

მეორე დღეს დედამ და მამამ მოილაპარაკეს, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ცხოველი სახლიდან მოეშორებინათ. შეეძლოთ, სადმე პარკში, უპატრონოდ დაეგდოთ, მაგრამ ვინაიდან ცხოველების ეს ჯიში განსაკუთრებულად გემრიელი ხორცით იყო ცნობილი, კარგი კერძი დასაკარგად არ ემეტებოდათ. ბავშვი ვერც შემდეგში დაიყოლიეს ვერაფრით, რომ მისი ცოცხალი სათამაშო დაეკლათ. კარგი ბა მაშინვე ტირილს იწყებდა და ითხოვდა, ეთქვათ, როგორ უნდა გამოეჭრათ ყელი ყურცქვიტასთვის, რამდენი სისხლი დაედინებოდა და იყო თუ არა ეს მტკივნეული. მისი შავი ნახევარი კი თვალებს ბოროტად აელვარებდა და ყველას ემუქრებოდა, არც არავისი ეშინოდა და ვინმეს ხათრზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ, საღამოს, როცა მამა სამსახურიდან დაბრუნდა, ცოლი დაიმარტოხელა და უთხრა:

– ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა ვიაროთ ჭირვეული გოგოს ჭკუაზე? მე არ მინდა, სახლში ცხოველი მყავდეს, მითუმეტეს ისეთი, რომელიც იჭმევა. თან დაავადდა, ნახე, რა გაყვითლებულია! ჩვენი გართობაც არ შეუძლია, ისეა მისუსტებულია! სანამ თავისით მომკვდარა, უნდა დაიკლას. წავიყვანდი სასაკლაოზე, მაგრამ... ბავშვი

გადაირევა. ტყუილის უფლება კი არ გვაქვს. ასე ადამიანობას დავკარგავთ. როგორ გავაკეთოთ ჩუმად?

– ჩუმად? – შეიცხადა ცოლმა – წყალში ჩაგვეყრება ყველაფერი, რისთვისაც კი ცხოვრებაში მიგვიღწევია! შენ ის აღარ იქნები, ვინც ახლა ხარ... არც მე! ჩვენ ნეგატიურ მუხტს დავაგროვებთ, მთელ პლანეტას დავაბინძურებთ!.. ჩვენი შავი მეები გაძლიერდებიან, სხვებისთვის მაგალითად იქცევიან! ეს კი დანაშაულია, შეიძლება დაგვაპატიმრონ! თან შენ თუ თვალთმაქცობას შეძლებ, შენი შემეშინდება, შეიძლება ვეღარ გენდო! – შეწუხდა ქალი.

კაცი საგონებელში იყო ჩავარდნილი. ჯერ თავზე ხელები იტაცა, მერე კი კბილები გააკრაჭუნა და მაშინვე მიხვდა, რომ მრისხანება ადამიანის სახეს აკარგვინებდა.

– ოოხხ, ეს საზიზღარი ცხოველი! ჩემს ტკბილ ოჯახში არეულობა შემოიტანა! უჭკუო ბავშვები! რისთვის მოათრიეს?! – ვერ ისვენებდა კარგი მო.

ამ დროს შავი მო თეთრის უკან ატუზულიყო და გულის ფანცქალით უთვალთვალებდა თავის თეთრ მეს. ხედავდა, რომ დადებით ნახევარს იდეალურად ქცევა აღარ გამოსდიოდა და შეიძლება ოჯახურ პრობლემას ის ისე დასუსტებინა, რომ ცუდს დრო ეხელთა და კარგისთვის თავშიც ჩაეფარებინა. შავ მოს ცალ შავ ფეხზეც ეკიდა, რომ ამის გამო გამოსასწორებელ კოლონიაში ჩაამწყვდევდნენ თავის თეთრ ნახევართან ერთად. მისთვის და ყველა უკეთურისთვის უპირატესობის დამტკიცება სამყაროში ყველა სურვილზე მაღლა იდგა.

– მეც მომბეზრდა ეს არსება, – ამოიგმინა ქალმა... მაგრამ მორალური პრინციპები ჩემთვის ყველაფერზე მაღლა

დგას! არ მინდა მრცხვენოდეს თვალთმაქცობის გამო... თან, დარწმუნებული ვარ, ჩემს სისუსტეს რომ შეიგრძნობს, ჩემი შავი მე ერთ დღეს სახალხოდ შემარცხვენს, რაიმე ისეთს ჩაიდენს, რომ ყველა მიხვდება, ის მომერია!

– ჰო, შეიძლება სიფათშიც გლეწოს. ასე დაემართა ჩემს თანამშრომელს. ამ კაცმა დედამისი მოატყუა, რომ არჩევნებში მის ფავორიტს მისცა ხმა. შავმა კი ამ მომენტში აღზევება იგრძნო და კორპორატიულ საღამოზე ოინი მოუწყო, ყველას თვალწინ საკუთარი ძალა დაანახა, ყბაში მუშტი აჯახა! – მწარედ ჩაიცინა მამამ.

ქალი ქმარს მივარდა, მოეხვია და ძალიან მეშინიაო – ამოიძახა... ცოტა ხანს ასე იდგნენ, კრთოდნენ და მღელვარედ ირხეოდნენ. დედა ცრემლებს ღვრიდა და სრუტუნებდა.

უცებ დოს თვალები გაუნათდა:

– საყვარელო! მგონი რაღაც გამოსავალი არსებობს... მოიცა, ჯერ არ აღფრთოვანდე... არ ვიცი, გამოდგება თუ არა ეს გზა, მაგრამ იქნება ვცადოთ?

– რაზე ლაპარაკობ, საყვარელო? მითხარი, ნუ მძაბავ! – მოითხოვა მომ.

ქალი განზე გადგა და ქმარს აწყლიანებული თვალებით ჩააშტერდა:

– იქნებ სახელმწიფოს მივმართოთ და მან გადაწყვიტოს ჩვენი საქმე? პლანეტის მთავარ მსაჯულს ვაცნობოთ, რომ ამ საზიზღარ ცხოველს სახლში არეულობა შემოაქვს, ბავშვი სწავლას მოწყდა, მშობლები შეიძულა და ადამიანად ქცევის გზას გადაუდგა... იქნება ტყულის თქმის

ნება მოგვცეს და ეს საშინელი არსება ისე წავიყვანოთ დასაკლავად, რომ ბას არ გავაგებინოთ?

მამამ თავი მოიქექა. ცოტა ხნის ჭყანვის მერე თქვა:

– აუჰ! იცი რა? მე მგონი, კარგი აზრია... – აცრემლებულ დედას ლოყაზე ხელი მოუთათუნა, მერე ისევ მჭმუნვარედ დაფიქრდა და ისევ გაიმეორა: – კი, საყვარელო! კარგი აზრია... უნდა ვცადოთ მაინც!.. მთავარია, არ გახმაურდეს... თორემ შევრცხვებით...

მამამ გაიარ-გამოიარა. ნიკაპზე ხელი მოიჭირა. საკუთარ და ცოლის შავ ნახევრებს შეუბღვირა, რადგან მათ მზერაში უხმო ირონია ამოიკითხა თეთრების უსუსურობის გამო.

– ასე უნდა მოვიქცეთ. სხვა გზა არ არის. ახლავე დავჯდები და მიმართვას შევადგენ!

კაცმა ჭერისკენ ხელი აიქნია და მეორე ოთახიდან კომპიუტერი გამოიძახა, რომელიც კედელში გამოძვრა და მის წინ, ჰაერში ატივტივდა. კაცმა ჩაახველა და ვიდეომიმართვის ჩაწერა დაიწყო. მამამ სულ ორი წუთის განმავლობაში ილაპარაკა, პირველი ერთი წუთი მთლიანად საკუთარი თავისა და ოჯახის წარდგენას მოახმარა, ასევე, კეთილისაგან ბოროტის ძლევის გზაზე მიღწეული წარმატებებით იამაყა. მერე სახლში შექმნილი ვითარება ნაღვლიანად აღწერა, ადრესატს მოწიწებით დაემშვიდობა, ჩანაწერი დედას მოასმენინა და ვიდეო უმაღლესი მსაჯულის ოფისს გადაუგზავნა. მთავრობის მიერ მოქალაქეების პრობლემებზე რეაგირების დაგვიანება იმ პლანეტაზე არაადამიანობად ითვლებოდა, ამიტომ ცოლ-ქმარს სწრაფი პასუხის იმედი ჰქონდა.

* * *

უმაღლესი მსაჯული მხოლოდ განსაკუთრებულად რთულ საქმეებს არჩევდა. ის თვალით არავის ენახა, არც მისი ვინაობა იცოდა ვინმემ, მას ძველი მსაჯულის გარდაცვალების შემდეგ საიდუმლო სამხედრო საბჭო ნიშნავდა. მისი სახეც და პიროვნებაც გარდაცვალებამდე დაფარული იყო.

რამდენიმე წუთში ადრესატის ოფისიდან საპასუხო წერილი მოვიდა. მამამ მაშინვე გახსნა. ოთახში მსაჯულის მდივნის ჰოლოგრამული გამოსახულება შემოიჭრა და ნაზად გამოცხადა:

– მასალას ჯერჯერობით მე გავეცანი, ჩემს უფროსს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაეგზავნება, როდესაც აღწერილი სიტუაციის ნამდვილობას ფოტო და ვიდეო დოკუმენტებით დაადასტურებთ. მოთხოვნილი მტკიცებულებები მიმართვას უნდა დავურთო, – წარბაბაწეული ლაპარაკობდა ქალი, – სხვა შემთხვევაში ტყუილსა და თვალთმაქცობაზე ნებართვის მიღება ძალიან გაგიჭირდებათ!

მშობლებმა მძინარე ბავშვს, რომელიც ავადმყოფ ყურცქვიტასთან იყო ჩახუტებული, სურათები გადაუღეს, დაურეკეს მასწავლებელს და გააკეთეს ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ქალბატონმა პემ აღნიშნა, რომ გოგონა ბოლო დროს შეიცვალა და სწავლას მოუკლო. ემოციური ფონის შესაქმნელად დომაც გულწრფელი ცრემლები გადმოყარა და სირცხვილმორეულმა დაიჩივლა, რომ ეგონა, თითქოს საუკეთესო შვილს ზრდიდა, ახლა კი მისი ადამიანად ქცევის იმედი აღარ ჰქონდა, რადგან ბავშვი დედ-მამას ამოხოცვით ემუქრებოდა. ცოლ-ქმარმა ეს მტკიცებულებები მსაჯულის ოფისს გადაუგზავნა.

ორი დღის შემდეგ სამსახურიდან დაბრუნებულ მოს პირადმა ფოსტამ მოუხმო. კაცმა ვიდეოწერილი აღმოაჩინა, რომელსაც უმაღლესი მსაჯული უგზავნიდა. ქმარმა ცოლს თავისთან დაუძახა, წერილს წკიპურტი წაჰკრა და ოთახში ვარდისფერი შუქი გადმოიფრქვა. ამ შუქში დომ და მომ ადამიანის სილუეტი დალანდეს. ეს თავად უმაღლესი მსაჯული იყო, შუქის საბურველს კი მთავრობა მის შესანიღბად იყენებდა.

– მე ყურდღებით მოგისმინეთ, ბატონო მო, – ნელა, ელექტრონულ გარდამქმნელში გატარებული ხმით ალაპარაკდა შარავანდედით მოსილი არსება (ეტყობა, ხმასაც უცვლიდნენ, რომ ვინმეს არ ეცნო), – შევისწავლე წარმოდგენილი მასალა. რა თქმა უნდა, ბავშვის მოტყუება და მისი საყვარელი შინაური ცხოველის ჩუმად დაკვლა არაადამიანური საქციელია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თუ სიტუაციას დანებდებით, უარეს შედეგს მიიღებთ. როგორც გაირკვა, ბავშვმა სწავლას მოუკლო და მშობლებს უპირისპირდება, აგრესიულადაც კი გექცევათ, იმუქრება და გაშანტაჟებთ. ეს კი უკვე მისი ადამიანობის დაკარგვის პროცესის დაწყებაზე მიუთითებს! შორეული პლანეტიდან ჩამოყვანილი ეგზოტიკური ცხოველი იმდენად დიდ ღირებულებას არ წარმოდგენს, რომ მისი გაწირვა დაუშვებელი იყოს. მაგრამ რომც წარმოადგენდეს, პრიორიტეტების განსაზღვრა ყველა ჩვენგანის განსაკუთრებული ვალია და პრიორიტეტი კი ყველა შემთხვევაში ბავშვის ადამიანად ჩამოყალიბებაა, რაც მისი შავი ნაწილის დასუსტებით, თეთრის გაძლიერებით და ამ პროცესისათვის ხელისშემშლელი ნებისმიერი გარემოების აღკვეთით უნდა წარიმართოს. აქედან გამომდინარე, მე, პლანეტის უმაღლესი მსაჯული, კანონით მონიჭებული უფლების თანახმად: ა) გაძლევთ ნებას,

ადამიანობის დაკარგვის გარეშე თითოეული თქვენთაგანის თეთრი ნაწილი მოიქცეს თავლთმაქცურად და ეგზოტიკური ცხოველი ბავშვისაგან მალულად მოაშოროთ საცხოვრებელი სახლიდან. სად წაიყვანთ და რას უზამთ მას, ეს თქვენი გადასაწყვეტია. ბ) როდესაც ბავშვი ცხოველს მოიკითხავს, გეძლევათ უფლება, თქვათ ტყუილი და განაცხადოთ, რომ არაფერი იცით. დაე, პატარამ იფიქროს, რომ ეს არსება თავისი სურვილით გაიპარა სახლიდან. გ) ამავდროულად გეკისრებათ ვალდებულება, რაც შეიძლება მზრუნველად და ნაკლებად მტკივნეულად გადაატანინოთ ბავშვს პერიოდი, რომელსაც ის მწუხარებაში გაატარებს. დ) ასევე, გეკისრებათ ვალდებულება ფლიდობის საკომპენსაციოდ უახლოეს გამოსასწორებელ კოლონიას ჩაურიცხოთ ორივე მშობლის საერთო ხელფასის 1/3. ე) გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ვემსახურები სიკეთეს! – დაიძახა ბოლოს უმაღლესმა მსაჯულმა, მისი ბუნდოვანი გამოსახულება ვარდისფერ სიკაშკაშესთან ერთად მინავლდა და ბოლოს გაქრა.

სიხარულისგან აღელვებული მო და დო აყვირდნენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ. ხელი ხელს ჩაკიდეს და ღიმილით გაიქარვეს ადამიანობის დაკარგვის შემაძრწუნებელი შიში. მათ ახლა გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ ადამიანობა, რომელსაც მათი წარმოდგენით ტყუილისა და თვალთმაქცობის შეთავსება არ შეეძლო, მუდამ მათთან დარჩებოდა.

* * *

მზიანი, ნათელი დღე გათენდა.

ბას გაღვიძების დრო ახლოვდებოდა, ამიტომ თეთრმა მამამ ძლივს გამოფხიზლებულ დედას ლოყაზე აკოცა და

საწოლიდან სწრაფად გადმოხტა. შვილის ოთახში ჩუმად შეიჭვრიტა, მერე იქ ფეხაკრეფით შევიდა, მძინარე ყურცქვიტას პირი ხელით სწრაფად მოუკუმა, ყუთიდან ფრთხილად გამოაძვრინა და ლიფტი გამოიძახა. ლიფტი კედელში შემოვიდა თუ არა, კაცი კაბინაში შევარდა, შიშისგან გამოღვიძებულ ცხოველს კისერზე საყელური მოაბა და დაბლა დასვა. ლიფტი დაიძრა და მომაც ამოისუნთქა – მოახერხა, გამოეპარა შვილს!

ვიცი, შენ მე მხოლოდ ჩემი მოგზაური გონება გგონივარ, არადა სრული სიმართლე სხვანაირია. საერთოდ, სრული სიმართლე ყოველთვის სხვანაირია და იქნებ ამიტომ მეც ორმაგი არსება აღმოვჩნდი. ჰო, ის ყურცქვიტაც მე ვიყავი და ძალიან მიკვირდა, ამ მახინჯ შავ-თეთრ კაცს რატომ მივყავდი სასეირნოდ, რადგან, როგორც წესი, ყოველთვის პატარა ბა მასეირნებდა. ლიფტიდან ქუჩაში გავედით, პირველი დღე იყო, რაც მოწამლვამ გამიარა, თავს უკეთესად ვგრძნობდი და იმის მიუხედავად, რომ მო (განსაკუთრებით თეთრი) მძულდა, მაინც მახალისებდა გარეთ გასვლა – ალბათ პარკში უჟმურ დედამიწელ მხატვარს გადავაწყდებოდი! ყელზე ზონარგამობმული იასამნისფერი მზის შუქით ავსებულ ქუჩაში მივხტოდი და მახარებდა იმ ადამიანთან შეხვედრის მოლოდინი, ვისაც ჩემი გამოჯანმრთელება გაახარებდა.

მაგრამ მე, როგორც მოგზაური გონება, მოსა და ყურცქვიტას (ანუ საკუთარ თავს) უკანაც მივყვებოდი, მათ ზევიდან ვლივლივებდი და უნებურად მახსენდებოდა, როგორ დაკლა ჩემს ბავშვობაში სააღდგომოდ ნაყიდი ბატკანი ბებიაჩემის ბიძაშვილმა. წინა დღეებში ამ ბატკანს ია დავარქვით, ქორფა ბალახს ვტენიდით პირში და მის გასახალისებლად ვკიკინებდით. აღდგომის დილას კი შაკამ, ანუ ბებიაჩემის ბიძაშვილმა ია ეზოში, მწვანე

ბალახზე წამოაწვინა, მუხლით გააკავა, ქეჩოში ხელი ჩასჭიდა და მეორე ხელში მომარჯვებული ხანჯლით ყელი გამოსჭრა. ბატკანს ხანჯლის ჩარჭობისთანავე თვალები ამოეკარკლა, თრთოლა დაიწყო, იკრუნჩხებოდა, მაგრამ შაკამ ხორხი გადაუჭრა. თეთრ, ნაზ მატყლზე მიწიდან ამოხეთქილი წყაროსავით ასხამდა შინდისფერი სითხე. როცა იამ კრუნჩხვა შეწყვიტა, შაკამ ფეხებით ხეზე ჩამოკიდა, ყრონტში ჭრილობა უფრო გაუდიდა, რომ სისხლი კარგად ჩამოცლილიყო. ცოტა ხნის შემდეგ სისხლის წვეთვა შეწყდა და კაცმა ბატკანს თავიც მოაჭრა.

მაგრამ ვინაიდან ეს ცივილური და ჰუმანური პლანეტაა, ალბათ მე მთლად ასეთი ველური მეთოდით არ დამკლავენ. შეიძლება, სასაკლაოზე, ყელის გამოჭრამდე ჯერ დენი დამარტყან, ან რაიმე გონების გამთიშველი წამალი გამიკეთონ. იმ სისასტიკეს, რომელიც მე დედამიწელი შაკას საქციელით აღვწერე, აქაურები არ იკადრებენ, ესენი თავისზე უფრო განუვითარებელ და სუსტ არსებებსაც გაუფრთხილდებიან, ადამიანობის კულტი არ მისცემთ მათ სხვანაირი ქცევის უფლებას.

...დავიჯერო, სხვანაირად მოიქცევიან?

* * *

რაც შეეხება ჩემს ორობითობას: ვერ ვიტყვი, რომ საკუთარი თავი არასოდეს დამისჯია, მაგრამ როცა ჩავუკვირდი, გამიხარდა, რომ მოსა და დოს მსგავსი მაინც არ აღმოვჩნდი. ეგენი მე თავიდანვე არ დამევასნენ. ბა კი (შავიც და თეთრიც) ძალიან შემიყვარდა, განვიცდი, რომ როცა ვეღარ მიპოვის, ძალიან იდარდებს და შეიძლება ავადაც გახდეს ჩემი პატარა. მხატვარი? პარკში რომ აღარ გადამაწყდება, ბოლოს ჩათვლის, მოწამლვისგან მოკვდაო და ალბათ უარესად გაუფუჭდება ხასიათი. მიხარია, რომ

ვერასოდეს გაიგებს ჩემი დაკვლის ამბავს, რადგან არ მინდა, უფრო მეტად შეზიზღდეს არაადამიანად ყოფნა.

აი, სასაკლაოსთან მოვედით. მო უკვე მომსახურე პერსონალს ელაპარაკება, უნდა, რომ დაკვლამდე ამწონონ. აინტერესებს, რამდენი კილოგრამი ხორცი გამოვა ჩემგან.

მე კი მაღლა დავფრინავ და ვღელავ... ძალიან ვღელავ. მხოლოდ ერთი რამ არის ამ ყველაფერში კარგი – საკუთარი თავის გარეთაც ვარსებობ. და კიდევ კარგი, სხეულში ვერც ვერასოდეს ვეტეოდი. ეს მაძლევს იმედს, რომ შეიძლება, ყურცქვიტას დაკვლის შემდეგ მე მაინც გადავრჩე. ძრწოლვით ველოდები, როდის შემიყვანენ შიგნით, ყველაზე საშინელ სათავსოში. გადარჩენა ძალიან მინდა, რადგან ვერ წარმომიდგენია, როგორია საკუთარი არარსებობა.

p.s. ბა 800 წლის ასაკში:



4. კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი

მკვდარი ნარჩენები ბავშვების ცხოვრებაში

პირველად როდის უჩნდება მოსწავლეს იმის განცდა, რომ ის ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელსაც სკოლაში ასწავლიან, მოსაბეზრებელი და აუტანელია? მაშინ, როცა მასწავლებელი ფრთიან, დიდაქტიკურ გამონათქვამებს აზეპირებინებს? თუ მაშინ, როცა სახლში მოსული და ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოსთან დარჩენილი დაფიქრდება, რომ რასაც კითხულობს, არაფერი „მისი" არ არის, არაფერი არ მიდის მის გულამდე, არც ეს პატრიოტული ლექსი, არც ტაძრის კედელზე დახატული ფრესკისადმი პოეტის გოდება, არც წამებული ქალის მატლებდასეული სხეული და არც ის, თუ როგორ აღზრდიან უფლისწულ ჯუმბერს – ცემა-ტყეპაში თუ მეცნიერულ სჯა-ბაასში... ხოლო გულწასული და წარამარა მოსაბრუნებელი ტარიელი სიცილ-ხარხარს უფრო იწვევს, ვიდრე თანაგრძნობას და, მით უმეტეს, პატივისცემას. მოსწავლე ცდილობს, ფეხი აუწყოს სასკოლო რიტმს, ავტომატიზმამდე დაიყვანოს დავალებების შესრულება, მაგრამ როცა რთულ და საპასუხისმგებლო ტექსტებს მიადგება, სადაც ამა თუ იმ პერსონაჟის განცდები თუ საქციელი უნდა განსაჯოს, გააანალიზოს და საკუთარი (ეს ფუფუნება მხოლოდ იმათ ერგებათ ხოლმე, ვისაც ისეთი ქართულის მასწი ჰყავს, რომელიც მოსწავლეებს საკუთარ აზრებს არ ახვევს თავს) თვალსაზრისიც დაწეროს, აი, აქ იწყება ნამდვილი კონფლიქტი სამყაროსთან. მოსწავლემ არ იცის, როგორ გამოადნოს თემა თუ თხზულება იმ ამბიდან, რომელმაც არ დააინტერესა და, შესაბამისად, არც მის გმირებზე მსჯელობა არ უნდა. მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ გაიელვებს სახელმძღვანელოში ისეთი ნაწარმოებები, სადაც მოსწავლე მთელი არსებით ერთვება

ტექსტის განხილვაში. მაგალითად, მაშინ, როცა მწერალი სულ რაღაც ოცდახუთი წლის წინანდელ ისტორიას გიყვება შენხელა ბიჭზე, თან საინტერესოს, თან შენს ენაზე, შენს სამყაროზე, ძნელია, გულგრილი დარჩე. და როდესაც ამ მოთხრობას "მზრუნველი" დეიდები და ბიძიები შეაჩვენებენ და "ცუდი" სიტყვების გამო სასკოლო პროგრამიდან მის ამოღებას მოითხოვენ, ან როცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან ბავშვი ოსკარ უაილდის ან ჯეკ ლონდონის მოთხრობას ახსენებს, ხოლო მასწი იტყვის – რად გინდათ, ბავშვებო, ეს საეჭვო ხალხი და იმათი მწერლობა, აგერ, სასულიერო პირებს უმწიკვლო ცხოვრება ჰქონდათ და მათი ნაწარმოებების წაკითხვა უფრო მარგებელიაო, აქ ალბათ მოსწავლის დამეგობრება შეუძლებელია. მას უმალ მტანჯველ ვალდებულებებს თუ შეასრულებინებ გაძლიერებული პასუხისმგებლობის ფონზე.

ალბათ გსმენიათ თემების შესახებ, რომელთაც საბჭოთა სკოლებში აძლევდნენ ბავშვებს დასაწერად და დღეს საბჭოთა განათლების სისტემისა და მისთვის დამახასიათებელი კლიშეებით აზროვნების სისტემის ქილიკისათვის გამოიყენება. ამ სათაურების ირონიულ პერიფრაზს ქართულ ბლოგებში, პრესასა თუ ფეისბუკ-სტატუსებში ხშირად შევხვდებით. "ტარიელისა და ავთანდილის შედარებითი დახასიათება", "მეფეთა სახეები "ვეფხისტყაოსანში", "სარწმუნოებისთვის წამებული ქალის სახე "შუშანიკის წამების" მიხედვით" და სხვა. თემები ძირითადად იგივე დარჩა, რადგან არ შეცვლილა მასწავლებელთა მსოფლმხედველობა, არც შეცვლილა პერსონაჟის სამზერი ჭუჭრუტანა, არ შეცვლილა გადმოსახედი, რომელიც სულ სხვანაირი მოიტანა ამ საუკუნემ – ინტერნეტ-ტექნოლოგიების,

საზღვრებგახსნილი სამყაროს დრომ. ჩვენ ადვილად გვატყუებდნენ, რადგან ჩაკეტილ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით. თანამედროვე ბავშვს ვეღარ ატყუებს ვერც მასწავლებელი, ვერც წიგნი, მოთხრობა ან ლექსი... რადგან ეს ბავშვი "ჯადოსნურ" ეკრანთან ზის და მარჯვენა ხელში უჭირავს მთელი მსოფლიო. ჰოდა მან დღეს უნდა დაწეროს, თუ როგორ იკურნებოდნენ სნეულნი იმ ადგილას, სადაც წმინდანის სხეული დაწვეს (ამაზე უფრო საინტერესო ამბებს ზღაპრებსა და ფენტეზის ჟანრის ლიტერატურაში კითხულობს), ან როგორ წამოათრია "სიძვის" დედაკაცი სასახლიდან ბერმა და ამით სასახლე გარყვნილებისაგან დაიცვა (აქ კი სამართლიანობა იღვიძებს და სულაც არ მოსწონს უდანაშაულო ქვრივის მიმართ ბერი გრიგოლის სასტიკი მოპყრობა, მაგრამ ამის თქმის უფლებას მასწავლებელი არ აძლევს, რადგან მისი მიდგომა ცალსახაა – ბერი ყველა ვარიანტში მართალია). არ იფიქროთ, რომ მე ამ ტექსტებს ვერჩი. პრობლემა ისაა, თუ ვინ რა ასაკში უნდა წაიკითხოს ისინი, ან, საერთოდ, წაიკითხოს თუ არა.

ადამიანი ზოგადად ეგოცენტრული არსებაა, მოზარდი – მითუმეტეს. მისი თვითრეფლექსიები უსაზომო და უკიდეგანოა. მისთვის მნიშვნელოვანია ის, რაც პირადად მისთვისაა ახლობელი. ის უღრმავდება თავის თავს და თავისნაირებს და თუ რამე მის გულამდე მიაღწევს, ეს სწორედ მისთვის საინტერესო ამბავია, რადგან საკუთარი თავის კვლევიდან იწყებს ის სამყაროს შეცნობას და მერე ხდება (ან არ ხდება) სამშობლოზე შეყვარებული, მერე პოულობს (ან არ პოულობს) რწმენას, მერე, მერე, ეს ყველაფერი მერე ხდება. მანამდე კი თავის თავი და ერთმანეთი, თავისნაირი ადამიანების ცხოვრება და პრობლემებია ამოუცნობი და გამოსაძიებელი. ჩვენ კი რას

ვშვრებით – ვთავაზობთ მათ, მაგალითად, სამშობლოსადმი დაწერილ ამ ლექსს:

“ახლავე მივდგებ-მოვდგები,

მაცალე, ვიდრე მოვკვდები,

გადაგიხადო ვალი...” და ვაიძულებთ, გააანალიზოს ეს ტექსტი და აღწეროს, თუ როგორ უყვარდა პოეტს სამშობლო...

ან ვასწავლით არაბი ჭაბუკის წამების ისტორიას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, არანაირი ჯადოსნური ხერხებით არ მიდის არცერთი 14-15 წლის მოზარდის გულამდე და ცნობიერებამდე. სარწმუნოებისათვის თავდადება, მასზე მსჯელობა, ზედმეტად არქაული ამბავია თანამედროვე ადამიანისთვის. მახსოვს, რა ამბავი ატყდა ფეისბუკზე, როცა სკორსეზეს ფილმი, “დუმილი” ნახა ხალხმა, სადაც მოქმედება მე-17 საუკუნის ბუდისტურ იაპონიაში ხდება. იქ ადამიანებს სიკვდილით სჯიან, თუკი ისინი ქრისტიანულ ხატს ფეხს არ დააბიჯებენ. ყველა საუბრობდა იმაზე, რომ პრობლემა მოძველებულია, რომ სიმბოლოს, ნახატისთვის ფეხის დაბიჯება არსის შეურაცხყოფა არანაირად არ არის, რომ სკორსეზე გადაირია, ეს რა თითიდან გამოწოვილი პათეტიკა შემოგვთავაზა და ლამისაა, მუხლი მოგვაყრევინოს... რა სიგიჟეა ხალხის მოკვდინება თიხის ნაგლეჯის გამო, დღეს ამით გულს ვის აუჩუყებ და ა.შ.

რად გვინდა სკორსეზე და შორს წასვლა, როცა ჩვენს მოზარდებს, უბრალოდ, ავალდებულებენ, მოწიწებით განეწყონონ მსგავსი თემების მიმართ, უნდათ თუ არ უნდათ, იწამონ სასწაულების, შარავანდედების,

მირონმდინარი ხატების და უკურნებელი სენისგან განკურნებულების წმინდანთა ძალით.

ძალიან ძნელია ამ არქაული ტექსტებით დააინტერესო დღევანდელი მოზარდი, რომელსაც შეუძლია, თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით გაეცნოს მსოფლიოს ყველაზე საინტერესო ნაწარმოებებს, ფილმებს, ბლოგებს, ფანფიკებს და ასე შეიძინოს საყვარელი პერსონაჟები, რომლებიც მათ გულებში ჭეშმარიტად დასახლდებიან და არა ვალდებულებების გამო. სწორედ ამ პერსონაჟების მიბაძვის სურვილი უჩნდებათ 13 წლის გოგოებს და ბიჭებს, ვისთანაც ის ქარცეცხლი ტრიალებს, რომელიც მათთვისაც ქარცეცხლია და არანაირად არ უნდათ, მიბაძონ ან თანაუგრძნონ მე-8 საუკუნის არაბ ჭაბუკს, რომელმაც უღალატა თავის ტრადიციულ სარწმუნოებას და ქრისტიანობის მიღების გამო სიკვდილით დაისაჯა. 21-ე საუკუნის ბავშვი ან საერთოდ არ ინტერესდება აბოს ფენომენით, რადგან მისთვის ამ ასაკში ძალიან უცხოა აბოს თავდადების წარმოდგენა, ან კიდევ, სულაც, ამბობს, რომ ობიექტურად აბო მოღალატეა, რადგან თავის სამშობლოს და მის ტრადიციულ რწმენას უღალატა. არანაირ თანაგრძნობას არ იწვევს შუშანიკი, რომლის დახასიათებისასაც, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მოსწავლისგან უპირობო ქება-დიდებას მოითხოვენ, რადგან, მათი აზრით, ის წმინდანია, მოქმედებდა ღვთის ნებით და მის რომელიმე საქციელში კორექტივის შეტანა მკრეხელობაა.

გარდა იმისა, რომ სახლში სამი მოზარდი მყავს, რამდენიმე წელია, რაც ახალგაზრდებთან მიწევს მუშაობა, ანუ მათი მომზადება კატ-ის ან ეროვნული გამოცდებისთვის. ჩემი დაკვირვებით, 17-18 წლის

ადამიანები გაცილებით დიდ მზადყოფნას ამჟღავნებენ მსგავსი ტექსტების მიმართ. საღადაოზე ღადაობენ და მოსაწონებელი მოსწონთ, ცხადია, სუბიექტურად, მათი გემოვნებით. მაგალითად, ჯერ არ შემხვედრია აბიტურიენტი, რომელსაც არ მოსწონდეს ჯემალ ქარჩხაძის "იგი" ან გიორგი ლეონიძის "ნატვრის ხე", ნიკო ლორთქიფანიძის "ტრაგედია უგმიროთ", მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნები", ნიკოლოზ ბარათაშვილის "მერანი", ნოდარ დუმბაძის "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", ოთარ ჭილაძის "ადამიანი გაზეთის სვეტში", ილია ჭავჭავაძის "კაცია-ადამიანი?!"... და კიდევ ბევრი სხვა. მაგრამ "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", "აბო თბილელის წამება", "გოგჩა", "თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში", "იარალის" და კიდევ მრავალი სხვა, ბავშვებისთვის სკოლაში განცდილი კიდევ ერთი სატანჯველია, ან, უკეთეს შემთხვევაში, უბრალოდ, ცარიელი ადგილი, ტყუილად გაცდენილი დრო. სწორედ ამიტომ ყალიბდება ერთგვარი სტერეოტიპი. თუკი ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები სასკოლო პროგრამაშია შესული, მოსწავლეს აქვს წინასწარგანწყობა, რომ ეს ნაწარმოები, სავარაუდოდ, არ შეიძლება, საინტერესო იყოს. ალბათ იმიტომ, რომ სკოლას აქვს საოცარი უნარი – კარგი ნაწარმოებიც კი ვალდებულების კლიშე-ჩარჩოში მოათავსოს და იმ მხრიდან "მოაკბეჩინოს" ბავშვს, რომელი მხარეც ყველაზე უგემურია.

არადა, იდეაში, როგორი უნდა იყოს ასეთ დროს მასწავლებელი... ის მკვლევარია, რომელმაც გაკვეთილის დროს მოსწავლესა და ტექსტს შორის წამოჭრილი პრობლემები უნდა აღმოაჩინოს, მერე კი გადაჭრის გზებზე იფიქროს, ახალი იდეები მოუვიდეს, ინოვაციები, სტრატეგიები დანერგოს. შორიდან კრიტიკა და მითითება

ადვილიაო, მეტყვის ალბათ მასწავლებელი, რომელიც ამ წერილს წაიკითხავს. და, რა თქმა უნდა, მართალი იქნება. კი, ადვილია და სწორედ ეს შორი მანძილი იძლევა პრობლემის კარგად დანახვის საშუალებას. დანარჩენი კი ადგილზე უნდა გადაწყვიტოს, თითოეულ ბავშვთან.

კი, მაგრამ, აბა, როგორო, დამისვამს ის კვლავ შეკითხვას, ჭკუის დარიგება ყველამ კარგად იცით, მაგრამ აბა, ერთი მაინც კონკრეტული ხარვეზი დაასახელეო...

გეტყვით: მასწავლებელს ავიწყდება იუმორი. ის პათეტიკის და მოწიწების ტრანსშია და არაფრით არ პატიობს მოსწავლეს ნაწარმოებისა თუ გმირის მიმართ ე.წ. არასერიოზულ მიდგომას. ბავშვი, რომელიც შეინიშნება პერსონაჟზე ხუმრობასა და ღადაობაში, ისჯება ან იკიცხება მაინც. მასწავლებლებს სჭირთ ეს სენი – ავტორისადმი მოწიწება პერსონაჟებზეც უნებურად უვრცელდებათ ხოლმე. სწორედ ამ ნიშნით ისინი ვერც თვითონ ბედავენ და არც ბავშვს აძლევენ უფლებას, გააკრიტიკონ, ვთქვათ, ტარიელის თვითრეფლექსიები, დეპრესია, საკუთარი ემოციების ვერფლობა და ისტერიულ-მოძალადური ბუნება. როცა მოსწი ბედავს და დახასიათებაში ამას წერს, მასწავლებელი იწყებს ახსნას, რომ ეს თვისებები არ უნდა გავიგოთ პირდაპირ, რომ ტარიელი სახე-სიმბოლოა და ა.შ. თუმცა, როცა დადებითი თვისებების შესახებ საუბრობს ბავშვი, იქ მას სრული უფლება ეძლევა, ჩამოფრინდეს სიმბოლოების ღრუბლიდან და ადამიანურად მისაბაძადაც კი შეაფასოს გმირი. ზემოთ იუმორი ვახსენე. მასწავლებლისთვის ყველაზე კარგი გამოსავალი ალბათ სწორედ ეს უნდა იყოს. ოდნავ დისტანცირებული მიდგომა და ერთგვარი გულღია "გაჭორვა" ამა თუ იმ პერსონაჟის და არა პათეტიკური ღაღადისი და გოდება მისი მისამართით. იუმორი – ეს არის ის უნივერსალური ხერხი, რომლითაც

მასწს შეუძლია, ნებისმიერი არადაინტერესებული და ტექსტის თუ მისი პერსონაჟის მიმართ სკეპტიკურად განზე მდგომი მოსწავლე ერთგვარად მოიმეგობროს და გული გადააშლევინოს.

მოსწავლეებს უჭირთ განსხვავებულ ეპოქაში, სოციალურ თუ კულტურულ გარემოში დაწერილი ნაწარმოებების შესწავლისას მოტივაციის შენარჩუნება, რადგან აწყდებიან პრობლემებს, რომელთა დაძლევა მხოლოდ დაზეპირების ხარჯზე თუ არის შესაძლებელი, რაც ტექსტის გააზრებას გამორიცხავს. ხშირად კარგად მომზადებულ ფილოლოგსაც უჭირს ზოგიერთი ნაწარმოების ლექსიკურ, მხატვრულ, ინტერტექსტუალურ ან თუნდაც ექსტრატექსტუალურ ლაბირინთებში გზის გაგნება, არათუ მოსწავლეებს და, რა გასაკვირია, თუ მოსწავლე იოლ გზას მიმართავს – Google-ის მეშვეობით ეძებს ლავირების გზებს. მასწავლებლები ამ პრობლემას ხშირი საზეპიროებით ებრძვიან. საზეპიროცაა და საზეპიროც. მიუხედავად ლექსიკური ბარიერისა, მოსწავლეები რითმის მუსიკას ადვილად უღებენ ალღოს და სიამოვნებით იზეპირებენ, ვთქვათ, “რომელმან შექმნა სამყრო, ძალითა მით ძლიერითა”... და ა.შ. მაგრამ ახლა წაარმოიდგინეთ, დაიზეპიროთ აი, ეს: “რამეთუ ღმერთმან დასაბამსავე დაბადებისასა უკუანაისთათKს ჟამთა დაჰბადნა იგინი მონაზონთა სამკKდრებელად და ყოველთა ქრისტეანეთა შესავედრებელად ორკერძოვე. და რამეთუ განგებასა ღმრთისასა ესე ჩუეულებაი აქუს, რაითა წმიდათა მათ უდაბნოთა მონასტერნი ხელითა გლახაკთაითა აღაშენნეს, რომელნიმცა სრულიად თავისუფალ იქმნნეს სოფლისა საცთურთაგან. დაღაცათუ წმიდათა უდაბნოთა ხელმწიფენი იღუწიან, ხოლო წოდებად სახელი გლახაკთაი ჯერ-იჩინა ქრისტემან შენებასა წმიდათა

მონასტერთასა.”… მოგეჩვენათ, რომ ვრცელი და მოსაწყენი ციტატაა, ხომ? და ეს მხოლოდ ნაწილია, უბრალოდ, მკითხველს მოვუფრთხილდი, თორემ ქართულის დაუნდობელ მასწავლებელთა უმრავლესობა ამის მსგავს ათეულობით ციტატას აზეპირებინებს თხუთმეტი წლის სიცოცხლით სავსე ბავშვებს. საზეპირო – ეს ხომ ფეტიშის საგანია, საკრალური სფეროა, სადაც გამონაკლისის დაშვება არ შეიძლება. თითქოს გეგმაა შესასრულებელი და საზეპიროების და შინაარსების დამახსოვრებაა მთავარი მიზანი, რისთვისაც ქართულის გაკვეთილი ტარდება. ტექსტის გააზრება და სწორი აღქმა სადღაც, იდეის დონეზე ტივტივებს ჰაერში. იქნებ სწორედ ამიტომაცაა, რომ დღეს მოზრდილ ადამიანებს ხშირად უჭირთ ლიტერატურული ტექსტების სწორად წაკითხვა. ზოგმა ისიც არ იცის, რომ მხატვრული ტექსტი მაინცდამაინც მისი ავტორის ბიოგრაფიაზე არ მოგვითხრობს. თქვენ იცინეთ და მართლა ასე რომაა, უკვე არაერთგზის დავრწმუნდით.

ისევ ტექსტებს დავუბრუნდები. რატომ არ შეიძლება, ზოგიერთი ჰიპერარქაული მოთხრობის ან უსახური ლექსის ხარჯზე უცხოური ლიტერატურის შედევრები შევიდეს ლიტერატურის სახელმძღვანელოში? ნუთუ სამშობლოს ღალატში ჩაგვეთვლება, ზემოთ მოყვანილი ლექსის ნაცვლად, ვთქვათ, შექსპირის” სონეტი იყოს წიგნში, ან “გრიგოლის” ნაცვლად, ვთქვათ, აკუტაგავას რომელიმე მაგარი მოთხრობა. რომელიც, სხვათა შორის, ადრინდელი სახელმძღვანელოების ვერსიებში იყო და, როგორც ჩანს, ვიღაც ძალიან “მზრუნველმა” ამოიღო.

მერაბ მამარდაშვილი თავის ერთ-ერთ ლექციაში, სადაც ის მარსელ პრუსტის შესახებ საუბრობს, ამბობს: “ჩვენს სულიერ ცხოვრებაში მუდამ არსებობს ყოველდღიური

ცხოვრების მკვდარი ნარჩენები. და ძალიან ხშირად ადამიანი აწყდება იმას, რომ ეს მკვდარი ნარჩენები მისი ცხოვრების მთელ სივრცეს იკავებენ და არ ტოვებენ ადგილს ცოცხალი გრძნობების, ცოცხალი აზრისა და ჭეშმარიტი ცხოვრებისათვის.” ჩვენც ასე ხომ არ ვიქცევით, როცა ჩვენი შვილების ცხოვრების ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდს ვავსებთ ამ “მკვდარი ნარჩენებით” და არ ვუტოვებთ მათ საშუალებას, იცხოვრონ იმ ლიტერატურით და იმ პერსონაჟებით, რომელიც მათ სულიერ ცხოვრებას ახალ სიცოცხლეებს შთაბერავს და ახალი ფერებით გაამდიდრებს.

მაკო ჯანჯიბუხაშვილი

იძულებითი მონანიებიდან ნებაყოფლობით სინანულამდე

(ლაშა ბუღაძის მხატვრულ-დოკუმენტური რომანი "პატარა ქვეყანა")

შეატყობთ თუ არა საყვარელ გმირს კერპადქცევის საშიშროებას, ეგრევე აიღეთ ძალაყინი!

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო რისკის ჯგუფის ქვეყანაა და, არა მხოლოდ, ე.წ. პოლიტიკური კონტექსტით, არამედ – მენტალურითაც. საკმარისია, აქ რომელიმე კერპადქცეული ფიგურა არასათანადო ანტურაჟში ჩასვა (არათუ – გაეხუმრო და გაუთამამდე), ეგრევე აბორგდება "ფიგურის" ფან-კლუბი და, არ არის გამორიცხული – ან ტყვია მოგხვდეს, ან, უკეთეს შემთხვევაში – კვერცხი, თანაც, ლაყე.

ამ ხაზს თუ გავყვებით, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველებს არ გვიყვარს შედარება, უფრო სწორად, შედარება კი გვიყვარს, მაგრამ – მკაცრად რეგლამენტირებულად. მხოლოდ "მსგავსის მსგავსთან" დაჯგუფების უფლება გვაქვს მონიჭებული – თუ რომელიმე პატივცემულ გვამს (პოზიტიური კონოტაციით) ვისმე, არცთუ ისე საყოველთაოდ აღიარებულ პირს შევადარებთ, ეგრევე მოზვავდება რიტორიკულ კითხვათა კასკადი –

“მაგას ადარებ?!” რაც, ფაქტობრივად, ჩაქოლვის “მიკროსქემაა”. არ უნდა გაგვიკვირდეს: ამ “ცუდი შედარებით” შეურაცხყოფას ვაყენებთ “პარნასზე შემოსმულ” ძვირფას ფიგურას. ამ ფაქტის ფსიქო-სოციალურ ანალიზს არ შევუდგები, გავიხსენე, როგორც კარგად ნაცნობი რეალობა და შედარებას მოვერიდები, როგორც სახიფათო და საჩოთირო საქმეს. ზოგადად კი ვიტყვი – ნებისმიერი ხელოვანი, ვინც ხელისუფლების ანდა რომელიმე მძლავრი ორგანიზაციის კრიტიკის ობიექტად იქცევა, თავისდაუნებურად დგება მათ რიგში, ვისაც ავნეს ანდა ვნების მცდელობა მაინც ჰქონდათ. არა აქვს მნიშვნელობა, რა დონის თუ ღირებულების ნაწარმოები შეიქმნა კლიშეებისა და სტერეოტიპების მსხვრევისას – ასეთი არტეფაქტები არანაკლებ “დაღს” ასვამენ მკაცრად “ნორმირებულ” საზოგადოებრივ ცნობიერებას, ისინი მის შერყევას ახერხებენ, შერყევა და შენჯღრევა კი აუცილებელია წინსვლისთვის.

მკითხველთა უმეტესობას ემახსოვრება, რომ წიგნის ავტორი (ლაშა ბუღაძე) წლების წინ, ლამის საყოველთაო აღშფოთებისა და დევნის ობიექტად იქცა მოთხრობის გამო, რომლის მთავარ გმირად გამოყვანილი იყო თამარ მეფის პირველი ქმარი, უბედურ რუსად წოდებული რუსი უფლისწული. მოთხრობის მთავარი სამიზნეც, ბუნებრივია, ის იყო, მაგრამ რაკი მასში გადმოცემული ამბავი უშუალოდ ეხებოდა თამარ მეფეს, აწ უკვე კერპადქცეულ, თუმცა ყველასთვის საყვარელ ისტორიულ გმირს, ანუ მას, ვინც წმინდანთა დასის, სახოტბო ოდებისა და ლეგენდების გმირად ქცეულიყო, ე.წ. საჩოთირო ისტორიის მის გვერდით მოყოლაც კი დიდი აღშფოთების საგნად იქცა. სწორედ ეს მოთხრობა და მასთან დაკავშირებული ამბები იქცა ინსპირაციის წყაროდ რომანისა, სახელად “პატარა

ქვეყანა”. ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუში, რომელშიც ახალგაზრდა მწერლისა და ახალგაზრდა სახელმწიფოს ზრდა-განვითარება უშუალო კორელაციაშია – ასე ვთქვათ, “პარალელური ბიოგრაფიებივით” მიმდინარეობს ახალგაზრდა მწერლისა და ახალგაზრდა სახელმწიფოს ზრდა-განვითარება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულმა მწერლობამ 90-იანი წლებიდან დაიწყო კლიშეების ნგრევა, რაც სხვადასხვა ფორმით გამოიხატა, იქნებოდა ეს “საბჭოთა სოციალისტური რეალიზმიდან” მკვეთრად განსხვავებული, აწ უკვე დეიდოლოგიზებული მიმართულებები, რომელშიც თავისუფლების სუნთქვა ისმოდა, თუ იქნებოდა ეს თემატიკა და ლექსიკა. განსაკუთრებით ამ უკანასკნელით “იბრძოდა” ახალი თაობა, რათა მკაცრად მოჩარჩოებულ სამწერლო ენაში ლექსიკის ახალი ნაკადი ჩაეღვარა. რომანი ერთ-ერთ ასეთ ფაქტსაც აღწერს, კერძოდ, დათო ბარბაქაძის მიერ სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ პრეზენტაციას, სადაც იმ დროისთვის ახალგაზრდა და გაბედულმა პოეტმა ნეომოდერნის თუ პოსტმოდერნის ჟანრში დაწერილი მხატვრული ტექსტი სახეში მიახალა “აკადემიურ აუდიტორიას”. რისხვას მწერლის მოკვლა არ მოჰყოლია, მაგრამ შფოთვამ და დრტვინვამ კი შეძრა ჩვენი “თეთრი ტაძრის” კედლები. სამაგიეროდ, ამ ფაქტმა იმ ადამიანთა “გულები გადახსნა”, ვისთვისაც ჭაობად და გუბედ ქცეულიყო თითქმის ყველაფერი, რაც სუფრებსა და სადღეგრძელოებში გამოხატულ პატრიოტულ პათოსამდე იყო დაყვანილი. ეს დამყაყებული ჭაობი უნდა ამომშრალიყო და ვის უნდა ამოეშრო, მწერალთა და ხელოვანთა გარდა. როგორც თავის დროზე ბოლშევიკურმა სახელმწიფომ ამოიყენა მხარში კინო და ლიტერატურა, ისევე უნდა აეღო დიდი მისია იმპერიისგან გამოხსნილი,

დამოუკიდებელი სახელმწიფოს დეიდოლოგიზაციისთვის მწერლობას და ხელოვნების სხვა დარგებს. სიტყვას უნდა დაენგრია ყველა კერპადქცეული, აწ უკვე ფსევდოფასეულობა, რაკი ისინი თავიანთ მთავარ ფუნქციას – ღირებულებით სტატუსს ვეღარ აკმაყოფილებდნენ და თაროებზე შემოდებულ, მტვერწაყრილ ნივთებს დამსგავსებოდნენ. ანდა გასაკვირი რა იყო – პირველი დიდი დარტყმა ილიამაც ენას მიაყენა, მაღალი შტილით გაქვავებულ ენას, რომელსაც სიცოცხლე და განახლება სჭირდებოდა. მისი ენაც სიბილწედ მოინათლა თავის დროზე, – ენის გაუბრალოებად და შეურაცხყოფად. ერთი-ორი სიტყვა აქვე მსურს დავუთმო აქ ნახსენებ სიტყვას – "შეურაცხყოფა" – თუ ადრე, მთელი უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ამ ლექსიკური ერთეულის შინაარსი თამაშობდა განსაკუთრებულ როლს, რაკი მთელი კოლონიზატორული ეპოქა ამ ნიშნით (შეურაცხყოფის მიყენებებით) ხასიათდებოდა – იქნებოდა ეს სახელმწიფოს გაუქმება, ეკლესიისთვის ავტოკეფალიის ჩამორთმევა, არისტოკრატიის მიწასთან გასწორება თუ ე.წ. დაბალი სოციალური ფენის გახრწნა-გადაგვარება, იმპერიის დანგრევის შემდეგ ამ სიტყვამ შეიძინა სრულიად საპირისპირო, ამოყირავებული კონოტაცია, რომელსაც დაევალა თუ ჩამოეკიდა მთელი ის კვაზი-ფასეულობები, რეალურის ნაცვლად რომ შემოგვაჩეჩეს ხელთ. ამიტომაც ამ სიტყვის აქტიური გამოყენებით ცდილობდა და დღემდე ცდილობს თავის გატანას ყველა, ვისაც რიოში მარგალიტების ობოლ მარგალიტებად შემოსაღება განუზრახავს. ორი საუკუნის მანძილზე გადაგვარებულმა ფასეულობათა სისტემამ, უფრო ზუსტად, ამ ფსევდოფასეულობათა დამცველმა ელიტამ ეს სიტყვა ააფრიალა ბაირაღად და ცხვირში გვჩრის დღემდე,

როგორც “ახალ აღთქმას” ანდა – სინას მთის იმპერატივებს.

რაღა დარჩენოდა ასეთი საშიში კერპების წინაშე მდგომ მწერალს, თუ არა – ეპატაჟი, ანუ ხელოვნების ყველაზე ხულიგნური ფორმა, რასაც მენტალური რევოლუციის ფუნქცია აკისრია. ეპატაჟის გარეშე ჩვენი მეტ-ნაკლებად სახეცვლილი საზოგადოება ის ვერ იქნებოდა, რაც დღეს არის და მის ცვლილებაში თითქმის ყველა თანამედროვე (ასე თუ ისე ცნობილ) მწერალს აქვს დადებული თითო აგური თუ არა, თითო კენჭი მაინც. მათ სახელებს და იმ არტეფაქტებთან დაკავშირებულ ისტორიებს აღარ გავიხსენებ, მხოლოდ შეგახსენებთ, რომ თითოეულ მათგანს სათითაოდ უწვნევია სილაქი (პირდაპირი გაგებით), თავში მუშტი ანდა “ზურგში დანა” თუ არა, კაი გვარიანი ლანძღვა-გინება ჩვენი “პატრიოტული” მედია-საშუალებებიდან თუ სქელტანიანი წიგნებიდან – რომელნიც “ამაოდ არ დამშვრალან” და თავიანთი მკითხველის გულებში, ვინ იცის, სამუდამოდ განუსაზღვრეს მათ ადგილი ასეთ “ერის მოღალატეებსა” და “ქრისტეს ფეხის მკვნეტელებს”. ასე რომ, არც თანამედროვე მწერლის ცხოვრებაა დალხენილი ამ პატარა ქვეყანაში, – 30-იანი წლების ბოლოს კ. გამსახურდიას მიერ რომანის ლაიტმოტივად გამოტანილი ფორმულა – “ხელოვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში” – ჩაანაცვლა “ხელოვანის ბედმა კვაზიდემოკრატიულ სახელმწიფოში”. მაგრამ საიმედო ის არის, რომ კვაზიდემოკრატიას ეშაფოტებისა და ტყვიების აღმაფრენის ტალღა შენელებული აქვს, თუმცა ეს ცხოვრებისეული ლაიტმოტივი დღემდე, მეტ-ნაკლები დრამატიზმით გასდევს ჩვენს მწერლებსა და მწერლობას.

მოკლედ, 23 წლის ყმაწვილკაცი წერს მოთხრობას თემაზე, რომელსაც არა კაცი არ შეეხებოდა, რომ არა – პიროვნული და მწერლური გამბედაობა, ლამის, სითავხედეც. და მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობის მთავარი გმირი, სათაურიდან გამომდინარეც, "სუე უბედური" გიორგი-რუსი იყო ("პირველი რუსი"), ისეთი უჩვეულო ფორმით, ანუ ტრადიციის სრული იგნორირებით მოგვაწოდა ამ საბედისწერო ისტორიის რამდენიმე ფურცელი, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკითხველთა ერთ ნაწილში საშინელი მრისხანება გამოიწვია – იქნებოდა ეს "პატრიოტულად გულანთებული": პარლამენტარი, საბრძოლო ხელოვნების ჯგუფი "ხმიადი" თუ, საბოლოოდ, სულაც, მართლმადიდებლური ეკლესია და მისი საპატრიარქო. ამ ხმაურმა, უნებურად, კარგი პიარიც გაუკეთა მოთხრობას, თუმცა ეკლესიამ ამ "საშიში და სამარცხვინო" ამბის "მოგვარება" განიზრახა – მწერალს შესთავაზა, საქვეყნოდ მოენანიებინა საკუთარი დანაშაული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანათემას გადასცემდა და მოიხსნიდა პასუხისმგებლობას მისი სულისა და ხორცის წინაშე. წიგნის მთელი სიუჟეტი მონანიება-არმონანიების წინაშე მდგარი ახალგაზრდა მწერლის სულიერ განსაცდელსა და იმ სოციალურ-კულტურულ პერიპეტიებზეა აგებული, რაც ამ ფაქტს მოჰყვა.

ალბათ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სიტყვა "მონანიებას" განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა ყველასთვის ცნობილმა ერთმა ისტორიულმა ფაქტმა და, შეიძლება ითქვას, ერის ცნობიერებაც თითქოს ზედმეტად მგრძნობიარე და დამოკიდებული გახდა ამ მოვლენაზე. თითქოს ამ სიტყვის შინაარსში ჩაიდო სრულიად უნიკალური მენტალური მდგომარეობა, რის მიმართაც

თითოეულ ადამიანს თავისი ინდივიდუალური განცდა გამოუმუშავდა. მონანიება, რომელიც, ფაქტობრივად, იყო ერთი კერძო ადამიანის ფიზიკური გადარჩენის წინაპირობა, უეცრად იქცა თითქმის მთელი ერის კოლექტიური ეთიკის მსაზღვრელად. მასა, როგორც წესი, ასეთ დროს ითხოვს თავისი კერპის მდგრადობას, კერპის სიკერპეს, მაგრამ ავიწყდება, რომ მისი სიყვარულის საგანი ხორციელი ადამიანია და, შესაძლოა, სიკვდილ-სიცოცხლის წინაშე დგომისას სიცოცხლე არჩიოს, მით უფრო, რომ მის არჩევანზე თითქმის არავის ბედი არ ჰკიდია, როდესაც ის არ არის სამხედრო წინამძღოლი თუ სტრატეგი, მაგრამ იგი მისი (ხალხის) ზნეობრივი გმირია – იქნება მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე – და ვალდებულია, მის (ხალხის) ემოციას აჰყვეს, დააკმაყოფილოს – არ შეირყეს, არ შედრკეს, თუ საჭიროა, შეეწიროს კიდეც. ეს საუკუნების მანძილზე ჩამოყალიბებული სქემაა, ე.წ. პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპიც არის, მაგრამ თანამედროვე სამყაროში, მით უფრო, იმ დროს, როდესაც ტოტალიტარიზმი დანგრეულია, ავტორიტარიზმს ვებრძვით და, ნაწილობრივ, ვამარცხებთ კიდეც, თითქოს აღარ უნდა ვთხოვდეთ ადამიანს, საფრთხეში ჩაიგდოს საკუთარი სიცოცხლე მხოლოდ იმიტომ, რომ მასას თავისი კერპისადმი თაყვანისცემა არ გაუნელდეს, ანუ – მასას იმაზე მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს, ვიდრე უნდა ვანიჭებდეთ. ახალი ადამიანი, ტოტალიტარიზმისგან თავდახსნილი, არ არის ვალდებული, მასის ცნობიერებაზე აეწყოს, პირიქით, აუცილებელიც კი არის მასისგან დიფერენცირება, ეს გაცილებით ზნეობრივი და, ინტელექტუალური თვალსაზრისით, აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯია, – ის, ვინც კერპებს ამსხვრევს, თავის თავში უნდა შეძლოს

მასის დიქტატის დამარცხებაც. ვერ ვიტყვით, რომანში ასე პირდაპირ იყოს ეს ხაზი მოწოდებული, მაგრამ ქვეტექსტებში, ანუ მწერლის განცდებში, მისი ამოკითხვა შესაძლებელია.

ერთი შეხედვით, არც ისე დრამატულ ფაქტს, მონანიებას, ადამიანის გადარჩენა შეუძლია, მაგრამ იგი მხოლოდ გარეშე პირთათვის არის უვნებელი და მსუბუქი ნაბიჯი, თავად ადამიანისთვის კი, ვისაც არაფერი აქვს მოსანანიებელი (ყოველ შემთხვევაში, მას ასე მიაჩნია), ამ ნაბიჯს შეუძლია, საკუთარი თავისადმი რწმენა შეურყიოს, მენტალური რევოლუცია გამოიწვიოს, ოღონდ ეს რევოლუცია წინსვლისთვის კი არა, უკუსვლისთვის იქნება განწირული. ამ შემთხვევაში მწერალს საკუთარ ღირსებასა და შინაგან რწმენაზე მოუწევს უარის თქმა, ამიტომაც არის ეს, ფაქტობრივად, სინდისზე უარის თქმა. მაგრამ რამდენად საშიში და აუტანელია ის მუქარები, დაბარებები, დამუნათებები, სატელეფონო ზარები თუ სახლში გამოკეტვის იძულებითი ნაბიჯები, შესანიშნავად არის გადმოცემული რომანში.

ეკლესია და ქართველი მწერალი

30-35 წლის წინათ ვინმეს რომ ეთქვა, ეკლესია ისე გაძლიერდება, თავად დაუწესებს საზოგადოებას ქცევის წესებს, მწერლებსა და მხატვრებს – გამოხატვის ფორმებზე დაუწყებს დავას, და ის იქნება ყველგან, არა მხოლოდ ტაძრებსა და მონასტრებში, არამედ – ყველგან, სახელმწიფო სამსახურებში, მედიაში, შოუებზე, მშენებლობებზე... ყველგან, ყველგან... მმართველი პარტია გაუქმებულად გამოცხადდება და ნელ-ნელა მთელ მის საზოგადოებრივ ფუნქციას ეს ოდინდელი ინსტიტუცია აიღებს თავის თავზე და “შესანიშნავად” გაართმევს თავსო,

ნამდვილად არავინ დაიჯერებდა, თუმცა, ცოტა უფრო შორსმჭვრეტელსა და დაკვირვებულ ადამიანს არ გაუჭირდებოდა ამ სამომავლო კონტურების შემჩნევა. ჯერ კიდევ საბჭოთა დიქტატურისას, სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცნობილი ჰაგიოგრაფიული ტექსტის გავლისას, ქართულის მასწავლებელი თუ პატრიოტულად გულანთებული მოწაფე შენატროდა დროს, როდესაც თავისი პიროვნული სიმტკიცითა და ეკლესიის ავტორიტეტის ძლიერების წყალობით ქართველ საეკლესიო მოღვაწეს შეეძლო, საკუთარი თავისთვის უფლება მიეცა, საყვარელი ქალი წაერთმია მეფისთვის, საეკლესიო წესდება დაერღვია და თავისი ნებისაებრ დაესვა ტახტზე კათალიკოსი – კვლავაც, საერო იერარქიაზე ზემოქმედების დემონსტრირებით. იმ დროს ქართულის მასწავლებელსა და პიროვნებად ჩამოყალიბების გზაზე მდგარ მოწაფეს ეამაყებოდათ სასულიერო ფენის, ანდა ერის სულიერი მოძღვრის პრივილეგია თავნება მმართველებზე, იმ დროისათვის სხვა განცდებს აღძრავდა შეზღუდულ-პატივაყრილი ეკლესიის სახელოვან წარსულთან შეხება. სხვა იყო ისტორია და სხვა – მათი თანამედროვე, სულიერებისგან დაცლილი, დიქტატორული რეჟიმის სახელმწიფო. ჰაგიოგრაფიის გმირი, შემდგომში წმინდანი ერისკაცთა ზნეობასა და ეკლესიის ძლიერებაზე ზრუნავდა, სანაცვლოდ, დალაგებული და მოწესრიგებული, დიპლომატიურად გამართული ურთიერთობა ჰქონდა საერო ხელისუფლებასთან. 30-35 წლის წინათ ეკლესიის დაკარგულ პრივილეგიას შენატროდა თითქმის ყველა საღად მოაზროვნე ქართველი. გავიდა წლები და ეკლესიის ზღუდეების გაფართოებამ ადამიანის უფლებებს, თანამედროვე სახელმწიფოს პრინციპებს, დემოკრატიასა და ლიბერალურ ღირებულებებს შეუქმნა საფრთხე. ერთი

უკიდურესობიდან მეორეში – ერთპარტიული დიქტატურიდან უნიფიცირებული რელიგიური დიქტატის წინაშე აღმოვჩნდით. ისტორიული გამოცდილება სახიფათოდ და საბედისწეროდ შეეჯახა თანამედროვე სახელმწიფოს პრინციპებს. ეკლესიის ფრთის ქვეშ შეფარებულმა ყოფილმა პარტიულმა ნომენკლატურამ და სახელოვნებო ელიტამ თავად შექმნა ახალი, მოდერნიზებული ინსტიტუტი, რომელმაც მათი დახმარებით რეიტინგის ზღვარს და საზოგადოებაზე უკიდეგანო გავლენას მიაღწია. ამ ეკლესიას შეფარებულმა სამეცნიერო და სახელოვნებო ელიტამ აიღო ე.წ. ეროვნულ-პატრიოტული და სულიერი პრიორიტეტების მართვის ფუნქცია, რამაც ერთგვარ კულტურულ ავტორიტარიზმს მისცა დასაბამი. ამ წრიდან დაიწყო ფსევდოკულტურული შეტევები ნებისმიერ მოვლენაზე, რაშიც ე.წ. არატრადიციულსა თუ "ანტიეროვნულს" შენიშნავდნენ. მწერალს ეკრძალებოდა უცენზურო (ანუ აქამდე მიმოქცევაში არმყოფი) ლექსიკის გამოყენება, წმინდანების ჩასმა არატრადიციულ გარემოში, მხატვარს – ამგვარი ნახატის შექმნა და ა.შ. ამიტომაც ლაშა ბუღაძის სატირული მოთხრობა გიორგი რუსისა და თამარის შესახებ, სადაც შეურაცხყოფას კი არ აყენებდა წმინდან მეფეს, არამედ, არ ჩანდა კლიშედქცეული პიეტეტი კარგა ხნის წინათ კერპადქცეული მეფე-ქალისადმი, უპირველესად, "ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე" მდგომი პერსონების "აღშფოთების" საგნად იქცა, ნელ-ნელა კი ქრისტიანი მრევლიც შეიმატა.

რომანი იწყება მწერლის დაბარებით საპატრიარქოში, სადაც დილემის წინაშე აყენებენ მას – ან საჯაროდ მოინანიებს თავის მოთხრობას, ანდა ეკლესია განკვეთს, ანათემას გადასცემს. ეკლესიასთან ურთიერთობისას

ერთმანეთში ირევა შედარებით მოაზროვნე და ლიბერალი მეუფეების, რიგითი, ჩვეულებრივი მღვდლებისა თუ მოძველბიჭო, კრიმინალური წარსულის, ახლა კი ეკლესიას მიტმასნილი სუბიექტების სახეები. ყველა მათგანი ეკლესიას წარმოადგენს, მაგრამ, ისევე მრავალფეროვნად, როგორც საერო ფენა – ისიც სიჭრელით გამოირჩევა, თუმცა ეკლესია გაცილებით მონოლითური და ერთიანია. ახალგაზრდა მწერალს, რომელიც თავისი ხასიათის თუ ასაკობრივი მდგომარეობის გამო ჯერ კიდევ ორგანულად არის დაკავშირებული მშობლებთან, ცოცხალ წინაპრებთან, მცირეწლოვან დასთანაც კი, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მამის თანხლებით უწევს სიარული საპატრიარქოში. მამა ცდილობს, ეგებ, საკუთარი ბიოგრაფიის (სტუდენტობის დროს სტიქაროსნობის) შეხსენებით იხსნას შვილი ეკლესიის რისხვისგან, მაგრამ ისიც "დისკრიმინაციის მსხვერპლი" ხდება – საქვეყნოდ განთქმულ მხატვარს პატარა ბავშვივით "უწევს ყურს" ერის სულიერი მამა – "ვერ გაგიზრდია შვილი კარგად".

მიუხედავად იმისა, რომ ლაშა ბუღაძე მისთვის ჩვეული იუმორით, უკიდურესი სარკაზმითა და თვითირონიით აღწერს თავის ერთ-ერთ, ალბათ, ყველაზე უფრო დრამატულ და მძიმე ავტობიოგრაფიულ ისტორიას, მკითხველი გრძნობს, რამდენად რთული გზის გავლა მოუხდა არა მხოლოდ მწერალს, მთელ მის ოჯახს და მეგობრებს, არამედ, მთელ ერს, მის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილს, რათა რეტროგრადიზმისა და ყალბი ფასეულობების წინააღმდეგ ებრძოლა. თუმცა, რომანის ღირსება მხოლოდ ერთი კონკრეტული მწერლის პირადი გამოცდილების დემონსტრირება კი არა, მთელი ჩვენი უახლესი ისტორიის სრული სიცხადით წარმოდგენაა –

მწერალი ლამის მემატიანეა, რომელიც მოვლენათა ეპიცენტრიდან გველაპარაკება, რომელიც საკუთარი აქტივობის წყალობით იქცა ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის მოწმედ და მონაწილედ. საინტერესოა, რომ ერთი თანამედროვე, მაგრამ სრულიად არაორდინალური მოთხრობის ავტორობამ მის ბიოგრაფიაში აამოქმედა ისეთი საბედისწერო კოდები, რომელთაც ამ რომანამდე მიიყვანეს იგი – მონანიების დაძალებიდან ნებაყოფლობით და, ჭეშმარიტად ამაღლებულ "მონანიებამდე".

ალბათ, არ იქნება სადავო, თუ ვიტყვით, ვერცერთი მაშინდელი სასულიერო აქტივისტი თუ პოლიტიკური ლიდერი ვერ წარმოიდგენდა, როგორი ტრანსფორმაცია შეიძლება განიცადოს რეალურმა მოვლენებმა მწერლის შინაგან სამყაროში, როგორ სახეებად თუ მეტაფორებად გარდაიქმნებიან ფაქტები და მოვლენები. ვერცერთი მაშინდელი სასულიერო იერარქი ვერ იფიქრებდა თუ იოცნებებდა, რომ გავიდოდა საკმაო დრო, დაახლოებით, 15 წელი და ეს "მკრეხელი" და ანათემისთვის განწირული ახალგაზრდა მწერალი დაწერდა ვრცელ რომანს, სადაც მონანიების ყველაზე მშვენიერ ფორმას, მათთვის ვერდასიზმრებულ ვერსიას შექმნიდა. რომანი ისეთი ამაღლებული აკორდით მთავრდება, იმდენად წრფელი და ამაღელვებელია ამ "ცუდად აღზრდილი შვილის" გაცნობიერებული "უძღებობა", რომ დრო, რომელიც ვრცელი რომანის გასაცნობად უნდა გაწიროს მკითხველმა, სიხარულით ივსება და ღაღადს იწყებს. დრო აღნიშნულია, მწერალი – ცოცხალი!

* * *

წიგნზე უფრო სრულყოფილი აზრის შესაქმნელად მხოლოდ ზოგად ჩამონათვალს შემოგთავაზებთ – იგი გვახსენებს თითქმის ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს, რომელმაც თავი იჩინა 80-90-იანი წლებიდან დღემდე. რომანში შეხვდებით ჩვენი თანამედროვე რეალური პირების საინტერესო მხატვრულ გარდასახვებს, მწერლური ოსტატობითა და ასევე მწერლური პატიოსნებით, ანუ მიუკერძოებლად (რამდენადაც ეს შესაძლებელია) დახატულ სახეებს, შესაბამისად, დრამატული ამბები სევდას კი მოგგვრით, მაგრამ თითქმის არასოდეს დაგტოვებთ სევდასთან მარტო, რადგან იუმორის, სარკაზმის, თვითირონიის ოსტატობა გიხსნით ამ აუტანელი მდგომარეობიდან. რომ არა ამ მხატვრული ხერხებით გაფერადება საკუთარი ბიოგრაფიისა თუ ქვეყნის უახლესი ისტორიისა, ვინ იცის, მიგვეღო ჩამჟავებული და დამთრგუნველი დრამა, რომელიც ვერაფრით მიესადაგებოდა, ასე თუ ისე, დემოკრატიის გზაზე შემდგარი ქვეყნის სამოქალაქო სულისკვეთებას. ამდენად, ლაშა ბუღაძის მიერ მისთვის ჩვეულ სტილში დაწერილი, საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტის წაკითხვა სასიამოვნო და იოლია, სიიოლე კი ჩვენი დროის ყველაზე მოთხოვნადი "საქონელია", მისი წყალობით წიგნი უფრო მეტ მკითხველსაც შეიძენს.

დაბოლოს, ტექსტის ერთ ღირსებაზეც მინდა ყურადღების გამახვილება – მიუხედავად იმისა, რომ იოლად იკითხება, საინტერესო ამბებით არის სავსე და, წესით, არ უნდა მოგბეზრდეთ, რომანს კიდევ აქვს მთავარი "კოზირი" – ფინალის კულმინაცია, მოულოდნელობის ეფექტი. მკითხველს ვურჩევ, ამ სიამოვნების მისაღებად წაიკითხოს სწრაფად, ამოსუნთქვის გარეშე.

თეკლე ქველაძე

პოეტური ტრანსფერი პროზაში

„მე არ ვუყვარვარ საქართველოს. მე ამას ვხვდები“ – ხვდები და გარბიხარ, გარბიხარ რაც შეიძლება შორს და რაც შეიძლება დიდი ხნით. გაქცევა, როგორც დიდი მოგზაურობის დასაწყისი, ერთ-ერთი ყველაზე ძველი და პოპულარული ფაბულაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ამ სიტყვების ავტორის – რეზო გეთიაშვილის ლიტერატურაში მობრუნება კი სწორედ გაქცევით იწყება: გაქცევა პოეზიიდან, ქვეყნიდან, საკუთარი თავიდან და რეალობიდან. სად გარბიან ქართველი პოეტები და ყველაფრის ფასად გაქცეულები, რატომ ბრუნდებიან უკან – საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც ათეული წლებია ცდილობს შედგეს სახელმწიფოდ და ჯერჯერობით არაფერი გამოსდის.

როგორც ავღნიშნეთ, გაქცევა არც ისე ახალი ლიტერატურული მოვლენაა, მაგრამ ჩვენს წერილში სულ სხვა ტიპის ლიტერატურულ გაქცევაზე ვისაუბრებთ. ჩვენი ტექსტის მთავარი გმირების „გაქცევა“ ტრანსფერი უფროა, ვიდრე რაიმესგან თავის დაღწევა და გარიდება.

2018 წელი გამომცემლობა „ინტელექტმა“ ნაყოფიერად დაიწყო და ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ქართველი ავტორის წიგნი წარუდგინა მკითხველს, მათ შორის გაგა ნახუცრიშვილის „ზამთრის ზღვა“ და რეზო გეთიაშვილის “Terra Incognita“. თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე თვალმიდევნებული მკითხველი ალბათ ჩემს გარეშეც მიხვდებოდა, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა გავამახვილო ყურადღება ბოლო დროის აქტუალურ ტენდენციაზე: გარკვეულ წრეებში უკვე სახელმოხვეჭილი და ასე თუ ისე დაფასებული და

შეძლებისდაგვარად აღიარებული პოეტები აქტიურად ინაცვლებენ პოეზიაში. „ასე თუ ისე დაფასებულსა“ და „შეძლებისდაგვარად“ აღიარებულს იმიტომ ვამბობ, რომ ბოლო დროს ხშირად ისმის რიტორიკული კითხვა „ესენი არიან ქართველი მწერლები? მაშ, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი?!“ ამიტომაც, საგანგებოდ ხაზს ვუსვამ, რომ გარკვეულ წრეებში აღიარებული პოეტები და არა საყოველთაოდ. საყოველთაო აღიარება აგერ, ბესიკ ხარანაულმაც ვერ მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო პროგრამაშიც კი არის შეტანილი.



დავუბრუნდეთ „პოეტურ ტრანსფერებს“: გასულ წელს უკვე ვისაუბრეთ გაგა ნახუცრიშვილისა და სოსო მეშველიანის, ასევე ძალიან კარგი პოეტის, პროზაულ კრებულებზე. ამჯერად გაგა ნახუცრიშვილმა რომანი გამოსცა, რომელიც ტრილოგიის ნაწილია და მომავალში კიდევ ორ წიგნს უნდა ველოდოთ. რეზო გეთიაშვილი კი დიდი ხანი ლიტერატურულ ასპარეზზე აღარ ჩანდა, და თუ Google-ის საძიებო სისტემაში მის სახელს და გვარს ჩაწერდით, იპოვიდით სტატიებს მისი გარემოსდაცვითი მოღვაწეობის შესახებ. გარემოს დაცვა თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი ქვეყნისათვის, თუმცა სამწუხაროა, რომ პოეტი, რომლის ლექსებიც წლების წინ „ქუხდა“, სადღაც დაგვეკარგა. თურმე, კი არ დაგვეკარგა, დოკუმენტურ რომანს წერდა და აი, ისიც – “Terra Incognita”. ამბავი რეზო გეთიაშვილის უცნობ მიწაზე უკვე რამდენიმე კვირაა წიგნის მაღაზიებში ელოდება მკითხველს. რამდენიმე თვის წინ რომანის წერა

დააანონსა ახალგაზრდა პოეტმა თორნიკე ჭელიძემ, პაატა შამუგია, აგერ 2012 წლიდან გვემუქრება, რომ რომანს წერს. დღეს, თუ ვინმეზე ითქმის „სიტყვის ოსტატიაო“, ერთ-ერთი პირველი ნამდვილად პაატა შამუგიაა და მის მხატვრულ ტექსტებზე არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია მისი პუბლიცისტიკა და სამოქალაქო აქტივიზმი. მოკლედ, ყველა მიზეზი გვაქვს იმისთვის, რომ პაატა შამუგიას რომანს მოუთმენად ველოდოთ. თანაც, მისი „ტრანსფერი“ ერთობ რადიკალურია, რადგან ბოლო წიგნის პრეზენტაციისას თქვა, რომ „დედაენა“ მისი უკანასკნელი პოეტური კრებულია და დღეის ამას იქით მხოლოდ პროზას გამოსცემს.

როგორც ხვდებით, თანამედროვე ლიტერატურაში პოეზიიდან პროზაში გადაბარგება საკმაოდ აქტუალური საკითხია. რთული სათქმელია, ეს კომერციული გათვლაა თუ უბრალოდ პოეზიამ საკუთარი თავი ამოწურა (ან ამ ავტორებში, ან ზოგადად ლიტერატურაში) – ვერ გეტყვით, ამაზე გადაჭრით პასუხის მისაღებად ალბათ ავტორებთან გასაუბრება აჯობებს. ბოლოს და ბოლოს ბარტი მოკვდა, მაგრამ ჩვენი ავტორები ისევ ცოცხლები არიან. ისე, მე მოქალაქე ზ. რ.-ს აზრს ვიზიარებ: „ვიდრე ადამიანმა არ იცის, როდის მოკვდება, იარსებებს პოეზიაც“ – მიუხედავად შეუქცევადი ტრანსფერებისა.

რეზო გეთიაშვილის რომანი თავიდან ბოლომდე ავტობიოგრაფიულია და ამერიკის ძებნაში ინდოეთში აღმოჩენილი და იქ ჩარჩენილი რეზოსა და მისი ბიძაშვილის – ფიგუს ისტორიას გვიყვება. რამდენიმე ქართველი და ბევრი უცხოელი მწერლის შემდეგ, ქართველ მკითხველს ინდოეთის აღმოჩენაში ამჯერად რეზო გეთიაშვილი დაეხმარება. დელი, ჰარიდვარი, ჰიმალაის მთები, კეთილი და არც ისე კეთილი

ინდოელები, სიბინძურე, კორუფცია (ჩვენზე უარესი) – ეს რეზო გეთიაშვილის უცნობი მიწაა. თუმცა, ვინაიდან რომანი დოკუმენტურია, „ინდოეთის აღმოჩენაზე“ უფრო საინტერესო საქართველოს უახლესი ისტორიის ის ეპიზოდია, რომლშიც “Terra Incognita“-ს გმირები ცხოვრობენ. 2000-იანი წლების დასაწყისი, საზღვრები გახსნილია და ყველა გარბის, გარბის, ვისაც როგორ შეუძლია და ვისაც სად შეუძლია, ახალი მიწების აღმოსაჩენად, ოცნებების ასახდენად, ან უბრალოდ, ოჯახის სარჩენად. მაშინ გაქცეული ქართველები დღემდე მსოფლიოში არიან გაფანტულნი. საზღვრების გახსნით რომ ბევრი თაღლითი სარგებლობდა, რა თქმა უნდა, ისინიც თავისა და ოჯახის სარჩენად, ეგ ამბავიც დოკუმენტური სიზუსტით არის აღწერილი. ქართველ კაცს რომ „ქვა აღმართში დაეწევა“ და „უის გაეყრება და ვაის შეეყრება“, სწორედ ასეთი ამბავია “Terra Incognita“. ქართული, ინდური და ყაზახური თაღლითობა რომ სხვადასხვაგვარია და ეროვნული ნიშან-თვისებების მატარებელია, ესეც რომანის ერთ-ერთი საინტერესო პასაჟია. თხრობას რაც შეეხება, პროტაგონისტის ხმა არც ისე პოეტურია, რაც ამბის და თავისთავად, იმ პერიოდის რომანტიზაციას არ იწვევს მკითხველში. რეზო გეთიაშვილის რომანი მაქსიმალურად დაცლილია რომანტიკული ელფერისგან, საკმაოდ მკაცრი მოზომილი ნარატივით, საკუთარი თავისა და გარემოს მიმართ სარკასტული დამოკიდებულებით, თითქოს ავტორი ხაზს უსვამს ამბის სიმძიმეს. შეჯამებისთვის, თუ დოკუმენტური პროზა გიყვართ და საქართველოს უახლესი ისტორიის უცნობი ამბები გაინტერესებთ, „Terra Incognita“ აუცილებლად წასაკითხი წიგნების სიაში შეიყვანეთ.

თანამედროვე ლიტერატურაზე საუბარი ცოტა სარისკო და სახიფათოა, ვფიქრობ, რთულია მხატვრული ტექსტის

თანამედროვის თვალით შეფასება. მით უფრო, როცა ავტორი და მკითხველი ერთ რეალობაში, მსგავს პრობლემებში ცხოვრობენ, თანაგანცდისა და თანამონაწილეობის რისკი დიდია. როგორც რეზო გეთიაშვილის რომანი, ასევე გაგა ნახუცრიშვილის ძველი და ახალი ტექსტები მკითხველს ნამდვილად ახსენებს მივიწყებულ ამბებს, რაც თავისთავად მძაფრ ემოციურ ფონს ქმნის. გაგა ნახუცრიშვილის პროზაულ ტექსტებში „ზამთრის ზღვა“ ნამდვილად ახალი ეტაპია. რომანი სამ ამბავს და სამ დროს აერთიანებს: მეოცე საუკუნის 20-წლები, მთხრობელის წინაპრების ბურუსით მოცული ტრაგედია და მათი კავშირი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან; 90-იანი წლები და 90-იანი წლების მიწურულში მთავარი გმირის ცხოვრება გერმანიაში, და თანამედროვე რეალობა, მთხრობელი და მისი მეგობარი გოგო. საინტერესო სიახლეა მწერლის შემოქმედებაში ქალის ხმის გაჩენა. რომანის მეორე, შედარებით მცირე ნაწილის პროტაგონისტი ახალგაზრდა გოგონაა, რომელიც ამავდროულად პირველი ნაწილის ერთ-ერთი პერსონაჟია. ვფიქრობ, ქალი პროტაგონისტის ხმას აკლია ფემინურობა და ცოტათი არარეალურია. მისივე პროტოტიპი, წიგნის პირველ ნაწილში, კაცის პერსპექტივიდან დანახული გოგონა, ბევრად რეალური და დამაჯერებელია. გაგა ნახუცრიშვილის დოკუმენტურ მოთხრობებსა და ნოველებზე საუბრისას, არაერთხელ უთქვამთ, რომ პოეტური, რიტმული და მუსიკალურია, მაგრამ ავტორი რაც უფრო საფუძვლიანად იკიდებს ფეხს პროზაში, რაც უფრო სცილდება დოკუმენტურ ხაზსა და რეალობას, ნელ-ნელა ქრება მისი პოეტური ხმა. მაგრამ არის ერთი საერთო მახასიათებელი, რომელიც ამჯერადაც შეინარჩუნა მწერალმა: მიუხედავად დანაწევრებული, დაშლილი წიგნისა, რომელიც ერთგვარი ფაზლია, თხრობა გაბმულია,

ამბავი ხშირად წყდება და რამდენიმე ეპიზოდის შემდეგ გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ გაგა ნახუცრიშვილის პროზაული კრებულები („სისულელის ტრაქტატი“ და „ბარნოვის 122“), დამოუკიდებელი ტექსტებისგან შედგებოდა, საბოლოოდ მაინც ერთ სოციალურ სურათს ქმნიდა. „ზამთრის ზღვა“ კი, ორი ნაწილისა და 83 ეპიზოდისგან შედგება და ერთგვარი ფაზლია. ნელ-ნელა, პარალელური თხრობით, სამი ამბის 83 ეპიზოდში იწყობა ახალგაზრდა კაცის პორტრეტი. „წარსულში ჩარჩენილი“ ან „დაკარგული ბიჭის“ პორტრეტი, რომელიც გარბის და ბრუნდება, ელოდება რაღაცის დამთავრებას და ახლის დაწყებას, ელოდება და გარბის, გარბის, რომ დაბრუნდეს. რაღაც მომენტში ფიქრობ, რომ პროტაგონისტი თავად ავტორია, თუმცა ხვდები, რომ ანდრო და გაგა სხვადასხვა ადამიანები არიან, მართალია გარკვეული ეპიზოდები ბიოგრაფიულია, თუმცა მთავარი გმირი საკუთარ სტადიონზე თამაშობს და ავტორი „მოკვდა“. გაგა ნახუცრიშვილიც უკვე თავის სტადიონზე თამაშობს/წერს, მისი ტრანსფერი ამართლებს, მისი პროზა აღარ არის სხვის მოედანზე თამაში. გაგა შინ არის.

ვფიქრობ, ორივე რომანის ცენტრალური იდეა – ყველაფრის მიუხედავად ადამიანად დარჩენილი ადამიანები და მათი ცხოვრებაა. მართალია, სიუჟეტური ხაზი, თხრობის სტილი, ამბავი და ლიტერატურული ღირებულება, მხატვრული ტექსტის შეფასებისას უმთავრესი პრიორიტეტია, თუმცა გაგა ნახუცრიშვილისა და რეზო გეთიაშვილის რომანებზე ფიქრისას, პირველ ყოვლისა ადამიანი გახსენდება – ადამიანი, რომელსაც „სიბნელეში სინათლის დანახვა. უბედურების დროს ბედნიერი დღეების შეგრძნება“ შეუძლია და იცის, „როგორ არ უნდა სძულდეს“ და „როგორ არ გაბოროტდეს“.

5. ახალი თარგმანები

ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო

ცის ბინადარნი

ფრანგულიდან თარგმნა დალი იაშვილმა



აი, რისი გაკეთება უყვარდა ყველაზე მეტად ჯვარუკას: გავიდოდა სოფლის ბოლოს და გადამხმარ მიწაზე სწორად ჯდებოდა. ისე სწორად, რომ ზუსტად მართკუთხეს ქმნიდა, სწორედ იმ დროს, როცა თაკარა მზე აცხუნებდა. საათობით გაუნძრევლად იჯდა, წელში გამართული და ფეხებგაჭიმული, ჰო, თითქმის გაუნძრევლად. მისი ხელები თითქოს თავისთავად ხანდახან მოძრაობდნენ, გლეჯდნენ პატარა ბალახებს და მისგან ჯვარუკა თოკებს ან კალათებს წნავდნენ. ასე იჯდა და თითქოს თავის ქვეშ მიწას ჩასცქეროდა, არაფერზე ფიქრობდა, არავის ელოდა, უბრალოდ იჯდა წელში გამართული, ისე, რომ მართ კუთხეს ქმნიდა გამომხმარ მიწასთან, სოფლის ბოლოს, სწორედ იქ, სადაც უეცრად მთა მთავრდებოდა და ცა იწყებოდა.

უდაბური ადგილი იყო, მტვრისა და ქვიშის ქვეყანა, რომლის ერთადერთი საზღვარიც ჰორიზონტზე მართკუთხა პლატო იყო. მიწა აქ ძალზე მწირი იყო, რომ ხალხი გამოეკვება და წვიმაც არ მოდიოდა ციდან.

მოასფალტებული გზა კიდით-კიდემდე კვეთდა ამ მხარეს, მაგრამ ამ გზით სწრაფად უნდა გაგევლო, გაუჩერებლად, არ უნდა შეგეხედა მტვრიანი სოფლებისთვის, პირდაპირ უნდა გევლო მირაჟებს შორის, გადახურებული საბურავების ნესტიანი ხმაურით.

მზეს აქ ძალა ჰქონდა, ბევრად მეტი ძალა, ვიდრე დედამიწას. როდესაც ჯვარუკა ასე იჯდა, გრძნობდა მზის ძალას თავის სახესა და სხეულზე. მაგრამ მისი არ ეშინოდა. მზე თავისი გრძელი გზით მიდიოდა ცაზე და გოგონა არაფრად ენაღვლებოდა. ის ალღობდა ქვებს, აშრობდა მდინარეებსა და ჭებს, ხრუკავდა ხეებსა და ბუჩქებს. გველებსა და მორიელებსაც კი ეშინოდათ მისი და შეღამებამდე ხვრელებში და ქვების ქვეშ იმალებოდნენ.

ჯვარუკას კი არ ეშინოდა, არა. მისი უძრავი სახე თითქმის შავი გახდა, მზეს რომ არ დაერტყა, თავს მოსასხამის კიდით იბურავდა. უყვარდა თავისი ადგილი ფრიალო კლდის თავზე, იქ, სადაც მიწა და კლდეები უეცრად წყდებიან და ცივ ქარს მიაპობენ, როგორც გემის კიჩო. მისმა სხეულმა თავისთავად იცოდა, რომ თითქოს მისთვის იყო წინასწარ განკუთვნილი ეს ადგილი. სრულიად პატარა ადგილი, ზუსტად მისი დუნდულების და ფეხების ფორმის პატარა ჩაღმავება გამომშრალ, მაგარ მიწაზე. დიდხანს, დიდხანს შეეძლო მჯდარიყო წელში გამართული, სანამ მზე არ დაცხრებოდა და მოხუცი ბახტი არ მოვიდოდა, ხელს არ მოჰკიდებდა და სავახშმოდ არ წაიყვანდა.

ის ხელისგულებით ეხებოდა მიწას, თითებით მიმოდიოდა ქარისგან და მტვრისგან გაჩენილ ნაპრალებში, პაწაწა გორაკებში. ქვიშის მტვერი, რომელზეც პატარა ხელისგულები დაცურავდნენ, ფხვიერი და ტალკივით

რბილი იყო. ქარი რომ ამოვარდებოდა, მსუბუქი მტვერი ხელიდან უსხლტებოდა და ჰაერში კვამლივით უჩინარდებოდა. მყარი მიწა ხურდებოდა მზეზე. ბევრი დღის, ბევრი თვის განმავლობაში მოდიოდა ჯვარუკა ამ ადგილას. აღარც კი ახსოვდა, როგორ მიაგნო. მხოლოდ კითხვა შემორჩა მახსოვრობას, რომელიც მოხუც ბახტრის დაუსვა ცისა და ცის ფერის შესახებ.

“რა არის სილურჯე?”

აი, რა ჰკითხა პირველად და მერე ეს ადგილი იპოვა, ეს პატარა ორმო მყარ მიწაში, რომელიც თითქოს დიდი ხანია, მას ელოდა.

დაბლობის ადამიანები ახლა შორს იყვნენ. წავიდნენ, გაფრინდნენ უდაბნოს გზით, როგორც ხოჭოების გუნდი, და აღარ ისმოდა მათი ხმაური და ღრიანცელი. მიდიან ახლაც, ალბათ სადმე თავიანთი საბარგო მანქანებით, მოხრიალე, მოჭრიალე რადიომიმღებები აქვთ ჩართული და მუსიკას უსმენენ. მიდიან პირდაპირ, შავი გზით, გადამხმარ მინდვრებსა და მოჩვენება-ტბებს შორის, მიდიან და გარშემო არ იყურებიან. სულ პირდაპირ და პირდაპირ მიდიან, თითქოს უკან დაბრუნება არ უწერიათ.

ჯვარუკას უყვარს, როცა გარშემო არავინაა. მის ზურგს უკან სოფლის შუკები ცარიელია, იმდენად ცარიელი, რომ სიჩუმის ცივ ქარს არაფერზე შეუძლია მოჭიდება. ნახევრად დანგრეული სახლების კედლები კლდეებივით დგანან – მძიმენი, უძრავნი, ქარით გადაქანცულნი, უტყვნი და უსიცოცხლონი.

და ქარიც დუმს, ყოველთვის დუმს. ის არ ჰგავს ადამიანებს, ბავშვებს, არცერთ სულიერ არსებას. ის უბრალოდ დაჰქრის კედლებზე, კლდეებსა და მაგარ მიწაზე. მოაღწევს

ჯვარუკამდე, მოეხვევა, უგრილებს მზისგან დამწვარ სახეს, უფრიალებს მოსასხამს.

აი, ქარი რომ გაჩერებულიყო, იქნებ ჯვარუკას გაეგონა მინდვრებში მომუშავე ქალებისა და კაცების ხმები, ჭის ჭიშკრის ხმაური, ბავშვების ყიჟინა სკოლა-სახლიდან, ქვევიდან, სადაც თუნუქის ქოხმახები იდგა. და უფრო შორიდანაც, ჯვარუკას შეიძლებოდა გაეგონა, თუ როგორ ხმაურობდნენ რელსებზე სატვირთო მატარებლების ბორბლები, როგორ მიღრიალებდნენ შავ გზაზე დიდწონიანი სატვირთოები, რომლებიც ჯერ ქალაქებისკენ მიისწრაფოდნენ, სადაც კიდევ უფრო დიდი ხმაური იყო და შემდეგ კი ზღვისკენ.

ახლა ჯვარუკა სიცივეს გრძნობს, მაგრამ არ უძალიანდება. მხოლოდ ჯერ მიწას ეხება ხელებით, მერე სახეს. სადღაც უკან ძაღლები ყეფენ, ისე, უბრალოდ, დაიყეფებენ და მერე კედლის ძირში მოირკალებიან და ცხვირს მიწაში წარგავენ.

ამ დროს სიჩუმე ისეთი ყოვლისმომცველია, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჯვარუკას ახსოვს თავისი შეკითხვა, – უკვე რამდენი წელია სვამს ამ კითხვას და პასუხის გაგებაც ძალიან უნდა – კითხვას ცასა და ცის ფერზე. მაგრამ ხმამაღლა აღარ სვამს კითხვას: “რა არის სილურჯე?”

რადგან დანამდვილებით არავინ იცის პასუხი. ის ზის უძრავად, გამართულად გადამხმარ მიწაზე, ფრიალო კლდის ბოლოს, უფსკრულის პირას, და მის წინ ცაა. მან იცის: რაღაც მოხდება. ყოველ საღამოს გადამხმარ მიწაზე მჯდარი ელოდება რაღაცას, რაღაცას მხოლოდ თავისთვის. მისი თითქმის შავი, ქარისა და მზისგან დამწვარი სახე ოდნავ უკანაა გადაწეული, რომ არანაირი ჩრდილი არ

მიადგეს. ის მშვიდადაა, არ ეშინია. იცის, ერთ დღესაც იქნება და პასუხი მოვა, მაგრამ როგორ, ეს არ იცის. ერთი რამ კი დანამდვილებით იცის, ციდან ცუდი არაფერი შეიძლება მოვიდეს. მდუმარებაა დასადგურებული ველზე, სოფელში მის ზურგს უკან იმიტომ, რომ უკეთ გაიგონოს პასუხი თავის კითხვაზე. მხოლოდ ის შეძლებს მის გაგონებას. ძაღლებსაც კი სძინავთ და არ იციან, რა მოხდება.

თავიდან არის ხოლმე სინათლე. ის ჩუმად შარიშურობს მიწაზე, როგორც ფოთლებისგან შეკრული ცოცხი ან წვიმის წვეთები. ჯვარუკა მთელი ყურადღებით უსმენს, სულგანაბული და გარკვევით ესმის ჩქამის მოახლოება. თავიდან შ-შ-შ-შ ისმის, შემდეგ ტკაც-ტკაც-ტკაც ყველგან, გარშემო: მიწაზე, კლდეებზე, ბანიან სახურავებზე. ეს ცეცხლის ტკაცატკუცი ისმის, სუსტი, აუჩქარებელი, მშვიდი ცეცხლისა, რომელიც არც ზევით მიიწევს და არც ნაპერწკლებს ყრის. და რაღაც პირდაპირ გოგონაკენ მოფრინავს ზევიდან, პატარა ფრთების ფართხუნით. ჯვარუკას ესმის გუგუნი, რომელიც ძლიერდება და გარემოს იპყრობს. ახლა ის ყველა მხრიდან მოისმის: არამარტო ზევიდან, არამედ მიწიდან, კლდეებიდან, სახლების სახურავებიდან – ის ყველა მხრიდან იფრქვევა შხეფებად, იკვრება ყულფებად, იფანტება ვარსკვლავებად და იხვევა სპირალებად.

ის მის თავს ზემოთ სხივთა კონას ხატავს, უზარმაზარ ძნებს და მერე თავთავებად იშლება.

აი, ისიც, პირველი ხმა, პირველი სიტყვა. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მთელი ცა სინათლით გაივსება, გოგონას ესმის, როგორ მოჰქრიან მისკენ მისი ცელქი სხივები, და გული ძალუმად, გამალებით უძგერს.

ჯვარუკა თავს არ ატრიალებს, არ იძვრის. გადამხმარი მიწიდან იღებს ხელებს და წინ ხელისგულებამოტრიალებულებს ჭიმავს. ასეა საჭირო: გრძნობს, როგორ ეხება სითბო თითის წვერებს, თითქოს ეფერებაო. შუქი ციმციმებს მისი თმის ტევრში, მოსასხამის ბეწვზე, წამწამებზე; შუქი რბილია და ოდნავ თრთის, ხან ზურგით, ხან მუცლით დასრიალებს გოგონას ხელისგულებზე.

თავიდან ყოველთვის ასეა: მოფრინდება შუქი და გოგონას გარშემო დატრიალდება და ნებას აძლევს მოეფეროს, მოხუცი ბახტრის ცხენებივით. ოღონდ ეს ცხენები უფრო დიდები და ალერსიანები არიან და უყოყმანოდ მიდიან მასთან, თითქოს მათი პატრონი იყოს.

ისინი ცის სიღრმიდან მოდიან, მთიდან მთაზე ხტებიან, ქალაქების, მდინარეების თავზე გადმოიჭენებენ ისე, რომ ფლოქვებს სულაც არ ათქარუნებენ, მხოლოდ მათი აბრეშუმისდარი ფაფრების შარიშური მოისმის.

ჯვარუკას უყვარს მათი მოსვლის ჟამი. ისინი ხომ მხოლოდ მასთან მოდიან, რომ მის კითხვას უპასუხონ, ალბათ იმიტომ, რომ მხოლოდ გოგონას ესმის მათი და უყვარს ისინი. სხვა ადამიანებს ეშინიათ და მათაც აშინებენ, ამიტომაც ვერასდროს ხედავენ ისინი ლაჟვარდიდან მოსულ ცხენებს. ჯვარუკა მათ ნაზად, მშვიდად, წამღერებით უხმობს, ცის ცხენებიც ხომ მიწაზე მყოფი ცხენებივით არიან, მათაც უყვართ ნაზი ხმა და სიმღერა.

ცხენებო, ცხენებო,
ციურო პაწაწა ცხენებო,
წამიყვანეთ თქვენთან ცაში, წამიყვანეთ თქვენთან ცაში,
ციურო პაწაწა ცხენებო.

ის მათ “პაწაწებს” უწოდებს, რადგან ვაითუ ეწყინოთ, თუ შეიტყვეს, უზარმაზარები რომ არიან.

ასე ხდება თავიდან. მერე ღრუბლები მოდიან. ღრუბლები სულაც არ არიან სინათლის მსგავსნი. ღრუბლები არც ზურგით და არც მუცლით არ გეფერებიან ხელისგულებზე, იმიტომ, რომ ისინი იმდენად მსუბუქნი და არამყარნი არიან, რომ შეხებისას შესაძლოა თავიანთი ქურქი დაკარგონ და ბამბის ქულებივით გაიფანტონ.

ჯვარუკა მათ კარგად იცნობს. იცის, რომ ღრუბლებს გადნობის და გაფანტვის ეშინიათ და ამიტომ ცდილობს, ნაკლებად ისუნთქოს და ამოსუნთქვითაც უცბათ ამოისუნთქავს ხოლმე ნარბენი ძაღლივით. ამისგან ყელში და გულში სცივა და თვითონაც ღრუბელივით სუსტი და მსუბუქი ხდება. აი, სწორედ მაშინ მოდიან ღრუბლები.

თავიდან ისინი ცხვრის ფარასავით გაიწელებიან მაღლა, მიწის ზემოთ, მზეს ჩამოეფარებიან და მათი ჩრდილები დასრიალებენ გადამხმარ მიწასა და ჯვარუკას სახეზე.

ჩრდილები დაცურავენ მისი თითქმის შავი ლოყების, შუბლის, ქუთუთოების, ხელების კანზე, აქრობენ მზეს და ცივ, ცარიელ ლაქებად ედებიან. ეს სითეთრეა, ღრუბლების ფერი. მოხუცი ბახტრი და სკოლის მასწავლებელი იასპერი ჯვარუკას ეუბნებოდნენ, რომ სითეთრე – ცის, მარილის, ღრუბლებისა და ჩრდილოეთის ქარის ფერია. და კიდევ ესაა ძვლებისა და კბილების ფერი. თოვლი თეთრია და ხელში დნება, ქარი ცივია და მას ვერავინ იჭერს. მარილი ტუჩებს წვავს, ძვლები მკვდრები არიან, კბილები კენჭებივითაა პირში. ეს ყველაფერი იმიტომაა, რომ სითეთრე – სიცარიელის ფერია, თეთრის იქით ხომ აღარაფერია, აღარაფერი.

ასეთია ღრუბლები. ისინი ისე მაღლაა, ისეთი სიშორიდან მოდიან, სილურჯის სიღრმიდან, ქარივით ცივნი, თოვლივით მსუბუქნი და არამყარნი: ისინი ჩუმად, მკვდრებზე უფრო, ბავშვებზე უფრო ჩუმად მოდიან, როცა ეს უკანასკნელნი ფეხშიშველები დადიან სოფლის გარშემო კლდეებზე.

მაგრამ ღრუბლებს უყვართ ჯვარუკასთან მოსვლა და მისი სულაც არ ეშინიათ. მათ იციან, რომ ჯვარუკასაც უყვარს სიჩუმე. იციან, რომ მათ არ აწყენინებს. დიდრონი ღრუბლები მოცურდებიან ხოლმე მასთან, გარს ეხვევიან. გოგონა გრძნობს მათ ალერსიან სიგრილეს. ათასობით წვეთი, ღამის ნამივით, ანესტიანებს მის სახეს, ტუჩებს და ესმის ნაზი, ნაზი ხმაური თავის გარშემო და ისევ იწყებს სიმღერას. მათთვის, ღრუბლებისთვის მღერის:

ღრუბლებო, ღრუბლებო,
ციურო პაწაწა ღრუბლებო,
წამიყვანეთ თქვენთან ცაში,
წამიყვანეთ თქვენთან ცაში,
მაღლა ცაში,
ციურო პაწაწა ღრუბლებო.

ის მღერის “პაწაწა ღრუბლებოს”, თუმცა იცის, რომ ისინი ძალიან, ძალიან დიდები არიან, რადგან მათი გრილი ქურქი კარგა ხნით გამოახვევს ხოლმე თავის კალთაში და მზისგან მალავს, ისე დიდხანს, რომ ააკანკალებს კიდეც.

როცა ღრუბლები მასთან არიან, ხელებს ძალიან, ძალიან ნელა ამოძრავებს, რომ ისინი არ დააფრთხოს. აქაურებმა არ იციან ღრუბლებთან საუბარი. ძალზე ხმაურიანები და მოფუსფუსეები არიან, ამიტომაც ცხოვრობენ ღრუბლები ცაში, ასე მაღლა. ჯვარუკა ნელ-ნელა სწევს ხელებს და ლოყებზე იფარებს.

შემდეგ ღრუბლები მიცურავენ შორს, შორს, იქ, სადაც საქმეები აქვთ, მთების, ქალაქების გადაღმა. მიცურავენ ზღვისკენ, სადაც მუდამ სილურჯეა, რომ წვიმად გადმოიღვარონ, რადგან ყველაზე მეტად ეს უყვართ: წვიმად მოსვლა ზღვის უკიდეგანო სილურჯეში. ზღვა, ამბობდა მოხუცი ბახტრი, ქვეყანაზე ყველაზე მშვენიერი ადგილია, ადგილი, სადაც ყველაფერი ლურჯია და ლაჟვარდოვანი. "ზღვაში მრავალგვარი სილურჯეა", – ამბობდა მოხუცი ბახტრი, "შეიძლება სილურჯე იყოს მრავალგვარი? – ჰკითხა ჯვარუკამ. – შეიძლება, შეიძლება, სილურჯე სხვადასხვაგვარი არსებობს, ისე, როგორც სასმელი წყალი, რომელიც ავსებს შენს პირს და ჩადის კუჭში, ის ხან ცივია, ხან თბილი."

ჯვარუკა სხვა ციურ ბინადართაც ელოდება. ელოდება, როდის მოვა მასთან ბალახებისა და ცეცხლის სურნელი, ოქროს მტვერი, რომელიც ცეკვავს და ცალი ფეხის წვერზე ტრიალებს, ჩიტი, რომელიც ერთხელ დაიჭყივლებს და მის სახეს ფრთას შეახებს. ისინი ყოველთვის მოდიან, როცა ჯვარუკა აქაა. მათ მისი სულაც არ ეშინიათ. მათ ესმით მისი ერთი და იგივე შეკითხვა: ცის, მისი ფერის შესახებ და ისე ახლოს მოდიან, რომ გოგონა გრძნობს, როგორ მოძრაობს ქარი მის თმასა და წამწამებში.

კიდევ მასთან ფუტკრები მოდიან, რომლებიც დილაადრიან გამოფრინდნენ მათი სკებიდან, ქვემოთ ველზე. მათ შემოიფრინეს ქვა-ღორღებში ამოსული ყველა ყვავილი. ფუტკრები კარგად იცნობენ ყვავილებს, ისინი მათ მტვერს ცაცებით ატარებენ და სიმძიმე ქვევით ეწევათ.

ჯვარუკას ესმის, თუ როგორ მოფრინავენ ისინი, ზუსტად ერთსა და იმავე დროს, როცა მზე ისრის ტარზეა -

გადამხმარი მიწის თავზე. ესმის, როგორ ერთბაშად მოფრინავენ ყველა მხრიდან იმიტომ, რომ ისინიც ცის ლაჟვარდიდან მოდიან. მაშინ ჯვარუკა თავისი ქურთუკის ჯიბეებს მოიქექავს და შაქრის ნამცეცებს იღებს. ფუტკრების პატარა ფრთები თრთიან ჰაერში, მათი ზარივით სიმღერა აინავარდებს ცაში, ექოდ აისხლიტება კლდეებზე და ჯვარუკას ყურებსა და ლოყებს ედება.

ყოველდღე ერთსა და იმავე დროს მოფრინავენ ფუტკრები. იციან, რომ ჯვარუკა ელოდებათ, მათაც უყვართ გოგონა. ათობით არიან, ყველა მხრიდან მოფრინავენ და თავიანთ მუსიკას ქმნიან ყვითელ შუქში. სხდებიან ჯვარუკას გადაშლილ ხელისგულებზე და შაქრის ნამცეცებს ხარბად შეექცევიან. სხდებიან მის სახეზე, ლოყებზე, ტუჩებზე, ნელა დადიან და მსუბუქი ცაცებით უღიტინებენ, ისე უღიტინებენ, რომ სიცილი უნდება. მაგრამ ხმამაღლა არ იცინის, რომ არ შეაშინოს ისინი. ფუტკრები დაზუზუნებენ მის შავ თმაში, ყურებთან, მღერიან თავიანთ მონოტონურ სიმღერას ბალახებსა და ყვავილებზე, იმ ბალახებსა და ყვავილებზე, რომლებიც ამ დილით მოინახულეს. “გვისმინე – ეუბნებიან ფუტკრები, – ბევრზე ბევრი ყვავილი ვნახეთ მინდორში, მის კიდემდე მივფრინდით, იმიტომ, რომ ქარმა წაგვიღო, მერე კი ყვავილიდან ყვავილზე ფრენით უკან მოვბრუნდით”. “და რა ნახეთ?” – ეკითხება ჯვარუკა. “ვნახეთ ყვითელი მზესუმზირები, ალისფერი ნარშავა, წითელთავა გველის მსგავსი ყვავილი ოკო-ტილიო. ვნახეთ დიდი, იასამნისფერი კაქტუს-პიტაიის ყვავილი, ველური სტაფილოს ჩახუჭუჭებული ყვავილი, დაფნის ფერგამკრთალი ყვავილი. ვნახეთ თავყვითელას შხამიანი, ინდიგოს ფუშფუშა და სალბის მსუბუქი ყვავილები”. – “კიდევ რა ნახეთ?” – “ყველაზე შორეულ ყვავილებამდეც კი მივფრინდით, იმ ყვავილებამდე,

ფუტკრების ჭექა-ქუხილზე რომ ბრწყინავენ – ველურ ფლოკსებამდე. ვნახეთ მექსიკური ყაყაჩოს ალისფერი ვარსკვლავი, ცეცხლოვანი ბორბალი, რძიანი ყვავილი. გადავუფრინეთ აგარიტს, დავლიეთ ფარსმანდუკის ნექტარი, ლიმონის პიტნის ნამი. ჩვენ ქვეყანაზე ყველაზე ლამაზ ყვავილთანაც კი მივფრინდით, იმ ყვავილთან, მაღალ მთებში, იუკის ხმლისნაირი ფოთლების ზევით რომ იზრდება და თოვლივით ქათქათაა. და ყველა ეს ყვავილი, ჩვენი მეგობრობის ნიშნად, შენ მოგიტანეთ ჯვარუკავ”.

ასე ლაპარაკობენ ფუტკრები და კიდევ ბევრ რამეს ჰყვებიან. ჰყვებიან მზეზე მბზინავ წითელ და ნაცრისფერ ქვიშაზე, ფოთლებზე მიმოფანტულ ან ალოეს ეკლებზე ჩამოკიდებულ ცვრის ნამზე. ქარზე, ზედ მიწის პირზე რომ დაჰქრის და ბალახებს ხრის. მზეზე, ცაზე რომ ამოდის და ჩადის, და ვარსკვლავებზე, ღამღამობით რომ ციმციმებენ.

ისინი ადამიანთა ენაზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ ჯვარუკას მათი ესმის და ათასობით პაწაწა ფრთის თრთოლვით თვალებში პატარა ლაქები, ვარსკვლავები და ყვავილები უჩნდება. ფუტკრებმა იმდენი რამ იციან! ჯვარუკა კიდევ უფრო ფართოდ შლის ხელისგულებს, რომ მათ შაქრის უკანასკნელი ნამცეცებიც შეჭამონ და ბაგეების ოდნავი მოძრაობით, ფუტკრების ზუზუნის მსგავსი ხმით უმღერის სიმღერას:

ფუტკრებო, ფუტკრებო,
ციურო პატარა ფუტკრებო,
წამიყვანეთ თქვენთან ერთად ცაში,
წამიყვანეთ თქვენთან ერთად ცაში.
ციურო პატარა ფუტკრებო.

და როდესაც ფუტკრები მიფრინავენ, ისევ ხანგრძლივი მდუმარება ისადგურებს.

ცივი ქარი სახეში სცემს ჯვარუკას, ის ოდნავ აბრუნებს თავს და ღრმად სუნთქავს. ხელები მოსასხამის ქვეშ, მუცელზე უწყვია, ზის გაუნძრევლად, გამართულად, ზუსტად მართ კუთხეს ქმნის მიწასთან. ახლა ვინღა მოვა? მზე ისრის ტარზეა ლურჯ ცაში და ცხვირის, წარბების ქვეშ პატარა ჩრდილებს უტოვებს გოგონას.

ჯვარუკა ფიქრობს ჯარისკაცზე, რომელიც ახლა, ალბათ, აქეთ მოემართება. მოდის ვიწრო ბილიკით, ამოდის მიტოვებული სოფლის ფერდობიდან. ჯვარუკა აყურადებს, მაგრამ ჯერ არ ესმის მისი ფეხის ხმა. ძაღლებიც არ ყეფენ. ძინავთ დანგრეული კედლების კუთხეებში, მიწაში ცხვირწარგულებს.

ქარი უსტვენს და ზმუის ქვებს შორის გადამხმარ მიწაზე. დარბიან გრძელტანიანი ფეხმარდი მხეცუნები, გრძელცხვირა, პატარაყურებიანი მხეცუნები. ისინი გამოძვრებიან სოროებიდან ხეობის ბოლოს და ჩქარ-ჩქარა ახტებიან მდინარეებს, ხრამებსა და ნაპრალებს. დროდადრო ჩერდებიან, ღრმად სუნთქავენ და შუქი თამაშობს მათ მბზინავ ბეწვზე. და ისევ მირბიან-მიხტუნაობენ ცაში, მისდევენ, კაცმა არ იცის რას, ჩაუქროლებენ ჯვარუკას და მის თმასა და ტანსაცმელს ოდნავ გაეხახუნებიან, მათი კუდები კი შხუილით აპობს ჰაერს. ჯვარუკა ხელებს იშვერს, მათი შეჩერება, კუდით ერთის დაჭერა მაინც უნდა.

– მოიცათ! მოიცათ! ასე სწრაფად ნუ გარბიხართ!

მაგრამ მხეცუნები მას არ უსმენენ. მის გარშემო მკვირცხლად დახტიან, ხელიდან უსხლტებიან, თავიანთი სუნთქვით სახეზე უღიტინებენ. ამასხარავებენ. ეჰ, ერთი მაინც დაეჭირა, ერთი, და აღარ გაუშვებდა. იცის ჯვარუკამ, მაშინ რას იზამდა. შეკაზმავდა ცხენივით, ყელზე მაგრა-

მაგრა მოეხვეოდა და ჰოპლა, ერთი ნახტომით ის ცაში აიყვანდა! და იფრენდა, ირბენდა მასთან ერთად ისე სწრაფად, რომ მხოლოდ მას დაინახავდნენ. იფრენდა ცის სილურჯეში ველების, მთების, ქალაქების თავზე, ზღვამდეც კი მიაღწევდა. ანდა იხტუნავებდა, ისრიალებდა მიწის ოდნავ ზემოთ, ბალახების ღეროებზე, ოდნავი შრიალით, რომელიც წყლის რაკრაკსაც ემსგავსებოდა. უჰ, რა კარგი იქნებოდა!

მაგრამ ჯვარუკას ვერასდროს შეეძლო ასეთი მხეცუნების დაჭერა, ისინი მოედინებიან მის თითებს შორის, დაძვრებიან მის თმასა და ტანსაცმელში. ზოგჯერ კი შენელებულნი და ცივნი არიან, ზუსტად გველებივით.

არავინაა ფრიალო კლდის თავზე. სოფლელი ბიჭები აქ აღარ ამოდიან, მხოლოდ ხანდახან ჩნდებიან ანკარების დასაჭერად. ერთხელ ისინი ისე ამოვიდნენ, რომ ჯვარუკამ ვერ გაიგონა. ერთმა უთხრა:

– საჩუქარი მოგიტანეთ.

– რა საჩუქარი? – ჰკითხა ჯვარუკამ.

– გამომიწოდე ხელები და ნახავ! – უპასუხა ბიჭმა.

ჯვარუკამ ხელები გაუწოდა და ბიჭმა ხელისგულზე ცოცხალი ანკარა დაუდო. გოგონას ძალიან შეეშინდა, მაგრამ არ დაუყვირია. მხოლოდ მთლიანად, თხემით ტერფამდე გააჟრჟოლა. ბიჭები იცინოდნენ, ჯვარუკას არაფერი უთქვამს, ანკარა მიწაზე გაუშვა და ხელები მოსასხამის ქვეშ შემალა.

ახლა ის ყველას დაუმეგობრდა, ვინც კი უხმაუროდ დადის გადამხმარ მიწაზე: წყალივით ცივ და გრძელ გველებს, ბოხმეჭებს, ხვლიკებს. ჯვარუკამ მათთან ლაპარაკიც

ისწავლა. ის მათ ჩუმი, კბილებში გამოცრილი სტვენით უხმობს და ისინიც მოდიან. მათი მოსვლის ხმას ვერ იგებს, მაგრამ იცის, რომ უახლოვდებიან, მოსრიალებენ, მოცურავენ ნაპრალიდან ნაპრალზე, ქვიდან ქვაზე, თავებს მაღლა სწევენ და ჩუმ სტვენას აყურადებენ და პატარა ყელები უკანკალებთ.

გველუკებო,
გველუკებო, –
მღერის ჯვარუკა. რა თქმა უნდა ყველა მათგანი გველი არაა, მაგრამ გოგონა ყველას ასე ეძახის.
გველუკებო,
გველუკებო,
წამიყვანეთ თქვენთან ცაში,
წამიყვანეთ თქვენთან ცაში.

ისინი მოდიან, რაღა თქმა უნდა მოდიან, მუხლებზე აცოცდებიან და გოგონას ძალიან მოსწონს მათი მსუბუქი სიმძიმის შეგრძნება. შემდეგ უეცრად გარბიან, იმიტომ რომ ეშინიათ, როცა ქარი წივის და მიწა ტკაცუნობს.

ჯვარუკას ჯარისკაცის ფეხის ხმა ესმის. ის მოდის ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს, როდესაც მზე პირდაპირ სახეში ანათებს, გამხმარი მიწა კი ხელისგულების ქვეშ თბება. ჯვარუკას ყოველთვის არ ესმის მისი მოსვლის ხმა, რადგან ჯარისკაცის კაუჩუკის ლანჩები უხმაუროდ მოაბიჯებენ. ის ჯდება ქვაზე მის გვერდით და დიდხანს უსიტყვოდ შესცქერის. გოგონა გრძნობს მის მზერას და კითხულობს:

– ვინ არის აქ?

ეს კაცი აქაური არაა. ცუდად ლაპარაკობს აქაურების ენაზე, მათსავით, ვინც ზღვისპირა დიდ ქალაქებში ცხოვრობენ.

როდესაც ჯვარუკამ ჰკითხა, ვინ ხარო, მან უპასუხა: ჯარისკაციო და მოუყვა ომზე შორეულ ქვეყანაში, რომელშიც ის დიდი, ძალიან დიდი ხნის წინ მონაწილეობდა. და, იქნებ ახლა ის სულაც აღარ იყო ჯარისკაცი.

მას ყოველთვის მოაქვს გოგონასთვის მინდვრის ყვავილები, რომელთაც კლდეზე ამომავალი ბილიკის ნაპირებზე კრეფს. ეს მომჭკნარი, გრძელღეროიანი, გაიშვიათებულფოთლებიანი ყვავილებია, რომელთაც ცხვრის სუნი ასდით. მაგრამ ჯვარუკას ძალიან უყვარს ისინი და ხელში იტოვებს.

– რას აკეთებ? – ეკითხება ჯარისკაცი.

– ცას ვუყურებ, – პასუხობს ჯვარუკა, – დღეს ისეთი ლურჯია, ლაჟვარდოვანი, არა?

– კი, – ამბობს ჯარისკაცი.

ჯვარუკა ყოველთვის ასე პასუხობს იმიტომ, რომ იმ თავისი შეკითხვის დავიწყება არ შეუძლია. გოგონა ოდნავ მაღლა სწევს თავს და ნელა ისვამს ხელისგულს შუბლზე, ლოყებსა და ქუთუთოებზე.

– მგონი ვიცი, რაც არის, – ამბობს გოგონა.

– რა?

– სილურჯე, იგი ჩემს სახეს ათბობს.

– ეს მზეა, – ამბობს ჯარისკაცი.

ის ინგლისურ სიგარეტს უკიდებს და ნელ-ნელა აბოლებს, თან სადღაც, პირდაპირ იყურება. ჯვარუკა თაბაქოს სუნს გრძნობს და ცოტა თავბრუ ეხვევა.

– მითხარით... მომიყევით.

ყოველთვის ამას თხოვს და ჯარისკაციც უყვება დაბალი ხმით, დროდადრო ჩერდება, რომ გააბოლოს.

– აქ ძალიან ლამაზია, – ამბობს ის, – აი, დიდი დაბლობი და ზედ ყვითელი ყანები, ალბათ, სიმინდი შემოვიდა. აი, მინდვრებს შორის ლარივით სწორი, წითელი გზა და ხის პატარა სახლი...

– იქ ცხენი არის? – ეკითხება ჯვარუკა.

– ცხენი? მოიცა... არა, ვერავითარ ცხენს ვერ ვხედავ.

– ესე იგი ეგ ბიძაჩემის სახლი არაა.

– გვერდით ჭაა, მაგრამ, მგონი, ამომშრალია... აი შავი კლდეები, ისეთი უცნაური ფორმის, ზუსტად წამოწოლილ ძაღლებს ჰგვანან... უფრო შორს შოსსეა და ტელეგრაფის ბოძები. იმის იქეთ პატარა ტბა მოსჩანს, მაგრამ ნამდვილად დამშრალია, იმიტომ რომ ქვები მოჩანს ფსკერზე... ნაცრისფერები, მტვრითა და ლოკოკინებით დაფარულები... მერე სხვა დაბლობი იწყება და ძალზე შორსაა გადაჭიმული, ჰორიზონტამდე, მესამე პლატომდე.

მხოლოდ აღმოსავლეთით აღმართულან გორაკები, თორემ სხვაგან, საითაც არ გაიხედავ, დაბლობია შიშველი და სწორი, როგორც ზაფხულის მინდორი. შორს დასავლეთით, მუქ-წითელი და შავი მთები მოჩანს. არც მეტი არც ნაკლები, მძინარე სპილოებია...

– არ იძვრიან?

– არა, არ ინძრევიან, უკვე ათასობით წელია სძინავთ.

– ამ მთასაც ძინავს? – ეკითხება ჯვარუკა და ხელისგულებით მშრალ მიწას ეხება.

– კი, ამასაც ძინავს.

– მაგრამ ზოგჯერ მოძრაობს, – ამბობს ჯვარუკა. – ოდნავ შეინძრევა, შეიშმუშნება და ისევ ძილს განაგრძობს.

ჯარისკაცი დიდხანს დუმს. ჯვარუკას წინ ყველაფერი ისაა, რასაც იგი მოუყვა და ცდილობს ყველაფერი შეიგრძნოს. დაბლობი ეხება მის ლოყებს, დიდი და რბილი, ხრამები და წითელი ბილიკები ცოტათი კანს უწვავენ და მტვერი ტუჩებს უკაწრავს.

ჯვარუკა თავს უკან აგდებს და სახეზე მზის სიმხურვალეს გრძნობს.

– იქ, ზემოთ რა არის? – ეკითხება ჯარისკაცს.

– ცაში?

– დიახ.

– რა ვიცი... უხერხულობაში ვარდება ჯარისკაცი. ამაზე მოყოლა არ შეუძლია. მზის შუქისგან თვალები ეჭუტება.

– დღეს ბევრი სილურჯეა?

– კი, ცა ლურჯზე ლურჯია.

– და სითეთრე სულ არაა?

– არა, ერთი თეთრი წერილიც კი არაა.

ჯვარუკა ხელებს წინ იშვერს:

– ხო, ეტყობა, ძალიან ლურჯია. დღეს ისეთი მწველია, როგორც ცეცხლი.

თავს ხრის იმიტომ, რომ სახე ეწვის და ტკივა.

– არის ცეცხლი სილურჯეში?

ჯარისკაცი, ეტყობა, ვერ ხვდება, რას გულისხმობს.

– არა... – პასუხობს იგი. – ცეცხლი წითელია და არა ლურჯი.

– მაგრამ ცეცხლი იმალება, – ამბობს ჯვარუკა, – ცეცხლი იმალება მაღლა ცაში, როგორც მელია ბუნაგში. ის იქიდან გვიყურებს, გვიყურებს და თვალები ეწვის.

– შენ მდიდარი ფანტაზია გაქვს, – ამბობს ჯარისკაცი.

ჩაიცინებს, მაგრამ მაინც ააცქერდება ცას, თვალებზე ხელმოჩრდილული.

– შენ რასაც გრძნობ, ეგ მზეა.

– არა, – თავს იქნევს ჯვარუკა, – მზე არ იმალება და ისე არ გწვავს. მზე ალერსიანია, სილურჯე კი – კერაში ჩაყრილი გახურებული ქვებივითაა, ისეთი ცხელია, რომ სახე მტკივა.

უეცრად ჯვარუკა საბრალოდ დაიკვნესებს.

– რა გჭირს? – ეკითხება ჯარისკაცი.

გოგონა ხელს სახეზე იფარებს და ჩუმად კვნესის. ის თავს მიწისკენ ხრის.

– დამგესლა... სლუკუნებს ის.

ჯარისკაცი თმას უწევს, დახეთქილი თითებით ლოყაზე ეხება და ეკითხება:

– ვინ დაგგესლა? მე ვერაფერს ვხედავ...

– მზემ, ონავარმა, – პასუხობს ჯვარუკა.

– არაფერი არ გაქვს, ჯვარუკავ, – ეუბნება ჯარისკაცი, – მოგეჩვენა.

ცოტა ხანს სდუმან. ჯვარუკა ისევ ისე ზის, გამართული, მართ კუთხეს ქმნის გადამშრალ მიწასთან და მზე ანათებს

მის ბრინჯაოსფერ სახეს, ცა გაყუჩდა, თითქოს სუნთქვა შეიკრა.

– დღეს ზღვა არ ჩანს? – ეკითხება ჯვარუკა.

ჯარისკაცი იცინის:

– არა, არა! ზღვა აქედან ძალზე შორსაა.

– ესე იგი აქ მხოლოდ მთებია?

– ზღვამდე დიდი გზაა გასავლელი. თვითმფრინავითაც კი რამდენიმე საათი უნდა, სანამ დაინახავ.

ჯვარუკას კი ძალიან უნდოდა ზღვის ნახვა. მაგრამ ეს არც ისე ადვილია, რადგან არ იცის როგორია ის. რა თქმა უნდა ლურჯია, ეს ცხადია, მაგრამ როგორი?

– მზესავით მწველია თუ წყალივით ცივი?

– გააჩნია, როდის როგორ. ზოგჯერ თვალებს გწვავს როგორც თოვლი მზეზე. ზოგჯერ კი დაბინდულია, მუქი, როგორც წყალი ჭაში. ყოველთვის სხვადასხვანაირია.

– და თქვენ როგორი უფრო მოგწონთ, როცა ცივია, თუ როცა წვავს?

– როცა მის თავზე ღრუბლებია, დაბლა-დაბლა ჩამოსული ღრუბლები და როცა ყვითელი ჩრდილები, წყალმცენარეების პატარა კუნძულებივით, დაცურავენ მასზე, – აი, როგორი ზღვა მიყვარს ყველაზე მეტად.

ჯვარუკა შუბლს ძალდატანებით იჭმუხნის და სახით გრძნობს, როგორ მიცურავს ღრუბელი დაბლა ზღვის თავზე. მაგრამ ამ ყველაფერს ის მხოლოდ მაშინ წარმოიდგენს, როცა ჯარისკაცი მასთანაა. ალბათ იმიტომ, რომ ჯარისკაცმა იმდენჯერ ნახა ზღვა ოდესღაც, რომ ახლა მისგან გარეთ მოიწევს და გარშემო იღვრება.

– ზღვა სულაც არაა ის, რაც აქაა. ზღვა ცოცხალია, ის უზარმაზარი მხეცივითაა. მოძრაობს, ხტუნაობს, სულ სხვადასხვაგვარია: ხან მხიარული, ხან სევდიანი. ლაპარაკობს და არასდროს არაა ერთ ადგილას გაჩერებული. მასთან არ მოიწყენ.

– ავია?

– ხანდახან კი, ადამიანებს და გემებსაც კი ყლაპავს – ჰამ! მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ძალიან, ძალიან ბრაზობს. ასეთ დღეებში სჯობს სახლში იჯდე.

– მინდა ზღვასთან, – ამბობს ჯვარუკა.

ჯარისკაცი უყურებს და დუმს.

– წაგიყვან ჩემთან ერთად, – ბოლოს და ბოლოს ამბობს იგი.

– ის ცასავით დიდია? – ეკითხება ჯვარუკა.

– არა, ასე შედარება არ შეიძლება, ცაზე დიდი აღარაფერია.

საუბრით დაღლილი ჯარისკაცი ახალ ინგლისურ სიგარეტს უკიდებს და აბოლებს. ჯვარუკას მოსწონს თამბაქოს კვამლის სუნი. თითქმის ბოლომდე ჩამწვარს, მაგრამ ჩაუმქრალს გოგონას უწვდის, რომ იმანაც მოწიოს. ჯვარუკა ღრმად ისუნთქავს კვამლს. როცა მზე ძალიან აცხუნებს და ცის სილურჯე წვავს, სიგარეტის ბოლი მას რბილად გარს ეხვევა და იცავს. თავში რაღაც უზუზუნებს, თითქოს კლდიდან ძირს ეშვება.

ბოლომდე მოწეულ სიგარეტს ჯვარუკა თავის წინ სიცარიელეში ისვრის.

– ფრენა შეგიძლიათ?

ჯარიკაცს ისევ ეცინება:

– ფრენა? როგორ?

– ცაში ჩიტივით.

– შენც იტყვი რა, ეგ არავის შეუძლია.

და უეცრად მას თვითმფრინავის გუგუნი ესმის, რომელიც სტრატოსფეროში მიფრინავს, ისე მაღლა, რომ მხოლოდ ვერცხლისფერი წერტილი და გრძელი თეთრი ნაკვალევი ჩანს. ცოტა მოგვიანებით დაბლობისა და მთის მდინარეების თავზე შორეული გრგვინვასავით გაისმის ტურბორეაქტიული მოტორის გუგუნი.

– ეს "სტრატოფორტრესია", ძალიან მაღლაა. – ამბობს ჯარისკაცი.

– სად მიფრინავს?

– არ ვიცი.

ჯვარუკა სახეს ცისკენ სწევს, თვალს აყოლებს თვითმფრინავის ნელ მოძრაობას. სახე მოეღრუბლა, ბაგეები შეეკუმშა, თითქოს ეშინოდეს ან ტკიოდეს რამე.

– ქორივითაა, – ამბობს გოგონა, – როცა ქორი ცაში გამოჩნდება, მე მის ცივ უსიამოვნო ჩრდილს ვგრძნობ, ის ირაოს კრავს, ნელ-ნელა დაფრინავს იმიტომ, რომ მსხვერპლს უთვალთვალებს.

– ესე იგი ქათამივით ხარ. ქათმები ხომ გარბიან ქორის გამოჩენისას!

ჯარისკაცი ხუმრობს, მაგრამ ისიც გრძნობს, მოტორის ხმაურისგან როგორ აუჩქარდა გულისცემა.

ხედავს, როგორ მიფრინავს "სტრატოფოსტერი" ზღვის თავზე, კორეისკენ მიფრინავს. ზღვის ტალღები ნაოჭებს ჰგვანან: ცა ისეთი კამკამაა, ზენიტში მუქი ლურჯი,

ჰორიზონტზე კი ფირუზისფერი, – თითქოს არასდროს ჩაქრება დაისის შუქი. თვითმფრინავი-გიგანტის მუცელში კი ბომბები აწყვია, ტონობით სიკვდილია ჩარიგებულ-ჩალაგებული.

თვითმფრინავი ნელ-ნელა უჩინარდება უდაბნოს მიმართულებით და ქარი აქრობს თეთრ ნაკვალევს. მძიმე, თითქმის მტანჯველი სიჩუმე ისადგურებს. ჯარისკაცი თავს ძალას ატანს და ქვიდან დგება, ცოტა ხანს დასცქერის გადამხმარ მიწაზე გამართულად, მართი კუთხით მჯდარ გოგონას.

– მივდივარ, – ამბობს ჯარისკაცი.

– ხვალაც გამოიარეთ, – თხოვს ჯვარუკა.

ჯარისკაცს სურს უთხრას, რომ არც ხვალ და არც ზეგ და შეიძლება არც აღარასოდეს მოვიდეს, რადგან მასაც მოუწევს კორეაში წასვლა. მაგრამ ამის თქმა ვერ გადაუწყვეტია და როგორღაც უხერხულად იმეორებს:

– მივდივარ.

ჯვარუკას ესმის მტვრიან გზაზე მიმავალი მისი ნაბიჯების ხმა. ისევ ამოვარდა ქარი. ახლა ის ცივია და შალის მოსასხამში გამოხვეულ გოგონას აკანკალებს. მზე დაბლაა, მისი სხივები თითქმის ჰორიზონტალურადაა და მათი სითბო ქარის შემოტევებს შუა აღწევს გოგონამდე და სულს უთბობს.

დგება ჟამი, როდესაც სილურჯე ხუნდება, იპარება. ჯვარუკა ამას თავისი დახეთქილი ტუჩებით, ქუთუთოებით, თითის წვერებით გრძნობს. მიწაც კი აღარაა ისეთი მაგარი, თითქოს სინათლემ გააფხვიერა.

ისევ მოუხმობს ჯვარუკა მეგობარ ფუტკრებს, ხვლიკებს, მზისგან დამთვრალ სალამანდრებს, ხოჭოებს, ჭიანჭველებს, რომლებიც დაწყობილ კოლონებად დადიან. ყველას ეძახის და მღერის სიმღერას, რომელიც მოხუცმა ბახტრიმ ასწავლა:

არსებებო, არსებებო,
ცოცხალო არსებებო,
წამიყვანეთ თქვენთან ერთად ცაში,
წამიყვანეთ თქვენთან ერთად ცაში,
ცოცხალო არსებებო.

ხელებს წინ იწვდის და ჰაერისა და შუქის შეჩერებას ცდილობს. წასვლა არ უნდა. ნეტავი ყველაფერი რჩებოდეს, არ ქრებოდეს, არ იმალებოდეს თავის ბუნაგსა და სამალავში.

ამ დროს, როცა მზე გდაღავს და გატკივებს, ბოროტი შუქი გამოდის სილურჯის სიღრმიდან. ჯვარუკა ზის და არ ინძრევა, მასში შიში ამოიზრდება. მზის მაგივრად ცაზე ვარსკვლავი გამოჩნდა, ლურჯზე ლურჯი მნათობი, ის უყურებს და მისი მზერა პირდაპირ ჯვარუკას შუბლს ეჯაჭვება. მას ბუმბულისა და ქერცლისგან გაკეთებული ნიღაბი უკეთია, მოდის, მოცეკვავს ფეხების პარტყუნით დედამიწაზე და მისი ჩრდილი ლაბადასავაით ეფარება ველს.

ეს საკუასოხოა[1], ასე ჰქვია. ის მარტოა და ცის სილურჯიდან ჩამოდის მიტოვებულ სოფელთან. მისი ერთადერთი თვალი უყურებს ჯვარუკას, ეს საშინელი მზერა ერთდროულად დაღავს და ყინავს.

ჯვარუკა მას კარგად იცნობს. სწორედ მან დაგესლა ონავარის მსგავსად ცარიელი, უკიდეგანო ციდან.

ყოველდღე, ზუსტად ერთსა და იმავე დროს, როცა მზე დასავლეთისკენ გადაიხრება, როცა ხვლიკები ქვებს აფარებენ თავს, როცა ბუზები ისე მძიმდებიან, რომ სადაც მოხვდებათ იქ სხდებიან, სწორედ ამ დროს გამოჩნდება ხოლმე.

ბუმბერაზი მეომრის მსგავსი დგას ცის მეორე მხარეს და თავისი საზარელი, თან მწველი და თან გამყინავი მზერით დაჰყურებს სოფელს. ის თვალებში ჩასცქერის ჯვარუკას ისე, როგორც არასდროს არავის ჩაუხედია.

ჯვარუკა შეიგრძნობს მკაფიო შუქს – სუფთა ლურჯ სინათლეს, რომელიც მას ეუფლება, გულის კარამდე აღწევს და ათრობს, თითქოსდა წყაროს წყალი იყოს. შუქი სამხრეთის ქარივით ალერსიანია, ბალახებისა და ველური ყვავილების სურნელი რომ მოაქვს.

დღეს კი მნათობი არ დგას უძრავად ცაში. ის ნელ-ნელა უახლოვდება, აცხუნებს, მოფრინავს, თითქოს ჩქარ მდინარეზე მოცურავდეს. მისი ლურჯი მზერა ჯვარუკას თვალებზეა მიჯაჭვული, ისეთი კაშკაშა შუქით ანათებს, რომ გოგონა ორივე ხელით სახეს იფარავს.

გამალებით უძგერს გული ჯვარუკას. ამაზე მშვენიერი არასდროს არაფერი უნახავს.

– ვინ ხარ? – უყვირის გოგონა.

მაგრამ მეომარი პასუხს არ სცემს. ის საკუასოხოა, პირდაპირ მის წინ დგას კლდოვან კბოდეზე.

და ჯვარუკა ხვდება, რომ ეს ლურჯი ვარსკვლავია: ის ვარსკვლავი, ცაში რომ ცხოვრობს და ერთხელ ჩამოდის დედამიწაზე, სოფლის მოედანზე საცეკვაოდ.

სურს წამოვარდეს და გაიქცეს, მაგრამ საკუასოხოს თვალთა შუქმა მასში შეაღწია და საძრაობა მოუსპო. როდესაც მეომარი ცეკვას დაიწყებს, ბავშვები, ქალები და კაცები დაიხოცებიან. თვითმფრინავები ნელა დატრიალებენ ცაში. ისე მაღლა, რომ ძლივს მოჩანან, ისინი კი ყველაფერს ხედავენ და მსხვერპლს უთვალთვალებენ. ცეცხლი და სიკვდილი ედება ყველაფერს კლდის გარშემო, ზღვაც კი აინთო, თითქოს წყლით კი არა, ფისით იყოს სავსე. დიდი ქალაქები ციდან მოვლენილი, დამაბრმავებელი ცეცხლის ალით არიან მოცულნი. ჯვარუკას ესმის მეხის გრუხუნი და აფეთქებების ხმა, სასიკვდილოდ განწირული ბავშვების ტირილი და ძაღლების ყმუილი. ქარი ტრიალებს და უფრო და უფრო ძლიერად უბერავს, ეს ცეკვა კი არა, გაგიჟებული ცხენის ჭენებაა.

ჯვარუკა თვალებზე ხელს იფარებს. რატომ, რატომ უნდათ ეს ადამიანებს? მაგრამ გვიანაა, ძალიან გვიანაა, და, შეიძლება, ლურჯი ვარსკვლავის ბუმბერაზი მეომარი არც აღარასოდეს დაბრუნდეს ცაში. მეომარი მოვიდა სოფლის მოედანზე საცეკვაოდ ისე, როგორც მოხუცი ბახტრი ცეკვავდა ოდესღაც ხოტევილში, დიდი ომის წინ. ეს ამბავი თვითონ მოუყვა გოგონას.

ბუმბერაზი საკუასოხო დგას კლდოვანი კბოდის წინ, ყოყმანობს, თითქოს ვერ გადაუწყვეტია შემოვიდეს თუ არა. ის უყურებს ჯვარუკას და მისი მზერა ისე ძალუმად სუსხავს და წვავს თავში, რომ გოგონას მეტის მოთმენა აღარ შეუძლია. ყვირის, წამოხტება და შეშდება, ხელები უკან აქვს გაწეული. ყვირილი ყელში ეხშობა, გული ეწურება, რადგან უეცრად თავის წინ ხედავს ბუმბერაზის თვალივით გადაშლილ ლურჯ, ულურჯეს ცას.

ჯვარუკა დუმს. ცრემლით ევსება თვალები – ძალზე ძლიერია მზისა და სილურჯის შუქი. უფსკრულის პირას, გადამხმარ მიწაზე შეტორტმანებული ხედავს მის გარშემო ნელა დატრიალებულ ჰორიზონტს, ყველაფერს ზუსტად ისე ხედავს, როგორც ჯარისკაცი უყვებოდა: ფართო ყვითელ დაბლობს, ჩაშავებულ ხევებს, წითელ გზებს და შორეული პლატოების უზარმაზარ სილუეტებს. ის ადგილს წყდება და გარბის, გარბის მიტოვებული სოფლის შუკებში, გარბის შუქ-ჩრდილებში, ლურჯი ცის ქვეშ და კრინტსაც არ ძრავს.

პიერ მენიე

არეულობის შუაგულში

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა

[პიესა ერთი მსახიობისა და... ქვებისთვის]

წინსწრებული...

...პიესა-მონოლოგი რთული, უცნაური, არა-ჩვეული ფორმითაა დაწერილი და შეიძლება ამიტომაც, ერთი წაკითხვით ცოტაოდენ გაუგებარი, უფრორე ძნელად აღსაქმელი მოგეჩვენოთ. დავწერე და წამსვე გავიფიქრე: ,, ნუთუ კიდევ შერჩა ამ სამყაროს რაიმე უცნაური და ადამიანისთვის გაუგებარი?'' თუ ასეა, ძალიანაც კარგი... ადამიანი ხომ ,, უცნობში ახლის აღმოჩენას'' (ბოდლერი) ელის მუდამ. რაც უფრო რთულია საიდუმლოს, იდუმალის გაშიფრვა, ,, დეკოდირება'', მით უფრო სასიხარულოა, როდესაც გონების, თუნდაც გრძნობებისა და ემოციების უკიდურესი დაძაბვით მიაღწევ საწადელ მიზანს და აქამდე უცხოს ნაცნობად და საცნაურად აქცევ. ამაშია ნებისმიერი ტექსტის ხიბლი. წიგნი ,, კეთილმოსურნე პროვოკატორია'' და ხშირად ჩვენი არსებობის სიღრმეებს წარმოგვიჩენს, იმას, რაც ჩვენშია და რაც ჯერ არ მოგვიხილავს. ახლა კი, აი, თურმე რა შეგვძლებია, ნებისმიერი ენიგმის ამოხსნა ძალგვიძს!.. მაშ, ნუ შედრკებით, ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი, ჰა, ტექსტი და ჰა, თქვენი გონებრივი თუ სულიერი ძალისხმევის დასტური, დაბოლოს, ღირსეული საზღაური, რასაც ,, გაგების ბედნიერება'' ჰქვია. იცოდეთ, ერთი ადამიანი წერს მეორე ადამიანისთვის! გახსოვდეთ, ნებისმიერი მწერალი დიალოგს ესწრაფვის და თანაალმობას.

P.S. იმედია, მეორე დღეს, ეზოში მიყრილ ქვების გროვას ჰერაკლიტეს თვალებით შეხედავთ და გროვის, ანუ სამყაროს უწესრიგობაში ადამიანური წესრიგის დაფუძნებას შეეცდებით.

P.P.S. ფრანგი ფიზიკოსების ჯგუფის მიერ ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ქვა, რომელსაც ადამიანი გასტყორცნის რომელიღაც წერტილისკენ, ასხლტება თუ არა მტყორცნელის ხელს, ,, საკუთარი ნებით'' ირჩევს უმოკლეს გზას მიზნისკენ. ამ ფენომენს მეცნიერებმა უწოდეს ,, მოძრაობის გადატანის ეკონომია''.

მთარგმნელი

ადამიანისა და ნივთიერების შესახებ შექმნილი თეატრალური წარმოდგენების შემდეგ, რომლებიც ვრცელ სცენას და რთულ ტექნიკურ მოწყობილობას ითხოვენ, უპრიანი მეჩვენა მიმემართა გაცილებით ინტიმური, შეზღუდული განზომილების ფორმისთვის, რათა უკვე განსხვავებულ ჩარჩოებში განსხვავებული მაყურებლისთვის წარმომეჩინა ის გაუცნობიერებელი მიმზიდველობა, რომელსაც თვითვე განვიცდი სინამდვილესთან დაპირისპირებისას, რომელიც ხშირად თამაშის სახეს იღებს.

მის მიერ მართული საცდელი მექანიზმებით გარემოცული ადამიანი ლაპარაკობს და მაყურებელს უზიარებს გაოცებას, რომელსაც განიცდის ნივთიერების, საკუთარი მოძრაობის და საკუთარი საიდუმლოს მიმართ.

კითხვების მოულოდნელობა და გულწრფელობა მაყურებელს აქტიური ოცნების მდგომარეობაში გადაიყვანს, რომელსაც თავის მხრივ ძალუძს, ადამიანში

სიცოცხლისა და განსჯის სურვილი აღძრას. ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკე ადამიანს ამის იმედი აქვს.

[დადგმა.

მაყურებლები სხედან ნალისებურად განლაგებულ სკამებზე. აუცილებელია, რომ მაყურებელი რაც შეიძლება ახლოს იყოს ქვებთან. ამრიგად, სკამები იქნება თუ შემაღლებული ადგილი, შეიძლება წარმოვიდგინოთ ასორმოცდაათამდე მაყურებელი. ჩაბნელებულ დარბაზში შემოდის კაცი, ხელში არაფერი უკავია.]

თვალთან თითს ვერ მიიტან.
ამაში ახალი არაფერია.
აჯობებს, შუქი ჩავრთო.

[ნათურას მაგიდაზე დებს და მაყურებელთან ბრუნდება.]

თავდაპირველად, მსურს, რაღაც მოგასმენინოთ.

[ჩართავს რიტმულ მუსიკას ერთადერთი სიტყვით: სიყვარული, სიყვარული, სიყვარული... რამდენიმე მოძრაობას მოხაზავს და მუსიკას გამორთავს. საკრავი მიაქვს, ბრუნდება ქვებით სავსე სათლით და პირველ მაყურებელს უახლოვდება.]

მოდით, ვუწოდოთ ამას მინერალური გადაცემა. გეძლევათ უფლება, ხელი შეახოთ ქვას და მოიქცეთ ისე, რომ ქვა, თუ გნებავთ, ქვები, მეორე ბოლოში აღმოჩნდნენ.

[მაყურებელს ქვას უწვდის.]

ისარგებლეთ ქვით! ყოველ შემთხვევაში, მე ასე მოვიქცეოდი.

[სათლიდან სხვა ქვებს იღებს და აძლევს.]

რა თქმა უნდა, გაოცებთ ის, რომ ქვები ერთმანეთს არ ჰგვანან.

[მოაქვს კიდევ ორი სათლი და მაყურებლის ფეხებთან დებს.]

სახუმარო სულაც არ გახლავთ, გარკვეული რიტმი უნდა მოვნახოთ. ნუ აჩქარდებით, შეაფასეთ ფერების, ფორმებისა და მასის მრავალგვაროვნება.

შეიძლება, რომელიმე თქვენგანს თავში ის კითხვა უტრიალებს, რომელიც ერთხელ პატარა შევალმა[2], როცა ფოსტალიონობამდე ბევრი უკლდა, დედას დაუსვა: „დედიკო, ხომ მართალია, რომ უბრალო ქვა, შეხედავ თუ არა, წამსვე ძვირფას ქვად გადაიქცევა?“ დედას აგატი ერქვა. დანარჩენი თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

ბევრს, შეიძლება, დიდი ხანია, ქვისთვის ხელიც არ შეგივლიათ.

მაშ ასე, მოდით, ვიმსჯელოთ.

[კაცი ერთიმეორის მიყოლებით იღებს ქვებს რიგის მეორე ბოლოში და ცარიელი სივრცის შუაში მოთავსებულ მაგიდაზე ახორავებს.]

სახიფათო ზონის შექმნა „ა“ და „ბ“ პუნქტებს შორის, ტემპერატურის სხვაობა აშკარაა. წარმოიდგინეთ, რამდენი ხელი მიეფერა. რაღაც მსგავსი პრიმიტიული თერმოკინეტიკისა, შეიძლება ითქვას, ნეანდერტალურისა.

ვინ იცის, იქნებ ეს ის შემთხვევაა, როდესაც თვალნათლივ შევიგრძნობთ უცაბედობას რაღაც ძალის წარმოჩენისა, რაწამს ხელებს შორის მოვიქცევთ ქვას. ძალისა, რომელიც მოგვიწოდებს, გავაგრძელოთ ჩვენი მოგზაურობა ქვემოთკენ, პირველი დაცემით წამოწყებული სვლა დაბლა

და იმასაც მივხვდებით, თუ რარიგ ვუძალიანდებით ამ გამოწვევას. ამაზე შემდეგ ვისაუბრებთ...

[ბოლო ქვას გროვაზე დებს, უკან იხევს და მყიფე ნაგებობას შესცქერის.]

აი, უკვე ქვების გროვის მწვერვალსაც მივაღწიეთ, „la sima del muCio“... შეიძლება ითქვას, ქვების გროვის მწვერვალი ღარიბი კაცის მწვერვალია. გასაცოდავებული სიმაღლე, საიდანაც საგნები მოჩანს, საიდანაც ერთდროულად მოვიხილავ საკუთარ სიდუხჭირეს და ქვემოთ დარჩენილ მოყვასთა შეჭირვებას. აქედან ვჭვრეტ ჩემს მოხეტიალე ჩრდილს, რომელიც ეძიებს სხეულს შესაუღლებლად, „korpo a sposare“.

ქვების გროვის მწვერვალზე სხვა არაფერია. აღარც გროვაა. არის მხოლოდ აწმყო, რომელიც, მსგავსად გემისა, ტალღებს მიაპობს და დროს ეურჩება.

რა არის ნიშანი მწვერვალისა, თუ არა ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდება ჰაერი და სიმძიმე, კლდე და მისი ოცნება საკუთარი წონისგან განთავისუფლებისა. როგორც ტრევიზოში ამბობენ: „ის, რასაც მივაღწიეთ და რასაც უნდა მივაღწიოთ!“ (cio ch’e raggiunto e cio che resta portata). ყოველივე ეს რებეკა სილვესტერის ერთ ბრწყინვალე გამონათქვამს მახსენებს. რებეკა სილვესტერი? *[კითხვაჩამდგარი თვალებით დარბაზს გადახედავს.]* მარაკეში, 1976 წელი. ჰეტეროგენულ და უწესრიგო ნივთიერებათა კონგრესი, სადაც რებეკა სილვესტერს ეს „თითქოს უნდა ეთქვა“. ამტკიცებდა: „პირველი, ვინც ამას ამბობს, მე ვარ“ და ამ პირველობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მოდით, დავეთანხმოთ! ამრიგად, რებეკამ „თქვა“: „ადამიანმა მიუღწეველს უნდა მიაღწიოს, თუ არადა, რა თავში ვიხლით ზეცას?“ ეს იყო და ეს. სრულიად მარტივად. A cose serve il

cielo?[3] თავად წარმოიდგინეთ რებეკას სიტყვებით გამოწვეული მიწისძვრის სიძლიერე (რა თქმა უნდა, ეს ევფემიზმია), რომელმაც მარაკეშის დარბაზი შეაზანზარა. დიაგრამის დახატვას ნუ მომთხოვთ. ამიტომაც არაფერია გასაოცარი იმაში, რომ პედეროტის რებეკასთვის პასუხის გასაცემად 13 წელი დასჭირდა. მთელი 13 წელი! მნიშვნელოვანი თემაა, მაგრამ პედეროტის ტვინის ჭყლეტასთან ჩვენ არაფერი გვესაქმება, წარმოიდგინეთ პედეროტი, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ, ფრთხილად მიიწევს წინ, პედეროტი, რომელიც ფიქრობს, რომ ზეცა იმისთვისაა, რომ მიიღოს ქვების გროვა.

აი, ახლა კი სიფაქიზეზე გვმართებს საუბარი. სიფაქიზეზე ზეცისა, რომელიც ქვის გროვას უნდა გადაეხსნას, ადგილი უნდა დაუთმოს, cedere il posto და ამავდროულად ქვის გროვის სიფაქიზეზეც, რომელიც მაღლა უნდა აიზიდოს და ამისთვის საკუთარი პირველქმნილი ჰორიზონტალურობა უნდა დაძლიოს, რათა ცოტათი მაინც შეამციროს ციური სამფლობელო და მეთოდურად დაასრულოს აღსვლა.

როგორც ჩანს, ზეცისა და ქვის გროვის ორმხრივ სიფაქიზეს სკოლებში აღარ ასწავლიან. ეს-ეს არის დავიწყეთ გაცნობიერება იმ უბედურებისა, რომელსაც მატერიის ესოდენი უგულებელყოფა გამოიწვევს.

არ ვიცი, გასაგებად ვლაპარაკობ თუ არა...

[მდუმარედ შეჰყურებს ქვებს.]

რა თქმა უნდა, გროვა სულაც არ არის მიმზიდველი იმისთვის, ვისაც ერთი სული აქვს, სამუდამოდ მოუღოს ბოლო მასში გამეფებულ ქაოსს. მნიშვნელობა არა აქვს, კაცი იქნება თუ ქალი. ამ სულისშემძვრელ სწრაფვას სქესი არ გააჩნია. ყველას ერთნაირად აწუხებს საკუთარი ბედი

აქ, ქვემოთ, ესოდენ ქვემოთ. და აი, კითხვებიც: „რატომ ვარ აქ? ვიქნები აქ?“ კითხვები, რომელსაც თითოეული საკუთარ თავს უსვამს და რომლებიც საკუთარ ვერტიკალურობაში განთიადის ცარიელი ზეცისკენ მიემართება.

საინტერესო იქნება, გაკვრით მოვიხსენიოთ ის ნაშრომებიც, რომელიც ახლა იწერება და რომელიც ამ ეგზისტენციური შფოთის წარმოშობას ეძღვნება. იქნებ, თვითონაც მიხვდით, რომ მსურს გესაუბროთ „მიყრდნობაზე“. „მიყრდნობა“, რა თქმა უნდა, ზურგს გულისხმობს, რადგან, გსურთ თუ არა, დორსალური, „ზურგისმიერი“ ქმედებაა... დრო იყო და ეკლესიის კედელს ეყრდნობოდნენ, ახლა უკვე ელექტროგადამცემი ბოძების რიგი დადგა. გარიჟრაჟის ბინდბუნდში ძნელად გასარჩევი აჩრდილები ცდილობენ, რაც შეიძლება ახლოს მივიდნენ რაიმე ვერტიკალურთან, ერთხელ და სამუდამოდ ვერტიკალურად ქცეულთან, რომელიც სიმხნევეს შეგძენს, შენს საკუთარ ვერტიკალს თავის ვერტიკალურობას ამატებს და მხარში გიდგას ამ უაზრო მცდელობისას, რომელსაც იძულებული ხარ მიმართო, რათა რაღაცას მაინც ემსგავსო. რაღაც ვერტიკალურის მსგავსს კი არა, არამედ იმას, რაც მართლაცდა მყარად დგას ფეხზე. ამას რომ გაიაზრებ, იმასაც ხვდები, რომ ჰორიზონტალურს ჰორიზონტისკენ მივყავართ, ვერტიკალურს კი... „ვერტიკონისკენ“.

ვერტიკონი, ანუ მიუღწეველი პერსპექტივა!

მოვრჩეთ, მეტს აღარ გავაგრძელებ.

[მდუმარედ დასცქერის ქვების გროვას.]

ქვების წინ რომ დგახარ, არ შეიძლება საკუთარ თავს კითხვა არ დაუსვა დროის შესახებ: ამ გროვასთან მიმართებაში სად ვარ მე? აწმყოში, წარსულსა თუ მომავალში? აქ და ახლა „ფორმა პრიმას“-ს ვფლობთ, თუ „ფორმა ულტიმა“-ს? რა არის ეს, ჩამოშლილი თაღი, რომელმაც უკან მოიტოვა საკუთარი ბრწყინვალება და ახლა გროვად ქცეული სიმშვიდეში განისვენებს, თუ ქმნადობის პროცესში მყოფი თაღია, რომელიც განჭვრეტს მომავალ წმინდა ფორმას და გროვის წიაღიდან ამ ფორმამდე ასვლას ლამობს? კიჟინი თაღისა, რომელიც ითხოვს წმინდა ფორმას, საკუთარ ფორმას დახორავებული ქვების შუაგულიდან, ოი, ღამეო!...

უფლება არ მაქვს და მაინც... *[პაუზა]*

დიახ, ვილაპარაკებ იმ ნაშრომებზე, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, სულ მალე ასეც მოხდება. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში საბოლოოდ იხვეწება გამომთვლელი მანქანა, რომელსაც შეუძლია... გამოთვალოს ნივთიერების წადილი, მიიღოს მისთვის სასურველი მომავალი ფორმა... ერთი სიტყვით, ფორმა, რომელთან შეუღლება სურს! ხომ წარმოგიდგენიათ, რა კატაკლიზმები მოჰყვება ამ მოსურნე ძალის ქვეყნად მოვლენას!

დავხუროთ ფრჩხილები, სანამ გვიან არ არის!

თაღს რაც შეეხება, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ კლეაისტი ერთ-ერთ წერილში (ადრესატი, უეჭველი, შარლოტი იყო) საკუთარ თავს და შარლოტს, მგონი, უფრო საკუთარ თავს, ასეთ კითხვებს უსვამს: „რატომ არ ინგრევა თაღი? რა უშლის ხელს თაღის ჩამოქცევას?“ იგივე კლაისტი, იგივე შარლოტს უჩურჩულებს, რომ თუკი თაღი

არ ინგრევა, ეს იმიტომ, რომ ქვებს სურთ, ერთდროულად დაენარცხონ მიწას.

კი მაგრამ, რატომ? საიდან უჩნდებათ ქვებს ასეთი აზრი? ამ „ერთდროულობას“ ჩვენ მოგვიანებით დავუბრუნდებით.

შეიძლება ითქვას, რომ ჩამოქცევაში ქვა საბოლოოდ მოიხვეჭს ინდივიდუალურ ბედს.

ვარდნისას ქვა აღარ არის რაღაც საყრდენი და აღარც ერთ-ერთია სხვა მსგავსი ქვების რიგში. ვარდნისას ქვა მხოლოდ საკუთარ ყოვლადძლიერებას ადასტურებს და ახორციელებს. ახლა უკვე ქვას ისღა დარჩენია, რომ ფორებიან სახეზე ქარის ალერსით დატკბეს. და ეს რაღაცას ნიშნავს, მით უფრო, როდესაც ადამიანზე ფიქრობ, რომელიც ვარდება.

ადამიანი ვარდნისას ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს. მედლები, ჭეშმარიტებები, სიყვარული, წარმატებები, საყრდენები აღარაფერში ადგია. ახლა მას, თუმც კი ძალიან გვიან, მხოლოდ წონადი „კოგიტო“ რჩება: რომ არსებობდე, რამეს უნდა იწონიდე? პასუხი ჰაერშია. ჰაერში გამოკიდული პასუხი გადაწყვეტილებისკენ მიექანება.

ვარდნა ადამიანს თავზარს სცემს, შიში უფრო და უფრო მძლავრდება და დასასრულისკენ, ესე იგი, საბოლოო დაცემისკენ, მიწაზე გართხმისკენ მიეზიდება. რა ხდება ვარდნისას? სიმაღლეს გავურბივართ, თუ სიმაღლე გაგვირბის? ამ კითხვას მხრების უბრალო აწურვით ვერ უპასუხებ, მაგრამ თვით კითხვაა საინტერესო.

ადამიანი ვარდნისას საკუთარი სხეულის, ხორცის ზეობის მომსწრე ხდება, ხორცისა, რომელიც როგორც მისი „ვარდნითი ნაწილი“ (pars cadens, ლათინური სიტყვიდან cadere – ვარდნა), მისი არსების ნაწილი, სულ მეტს ითხოვს:

დაბლა! კიდევ უფრო დაბლა! და ამ „დაბლას“ დასასრული არ უჩანს.

ვარდნისას, მოუხერხებელ პოზაში მყოფი ადამიანი, საკუთარი ხორცის მიერ ჰაერის გაპობის წარმოდგენას ესწრება. ამით იმის თქმა მსურს, რომ ვარდნა ჩემი ხორცისთვის ჭაა, რომელიც ჩემ ქვემოთ იხსნება, რომელშიც დავინთქმები და რომლის წყალობით ვაღწევ სიღრმეს, ღრმულს, რაც ერთობ სავალალოა არსებისთვის, რომელმაც, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოიხვეჭა და შეიყვარა მისთვის მთავარი.

იქნებ, ადამიანს, რომელიც ვარდება, რაღაც შეეშალა, ან არასწორად გაიგო?

ამ კითხვას ეპასუხება ქვემოთ მყოფთა კიჟინი, რომლებიც ხედავენ, რა სისწრაფით მოქრის ადამიანი, რომელიც ვარდება: თუკი ვარდება, გამოდის, ჩვენებურია. ნუთუ მხოლოდ ეს არის შეღავათი? „ჩვენებური“... განა, ეს რამეს ნიშნავს?

კაცი, რომელიც ვარდება, ყველაფერს კარგავს. ის უმაღლესი პატივიც, რომელსაც აქამდე საკუთარ თავს მიაგებდა... ფაფუ!

ვარდნისას ადამიანი თავისუფლდება ყოველივესგან, რასაც ფლობს, და დავიდარაბისგან, რაც, ჩვეულებრივ, ფლობას თან ახლავს. და რადგან ეს საზრუნავიც თავიდან მოიშორა, ახლა მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ იყოს, ბოლოს და ბოლოს, იყოს! იყოს ბედნიერი მოგზაური, რადგან უცილობლად აღასრულებს საკუთარ დანიშნულებას, რომელიც სულ უფრო მეტად მიმზიდველი ეჩვენება. მაგრამ ადამიანი, რომელიც ვარდება, მხოლოდ

საკუთარი თავის შეშფოთებული ჩრდილია და ამ ჩრდილში სამყარო თავის მეუფეს ვეღარ სცნობს.

სიცრუეს ფარდა ეხდება და ქვემოთ მყოფთა უკმაყოფილო ბუზღუნი კიდევ უფრო ძლიერდება.

[ჩაფიქრებული შესცქერს ქვების გროვას.]

მე მიყვარს ქვათა უძრავი ჟონგლირება.

აი, ჩემი ცარიელი ხელისგულები.

ისიც უნდა გაცნობოთ, რომ ყველა კონტინენტზე მკვლევრები თავს არ ზოგავენ გროვის საიდუმლოს ამოსაცნობად; ცდილობენ, ამოხსნან ქარაგმები, რომელსაც გროვა სვამს, როდესაც მაღლა აიზიდება და საყრდენს პოულობს. უმთავრესი მაინც მისი კუთხის გამოცანაა, კუთხე ალფა, გროვის კუთხე, რომელსაც მიწაყრილის კუთხესაც უწოდებენ და რომელსაც კარგად იცნობენ ფორთოხლისფერ ქურთუკებში გამოწყობილი გზის ოსტატები, რომელთაც გზების მოვლა ევალებათ. ეს კუთხე, რომელიც მიუხედავად იმისა, ბერლინში ხარ თუ პეკინში, მუდმივად 35 გრადუსია...

გეთანხმებით, ნივთიერების მოლეკულური ერთიანობის შესაბამისად, შეიძლება 34 ან 36-ც იყოს... რა თქმა უნდა, რაჰათლუკუმსა და აქატს შორის... და მაინც, საერთაშორისო მასშტაბით, საიდუმლო მაინც 35 გრადუსში იმალება.

ქვის გროვა, ანუ მარცვლოვანი მინერალის დახვავება ჩამოქცევას სწორედ ამ კუთხის წყალობით უძალიანდება და თუ სურს, არსებობა გაიხანგრძლივოს, ასეც უნდა მოიქცეს. შეიძლება ითქვას, რომ დასაშლელად

განწირული გროვა ბრძოლისთვის შემართული გმირია, თუმც კი, რამდენ ხანს გაძლებს?

მე ვინახულე ლაბორატორიები, სადაც ბრწყინვალე ნიჭის ადამიანები იღვწიან. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება პირველი სტუმრობისას, როდესაც ადამიანთა ზურგების ყრუ კედლის წინ აღმოვჩნდი! ეს ამ ტვინიკოსების ზურგები გახლდათ – და ყველა ერთნაირად – დახრილი რაღაცაზე, რაც თავდაპირველად უბრალო სათამაშო მეგონა. წარმოიდგინეთ წვრილი, ღია ფერის, ლამაზი ქვიშით ნახევრად სავსე, მინის მრგვალი ჭურჭელი, შუაში სახელურით, რომელსაც ამ ტვინიკოსებისგან ყველაზე სპორტული ტიპი ატრიალებს და ნაყარ ქვიშას ადგილს უცვლის. ამგვარად, ალფა ორჯერ და კიდევ ნახევარი გვაძლევს მთელს... არაფერი ხდება! არასოდეს არაფერი! ტვინიკოსებს ზურგის კუნთები ეძაბებათ. მაინც რას ესწრაფვიან, საით მიდიან? იციან საითაც... ერთდროულად შიშით და იმედით, თ წამისკენ იჩქარიან... ზვავის ჩამოქცევა, უბედურების ამოხეთქვა, წონასწორობის დაკარგვა! მაშ, ასე, არაფერი ხდება. არაფერი-მეთქი, ვამბობ, მაგრამ მაინც დავაკვირდეთ. რა ხდება შიგნით? დაძაბულობის მობილიზაცია, წინააღმდეგობის დაჭიმულობა, შეკუმშვის გაძლიერება, საფრთხის ზღურბლის მოახლოება... ამაზე მომდევნო საღამოს ვისაუბრებთ...

დაბოლოს, წარმოვიდგინოთ, თითქოს არც არაფერი ხდება. სასაცილოა! დიახ, ასეცაა, არაფერი ხდება, ყველაფერი კარგადაა. და აი, უცებ, პირველი მიკროტალღა, რომელსაც კვალდაკვალ სხვებიც მოჰყვება... ტალღების ზვავი, კუთხის რღვევა... ნამდვილი უბედურებაა! ლაბორატორიაში კი სიხარულის ზეიმია! ტვინიკოსები მხიარული ყიჟინით კომპიუტერებისკენ გარბიან, რათა

მომავალი სამი თვის სამუშაო დაიანგარიშონ და შეეცადონ, არა, კი არ გადაჭრან ქარაგმა, არამედ წინ წაიწიონ მისი საიდუმლოს ამოცნობის გზაზე. საბოლოო შედეგამდე ჯერ კიდევ შორსაა. ამას კარგად უწყიან და სწორედ ამის შეცნობა იწვევს დღის ბოლოს, იმავე ლაბორატორიაში, ატმოსფეროს ცვლას. გონების ეიფორიას უკიდურესი დაღლილობა ენაცვლება. აშკარად ჩანს, რომ ფეხს ითრევენ, ელოდებიან, იქნებ, რაიმემ შეგვაფერხოს და კომპიუტერებთან არ მიგვიშვასო, მაგრამ ასეთი არაფერი ხდება და ისინიც, ნირწამხდარნი, იძულებულები არიან, ეკრანებს მიუსხდნენ... სანამ ერთ-ერთი მათგანი, სხვებისგან გამორჩეული ოინბაზი, ხმამაღლა არ ალაპარაკდება ორმოს პრობლემაზე. უმნიშვნელო რამ არ გეგონოთ, რადგან ცნობილია, სადაც ორმო, იქვე გროვა, სადაც გროვა, იქვე ორმო. ყოველ გროვას თავისი ორმო, ყოველ ორმოს თავისი გროვა! სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი გროვა ორმოზე, თავის ორმოზე, საკუთარ ორმოზე გველაპარაკება. გროვისა და ორმოს არსებობა, ჩრდილისა და სინათლის მსგავსად, ერთიმეორეზეა დამოკიდებული, ბავშვები ამას მშვენივრად ხვდებიან. თუკი მოიცლით და ყურს მიაპყრობთ, რაც იშვიათად ხდება, ვინ იცის, რამდენჯერ გაიგონებთ: „პატრუპატა – პატაპატრუ პაპა!“

მოგვიანებით, „ბეკშტეინის გვირგვინის“ წარმოსაჩენად, გროვაში ნახვრეტებს გავაკეთებთ. მაგრამ ამ საღამოს, მთავარი ეს არ გახლავთ.

შესავალი სიტყვის პირველი ნაწილის დასრულებისას, მოდით, შევთანხმდეთ, რომ კარგად მოვიქცევით, თუკი კვირაობით ბავშვებს არ მივიყვანთ ქვების გროვასთან, განსაკუთრებით – შამბორის ციხე-დარბაზთან. თითქოს შამბორის მონახულება, სახლში, ქვების გროვასთან

მოკალათებასა და ოცნებათა სამყაროს მოხილვაზე სასარგებლო იყოს! Eine sonntägliche Traumzet[4].

არა, შამბორის ციხე-დარბაზის დაკნინება აზრადაც არ მომსვლია. მის დიდებულებას ვერავინ უარყოფს. რამდენმა ჩინებულმა პოეტმა შეასხა ხოტბა მისი ხაზების სითამამეს, პროპორციების ჰარმონიულობას და ცად აწვერთილ კოშკებს... სრულყოფილებას ვჭვრეტთ და სუნთქვა გვეკვრის... მაგრამ უნდა შევეცადოთ, სილის გაწვნაც რომ დაგვჭირდეს, ვაიძულოთ ბავშვები, თავი გვერდზე იბრუნონ, სწორი მიმართულებით იცქირონ და, რაც მთავარია, ესოდენ მშვენიერების მხილველებმა, კრინტიც არ დასძრან.

ადამიანური გენიის გამობრწყინების წინაშე მდგომნი, არსებობის სიმძიმით დამაშვრალნი, წამით სიამაყით ვივსებით, რომ ჩვენც ადამიანთა მოდგმას ვეკუთვნით. ვამაყობთ, რომ მივეკუთვნებით იმავე სახეობას, შთაგონებული აღმშენებლობის რასას და ისეთი გრძნობა გვეუფლება, ცოტაც და მათ გვერდით აღმოვჩნდებით. დიდი-დიდი ორასი თუ სამასი წლის წინ ჩვენგან დამოუკიდებელი სხვაობა დროში. მეგზურის მიერ შერჩეული ადგილიდან ციხე-დარბაზის გადაღებით გართული მშობლები ბავშვს მეთვალყურეობის გარეშე ტოვებენ. ის კი, თითქოს მაგნიტით მიზიდული, მასზე გაცილებით მაღალი ქვების წინ მონუსხულივით დაყუდებულა. დახორავებული ქვები არაფერს ჰგავს, თუ არა გროვას, დიდ და ლამაზ გროვას...

ქვის გროვის სიმშვიდე, მისი აქ ყოფნის ყაიდა, რომელიც სრულიად არ ესწრაფვის აღტაცების გამოწვევას. ბავშვსაც ამშვიდებს. ბავშვი გროვას უახლოვდება და აღმოაჩენს მთელ სირთულეს ნაგებობისა, რომლის ქონგურებიდან

ზეცა იცქირება და კიდევ, ზუსტად გათვლილ წონასწორობას, რომელიც ქვებმა იპოვეს, რათა ერთად ზეცისკენ აზიდულიყვნენ.

ქვების გროვა ბავშვს არაფერს უმტკიცებს. განსაკუთრებით იმას, რომ გროვაა. ბავშვი ქვას ეხება, რათა შეიგრძნოს ქვის სიმყიფე და ამავდროულად უხილავი სული, რომელიც ჩამოქცევას უძალიანდება. მსგავს გრძნობას განიცდი, როდესაც თოკზე მოსიარულე ჯამბაზს უყურებ, რომელიც ჰაერში წონასწორობას ინარჩუნებს, გამუდმებით იმის ცდაშია, არ ჩამოვარდეს, მაგრამ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მიიწევს წინ.

გროვაში მოქმედებენ ძალები, რომლებიც უგულებელყოფენ ადამიანს და მის ჯიუტ სურვილს, ყოველივე საკუთარ ნებაზე მართოს. ბავშვი, რომელსაც დაკაცებამდე გრძელი გზა აქვს გასავლელი, ამას გრძნობს და ეს გრძნობა სიხარულს მოჰგვრის. ახარებს ხილვა გროვისა, რომელსაც სულაც არ აღელვებს ფიქრი იმაზე, მოაქვს თუ არა რაიმე სარგებლობა საკუთარი არსებობით. მზრუნველობა და სიდინჯე ასხივოსნებს ბიჭის სახეს. აღფრთოვანებისგან შორს მშვიდად მყოფი განიცდის ქარაგმისა და საგანთა ფარული წიაღისადმი ძალუმ მიზიდულობას, მზადაა გამოიკვლიოს ვარდნის შედეგად შექმნილი ჯერ კიდევ ნედლი პირამიდა. სანამ აფორიაქებული მშობლები აქეთ-იქით დარბიან და ბავშვს ეძებენ, რომ მასთან ერთად კიდევ ერთი სურათი გადაიღონ ციხე-დარბაზის წინ, კაცუნა მხიარული ყიჟინით მინერალების ლაბირინთის დერეფნებში დაკუნტრუშებს.

მოდით, იქ დავტოვოთ. იქნებ სიღრმეში შესული შეეცადოს, მოიხელთოს ის, რაც აკლია.

[კაცი მდუმარედ მოავლებს თვალს მაყურებლებს.]

ატმოსფეროს განმუხტვის დრო დადგა.

ერთი პატარა ამბავი უნდა გიამბოთ, აბა, წავედით! მაიორი სერჟანტ ბიტურს უბრძანებს: ყაზარმის ეზოში დახვავებულ ნაგვის გროვას ხომ ხედავ? თუ ერთ საათში ეზოს არ მოასუფთავებთ, საქმე ჩემთან გექნებათ. ბიტური კამამბერს იხმობს: გიბრძანებთ, ორმო ამოთხაროთ და ეს ნაგავი შიგ ჩაყაროთ. ერთ საათს გაძლევთ, თუ არადა, საქმე ჩემთან გექნებათ. კამამბერი, რომელსაც სერჟანტთან საქმის გარჩევა არაფრად ეპიტნავება, ორმოს თხრის, ნაგავს შიგ ყრის და დაფიქრდება: „ორმოდან ამოყრილ მიწას რა ჯანდაბა ვუყო? სერჟანტო, ნაყარი მიწა სად წავიღო?“ – „ჭკუას მოუხმეთ, მეორე ორმო ამოთხარეთ!“ – „უფროსის სიტყვა კანონია“, – კვერს უკრავს კამამბერი, მეორე ორმოს თხრის, პირველის მიწას შიგ ყრის და მერე ისევ ჩაფიქრდება: „მეორე ორმოს მიწას რა მოვუხერხო?.. სერჟანტო, ამ მიწას რა ეშველება?“ „ნამდვილი ვირი ხარ, მეორე უფრო ღრმად უნდა ამოგეთხარა, რომ მისი მიწაც დაგეტია და პირველისაც.“

[მაყურებელს]

ახლა კი ოდნავ სული მოითქვით.

[ჩაფიქრებული გროვას დაჰყურებს.]

ჩვენ აქ ვართ, უამრავი მიზიდულობის ვეებერთელა იდუმალების წინაშე. გროვა ჩვენ თვალწინ ინგრევა, ნგრევის უკიდურესი ზღვარისკენ მიექანება, თუმცა კი მისთვის დამახასიათებელი სიჩქარით. ჩვენ ამ სიჩქარეს თვალს მივადევნებთ. ეს კი ჩვენი აღქმის სიმწირეს მიგვანიშნებს და იმასაც გვამცნობს, რომ კარგად უნდა დავუკვირდეთ საკუთარი აზრების პირობითობას. მაგრამ

მკლავებს ნუ ჩამოვყრით, ბრმასაც კი საკუთარი შეხედულება გააჩნია სამყაროზე.

პირველად კრონსკი ალაპარაკდა გროვაზე, როგორც პოტენციურ გროვაზე. ვარდნით დამუხტულ ყუმბარაზე; La bomba a caduta![5] იგულისხმება უსაზღვრო პოტენციური ენერგია, რომელიც ჰეტეროგენულ ნივთიერებაშია დაბუდებული. იქნებ, ამ გროვას საზოგადოება დავარქვათ? სხვა თუ არაფერი, ამ რაღაცასთან ჩავლისას არ ვფიქრობ, რომ 93 ქვის წინ ჩავიარე, გროვას ჩავუარე, სიმრავლეს, რომელმაც შექმნა მთლიანობა. ჩვენ ვდგავართ საზოგადოების წინაშე, რომელიც სიცოცხლის შესანარჩუნებლად, განუწყვეტლივ ბადებს კატასტროფებს, რომლებიც უცილობლად, მაგრამ მოულოდნელად იჩენენ თავს. სწორედ აქედან იღებს სათავეს T წამის მნიშვნელობა და მისი ძიების აუცილებლობა. მაგრამ ეს ჩვენგან ჯერ კიდევ შორსაა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ საღამოს მომავალი ჩამოქცევის წინათგრძნობა გვაერთიანებს. გროვის ჩამოქცევა! მომავალი ჩამოქცევის მოლოდინით გატანჯული ერთი მთლიანი მონოლითი ვართ. გროვის შლაზე მოგახსენებთ.

ვის ემუქრება კატასტროფა, რომელიც ეს-ეს არის ვახსენე?

არასოდეს დამავიწყდება ჯართით მოვაჭრის მსუნაგი ღიმილი, ადიდებული მდინარის მონგრეული რკინის ხიდის დანახვისას, იმ დროს, როდესაც დანარჩენ სამყაროს მოწყვეტილი ქალაქი საკუთარ უბედურებას გლოვობდა. და მაინც, ვის ემუქრება კატასტროფა?

აი, საზოგადოება, რომელიც განუწყვეტლივ ბადებს კრიზისის გამომწვევ პირობებს, გაუსაძლისი მდგომარეობიდან დროებით გამოსავალს. გამოცდილებით

ვიცი, რომ კრიზისის, ანუ ურთიერთსაწინააღმდეგო ძალების გამოთავისუფლების შედეგად, საზოგადოება სიმშვიდეს მოიპოვებს, თითქოს შესაძლებელი ხდება პარტიების თანაარსებობა. მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ! კურთხეული ჟამი, ოქროს ხანა სხვა არაფერია, თუ არა აუცილებელი დრო, რათა გამხრწნელმა ძალებმა ძველი ძლევამოსილება დაიბრუნონ, შეიარაღდნენ და საზოგადოება მორიგი აფეთქების ზღურბლთან მიაგდონ.

მე ვგრძნობ ჩემთვის ადვილად გასაგებ მოუთმენლობას დროის წინაშე, დროისა, რომელიც სჭირდებათ ქვებს, რათა ერთმანეთს დაშორდნენ... მერე კიდევ სისწრაფე, რომელიც გვაოცებს თავისი სიზანტით.

შეიძლება ვისაუბროთ დამსხვრეული სამყაროს ნოსტალგიაზე, solidus fractus[6]-ის სინდრომზე. ჩვენში იღვიძებს პირველყოფილი მთლიანობის, უზარმაზარი წინაპრის საუკუნოვანი გახსნება, რომელმაც პროტოისტორიული ყინულოვანი ღამის სიბნელეში ეს გასაცოდავებული ქვები შვა, რომლებიც ხელმეორედ შეერთდნენ, ერთურთს მოერგნენ, ოჯახად იქცნენ... ხომ გასაგებად ვლაპარაკობ? ან იქნებ, არა?! ასეცაა... ან... არა, უმჯობესია ვთქვა „და“ დიახ, და ქვათა კავშირს მოძრაობის შიში კი არ აყალიბებს, არამედ წინათგრძნობა იმისა, რომ დაშორიშორებულნი ვეღარ ეზიარებიან საერთო სისწრაფეს, ვეღარ აჰყვებიან საერთო ტემპს, რაც სხვების გვერდით ყოფნის, ანუ ერთ დროში არსებობის გრძნობის საძირკველია.

გროვა ყოვნის პერიოდშია, მსგავსად ყოვლისა, რაც კი ამაღლებას ესწრაფვის.

იქნებ დროა, სასაუბრო თემა შევცვალოთ.

[კაცს ბოთლის ზომის ცილინდრული ფორმის საგანი მოაქვს.

გაწვდილ ხელზე იდებს.

ცილინდრს სწევს და დიდ დახვეულ ზამბარას ხედავს.

მდუმარედ ათვალიერებს ზამბარას.]

მაშ, ასე... რაღაც უნდა მოხდეს.

სპირალი რომ ამოძრავდეს, აუცილებლად უნდა მოხდეს.

სანამ რაიმე არ მომხდარა, ვინ იფიქრებს, რომ ეს მართლაც ზამბარაა და არა მაცდუნებელი ფორმა, გამომწვარი თიხისგან შექმნილი ნივთი. ამთავითვე ვაცხადებ, რომ ასე არ გახლავთ, რადგან ზამბარა ჩემი ნახელავია. დიახ, მე გავაკეთე მავთულისგან... ზამბარის არსებობის წამიც არ გამომპარვია მხედველობიდან, რათა პირუთვნელი მოწმე ვყოფილიყავი და არავის არაფერში დაედო ჩემთვის ბრალი. იცით, რომ ქვეყნად მოვლენისას, ზამბარა წითლდება, იმდენად დიდია ძალისხმევა, რომლის წყალობითაც რკინას სიცარიელეს შემოახვევს. თავისებურად ყვირის, დაძაბულობისგან ხვნეშის, კონცენტრაციის მცდელობა არაქათს აცლის. „კონცენტრაცია“ – „კონ“ კრებითი თავსართია, „ცენტრაციის“ მეშვეობით გაერთიანებისკენ მოწოდებაა. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს თანმდევი ცენტრის, ცენტრალური სიცარიელის წარმოქმნას, რომელიც ზუსტ ზომიერებას იცავს და რომელსაც ყოველი ახალი სპირალი უნდა ემორჩილებოდეს, რათა ვნება არ მიაყენოს მომავალ დანიშნულებას იმისა, რომ საბოლოო ჯამში „ზამბარა“ ეწოდება.

მგონი, რიგიანად გამომივიდა. ახლა აქ არის და ისვენებს ხელისგულზე, რომელმაც შეიხიზნა და შეიფარა.

გველისებრი, მაგრამ სულაც არა გველი, საყრდენის გარეშე არსებული ხვეული.

ძნელია თვალით მოიცვა, რადგან სპირალი მზერას გაურბის.

ძლივს გასაგონად ამოიოხრა, ერთი ამოსუნთქვით. მიდი, თუ დაიწყე, გააგრძელე! *[ხელით ეხება]* ყინულივით ცივია, მკვდარი გეგონება.

[კაცი სინანულით დაჰყურებს უძრავ ზამბარას.]

ამაზე არ შევჩერდებით, ის კი არა, თავს ნება მივცეთ და განათება შევცვალოთ.

[კაცი სცენის სიღრმეში, ორი მეტრის სიმაღლეზე ჩამოკიდებულ ჩამრთველთან მიდის და ცელოფნის შალითას სარჭებს ხსნის.]

აღარ მახსოვს, ვინ თქვა: ბედნიერი ვიყავი სრულიად მარტო ყოველივე იმასთან, რაც ჩემ შიგნით მერტყა... იქნებ, ვინმე სმირნოვმა წაუმძღვარა თავის ნაშრომს, რომელიც სახელმწიფო არსენალში დაცული ყუმბარების დათვლის სისტემას ეძღვნება.

ოჰ, ეს წყეული სმირნოვი...

შეხედეთ, შეხედეთ! ხედავთ, რარიგ მესხმის თავს, როგორ ცდილობს დამაბრუნოს იქ, საიდანაც ეს-ეს არის, წამოვედი!

ძალიან კარგი! ასე აღარ მოვიქცევი, გამოტანილ მსჯავრს დავემორჩილები. ისე, აქაც, სულ დაბლა, კარგად ვგრძნობ თავს, არა მიშავს რა. როდესაც აღსრულებული ვალის

შეგრძნებით კმაყოფილი, ვარდნას შორს დავიგულებ, ჰოპ! შევხტები, მერე კიდევ ჰოპ! და ერთსაც შევხტები. ბედნიერი ადამიანის კუნტრუში. ჰოდა, მიდი. ჰოპ! ჰოპ! ჰოპ!

ჩვენი წინაპარი თევზები ერთ დღეში არ გამოსულან ხმელეთზე. შავი წყლის სიღრმეში დიდხანს ოცნებობდნენ ცხელ ქვიშაზე, ქარზე, განთიადზე, ღრუბლებზე, ალერსზე. ტალახში ხოხიალისგან თათები წამოეზარდათ.

მამაჩემს ფარფლები ჰქონდა, ჩემს შვილს ფრთები გამოებმება.

[დაღლილი, სუნთქვაშეკრული ჩუმდება.]

ჩემს შვილს, იქნებ...

[კაცი ზამბარას ჩამოხსნის.]

დავასვენებ, ადამიანის თვალს გავარიდებ.

[ზამბარას სიბნელეში კიდებს, ბრუნდება და გროვას მიაჩერდება.]

დაშლისკენ მიექანება.

[კაცი ცელოფნისკენ იწვდის ხელს.]

ერთი ცდა უნდა ჩავატარო. დიდი ხანია, ეს აზრი თავში მიტრიალებს. თავს ნებას მივცემ და განათებას შევცვლი.

[განათებას ცვლის, შემდეგ უკნიდან მოუვლის და შალითას აწევს. მოჩანს ვერტიკალური ძელი, რომელზეც ჩამოკიდებულია 7 ზამბარა 7 ქვით...]

ხედავთ, როგორ აკუნტრუშდნენ, კვიცები გეგონებათ.

[ქვებს ხელით აჩერებს. ერთს ქვევით ჩამოწევს და ხელს უშვებს, რათა რხევის ხმა გაიგონოს.]

დიახ, დაღლილობის მომასწავებელი პირველი ამოხვნეშა ისმის. აქ ამისთვის არ მოვსულვართ, მხოლოდ ამისთვის არ მოვსულვართ! ყოველივე ესოდენ ნაცნობია... ერთობ ნაცნობი... ასე მგონია...

[მეორე ქვასთან მიდის.]

ესეც ასე, სცენაზე სირთულის წარმოჩენა... თქვენგან ჩემკენ ძლიერი მოქცევა მოედინება, სურვილი პოზიციის დაკავებისა, შესაშური პოზიციისა, სანატრელი პოზიციისა, რომლის შენარჩუნებასაც ესწრაფვით...

[ქვებისკენ იხრება და ელოდება წუთს, როდესაც ქვები ერთმანეთს გაუსწორდებიან.]

დავარქვათ ამას შეხვედრა. შეხვედრა ერთ სიბრტყეზე. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. კარგად მოგეხსენებათ, შეხვედრას ხანგრძლივი განშორება და მაქსიმალური დაშორება უსწრებს და... მოჰყვება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანხმობა და უთანხმოება მსგავსი მოვლენებია. ერთი არ არსებობს მეორის გარეშე... არ ისურვო ერთი-მეორის გარეშე... კარგი, რაც არის, არის; ამაზე უკვე ვილაპარაკე.

[მესამე ქვას აამოძრავებს.]

ემოციური ხითხითი მესმის, რაც, ბუნებრივია, ამ გასაოცარი მოვლენითაა გამოწვეული: პირველი ორი ქვა ახალმოსულს ხელგაშლილი ხვდება. არც თავშეკავებულობა, არც რამ წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება, კინეტიკური მანჭვა-გრეხით გამოხატულიყო. არა და არა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და მყისვე იქმნება ახალი სისტემა – ნ+1, რომელიც, თავის მხრივ, ხდება ნ. წინამორბედი სისტემის სინანული კი წამსვე განქარდება. ვნახოთ, აქვს თუ არა ამ აღმოჩენას დროში გამძლეობის უნარი, ამიტომ ერთხელაც ვცადოთ.

[კაცი აამოძრავებს ქვებს მეექვსემდე, შემდეგ უკანასკნელისკენ გაიწვდის ხელს.]

შეხედეთ, ვითომც არაფერი, არც კი ინძრევა. მოდით, მასაც მივხედოთ!

[ქვას აამოძრავებს. შვიდი ქვა ზამბარაზე ირხევა.]

გამაოგნებელი ნიჭი, რომელიც, თუკი კარგად დავფიქრდებით... ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელია, ყველაფერს ერთდროულად გავწვდე. უეჭველი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით. სხვას ვერაფერს ვიტყვი! ჩვენში დარჩეს, არც ვაპირებ. მოვრჩეთ, ქვებიც ამას ელიან.

[კაცი მუსიკას რთავს. მუსიკის რიტმს აყოლილი ქვები თითქოს აცეკვდნენ.]

რომ იცოდეთ, რამდენი რეპეტიცია დამჭირდა!

შუბერტის სონატა ვიოლონჩელოსთვის...

რამდენმა კომპოზიტორმა შექმნა მუსიკა ქვებისთვის! არ ვიცი, შეძლებთ თუ არა წარმოიდგინოთ ქორეოგრაფების შიში და ძრწოლა, ოცდახუთი წლის შრომის და ჯაფის შემდეგ...

მესამე მუსიკალური ნაწყვეტი, ველური როკი. იგივე მოვლენა.

სად ვართ? ყველაზე დიდი თანაგრძნობის და ყველაზე დიდი გულგრილობის შუაგულში.

[რიტმს აყოლილი კაცი ქვებთან ერთად ცეკვავს. უცებ, მუსიკას გამორთავს. ქვები ცეკვას აგრძელებენ. კაცი ქვებს უყურებს, ვერ გადაუწყვეტია, გააჩეროს თუ არა ცეკვა, რათა მოწყობილობა წესრიგში მოიყვანოს.]

ეს წუთი მძაგს. უნდა შევისვენოთ. სხვა მხარეს მიმართეთ თქვენი მზერა. ამას თქვენთვის ვამბობ.

[კაცი სინანულით სწევს ვერტიკალურ ბოძს და ქვებიანად გვერდით გადადებს.]

ახლა კი მსურს, ბოლო სათქმელიც გითხრათ. ეს გამონათქვამი ჰერაკლიტეს ეკუთვნის. ჰერაკლიტე ბერძენი ფილოსოფოსია, რომლის ნააზრევი ნაწყვეტების სახით შემოგვრჩა, „ჰერაკლიტეს ფრაგმენტები.“ მაშ ასე, ჰერაკლიტე ამბობს: „ალალბედზე მიყრილი ქვების გროვა... ორი წერტილი... სამყაროს უმშვენიერესი წყობა.“ ჰერაკლიტე გვეუბნება: „სამყაროს უმშვენიერესი წყობა... ორი წერტილი... ალალბედზე მიყრილი ქვების გროვა, ბრმების ბრბო და ასეთი რამდენიც გნებავთ იმდენია.“ შეიძლება დავუშვათ, რომ ჰერაკლიტემ არ იწინასწარმეტყველა სამყაროს დიდებული წესრიგის არსებობა. შეიძლება წარმოვიდგინოთ ჰერაკლიტე, ბერძენი მოხუცი, წვერებიანი, წელში მოხრილი *[პერსონაჟს ბაძავს]*, რომელიც თაკარა მზის გულზე, კვადრიგების მიერ ადენილი მტვრით დაფარულ თებეს გზას მიუყვება.

პირგამშრალი, ფიქრებში ჩაძირული, ლეღვის ტოტით ლურჯ ბუზებს იგერიებს და უცებ, გზის პირას დაყრილი კენჭების დანახვაზე მეყსეულად გახევდება. ხშირად გვითქვამს: „ბედი მეწია, უბედობა მეწია.“ ჰერაკლიტეს კი, სწორედ კენჭების გროვა ეწია... და ეს მოხუცი, ამაღლებული მოაზროვნე გრძნობს, რომ მასში იღვიძებს მისივე არსების ის ღრმა ნაწილი, რომელზედაც აქამდე წარმოდგენა არ ჰქონდა. თრთოლვა დაუვლის, გრძნობს აქამდე გამოუცდელ კავშირს საგანსა და საკუთარ თავს შორის და თითქოსდა ბანალური გრძნობის ამოფრქვევას.

ბანალური ხდება მგზნებარე, თუმც კი რჩება ბანალური. და ამ დიდებული ჰეტეროგენულობის წინაშე ჰერაკლიტეს გაოგნება! ჰერაკლიტესი, რომელიც შეიძლება ბავშვია, თუმც წვერულვაშიანი. ის ბავშვი, შამბორის ციხე-დარბაზის წინ რომ იდგა. როს ჰერაკლიტე გვეუბნება: „ალალბედზე მიყრილი ქვების გროვა... ორი წერტილი... ყველაზე მშვენიერი ამქვეყნიური წყობა“, ის ორი წერტილი მისი თვალებია, რომლებიც ახლა საგანთა ზედაპირზე კი არ დასრიალებენ, არამედ კედლის გულცივობას ბურღავენ, ხვრეტენ, რათა იხილონ. მბურღავ-მხილველი ჰერაკლიტე!

როს ჰერაკლიტე გვეუბნება: „ალალბედზე მიყრილი ქვების გროვა... ორი წერტილი... ყველაზე მშვენიერი ამქვეყნიური წყობა“, ვინ იცის, იქნებ, ორი ნაპირია, ჰერაკლიტე კი ფონს გადის, საკუთარი გაოცების გრილ მდინარეში მიაბიჯებს, კენჭებისა და სამყაროს ბრწყინვალების ორ ნაპირს შორის, რომლებიც სადაცაა ერთმანეთს შეერწყმიან. გაოგნებული ჰერაკლიტე! მონუსხული ჰერაკლიტე!

როს ჰერაკლიტე გვეუბნება: „ალალბედზე მიყრილი კენჭების გროვა... ორი წერტილი... ყველაზე მშვენიერი ამქვეყნიური წყობა“, იქნებ, ამით სურს მიგვახვედროს, რომ არსებობს შესაძლებელი გასასვლელი კენჭებიდან სამყაროს ბრწყინვალებისკენ. მაგრამ არც იმას გვიმალავს, რომ „ვიწრო არს გასასვლელი“. დღეს გონებას გვიშფოთებს ფიქრი იმაზე, რომ უამრავი ძალა, უკიდურესად მძლავრად დარაზმული, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა კიდევ ერთხელ დაავიწროვოს ისედაც ვიწრო გასასვლელი. მერწმუნეთ, მათი საბოლოო მიზანი ის არის, რომ გასასვლელთან არ მიგვიშვან no acces!, რომ ისევ მოვიქცეთ გროვისკენ, არა ვიხილოთ რა, გარდა გროვისა და დავრჩეთ მარადიული მსხვერპლნი სამყაროზე სხვების

მიერ ერთხელ შექმნილი წარმოდგენისა. საკუთარი თავის საბოლოო დაკარგვაც სწორედ ეს არის!

როს ჰერაკლიტე გვეუბნება: „ალალბედზე მიყრილი ქვების გროვა... ორი წერტილი... სამყაროს ყველაზე მშვენიერი წყობა“, ეს ორი წერტილი, შეიძლება არის „ყველაზე მეტი“ და „ყველაზე ნაკლები“, მათემატიკური დიფერენციალი, საიდანაც ამოხეთქს პოეტური ნაკადული, თაღი, საიდანაც იღვრება ნათელი და რომლის ქვეშ მეც ვპოვებ ბინას. თუ არა ჩვენ, სხვა ვინ გაუმხელს ჩვენს შვილებს ამ სინათლის არსებობას?

იმ უხსოვარ დროს თებეს გზაზე ბევრი დაეხეტებოდა და ერთმა ჭაბუკმა, რომელმაც თვალი ჰკიდა გროვის წინ ჩაფიქრებულ მოხუცს, შეუძახა ჰერაკლიტეს: „ეი, ბებერო, მოეშვი ფუჭ ოცნებებს, თუ არადა, შენც ქვად იქცევი.“ ჰერაკლიტე გამოერკვევა, გონს მოეგება... იყო კი ოდესმე ესოდენ ახლოს საკუთარ არსთან? ეს უკვე ჩვენი მესამე საღამოს თემაა.

ჰერაკლიტე, მისთვის დამახასიათებელი გონების სიმკვირცხლით, უამრავ კითხვას უფიქრდება: ვარ მე ეს გროვა? ვგრძნობ თუ არა თავს გროვად? იქნებ, ჩემი საკუთარი ნაწილია გროვა და თუ ასეა, რომელი ნაწილი? მაგრამ რისი გროვა ვარ მე? სად არის ის ჩემი ნაწილი გროვა?

ახლა კი მეტყველების დონე შევცვალოთ.

[კაცი ფარდას ახდის პატარა სვეტებიან თაღს, რომელზედაც ჩამოკიდებულია მრავალგვარი მოყვანილობის თუ სიდიდის ზამბარები, სცენის შუაში სინათლეზე გამოაქვს და შემდუღებლის მუზარადს იკეთებს.]

ბნელით მოცული ამბავია. ორიოდე წლის წინ, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ რეგიონში, კანტონში, შტატში, დიახ, იუტას შტატში, პატარა, ულაზათო დასახლებაში აღმოაჩინეს მუსიკალური პარტიტურის თითქმის დანაცრული ნაკუწები, უამრავი ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ნაწარმოები ჰარი მიხელსონს ეკუთვნოდა, რომელიც ეჭვგარეშეა, ახალგაზრდობაში ნეოსპირალისტი უნდა ყოფილიყო.

რა არის ეს? კონცერტინო, დივერტისმენტი, სერენადა? დაე, ამაზე სხვებმა იმტვრიონ თავი. მთავარი და აშკარა დიდი ასოებითაა გამოყვანილი: “for hanging spring” ანუ „ჩამოკიდებული ზამბარებისთვის“. სათქმელი ითქვა. ახლა შევეცდები, წარმოვიდგინოთ მიხელსონის ნაწყვეტები.

ჯერ კიდევ გრძელდება კამათი მიხელსონის ავტორობაზე. მაგრამ მე თუ მკითხავთ, არის სხვა რამ, უფრო მნიშვნელოვანი.

[კაცი ყურადღებას იკრებს და იწყებს დირიჟორობას. რკინის ჯოხით ზამბარებს აახმიანებს. ზამბარების ხმა ექოდ გრძელდება.]

ვხედავთ აჩრდილებს, რომლებიც სასაფლაოს კედელს მიუყვებიან, დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე და ერთ მშვენიერ დღეს, ბაც! ადგილი ნაპოვნია! ინავლება სურვილი მეტის ცოდნისა.

[კაცი ისევ ამოძრავებს ზამბარას.]

უკუდარტყმა ყოველივეს უკან აბრუნებს, არაფერს იტოვებს. ლბილისკენ, მოდუნებისკენ, უწესრიგობისკენ მიემართება, მაგრამ რაოდენი ხიბლია მის მოძრაობაში, – არც მკვეთრი რხევა, არც რიტმის რღვევა გზაზე, რომელიც

უკანასკნელ ძალებს აცლის. მზადაა გაისარჯოს, დაიხარჯოს და მთელი არსებით მიეცეს დაძაბუნებას.

რატომ არის ესოდენ მოკლე უზრუნველობის დრო, თანამგზავრი ლურჯი ფოლადის სპირალის სიმსუბუქისა?... ვერ ვიხსენებ, ვინ თქვა.

[კაცი ადგილზე ხტომას იწყებს, უფრო და უფრო მაღლა, უფრო და უფრო ლაღად.]

ნურც ამას მოვიკლებთ.

შეხტომით იმ თოკებს ვასუსტებ, რომლითაც მიწას ვარ მიბმული. და მყისვე ჰაერი ავსებს მიწასა და ჩემს სხეულს შორის წარმოქმნილ სიცარიელეს.

მაგრამ მიზიდულობა, რომელიც ვერ იტანს უწესრიგობას, ვარდნით სჯის ამ თავხედურ გამოხტომას.

ვარდნა ნადირის მოსარეკად გაწვრთნილი ძუკნაა. სინათლესავით სწრაფი ფრთოსანი ძაღლი. „მოიცა!“ – ბრძანებს მიზიდულობა, როდესაც ხედავს, როგორ გავურბივარ, რათა სიმაღლეს ვეზიარო.

[კაცი გამოქაჩავს ცელოფანს და ხედავს მსხვილსპირალიან ზამბარას.]

საკმარისი იქნება...
ხელს არაფერი მიშლის...
შედეგს რა მნიშვნელობა აქვს?!
ან კი რისთვის?

[კაცი ნელა უკან იხევს]

აქ არც სიწყნარეა
არც მშვიდობა...
ვის გაქვთ სათქმელი?

ხომ შემიძლია, ვეღარ ავიტანო
და მუშტი-კრივზე გადავიდე...
საქმეს ასეთი პირი უჩანს...
ვინ ელოდება ვის?

[კაცი ქვას ხელებს შემოავლებს... ზამბარა იდრიკება.]

პირველი იყო სიცარიელე
სიცარიელეს გარს შემოევლო ცეცხლში გაწმენდილი
რკინა, ზამბარა, რომელსაც ქარი არხევს,
პულსაცია...
პულსაციამდე არაფერი არსებობდა...
ეს დასაწყისის პულსაციაა...
აღარავის ახსოვს „დაბლა“ და „მაღლა“
საკითხი ჯერ არავის გადაუწყვეტია
კითხვას არავინ სვამს
თვითონ კი ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის...
ის ორ უკიდურესობას შორის მოძრავი რიტმია
რიტმი ვარდნასა და ამაღლებას შორის
ზამბარას ვერ გადაუწყვეტია, რა აირჩიოს
ვარდნა თუ ამაღლება
მან არაფერი იცის
ის სუნთქავს
ცოცხალი ნივთიერება
სპირალი ამოძრავებს ქვას, რომელიც ამოძრავებს
სპირალს,
რომელიც ამოძრავებს ქვას...
ამოძრავებული თვით ამოძრავებს

[კაცი ზამბარას ხელს ჰკრავს]

სპირალის ყოველი ხვეული ემსახურება ზესვლას.
არცერთი მეოცნებე ხვეული
სხვათა შორის, არც ოცნებაა

ყველა თანაბრად იხარჯება
კონ... სპირაცია (თანა-სპირალობა)

ყოველი პულსაციისას გადაიკვეთება საბოლოო ყოფნის ადგილი უკანასკნელი ძალების გახარჯვამდე, თუმც ამას არაფერი მიანიშნებს. საქმე ეხება ამ ადგილის ძიებას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...

ესეც ასე. მოდით, აქ გავჩერდეთ. მეტის მსურველებს გამცნობთ, რომ მზადდება მეორე საღამო, რომელიც ორ საკითხს ეძღვნება: პირველი – ვარდნა, სასჯელი თუ ჯილდო? მეორე – რა მოსდის ფრთებით დარხეულ ჰაერს? გეთანხმებით, ამაში ახალი არაფერია, მაგრამ საინტერესოა, განვიხილოთ ყოველივე ეს დღევანდელი თვალთახედვით, რა თქმა უნდა, გათვალისწინებით იმისა, რაც ჩვენ გარშემო ხდება.

გმადლობთ!

[1] საკუასოხო – ლურჯი ვარსკვლავის ღმერთი ან მისი განსხეულება.

ჩრდილო ამერიკელი ინდიელების, ხოპის ლეგენდა.

ღმერთმა ტაიოვამ სხვა ღმერთები გააჩინა და მათ დაავალა სამყაროს შექმნა. პირველ სამყაროს ერქვა ტოპელა. მასში იყო ხმელეთი, ოკეანე და ცოცხალი ორგანიზმები და ახალი ღმერთებისგან შექმნილი ადამიანები. მაგრამ ცოცხალი არსებები არ უჯერებდნენ ღმერთებს და ამიტომ დიდი წარღვნით განადგურდნენ. შემდეგი ორი სამყაროც უვარგისი გამოდგა და ასევე განადგურებულ იქნა. ჩვენი სამყარო მეოთხეა.

ხოპის ერთ-ერთი უძველესი წინასწარმეტყველება გვამცნობს დედამიწაზე ლურჯი ვარსკვლავის ღმერთის, საკუასოხოს დაბრუნებას, რომელიც ახლა ძალზე შორსაა და უჩინარია, მაგრამ მალე ის ცაზე გამოჩნდება და მისი გამოჩენა დედამიწაზე ახალი, მეხუთე ერის, დასაწყისის მაუწყებელი იქნება.

ხოპის წინასწარმეტყველება გვაუწყებს: “ლურჯი ვარსკვლავის ღმერთი გამოჩნდება ცაზე და სამყარო ისევ შეიცვლება. როცა საკუასოხო ნიღაბს ჩამოიხსნის და ცეკვას დაიწყებს ბაზრის მოედანზე საქმეში ჩაუხედავთა წინაშე, დიდი განწმენდის დღე დადგება.”

სამყაროს შეცვლის პროცესში ყოველგვარი ბოროტება ქრება. მცდარი და მატერიალური დანგრული იქნება. რაღაც დროის განმავლობაში აღარ იქნება რიტუალები, არც რწმენა. მაგრამ შემდეგ დედამიწა აღორძინდება და ცხოვრების ახალი ციკლის აღმნიშვნელი რიტუალებიც განახლდება.

[2] ფერდინან შევალი (Ferdinand Cheval; 1836-1924), სოფლის ფოსტალიონი, რომელმაც ქვებისგან ააგო „იდეალური სასახლე“ (palais idéal), „ნაივური“ ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუში (1879-1912).

[3] „მაშ, რისი მაქნისია ზეცა?“

[4] კვირადღის ოცნებების ჟამი.

[5] ყუმბარა იფეთქებს (იტ.)

[6] საგრძნობლად დამსხვრეული (ლათ.)